



2017/4

ყველაფერი ლიტერატურულ –
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბლათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

გარეკანზე –
ლიტველი მხატვრის, ჩურლიონისის
ნახატი „მეფეთა ზღაპარი“

ჟურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მსახურით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევნი

პრიბიბა, ასეისბიბა ამირან გომართელი პოეტის ფიქრი დაეძებს ბილიკს (დათო მალრადის ლექსის, „ნემსის ყუნწის ტრიუმფალური თაღის“ ინტერპრეტაციისთვის)	3	ბაქსტი და დისაურსი მაკა კაჭკაჭიშვილი თანამედროვე ქართული პო- ეზიის ენისათვის – „ცისკარი 1852“	60
ნინო დარბაისელი-სტრონი დიდი დანაკარგის მესაკუ- თრე (რეზო გეთიაშვილის „გოქსუს“ ინტერპრეტაცია)	10	მაია მელანაშვილი პიკარესკული ჟანრი და მისი ქართული ნიმუშები	64
ანდრე მორუა მოთხრობები თარგმნა თეიმურაზ ქორიძემ	18	თეიმურაზ ნადარეიშვილი შექსპირული ჩანახატებიდან	79
პოეზია ლელა ლაგაზიძე ლექსები	22	საუბრები ზიქა ყაჯაბა კატო ჯავახიშვილი ამბავი თუმ ბესოზე, ანუ სოლომონაშვილზე	84
პროზა ნათია როსტიაშვილი სუნთქვის შემგროვებელი მოთხრობა	45	თარგმანი ლექსები თარგმნა გია ჯოხაძემ	93
პოეზია ანდრო ბუაჩიძე ლექსები	51	არბრევი ალინა ქადაგიშვილი ოლივიე როლენი და მისი „მეტეოროლოგი“	100
პროზა დათია ბადალაშვილი მოთხრობები		პორტრეტის შუქ-ჩრდილები. გუგა კოტეტიშვილი	

ამირან გომართელი



პოეტის ფიქრი დაემკვს ბილიკს

აგვიყოლია სიყრმიდანვე
ჩვენ ქართველის ბედმა
ილია ჭავჭავაძე

დათო მაღრაძის პოეტურ კრებულში „უსადაურო“ არის ასეთი სტრიქონი: „სა-
ლამი წრფელობას! კეკლუც სტროფს – უარი!“ პოეტურ დევიზად ქცეულ ამ ფრა-
ზას სავსებით ამართლებს მისი ლექსი „ნემსის ყუნწის ტრიუმფალური თალი“,
რომელიც გასულ წელს დაიბეჭდა ჟურნალ „საგურამოში“. ვფიქრობ, უპრიანია
მისი სრულად მოხმობა.

ნემსის ყუნწის ტრიუმფალური თალი

წინათქმა

არგონავტები როცა მოვიდნენ, ჩემს ქალაქს ერქვა აია სიტყ. ახლა თეთრ სახლში
რაზე მორიგდნენ, ამას გავიგებთ მედეას მზითვით... ვერსაიდან რომ ველარ მომიდ-
გნენ, მომიკლეს ჩემი აივნის ჩიტი, გაჩუმებისთვის ფული მომიგდეს და მოთმინების
შეუნთეს ფითილს. ერთს გეფიცები, დედა მომიკვდეს, შეცვალებს ჩემი სამშობლოს
მითი.

პოლიტიკოსთა ფრაზები როცა
შეიყრებიან ცაზე ღრუბლებად,
მე მეგაფონში აღვაკლენ ლოცვას:
– თავისუფლება თავისუფლებას!

გათავისუფლდით, თქვენი თავისუ-
ფლებისაგან! ბრძანებს მძლავრი
ტრიბუნა
და ვხედავ ქუჩას

ცოფით დანისლულს,
რომელმაც ჩემგან პირი იბრუნა.

და განწირული ქართული კითხვა:
– ევროკავშირი ახლოა, მისტერ?
– შორსაც რომ იყოს,
მომხედე, მიხავ!
იმ ღამეს მართლა აღმდგარა
ქრისტე.

ქართველის გულში, ვნაღვლობ,
რომ სისტე-
მატური სახე მიიღო შიშმა...
– მომხედე, მართლა აღმდგარა
ქრისტე,
– ვაჟი, რომელიც ბეთლემში იშვა.

გვიგვიანებენ შესვლას ნატოში,
მუცოსკენ გზებიც შეუკრავთ
ქისტებს,
მაინც მომძებნის
სხივი გათოშილს, –
იმ ღამეს მართლა აღმდგარა
ქრისტე.

პოეტის ფიქრი დაეძებს ბილიკს,
ციდან მიწამდე,
მინიდან ცამდე...
რომ წინაპარმა იპოვნოს შვილი,
რომ შვილს თავისი წინაპრის
სწამდეს.

პოეტმა იგრძნო
აღდგომა მკვდრეთით
და საკუთარი მოხაზა ნიშა, –
სტრიქონი, როგორც შადრევნის
წვეთი
ააღორძინებს უდაბნოს ქვიშას.

...პირფეხარს მაშინაც ვაგნებდი
უნინ,
გეთსიმანიის რომ თრთოდა ბალი,
სუნთქავს პოეტი
და ნემსის ყუნწის
ტრიუმფალური იხსნება თალი.

პროზის სტრუქტურით განყოფილი პასაჟი, რომელსაც ავტორმა „წინათქმა“ უწოდა, აშკარაა, რომ ჩვეულებრივი პოეტური ტექსტია – ათმარცლიანი მეტრითა და საკმაოდ ორიგინალური რითმებით. ლექსისთვის წინათქმის წამძღვარება, ორიგინალობის სურვილით კი არა, ტექსტზე მკითხველის ყურადღების მაქსიმალური აქცენტირებითაა გაპირობებული, რადგან მთე-

ლი შემდგომი ლექსი ქვეტექსტითა და მეტაფორული შინაარსით უხვად დატვირთული წინათქმის პასუხია. მეტიც, იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ „ნემსის ყუნწის ტრიუმფალური თალი“ ერთი მთლიანი, ღრმააზროვანი მეტაფორაა, რომლის ამოკითხვისას სწორედ ის პრობლემები იქცევა მკითხველის ფიქრისა და განსჯის საგნად, რაზეც ავტორი მიგვანიშნებს.

ლექსის ამ ე.წ. წინათქმაში თვალში იოლად მოსახვედრია უცნაური ბილინგვიზმი – „აია სიტყ“¹. ესაა მინიშნება იმაზე, რითაც ძალიან ვამაყოფთ ხოლმე, რომ ჯერ კიდევ მითოსურ ხანაში გვექონდა ქალაქი აია თუ კუტაია, რომელსაც ძველი ბერძენი არგონავტები „სტუმრობდნენ“. მას მერე ბევრ წყალს ჩაუვლია, ზოგიერთი ვერსიით, თურმე ზღვას მაშინვე უკან დაუხევია, როგორც კი მის ნაპირზე პირველ ბერძენს (დამპყრობელს) დაუდგამს ფეხი. ასე ბრძანებს სახელგანთქმული მწერალი, ავტორი რომანისა „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. მისივე მტკიცებით, ბედსაც, ზღვასთან ერთად, ჩვენთვის ზურგი უქცევია. მართალია, არგონავტები კარგა ხანია, გადაკარგულან, მაგრამ მათი ზღაპარი თუ მითი აიას მკვიდრთათვის თავისმოსაწონებელ მოგონებად ქცეულა, თუმც ამ ქალაქს, გეოგრაფიულ არეალსა თუ ქვეყანას (რომელიც, ზღვაოსანი არგონავტების ეპოქაში, სავარაუდოდ, პოლისად მოიხსენიებოდა) უცხოს თვალში ხიბლი არასდროს დაუკარგავს. მიზეზი, უნდა ვივარაუდოთ, ზღვასთან სიახლოვეა, თუმც, ისიც არანაკლებ სავარაუდო და მნიშვნელოვანია, რომ მეორე ზღვაც აქვია, ოდნავ მარჯვნივ, არც ისე შორს, დღევანდელი მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, ერთი ხელის განვდენაზე, რაც აიას გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ერთდროულად, განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც ანიჭებს და ართულებს კიდევც.

ჩვენს დროში პოლისებს მეგაპოლისები შეენაცვლა, მაგრამ, რადგან ეს ჩვენი საამაყო და სხვათათვის ასე მიმ-

ზიდველი აია არც ისეთი მასშტაბისაა, რომ მეგაპოლისი ვუნოდოთ, ვფიქრობ, სწორად მოიქცა პოეტი, უბრალოდ ქალაქად (ინგლ. სიტყ) რომ მოიხსენია, თუმც, მე მგონია, არც მეტაფორული მნიშვნელობა დაუკარგა. ეს ბილინგვური „აია სიტყ“ ქვეტექსტისა და ინტერპრეტაციის მოყვარული ჩემნაირი მკითხველის თვალში, როგორც აღვნიშნე, ქვეყანასაც განასახიერებს.

დავწერე ეს უკანასკნელი ფრაზა და ერთ საჩოთირო მომენტსაც მივადექი. რას ჰქვია ინტერპრეტაციის მოყვარული მკითხველი?! რას ჰქვია, ვისაც რა მოეპრიანება, ის ამოიკითხოს ტექსტში?!. ამ ვითარებიდან თავდასალწევად ისევ განსახილველი ლექსის ავტორს, დათო მალრადქს უნდა დავესესხო და მოვიხმო ციტატა მისი წერილიდან.

„ის, რაც ბესიკ ხარანაულის ახალ წიგნში ამოვიკითხე, არა ვარ დარწმუნებული, რომ ყოველივე აღნიშნულ წიგნში წერია. ზოგი რამ, შესაძლოა, მომეჩვენა ან ჩემში იყო და მეგონა, რომ ახალ წიგნში ამოვიკითხე, ანდა პირიქით...“

ერთი კი ეჭვგარეშეა, რაც ახალ წიგნში ამოვიკითხე, ამ წიგნში თუ არა, ამ წიგნით ამოვიკითხე“.

ანალოგიურია ჩემი დამოკიდებულებაც დათო მალრადქს ლექსის მიმართ. ის, რასაც ახლა ვწერ, ამ ლექსში თუ არა, ამ ლექსით ამოვიკითხე. ასე რომ, დამშვიდებული სინდისით გავაგრძელებ განსჯას და ინტერპრეტაციას ლექსისა „ნემსის ყუნწის ტრიუმფალური თალი“.

●
„მომიკლეს ჩემი აივნის ჩიტი“ – ეს ოთხი სიტყვა ყველაფრის დამტევეია. აქ ჩიტი თავისუფლების სიმბოლოა. მისი ლალი ფრენა-ნავარდი სწორედაც რომ თავისუფლების გამოხატულებაა. ამიტომაც ამბობს პოეტი: **„პოლიტიკოსთა ფრაზები როცა// შეიყრებიან ცაზე ღრუბლებად// მე მეგაფონში// აღვავლენ**

ლოცვას:// – თავისუფლება თავისუფლებას!“ მაგრამ, მთავარია, ვის როგორ ესმის თავისუფლება; ვინ რას გულისხმობს მასში; როგორ ესმის პოეტს და როგორ ესმის იმას, ვინც ტრიბუნაზე დგას და გაჰყვივს: **„გათავისუფლდით თქვენი თავისუფლებიდან! ბრძანებს მძლავრი ტრიბუნა// და ვხედავ ქუჩას// ცოფით დანისლულს, //რომელმაც ჩემგან პირი იბრუნა.“**

ეს უკვე სხვაგვარი მოწოდებაა – უკუღმრთული („ცოფით დანისლული“), რომელმაც ჩვენს თვითმყოფადობაზე უარი უნდა გვათქმევინოს – ნირი და ფერი შეგვაცვლევინოს. ამგვარი ფერისცვალება მიუღებელია. ეს უკვე აღარაა თავისუფლება, მოჩვენებითია, ფორმალურია ოდენ – იცის პოეტმა და ამიტომაც აღავლენს ლოცვას: **„თავისუფლება თავისუფლებას!“**

რუსთველი ბრძანებს: „ჩვენ კაცთა [ღმერთმა] მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“. სწორედ ეს უთვალავი ფერი ქმნის სამყაროსეულ სიმდიდრესა და სილამაზეს, მის მრავალფეროვნებას. ამ ფერადოვნებაზე უარის თქმა არ შეიძლება. ესეც კარგად უწყის „ნემსის ყუნწის ტრიუმფალური თალის“ ავტორმა. ამიტომაც გაისმის **„განწირული ქართული კითხვა:// – ევროკავშირი ახლოა, მისტერ?!“**. აქ „განწირული კითხვა“ პოეტური ლიცენციაა, ოკაზიური ფორმაა, რაც ჩვეულებრივ სიტყვათშეთანხმებაში აბსურდია თითქოს, მაგრამ ამ პოეტურ ტექსტში იგი მრავლისმთქმელია და ჩვენი ქვეყნის რთულ ვითარებაზე მიგვანიშნებს. ეს ისეთივე „განწირული კითხვაა“ ჩვენს დიდ წინაპარს რომ აღარდებდა: „როსლა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ დათო მალრადქს ლექსში ძლიერად გაისმის წინაპართა ხმა, როგორც გალაკტიონი იტყოდა, ძვირფასი ლანდების ხმა: „მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს,// იმ ძვირფას ლანდებს გადაეც თერგო“ („მშობლიური ეფემერა“).

შემთხვევით არ გამხსენებია გალაკტიონი. დათო მალრაძის ერთი სტრიქონი (რომელიც ლექსის ლაიტმოტივი და ძირითადი აზრობრივი შინაარსია) – **„პოეტის ფიქრი დაეძებს ბილიკს“** – გადაძახილია გალაკტიონის იმ ბილიკთან „მშობლიურ ეფემერაში“ რომაა ნახსენები – „ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს, // ზამთარს ბილიკი დაუტანია...“ ეს ის ბილიკია, რომელიც გალაკტიონის სხვა ლექსის მეშვეობით კიდევ უფრო მკაფიოდ იშიფრება – „დაკარგულია გზა მოხევესი. ბნელდება. ღამე. მიეშველენით“ („ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“). იოლი მისახვედრია, რომელ ბილიკს, გზას ან რომელ მოხევეს გულისხმობს გალაკტიონი. რაღა თქმა უნდა, ილიას მოხევეს და მის გზას, რომელიც გამოხატულია ფრაზით: **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“**.

ასე რომ, დათო მალრაძის ლექსში ნახსენები „ბილიკი“, რომელსაც პოეტის ფიქრი დაეძებს, პარალელს გალაკტიონის იმ ბილიკთან პოულობს, რომელიც „ზამთარს დაუტანია“ და რომელშიც უთუოდ და უთუმცაოდ ილიას მოხევეს დაკარგული გზა იგულისხმება. ქართველი პოეტი მოვალეა, გამუდმებით ეძიოს ეს გზა თუ ბილიკი. მაშინაც კი, როცა თითქოს ნაპოვნია იგი, მასზე გამუდმებული სვლა (ნაიკითხეთ: ფიქრი) აუცილებელია, რათა ან თოვლმა არ მინამქროს, ან ბალახმა არ გადაუაროს. ასე ერთდება დათო მალრაძის სტრიქონში ორი დიდი პოეტური ხატება – ილიასი და გალაკტიონისა. ჩვენი თანამედროვე პოეტიც სწორედ მათ კვალდაკვალ ეძიებს იმ გზას, იმ ბილიკს, რომელიც ზამთარმა ვერ უნდა დაიტანოს. ეს მამულის გზაა – **„ჩვეულებისა-ებრ მამულისა სლვაი“** – როგორც იტყოდა „აბოს ნამების“ ავტორი არაბობის ხანაში. იოვანე საბანისძის ამ ფრაზას არაერთგზის ახსენებს დათო მალრაძე ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნერილები კრებულში „სარკმელი“.

●
დათო მალრაძის ლექსის კითხვისას კიდევ ერთხელ გავიაზრე ილიას მოხევეს ფრაზის ორმაგი მნიშვნელობა. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ არ ნიშნავს მარტო დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის გამოცხადებას მთელი თავისი ატრიბუტიკით: დროშით, ჰიმნითა და გერბით ან ქართულ წარმომადგენლობას სხვადასხვა დასავლურ სტრუქტურაში. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, ხომ, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონობას და არა სხვის მოიმედებობას, ჩვენს თავისთავადობას, ტრადიციის ერთგულებას, ღირებულებათა ჩვენეულ შკალასა და კულტურის უწყვეტობას – ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც ჩვენს ნაციონალურ იდენტობას ქმნის.

ორი საუკუნე გამუდმებით მივიღტვოდით დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ, მაგრამ, ასე მგონია, მკაფიოდ არასდროს ჩამოგვიყალიბებია, თუ როგორი თავისუფლება გვინდა ან, უფრო სწორად, რას ვგულისხმობდით თავისუფლებაში. მხოლოდ ერთი მნიშვნელობით გავიგეთ ილიას მოხევეს სიტყვები და, როცა ამ ცალფად გაგებულ კითხვაზე პასუხი, ასე თუ ისე, მივიღეთ, ის აღარ ვკითხეთ საკუთარ თავს, ჩვენ თავად რას წარმოვადგენთ, რისი უკუგდება გვინდა და რისი მოფრთხილება-შენარჩუნება; რა არის დრომოჭმული თუ უარსაყოფი და რა ძველი, მაგრამ ღირებული და ტრადიციული – მე ვიტყოდი, კონსერვატიულიც. სწორედ ამგვარ სიძველე-კონსერვატიულობაზე ბრძანებდა ილია ჭაჭავაძე, როცა მოდას აყოლილ უარმყოფელებს, ე.წ. ლიბერალებს აკრიტიკებდა: „ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გაყვანა მარტო იმით, რომ ახალია... სასაცილოზე მეტია“ („უარმყოფელობა ჩვენში“).

ეს ფიქრებიც დათო მალრადის ლექსმა აღმიძრა. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ ის ერთდროულად არის ლალადი ინდივიდისაც და ერისაც, რომლის ბედიც სადღაც სხვაგან წყდება და რომლის „ფიქრიც გამუდმებით დაეძებს ბილიკს“. ეს არის უმძიმესი და ურთულესი ქმედება, რომლის სირთულეც ამგვარი იდიომით გამოიხატება: „ნემსის ყუნწში გაძვრომა“. ლექსსაც ხომ ასე ჰქვია – „ნემსის ყუნწის ტრიუმფალური თალი“.

როგორმე უნდა გავძვრეთ ნემსის ყუნწში, როგორმე უნდა დავითმინოთ ის, რომ **„გვიგვიანებენ შესვლას ნატომი“**, რომ ზუსტად არ ვიცით და ყველა გამვლელ-გამომვლელს ვეკითხებით: **„ევროკავშირი ახლოა, მისტერ?!“** პასუხი: **„შორსაც რომ იყოს, მომხედე, მიხავ!“** „მიხავ“ აქ ზოგადად ქართველს გულისხმობს, ქართველს, რომელსაც, თუ უნდა, რომ აუხდეს ილიას ლელთ ღუნის ნატვრა, არაფერს არგებს სხვისი მოიმედება, თვითონ უნდა იყოს საკუთარი თავის პატრონიც და მიმხედავიც. ვფიქრობ, ამაზე მიგვანიშნებს ლექსის ავტორი ან ჩემში იყო და, მგონია, რომ დათო მალრადის ლექსში ამოვიკითხე. ერთი კი უდავოა, ამ ლექსმა მიბიძგა დავფიქრებულისავე ჩვენს მარადიულ სანუხარზე – ქართლის ბედზე, კალამიც ამან ამაღებინა ხელში, თუმც მზამზარეული პასუხი, ამ ურთულეს პრობლემაზე, ბუნებრივია, არა მაქვს. მე კი არა, იმ გენიალურ პოეტსაც არა ჰქონია, ვინაც მთელი სისრულითა და პირდაპირობით დასვა ქართლის ბედის საკითხი და პოემაც ასე დაასათაურა – „ბედი ქართლისა“. ლამის ორი საუკუნეა, ნაფიცი მეცნიერნი არკვევენ, თუ ვის მხარესაა „ბედი ქართლისას“ ავტორი – ერეკლე მეფისა თუ სოლომონ ლეონიძისა და ვერ გარკვეულან, რადგან ზუსტ პასუხს არ იძლევა ბარათაშვილი, მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდება და ასე ამთავრებს

პოემას: „დიდი ხანია, გულს ირაკლისას გარდუნევეტია ბედი ქართლისა“.

დროდადრო მომეტებულ აქტუალობას იძენს ხოლმე ქართლის ბედის საკითხი, რასაც პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა უწოდეს ზემოაღნიშნულმა მეცნიერებმა და არც შემცდარან, რადგან სწორედ ორიენტაციის საკითხი დგება ხოლმე დრის წესრიგში. ასეთ ისტორიულ გზაჯვარედინზე ზოგჯერ იმგვარი დასკვნაც იჩენს ხოლმე თავს, როგორც საუკუნის წინათ წარმოთქვა ერთმა, დღეს არცთუ დიდად ცნობილმა და თავისი დროისთვისაც კი უპრეტენზიო მოღვაწემ, ალექსანდრე სარაჯიშვილმა: „ქართველი ისე შეეჩვია მონობას, რომ ბატონის გამოცვლა თავისუფლება ჰგონია“-ო. ფრიად საგულისხმო აზრია, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიძლევა, თუ პოლიტიკურ ორიენტაციას თვითმყოფადობის, საკუთარი ღირსებისა და ტრადიციული ღირებულებების დაცვა-შენარჩუნების მზაობასაც დაუზღვედრებთ და, ამასთან ერთად, არც სიახლეს – თანამედროვე რეალობაში უკეთეს ღირებულებათა არჩევას – დაუზღვობთ კარს. ერთი სიტყვით, თუ ჩვენც IX საუკუნის დიდი სასულიერო მოღვაწისა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცის, გრიგოლ ხანძთელის დარად მოვიქცევით – „რომელი იპოვის სიტყვაი კეთილი, შეინყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის“. ასე რომ, ლექსი „ნემსის ყუნწის ტრიუმფალური თალი“ ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ მონოდებაცაა და შეძახილიც, რომელსაც ძლიერი ემოციური მუხტი და ზემოქმედება აქვს. ამ ლექსიდან ერთდროულად გაისმის ეჭვიც, საკუთარ თავში დაურწმუნებლობის შიშიც (**„ქართველის გულში, ვნაღვლობ, რომ სისტემატური სახე მიიღო შიმში“**), და მონოდებაც ყოველივე ამის გადალახვისა – **„მაინც მომძებნის სხივი გათოშილს, იმ ლამეს მართლა აღმდგარა ქრისტე“**;

„რომ წინაპარმა იპოვოს შვილი, რომ შვილს თავისი წინაპრის სწამდეს“, რათა ამ გაგანია გლობალიზაციის პირობებში არ დაირღვეს დროთა კავშირი და შენარჩუნდეს ჩვენი თვითმყოფადობა. თუ არა ამას, სხვას რას უნდა მოეხიბლა უცხო კაცი, სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი სიტყვები:

– თქვენს ქვეყანაში გადარჩა რალაც, ამიერიდან ვერ დაგეხსნებით, – თქვა რედაქტორმა, როდესაც ნახა იქ, დასავლეთში, ჩემი ლექსები.

ამას სხვა ლექსში ამბობს დათო მახრაძე. „უსადაურო“ – ასე ჰქვია ამ ლექსს.

ახლა მეც უნდა დავიმონწმო ერთი უცხოელი, ცნობილი ბულგარელი კულტუროლოგი გიორგი გაჩევი: „საქართველოში ღირებულებები ზნეობრივ-მხატვრულ მახსოვრობაშია შენახული“ (ნიგნიდან – „მსოფლიოს ნაციონალური სახეები. კავკასია“). ეს ჩვენი საკუთარი ნიშაა, რომლის ფასიც ყველაზე უკეთ პოეტმა იცის და მის ლექსში საგანგებოდ იხსენიება: „პოეტმა იგრძნო აღდგომა მკვდრეთით და **საკუთარი** მოხაზა **ნიშა**“.

ჰოდა, უსმინეთ პოეტს! მის სიტყვას ყოველთვის, ყველა დროში მეტი ძალა აქვს, ვიდრე პოლიტიკოსისას, იმიტომ რომ ის პოლიტიკოსივით შეზღუდული არ არის არც პარტიული, არც დიპლომატიური მარწუხებით ან ისეთი პოპულიზმით, რომლის მიზანი მასის (ლიანგის) მოხიბვლაა. მეტიც, პოეტი ხშირად ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ მიდის და მერმისს ელაპარაკება, რადგან იცის, რომ „სიტყვაკაზმული მწერლობა ერთი უდიდესი ელემენტია ჩვენი ეროვნული ენერჯის გასაძლიერებლად და გასავითარებლად“ (გერონტი ქიქოძე). ამიტომაც ბითური თუ იტყვის მხოლოდ, რომ ყავლი გაუვიდა პოეტის პატრიოტიზმს.

●
დათო მალრაძე ამ ლექსში (ისევე, როგორც მთელ შემოქმედებაში) ხშირად მიმართავს ანჟანბემანს – ფრაზის, სიტყვის ან სიტყვის ნაწილის გადატანას. ეს პოეტური ხერხი დრამატიზმის გაძლიერებას ემსახურება. ნაკლებად შესამჩნევია იგი, თუმც მამინც იწვევს მკითხველის ყურადღების გამახვილებას ტექსტის აზრობრივ შინაარსზე. ასეთ დროს არ ირღვევა ლექსის მეტრული სქემა – მარცვალთა რაოდენობა თუ ინტონაცია. შესაბამისად არ ირღვევა პოეტური ჰარმონიაც; ზოგჯერ კი სიტყვა საგანგებოდ ისეა დატეხილ-გადატანილი (**„თავისუფლებისაგან“**, **„სისტე-მატური“**), რომ წამიერეად გინელდება კიდევ პოეტურობის განცდა, ირღვევა პოეტური ჰარმონია, მაგრამ მალევე ხვდები, რომ ამ კონტექსტს, ამგვარ შინაარსს, სწორედაც რომ ასეთი უხეში გადატანა, ასეთი ანჟანბემანი შეესაბამება, სადაც დეფისსაც კი ფუნქცია აქვს – სემიოტიკური ნიშანია და აზრის რეგულაციის როლს ასრულებს. იმასაც ხვდები, რომ დეფორმირებულ ყოფას, გაუკუღმართებულ აზრს მოწესრიგებული, დავარცხნილ-დაგვირისტებული სტროფი თუ სტრიქონი არ მიესადაგება. ასეთ დროს პოეტური ჰარმონია უნდა დაირღვეს. ამანაც უნდა მოგვგვაროს შესატყვისი ემოცია უარსაყოფი აზრის მიმართ. უარსაყოფის გარდა – სხვა რა ეთქმის გაუკუღმართებულ მოწოდებას – **„გათავისუფლდით თქვენი თავისუფლებისაგან“** ან, როცა ხედავ ქუჩას **„ცოფით დანისლულს“**, რომელმაც პოეტისაგან პირი იბრუნა. ასეთი უკუღმართი ყოფა, ასეთი გამრუდე-

ბული ცნობიერება სწორედ ამგვარი დატეხილ-დანანეერებული სიტყვებით უნდა გამოიხატოს. აქ პოეტური ხერხი მკითხველამდე აზრის უკეთ მიტანაში ეხმარება ავტორს.

მერე კი, როცა პოეტის გულში კვლავ აკიაფდება იმედი და სულში – რწმენა, როცა, როგორც თვითონ ამბობს, **„მაინც მომძებნის სხივი გათოშის“**, როცა **„სტრიქონი, როგორც შადრევნის წვეთი აალორძინებს უდაბნოს ქვიშას“**, ისევ აღსდგება უხეში გადატანებით დარღვეული ბგერათა თუ სიტყვათა ჰარმონია და ლექსის დასასრულს, პოეტთან ერთად, იხსენებ შენი ერის მიერ განვლილ გზას, როგორც ორგანულ ნაწილს საკაცობრიო წარსულისა, ისტორიის იმ დიდი, გარდამტეხი ეტაპისა, იმ ღვთაებრივი მისტერიისა – **„გეთსიმანიის რომ თრთოდა ბალი“**.

ლექსის ფინალური სტროფები მხატვრული უკუფენაა მისი ავტორის გამონათქვამისა: „საქართველო

ისტორიულმა შემთხვევითობამ კი არ მიიყვანა ევროპასთან, არამედ იგი მისთვის ბუნებრივ გარემოს უბრუნდება“ (ნიგნიდან – „სარკმელი“). ყოველივე ეს წარსულისა და აწმყოს გამთლიანების იმედით აღგავსებს, შენც თანაზიარი ხდები პოეტის ეგზალტაციისა და მასთან ერთად ისახავ პირფვარს:

... პირფვარს მაშინაც ვაგნებდი უწინ,
გეთსიმანიის რომ თრთოდა ბალი,
სუნთქავს პოეტი
და ნემსის ყუნწის
ტრიუმფალური იხსნება თალი.

მიუხედავად დრამატული პერიპეტეებისა, საბოლოოდ, ლექსში მაინც მძლავრობს ოპტიმისტური ნაკადი.

ამბობენ, მწერალი იმედის მოციქულიაო, ქართველი მწერალი – მითუმეტეს!“



ნინო დარბაისელი სტრონი

დიდი დანაკარგის მესაკუთრე

რეზო ბეთიაშვილის „გოქსუს“ ინტერპრეტაცია

გოქსუ

სადაც ყვავილები მთავრდებიან
და შენი თითები იწყებიან,
შენი თითებიდან დაწყებული,
ჩემი დაკარგული მინებია.
არ ღირს ობლობაზე ლაპარაკი,
სულით ობლობასაც ნუვინ ტირის,
საკუთარ ძარღვებში დავნანნალებ,
ერთი უცხოელი ტურისტით,
თანაც დაკიდებულს, საცალფეხოს,
ფართოდ ვიღიმები გულისტკივილს.
უკან ურდოები მომყვებიან
და მიტოვებული მეფეები,
როცა ყველაფერი წესრიგშია,
როცა ყოჩივარდებს ეფერები.
სხვებით სხვა მგოსნებმა გაიხარონ,
აღბათ, ჩემს გვირგვინად ეს აკურთხეს:
მთელი უშენობის მფლობელი ვარ,
დიდი დანაკარგის მესაკუთრე.

რას წამოიღებს ადამიანი ამერიკაში
საქართველოდან? განა ისეთი რა გა-
მაჩნდა, აქ რომ გამომდგომოდა?

ბარგში სულ ეს ჩამეტია: დიდი ბიბ-
ლია, სასკოლო „ვეფხისტყაოსანი“, სა-
ბას „სიტყვის კონა“... ბოლოს „სიყვა-
რულის წიგნი“ და ლებანიძის შედგე-

ნილი „შედევრები“ ვატრიალე ხელში,
ვფურცლე და ისევ დავდე.

აღმოვაჩინე ის, რაც თეორიულად
ისედაც ვიცოდი: წიგნი მძიმეა, მაგრამ
პოეზია, ბოლომდე კიდევაც რომ არ
გესმოდეს, არ იცოდე იგი, თუ ერთხელ
გული გაუღე და დაიხსომე, მუდამ თან

დაგდევს, „რაზომცა დაეტარები“.

აი, მაგალითად ეს ლექსი, „გოქსუ“. ადრე, ალბათ, ერთი დეკადის წინ, სადღაც ნავიკითხე. ავტორს, რეზო გეთიაშვილს ფოტოთი ვიცნობ. ასე, ჩემი მომდევნო თაობის პოეტი უნდა იყოს ან უფრო ახალგაზრდა. მინდოდა შეხვედრა და ვერ მოვახერხე.



უცნაური სათაურია, არა, „გოქსუ“?! თითქოს საკუთარი სახელი უნდა იყოს. აღმოსავლურია? არც უღერადობით მაგონებს რომელიმე ნაცნობ ბგერათშეთანხმებას, გარდა ერთი გვარის შეკვეცილი, გაკნინებითებული ფორმისა, თუმცა, მეექვსეა, ქართულ პოეტურ თუ სოციალურ სივრცეში ავტორს ასე, პირდაპირ დაესახელებინა ვინაობა ქალი-ადრესატისა, რომელსაც პოეზიის ენაზე ლამის ღიად ეუბნება, შენი სხეული ადრე მეკუთვნოდა, მაგრამ ახლა დავკარგეო.

დღეს იქნებ უარესებიც ითქმევა ღიად, მაგრამ...

მახსოვს, ოთხმოცდაათიანებში გიორგი ლეონიძის საიუბილეო კრებულის შემდგენელი თამარ ბარბაქაძე როგორ გულწრფელად შენუხდა, როცა „ციცარის“ ანალიზი გადავეცი. მენერა, სათაური „ციცარი“ – ანაგრამაა და მსახიობი თამარ ციციშვილი ჩანს ამ მწარედ სატრფიალო ლექსის ადრესატად-მეტეი.

იქნებ ეს მომენტი არ იყოს საჭირო, დელიკატური ამბავია, ორივე მხარეს შთამომავლები არიან, რომელთათვისაც ამის მოსმენა სასიამოვნო არ იქნებაო.

რა გაენწყობოდა, დავყაბულდი, თუმცა „გამგებთათვის“ მინიშნება მაინც დავტოვე იმ შეკვეცილ აბზაცში.

„გოქსუს“ რაც შეეხება, აქ მხოლოდ ამის თქმა შემიძლია – არსებობს სათაური – გასაღები, რომელიც ხსნის, აღებს ტექსტს. ასევე, არსებობს სათაური-კლიტე, რომლის გასაღები არც

ტექსტში, არც კონტექსტში არ მოიპოვება, ამ სივრცეთა გარეთ, სათავისოდ დაიტოვა ავტორმა.

ქართველ მკითხველს ისლა დარჩენია: ან მიიღოს სიტყვა „გოქსუ“ უცნაურ და უჩვეულო საკუთარ სახელად, ან დაუშვას, რომ იგი განგებ არის ავტორის მიერ იმგვარად კოდირებული, რომ მკითხველის მხრიდან დეკოდირებას არ დაექვემდებაროს.

იმის გათვალისწინებით, რომ პოეტური ხელოვნებისთვის უცხო არ არის მოვლენა, როცა ავტორი ტექსტში მხოლოდ თავისთვის ჰა და ჰა, კიდევ ვიღაც რეალური ერთისთვის გასაგებ, სანუკვარ კოდებს „ინახავს“, მე მეორე ალბათობისკენ ვიხრები.



რაკი „ციცარი“ ვახსენე, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ამ ტიპის სატრფიალო ლექსების და, ზოგადად, ტექსტების ნარატიული... ბოდიში, ნაწერების თხრობითი ჩარჩო-მოდელი ძირითადად ასეთია:

შეყრა-დანყვილება//წყვილის ერთად ყოფნა//ფატალური განშორება//
ვაჟის გზაზე დადგომა-გადაკარგვა.

ამ ორივე ლექსში განშორების გადანყვეტილება ქალის მიღებული ჩანს, ოღონდ ერთია: „ციცარის“ ავტორი ამ გადანყვეტილებამდე მისვლის მიზეზად, ქალის სხვა არჩევანს მიიჩნევს, „გოქსუსი“ კი ამაზე ღიად არაფერს გვაუწყებს. რაც შეეხება გზაზე დადგომას, ლეონიძე თუ ამბობს:

*მე ჩემს გზას გამოვუდგები,
ცხენზე დავაკრავ ნაბადსა.
სათათრეთს გადავვარდები,
დამკვრელად ვივლი თარისა;
ჩოხა წვიმისა მეცმევა
და ყაბალახი მთვარისა...*

ანუ მაქსიმალური ექსტრავერსიის გზას ირჩევს, რომ კონკრეტული ლო-

კალიდან გაღწეულმა, გადაკარგულმა, უცხოობიდან, თარის ხმით, მთვარეს უწვდინოს თავისი ამბავი, რეზო გეთი-აშვილის ლირიკული სუბიექტი კი „გადასაკარგავად“ ინტროვერსიის გზას ირჩევს, თავის თავში ჩატრიალებული, მაგრამ უკვე გაუცხოებული ამბობს:

*საკუთარ ძარღვებში დავწანწალებ
ერთი უცხოელი ტურისტით.*

ძარღვები სისხლის მოძრაობის ადგილია, უფრო ზუსტად, უწყვეტი გზაა სისხლისა, რომელმაც ჩვენ შესახებ იმაზე მეტი იცის, ვიდრე ჩვენ გაგვეგება. თავისთავთან გა-უცხოებულ// გაუცხო-ელ-ებული არსება, რომელიც, ჩანს, მომხდარის მიზეზად საკუთარ თავს მიიჩნევს, საკუთარი სისხლისგან მოელის რაღაც პასუხს, მაგრამ უშედეგო სიარულით ღონემიხდილია.

სიტყვა „სიარული“ სინონიმთა ბუდეში წანწალი, მაგალითად, ხეტილისგან – უმიზნო, უმისამართო სიარულისგან უღონობის ნიშნით განსხვავდება.



ამ პატარა ლირიკულ ლექსს საყურადღებო კომპოზიცია აქვს. ფაქტობრივად, იგი შედგება ორი მცირე, დასრულებული ფრაგმენტის – „ლექსისა“ და მათ შორის გადებული ხიდისაგან.

პირველი „ლექსი“ დასაწყისია:

*სადაც ყვავილები მთავრდებიან
და შენი თითები იწყებიან,
შენი თითებიდან დანწყებული,
ჩემი დაკარგული მინებია.*

მეორე „ლექსი“ უფრო მცირე, დასასრულისაა:

*მთელი უშენობის მფლობელი ვარ,
დიდი დანაკარგის მესაკუთრე.*

ორივე მთგანი, გაჯერებული პოე-

ტური მახვილგონიერებითა და მწარე თვითირონიით (ფსევდო-თვითკმაყოფილება), რომელიც მტკივნულ განცდათა გადმოცემისთვის „არაპოეტური“, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის მოხმობითა და ბოლოში – ოქსიმორონით მიიღწევა, თავისებურად უპირისპირდება „ხიდის“ წრფელ სასონარკვეთილებას. ძნელი საცნობი არ არის „ხიდში“ შეხმიანება ნიკოლოზ ბარათაშვილთან.

*არ ღირს ობლობაზე ლაპარაკი,
სულით ობლობასაც ნუვინ ტირის...*

ეს მოტივი ქართულ პოეზიაში ბარათაშვილის შემოტანილია და რეზო გეთიაშვილი აქ ღიად, სინტაგმათა (სულით ობოლი/ობლობა) დონეზეც აფიქსირებს ალუზიას. გავიხსენოთ „ნუვინ იტყვის ობლობისა ვაებას... საბრალოა მხოლოდ სული ობოლი“.

თანამედროვე პოეტს დიდ წინაპართან დიალოგი მომდევნო საფეხურზე აჰყავს: ოცდამეერთე საუკუნეშიც, ობლობის ტკივილი იგივეა, მაგრამ გამოხატვის, გამოთქმის გზა რაღაცას, ჯერ გაუცვეთელს საჭიროებს, მაგალითად, ასეთს? – საკუთარ ძარღვებში მონანწალე გრძნობდე:

*თანაც დაკიდებულს, საცალფეხოს,
ფართოდ ვიღიმები გულისტკივილს.*

სისულელეა!
გრამატიკული ნონსენსი!

როგორ შეიძლება, ერთპირიანი „ვიღიმები“ ზმნა კიდევ ერთ, ობიექტურ პირს შეინცობდეს (რას? – გულისტკივილს) ან როგორ შეიძლება, გულისტკივილი იყოს დაკიდებული და თანაც საცალფეხო?... მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ საცალფეხო და დაკიდებული – ეს გზის ერთი, სპეციფიკური სახეობის, ბენვის ხიდის განსაზღვრებებია, ძარ-

ღვების გზა კი, რომელზეც არსება და-
წანწალებს საკუთარ არსებაშივე, ყო-
ველ ახალ წრეზე ამ სათუთ, მკერდში
ბენვის ხიდივით „დაკიდებულ“ გზაზე,
გულზე გადის, რომელიც, მართლაც,
სიკვდილ-სიცოცხლის შუა, საცალ-
ფეხო ბენვის ხიდია, წარმოგვიდგება
იმაგინაცია, გულისტკივილის დაფარ-
ვის მცდელი, გარეგნულად „ფართოდ
მოლიმარი“ არსებისა, რომელიც ცდი-
ლობს, გარეგნულად ისე წარმოაჩი-
ნოს, ვითომ „ყველაფერი წესრიგშია“,
თუმცა პოეტური იმაგინაცია ხომ სა-
ხის ამგვარი „გამოშიგვნის“ გარეშეც
მსწრაფლ აღწევს მკითხველამდე და
მსმენელამდე. ეს პოეზიის ენაა, რო-
მელმაც „უჩვენოდაც“ იცის უმოკლესი
გზა ჩვენს არსებამდე, მაგრამ ურდო-
ები და მეფეები რაღად დასდევნებიან
საკუთარ თავში გზაარეულს?

ვინ არის ეს მდედარი?

ოჰ! ეს ქალურ-მკითხველური ცნო-
ბისმოყვარეობა, გასაქანს რომ არ მაძ-
ლევს და მაიძულებს, ძირის-ძირამდე
ვჩხრიკო!

ჯერ „ჩემი დაკარგული მინებიო“,
ბოლოს „ჩემს გვირგვინად ეს აკურ-
თხესო“, ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე,
რომ უნდა გავიხსენოთ სიყვარულის
სოციოლოგიიდან, კერძოდ, ურთიერ-
თობათა მოდელებიდან ერთი – „მე-
ფე-მხევალი“, რომელიც ჩვენი ლექსის
წარმოსახულ სიტუაციაში ქალისთვის
ჩვეული, არაერთგვარადი იყო („მეფე-
ები“), ხოლო კაცისთვის პირველი და
საბედისწერო გამომდგარა? იქნებ მას
წარსულზე ეჭვიანობის საბაბი მიეცა,
რის გამოც დაკარგა ქალი. დანაკარგის
მერეც კი ეჭვის ურდოები და მასავით
ან უკვე ყოფილ თუ მომავალ მეფეებ-
ზე ფიქრი-მდედარი საკუთარ არსებაში
შეხიზნულსაც ველარ მოუშორებია.



პოეტური მეხსიერების საგანძურ-
ში კონვენციური ლექსები ძირითადად

რიტმის მიხედვით არის დაჯგუფებუ-
ლი. მეც, როცა ერთ ლექსს ვიხსენებ
და გულში ვიმეორებ, რაღაც იმაგვა-
რი მჭირს, ლილინისას ერთი მელოდია
სხვა მსგავს მელოდიას რომ გამოიხ-
მობს ხოლმე.

ეს ლექსი, მარცვლიანობის მხრივ,
ათმარცვლედია, მაგრამ ქართულმა
ლექსმა ათმარცვლედის არაერთი სა-
ხეობა იცის.

არსებობს ათმარცვლედის დღემდე
გაბატონებული სახეობა. ახლა თავი-
სუფალი რეფლექსიის ნაცვლად, ლექ-
სმცოდნე კოლეგებს რომ ვესაუბრებოდე,
ვეტყოდი, აქ ქორე-დაქტილურ ათმარ-
ცვლედს ვგულისხმობ-მეთქი (ოთარ ჭი-
ლაძისა და მის მიმდევართა ლექსების
უმრავლესობა) ან „გოქსუზე“ აღვნიშ-
ნავდი, რომ ათმარცვლედის შედარებით
იშვიათი სახეობაა, ქორე-ორი მეორეპე-
ონი ან მარტივად დავუნერდი (2/4/4),
იქნებ წყვილდაქტილ-მეორეპეონურ
და ა.შ. ვარიაციებზე საუბარსაც შევ-
ყოლოდით. დაგვემატებინა, რომ რეზო
გეთიაშვილი ტრადიციას მისდევს, xbx
(ანუ მხოლოდ ლუნი სტრიქონებია გა-
რიითმული), ეს ტექნიკური გამარტივება
კი იმით კომპენსირდება, რომ ლექსის
რიტმულ-ინტონაციური დინამიკა ჰი-
პერდაქტილურ (სამზე მეტ მარცვლიან)
რითმებთან ერთად (ინყებიან/მინებია,
ნუვინ ტირის/ტურისტივით/გულისტკი-
ვილს, ეს აკურთხეს/მესაკუთრე), აქა-იქ
შიდა რითმებსა და ბგერწერულ აქცენ-
ტებსაც ეყრდნობა...

ახლა კი ადამიანურად ვიტყვი, რომ
„გოქსუს“ რიტმულმა ინერციამ მე-
დეა კახიძის ერთი უცნობილესი ლექსი
მოიყოლა:

*იმ ქალს, იმ ბერიკაცს გაუმარჯოს,
ვისი ცხოვრების გზაც შეუუღია,*

....

დიდი შეცდომების პატიება

ვისაც დიდსულოვნად შეუძლია.

არა მხოლოდ საერთო რიტმული დი-

ნება, ამ ორ ლექსს დასაწყისი სარიტმო წყვილის, ია – მღერადი ხმოვანთკომბინაციაც ამსგავსებს (შვეულია/შეუძლია, ინყებიან/მინებია), რაღაც მსგავსი არაერთხელ შემინიშნავს მურმან ლებანიძესთანაც, მაგალითებსაც გავიხსენებდი, მაგრამ შემეყოლიებდა და სათქმელიდან გადახვევა მომინევდა.

●
პოეტური ქმნილებისადმი ანალიტიკური მიდგომისას ერთ-ერთი პირველი საქმე დრო-სივრცულ-სიტუაციური პარამეტრების მონიშვნაა, უამათოდ ინტერპრეტაციაც წარმოუდგენელია: რა ხდება, სად, როდის, ვინ მონაწილეობს, ვინ მეტყველებს და ვინ – მოქმედებს და როგორ და ა.შ.

ცხადია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სახეობრივი პლანი ლექსისა უამკითხვებოდაც აღძრავს მკითხველში ინდივიდუალურ პოეტურ იმაგინაციას, რომელიც შეიძლება არც კი დაემთხვეს სხვა მკითხველებისას და თავად ავტორისას.

ეს ბუნებრივია, რადგან, გარდა კოლექტიური კულტურულ-პოეტური ცნობიერ-ქვეცნობიერისა, გამოცდილებისა და ინტენციისა, ჩვენ ყველას, როგორც მკითხველს, გაგვაჩნია საკუთრივაც, მხოლოდ თითოეული ჩვენგანისთვის ნიშნეული.

ჩემს წარმოსახვაში რეზო გეთიაშვილის ეს ლექსი, მუსიკასთან ერთად, ფერით შემოდის და ეს ფერი მოვარდისფრო-ბაცმენამულია; ეს იმ ყოჩივარდების ფერია, კამერულ სივრცეში, მაგიდის საპირისპირო მხარეს, სოციალური და არა ინტიმური აკომოდაციის არეში, გარეგნულად მშვიდად მჯდომი („ყველაფერი წესრიგშია“), ყოფილი შეყვარებულების შუაში, რაღაც პატარა ჭურჭელში ჩადებული ერთი ციციქნა ყვავილების თაიგულ-ბარიერი რომ „უნდა გამოსცემდეს“.

ყოჩივარდა ადრეული გაზაფხულის

მაცნე ყვავილია, მაგრამ, ახლა იგი, ბარიერად ქცეული, არა ამ ნაწყვილარის, არამედ, ალბათ, ახალი საწყვილეს გაზაფხულის მოახლოებას მოასწავებს.

„ყველაფერი წესრიგშია“, მოგვარდა, დამთავრდა. სიჩუმეა... ამიტომაც არ ღირს, უკვე აღარ ეგების კაცისგან ლაპარაკი. მას სახეზე ფართოდ გაღიმება აწერია – შინაგანი ძალისხმევით ღიმილად გარდაქმნილი გულისტკივილი და ჩვენც ლექსში მხოლოდ მისი შინაგანი მონოლოგი გვესმის.

მას ამ განშორებით, ამიერიდან ნაურთმეველი ქონება ერგო, თანაც ნაწილი კი არა, „მთელი უშენობა“.

ვცადე და ვერც რუსულად, ვერც ინგლისურად ვერ მოვუძებნე რაიმე ერთსიტყვიანი თარგმანი „უშენობას“ – ქართული პოეზიის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონცეპტს, რომლის ძირების ძიებაშიც ალბათ „ვეფხისტყაოსნამდე“ მოგვინევს ჩასვლა.

ქართული პოეტური სულისთვის „უშენობა“ სიყვარულის ამბის ლამის გარდაუვალი გაგრძელებაა, სიყვარულისა, რომელსაც დასასრული არ უწერია.

P.S.

დავასრულე თუ არა ამ წერილზე მუშაობა, ავტორს ხმა ვაწვდინე.

შევიტყვე, რომ ეს ლექსი, რომელიც მე სატრფიალო პოეზიის ნიმუშად მივიჩნიე, სინამდვილეში, ეხება ტაო-კლარჯეთს, იქ მცხოვრებ პატარა ქართველ გოგონას – გოქსუს და ადამიანებს, რომელნიც ტერიტორიებთან ერთად დავკარგეთ.

შევთანხმდით, რომ გამოქვეყნების შემდეგ ტექსტი ავტორს აღარ „ეკუთვნის“, იგი მკითხველისაა.

შესაძლო ინტერპრეტაციათა უსასრულობა კი ნებისმიერ მკითხველს მუდამ აძლევს მარჯვე შესაძლებლობას, თავად დაუკვირდეს ტექსტს და თავისი „გოქსუ“ აღმოაჩინოს.

ჩემი „გოქსუ“ კი ესაა.

ანდრე მორუა



ანდრე მორუა (ფრ. *Émile-Salomon-Wilhelm Herzog*, 1885-1967), ცნობილი ფრანგი მწერალი, რომანიზებული ბიოგრაფიებისა და მოკლე ირონიულ-ფსიქოლოგიური მოთხრობების დიდოსტატი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი ბიოგრაფიული რომანები შელის, ბაირონის, ჟორჟ სანდის, დიუმა-მამის, დიუმა-შვილის, ჰიუგოსა და სხვათა შესახებ. მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ფსიქოლოგიური რომანები „სიყვარულის უკულმართობანი“ (1928), „ოჯახური წრე“ (1932), „მეშუარები“ (გამოიცა 1970 წელს) და „წერილები უცნობ ქალს“ („*Lettres à l'inconnue*“, 1956), სადაც მთელი მშვენიერებით წარმოჩინდა მწერლის ირონიული სტილი. მომავალი დიდი მწერალი ელზასელი შეძლებული გაქრისტიანებული ებრაელის ოჯახში დაიბადა. 12 წლის ემილ ერზოგი რუანის ლიცეუმში შეიყვანეს, ხოლო 16 წლისას ლიცენციატის ხარისხი მიენიჭა. თუმცა, იმის ნაცვლად, რომ ნიჭიერ ყმაწვილს სწავლა გაეგრძელებინა, მამის კუთვნილ მაუდის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო თარჯიმანი და კავშირგაბმულობის ოფიცრია. პირველი რომანი „სიტყვაძეუნნი პოლკოვნიკი ბრამბლი“ („*Les Silences du colonel Bramble*“) 1918 წელს გამოაქვეყნა, ხოლო 1921 წელს გამოვიდა მისი გახმაურებული რომანი „დოქტორ ო'გრედის სჯანი“ (*Discours du docteur O'Grady*). ომის შემდეგ მუშაობდა ჟურნალ კრუა დე-ფიოს რედაქციაში. 1938 წელს 53 წლისა ანდრე მორუა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო საფრანგეთის წინააღმდეგობის წევრი და საფრანგეთის არმიის კაპიტანი. გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, სადაც კანზასის უნივერსიტეტში ასწავლიდა. 1943 წელს ამერიკიდან ალჟირში გადაბარგდა, 1946 წელს კი საფრანგეთში დაბრუნდა.

ანდრე მორუა გარდაიცვალა 1967 წელს, 82 წლის ასაკში. ანდრე მორუას ბიოგრაფიები საკმაოდ კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. „ჭორის“ რომელიმე ლიტერატურული ჟანრისთვის უაპელაციოდ მიკუთვნება სარისკო საქმეა – ეს არის მრავლის მნახველი კაცის მიერ მაღალ მხატვრულ დონეზე, მსუბუქად და გულისტკივილით დაწერილი შეგონება ჭორისა და ავსიტყვაობის ბოროტებაზე.

ჭორი

„პარიზის ყველა სამინისტრო პატარა ქალაქია, საიდანაც ქალები

გაუძევენიათ, მაგრამ ჭორი და ინტრიგა ისეთ გასავალშია, თითქოს აქ ქალთა მთელი ლეგიონები მსახუ-

რობდნენ, – წერდა ბალზაკი თავის „კუზინა ბერტაში“. ამ შენიშვნას დღეს მცირე კომენტარი დასჭირდებოდა – სამინისტროები გატენილია ქალებით, თუმცა ნათლიმამები ენას ნათლიდედებზე ნაკლებ არ აჭარტალებენ.

რაც მართალია, მართალია – დედაკაცებსაც და მამაკაცებსაც გაჩენის დღიდანვე ძალიან უყვართ ერთმანეთზე ქილიკი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ყველას გვინტერესებს ადამიანური ბუნება; ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ბოლომდე ვერ ვენდობით საკუთარ თავს და გვინდა ნებისმიერი ამბავი შევალამაზოთ. ბევრისთვის ჭორი ხსნაა იმ დროს, როცა გულწრფელობა და გულახდილობა სახიფათოა, ხოლო ზოგადი მსჯელობის მწვერვალზე დარჩენა – ძნელი.

ცხადია, ჭორი თითქმის მუდამ უკეთურია. რა თქმა უნდა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მაღლი მოვისხით და მავანი მთელი საღამოს განმავლობაში ვაქეთ – უნდა ვალიაროთ, რომ, კაცობრიობის საბედნიეროდ, ზოგჯერ ასეთი რამეც კი ხდება, – მაგრამ აბსოლუტური სიკეთე ადამიანთა არცთუ ხშირი სტუმარია.

ნებისმიერი ადამიანური ბუნება განქიქების საცერში რომ გავატაროთ, თითქმის ყოველთვის ხელთ შეგვრჩება საკმაოდ უღაზათო ჩენჩო, რომელიც შეიძლება დაცინვის ობიექტად ვაქციოთ. თუ ავსიტყვაობა მისაღების ჩარჩოებშია, ხომ კარგი, ხოლო, თუ დასაშვების ფარგლებს სცდება, კიდე უკეთესი – უფრო სასაცილოა. უსაქმურობის ჟამს გამოგონილ ისტორიებს მსმენელები მცირე კომედიად აღიქვამენ, ხოლო, თუ ამავე დროს ცოტა საინტერესო და სასაცილოცაა, სიმართლის ძიებით თავს არავინ შეინუხებს.

პარიზშიც და პარიზს გარეთაც განუწყვეტლივ ლაყბობენ, ვისზეც გაგისარდებათ და რაზეც გაგისარდებათ. ფრიად სამწუხაროა, მაგრამ თითებზე ჩამოსათვლელია ის ურწმუნოები, გაგონილის დამამტკიცებელ საბუთს რომ მოითხოვენ.

ყველაფერი ეს კარგად დაინახა მოლიერმა. სელიმენას („მიზანტროპიდან“) უნდა, მხიარული გოგონა იყოს,

მაგრამ იცის, არაფერი გამოუვა. და მით უფრო ცდილობს, იოხუნჯოს – საკმარისია, ვილაცის გვარი შეაჩერონ, მაშინვე მის გამასხარავებას იწყებს. თუნდაც ეს „ვილაც“ თვით ალცესტი იყოს, მასზე შეყვარებული კაცი, ვისაც აქამდე კრძალვით და რიდით გარს უვლიდა. სისხლისმწოველთა ბრბო თავისას ითხოვს – „კიდევე, კიდევე!..“ როგორ შეჩერდეს!

დიდი გონიერება გმართებს, რომ ენა გიჭრიდეს და თან ზომიერებამ არ გილაღატოს. ბოროტია თუ არა სელიმენა? – ვფიქრობ, ის ბოროტი არ არის. იგი არ უსაფრდებია და შეგნებულად თავს არ ესხმის მსხვერპლს, არ უნდა, ვინმეს ზიანი მიადგეს. უბრალოდ, უნდა რომ ბრწყინავდეს. მთელი უბედურება ისაა, რომ უნებურად, მაინც ბევრი ვნება მოაქვს.

სიტყვა სრულებითაც არ არის უხიფათო.

თქვენ რომ დაგიჯეროთ, საერთოდ, არ ღირს ლაპარაკიო, იტყვიო. – ღირს, სელიმენა, ღირს, კიდევე ბევრი რამის თქმა შეიძლება. ხომ არსებობს უამრავი და ნაირფერი, ცოტა ზედაპირული ხასიათის ამბავი, რომელიც არავის გაანაწყენებს და სახელს არავის გაუტეხს. ან მსუბუქი იუმორით მოყოლილი ამბავი, რომელიც მხოლოდ გაგკანრავს და მოურჩენელ იარას არ დაგიტოვებს. თუ ასეთი ისტორიის გმირს იუმორის გრძნობა გააჩნია, იგი ცუდად არ გაგიგებს, თუნდაც მისი თანდასწრებით ლაპარაკობდე. სწორედ აქ უნდა იმალებოდეს კეთილგონიერების პირველი წესი – ზურგს უკან არ ილაპარაკოთ ის, რასაც ადრესატს პირში ვერ ეტყვიო. და მეორეც – რასაც უნდა ამბობდეთ, თქვით უბოროტოდ.

როცა საუბარი მიინავლება და საცაა უნდა ჩაქრეს, პირადად რომ არ იცნობთ, იმ ადამიანის ცხოვრება შეიძლება მხსნელად მოგვევლინოთ – ნებისმიერი ჭორი ბრიჯიტ ბარდოსა ან ვინმე

გვირგვინოსანი გვამის შესახებ მუდამ დიდ ინტერესს იწვევს.

დიდი შეცდომაა, ჭორი უვნებლად მივიჩნიოთ. მოლაყბეთა ყბაში ჩავარდნილი ანეკდოტი და ჭორი, საბოლოოდ, ცილისწამებად აგორდება, ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს და აუცილებლად შეინირავს ვილაცის ბედნიერებას. მარია ანტუანეტაც ხომ ჭორებმა იმსხვერპლა – ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

განსაკუთრებით გაფრთხილდით, უნებურად არ გახდეთ უბედურების სათავე იმ ადამიანებისა, ვისაც თქვენთვის არაფერი დაუშავებია. ხშირად ასე მსჯელობენ „რა მოხდა მერე, თუ ჩემი დაქალების წრეში მოვყვები ამ ისტორიას, თუნდაც გამოგონილს, მაგრამ სასაცილოს?“ თუ ასე ფიქრობთ, ესე იგი, ცუდად იცნობთ ადამიანის ბუნებას – ხვალ ის შენი დაქალები თავის გამოსაჩინად შენეულ ამბავს, უფრო ფართო წრეში მოჰყვებიან და თავისი მხრიდან, საკუთარი წარმოების წვრილმანებით შეალამაზებენ. თავიდან ექვსმა იცოდა, მერე – სამოცმა, მერე – ექვსასმა. ბომარშემ შესანიშნავად აღწერა ის პატარა ჭორი, რომელმაც ჯერ საიდანლაც გამოჟონა, მერე იქაურობა დატბორა, ბოლოს გადმოხეთქა და ირგვლივ ყველაფერი წალეკა.

ერთი უნცია სიმართლისა და ერთი ტონა სიცრუის თოფისწამლიანი გუნდა აგორდება, სულ მალე მსხვერპლამდე მიაღწევს და გაანადგურებს. მისი ცოლი და შვილები,

ახლობლები და მეგობრები შეძრული არიან იმ აღმოჩენით, რომელიც სინამდვილეში ცილისწამებაა. და აჰა, უდანაშაულო ადამიანებს ამ ყბედობით სიცოცხლე ეწამლებათ. ამ დროს თითქოს ყველამ იცის, რომ ასეთმა დარტყმამ, შესაძლოა, კაცი მოკლას. ბალზაკი (იგი მუდამ უნდა გვახსოვდეს!) დარწმუნებული იყო, რომ ადამიანს ფიქრიც კლავს. ამ აზრს მედიკოსებიც ეთანხმებიან – სასონარკვეთა მრავალი სნების სათავეა. ოხუნჯ ბიჭუნას კი ჰგონია, რომ იხუმრა – არცთუ მოსწრებულად, მაგრამ მაინც. იგი დამნაშავეა.

მეტყვეით, მე ასე არ მინდოდაო. იქნებ, არც გინდოდათ, მაგრამ თქვენ ეს გააკეთეთ. თქვენ მკვლელი ხართ.

უმნიშვნელო მაგალითებით დავიწყეთ და უდიდეს ტრაგედიაზე მივყვით. ახლა, კანონის ფარგლებს რომ არ სცდება, იმ საუბრებს მივუბრუნდეთ. უპირველეს



ყოვლისა, მოდი, განვსაჯოთ – რაკი ურთიერთობისას უნდა გამოვიყენოთ ნაირგვარი ანექლოტი, რატომ არ უნდა მოვძებნოთ იგი იქ, სადაც არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლია? მინდოდა მეთქვა, წარსულში-მეთქი.

ძველ ანექლოტებს არ შეუძლია, ავნოს ვინმეს და მეტი შანსი აქვს, სიმართლეს ჰგავდეს. მათი შემონახვაც შეიძლება, რადგან არსებობს მინერმონერა, დოკუმენტები, მემუარები. სენ-სიმონზე მეტი სრულყოფისათვის ამ საქმეში არავის მიუღწევია. ნაიკითხეთ მისი ნაწერები. იგი უკეთ იცნობდა გამოჩენილ ადამიანებს, ვიდრე თქვენი მეზობლის ქალი იცნობს პოლანდიის პრინცესას და თქვენი პარიკმახერი – სოფი ლორენს. ბოლოს და ბოლოს, ხალხმა, ვისზეც სენ-სიმონი ჰყვებოდა, დიდი ხანია მოჭამა წუთისოფელი. და თუ ავენაობდა (ასეც ხდებოდა!), იმდენი სიფრთხილე კი გამოიჩინა, რომ საკუთარი ჩანაწერები სიცოცხლეშივე არ გამოაქვეყნა.

გინდათ გაიგოთ, როგორ ცხოვრობს ფრანსუაზა არდი? – გეფიცებით, მადამუაზელ მარსისა და რაშელის ცხოვრება გაცილებით საინტერესო და ხელმისაწვდომია. მე და ჩემი მეუღლე ორმოცწელზე მეტია უფრო მეცხრამეტე საუკუნეში ვცხოვრობთ, ვიდრე მეოცეში. გაუთავებლად ვჭორიკნობთ ჰიუგოსა და ვინის, ჟორჟ სანდისა და ალფრედ

დე მიუსეს, ბალზაკისა და გრაფინია აბრანტესის შესახებ.

სარგებლობაც ორმაგია – მეგობრებსაც ვინარჩუნებთ და არც ვინმეს გულსა ვტკენთ. იქნებ, მითხრათ, ერთ მშვენიერ დღეს ჭორაობას შენზეც დაიწყებენო. მე თავმდაბალი კაცი ვარ და ამას ვერ დავიჯერებ. და თუ მაინც ასე მოხდა, იმ შორეულ მომავალში ნათქვამი ვერ შეძრავს ჩემს გაცივებულ ძვლებს. თუ მართალი თქვეს, მე რომ პატივს ვცემდი, იმ ხალხს ნამდვილად მოეწონება; ტყუილს იტყვიან და – ესეც არაფერი! მუდამ მოიძებნება პატიოსანი კაცი, ვინც ამას არ დაიჯერებს.

დავუბრუნდეთ ჭორებს ცოცხლებზე. ყველაზე მეტად ერთი რამ მოცებს – რატომ ყოფს ჭორი ადამიანებს შავებად და თეთრებად. ის ვიღაც კაცი ურჩხულია, ის ვიღაც ქალი – გამოუსწორებელი ლოთი. შეხედეთ ხალხს, წუთუ ყველაფერი ასე უბრალოდაა?!

რაც უფრო ნიჭიერია მხატვარი, მით უფრო მეტი ჩრდილი შემოაქვს. ნიუანსების გარჩევა, ანუ ნაკლთან ერთად ღირსების დანახვაც უნდა შეძლოთ. თუ ხასიათს დიდი გულმოდგინებით დახატავთ, ამით თქვენი გონებამახვილობა არაფერს წააგებს. სხვა ადამიანებს საკუთარი თავივით რომ ვიცნობდეთ, მაშინ მათი შეცოდებანი ჩვენში მხოლოდ თანაგრძნობას გამოიწვევდა.

ახლა კი განაგრძეთ ჭორაობა...

ლელა ლაგაზიძე



ღამე

მესმოდა, როგორ კვდებოდა ღამე –
გათიბულ მინდვრებში ჩაჩოქილი;
მთვარის ნათელში
ქრებოდა წყვდიადის მოსასხამი –
ყვავილების მტვრით დალაქული;
გაჩუმდნენ ქრიჭინები,
ძირს დახარეს ბალახის ჩანგი;
თრთოდა ღამის თბილი სხეული –
რიყრაყით დაფლეთილი;
მდინარეს მიჰქონდა შეკვეცილი თმები,
კვნესოდნენ ხეები მგლოვიარე ქალწულებივით
ღამის შავ კვართს ინანილებდნენ;
ნიავმა წაიღო შორი მთებისკენ
მომაკვდავი ღამის ჩურჩული...
მერე რძისფერი ალიონი ჩადგა
დღის შუქად ცრემლიან ნატერფალში.

სანთელი

შევთხოვე სანთელს,
ილოცე ღვთისთვის
და... ის მზედ იქცა.

ალუბალი

ჩუმი ამბორით გადაუხსნია
მთვარის შუქს შენი სათუთი კვირტი...

ყვავილით დანისლულ რტოებში
ისე მღერის ჩიტი, ასე მგონია,
ჰანგად დაღვრილი შენი სული
უგალობს რიჟრაჟს, ალუბალო.

თეთრო ნათელო

თეთრო ნათელო, ცას მონყვეტილო,
დამიბრუნე გამქრალი მოლოდინი.
მშობლიურ სახლში
ყველაფერი ძველებურადაა:
ნაცნობი სურნელი
თაფლის სანთლისა,
მოხარატებული განჯინა,
ბუხართან კატა, ნატიფი, ფუქსავატი.
ალმოდებული რცხილის ნათება
ქარით და წვიმით
დარწეული ტყის ფიქრებს ჰყვება.
სარკმლის მიღმა კი, ბარდნის და ბარდნის,
თითქოს ცის უთეთრეს ოცნებაში
იძირება ჩემი ბავშვობა.

ზაქე

ირხეოდნენ მწიფე ნაყოფით
დამძიმებული ზეთისხილის ბალები.
მზის ნათელივით შედიოდი იერიქონში.
ქუჩებს აწყდებოდა ხალხის სიმრავლე,
შენი ხილვით გაოცებული.
იხმე მებაჟე ზაქე –
მასთან პურობა ინებე.
გემთხვია სამოსზე,
შემოგლალადა: უფალო, შემინდე,
ლარიბ-ლატაკთ დავურიგებ ჩემს სიმდიდრეს,
ოთხმაგად გავცემ, თუ ვინმესთვის ნამირთმევი.
...შორს, ცის სიღრმეში, ირაოს კრავდნენ მტრედები...
გლოცავდა ცოდვილი:
„ტკბილი ხარ, შენ იესო,
სინანულის კარის გამღები“.

მოლოდინი

მოლოდინით ჩურჩულებდნენ
გაზაფხულის დღეები.
თვეები თვეებს ცვლიდნენ ამბორით.
შენს სიყვარულს ჰგავდა

ვარდზე დაცემული ნამის ფიქრი...
ხსოვნას მიმდაფრებდა ქარი,
ფოთოლთა შრიალით,
გადამფრენი ჩიტების
ნაღვლიანი ხმებით მოსაუბრე...
შენ თოვლიანი გარიჟრაჟისას მოხვედი,
როგორც მონატრების ფერდაურქმეველი სხივი.

სახსოვარი

გქონდეს სახსოვრად ქარიანი დღე
ფოთოლთა მძივით.
მინანქარი მონატრებისა,
ჩემი ოთახის მენამული ნათურის შუქი
და მოელვარე, ჩაის ორთქლით დაბინდული
ფერი ლამბაქის.
ხმის ჩუმი თრთოლა,
თვალეების სევდა, დაჭრილი ირმის
სიყვარული,
ცოდვის შიშით არგამხელილი.

ღამის ყვავილი

იცვი, რას ჩურჩულებს ღამის ყვავილი?
...მტერმა დაარბია სოფელი,
დაიჭრა ჩემი სატრფო,
მდევრად წამოსული.
საყვარელ თვალებთან ერთად
ელდამ დამინისლა თმა.
ჰარამხანის ჩადრმა
დამიჩრდილა ღანვი.
სამშობლოს მონატრულს
მეფინა სულზე ცრემლის სარტყელი.
ახლა, ყვავილად ქცეული,
მარტოობის ბაღში ვყვავილობ.
მოფრინავენ ციციანათელები,
ენაფებიან ჩემს მათრობელა ნექტარს,
ფოთლებზე დაფრქვეულ ცის ნამს.

სევდა

ზამთრისპირა საღამოებში,
როცა ფერთა ცისარტყელებს
ემშვიდობება დედამინა,
მოდის მოჩვეული სევდა.
აყვავილებს წარმავლობის მივინყებულ ფიქრს.

თითქოს ცრემლის მძივია
ჩემი მკერდის სამკაული.
შესაძლოა, ეს დამჭკნარი ბალახის,
ყვავილის გამქრალი მშვენებების,
სამხრეთის გზაზე ჩამოვარდნილი
ჩიტის ჩრდილია,
ბინდისფერ სიჩუმეში ჩემს
სარკმელთან
ფეხაკრეფით მოპარული...

მოგონებები

ბავშვობის სამოთხე იყო
კაკლებით დაჩრდილული უბანი.
ტკბილი, მოფუსფუსე ბებიები,
ჭირთამთმენი გვარის კაცები.
ურჩი პოეტის ძველებური
ფიცრული სახლი
დარდად ქცეული მოხუცი დედით
...უზრუნველობა
მშობლების ფრთისქვეშ შეყუჟული
მეოცნების,
საძინებელში მოცურავე ცაცხვის,
მთვარის შუქში ჩაძირული
ვაშლის ვარდისფერი ბალის
საკმეველი.
ფორიაქი წიგნით გახსნილი სულის
სანახების...
წავიდნენ ის ადამიანები,
გაქრა დროც.
დარჩნენ მოგონებები,
ჩამავალი მზის მიღეული
ნათელივით
რომ დაჰყვებიან ჩემს სიცოცხლეს...

სიყრმის ღობილი

ვიგონებ ძველ სახლს, კრამიტით
ნახურს,
ბალახების და მწიფე ხილის გუნ
დრუკით საესეს,
ჩიტებმოქარგულ ფარდაგებზე,
პიტნის, ძახველის, გვირილის
კონებს.
სახლის ქალები ყვავილებისგან
ამზადებდნენ

სევდის ნამალს, ტკივილის სალბუნს.
დასეირნობდა ოთახებში კატა ზარმაცად,
სარკმელთან ახლოს იშენებდნენ მერცხლები ბუდეს.
სულს ემსხვრეოდა გალაკტიონის სტრიქონები
ბროლის წკრიალა ზანზალაკებად.
...ახლა იქ უკვე არავინ ცხოვრობს,
სახლი კი – ჩუმი, წელში მოხრილი,
ადამიანთა გამოუცნობ იღბალზე ფიქრობს.

ცრემლები

სიტყვებისთვის გაუმხელებელი გრძნობებია ცრემლები,
სულის ყვავილებიდან დაღვრილი.
მენვეთებიან ღანვებზე ფიქრები.
თითქოს მშვენიერი სულები ცეკვავენ,
ისე ფარფატებენ სარკმელზე ჩრდილები...
ღამე კი ჩურჩულებს, როგორ ამოინვერა
მინის გულიდან ენძელა,
ანთია თოვლზე, ვარდისფერი ნათელი,
დაუძლეველი ბინდის მძლეველი.

ლერწამი

მოყვავილე ლერწამი ვარ,
ვხარობ მთის ძირას,
სადაც ღმერთია მიჯაჭვული.
მარხევს დრო
მზის მიმოქცევით,
მთვარის მიღევით და ავსებით
უცვლელი ჩემს სულში
სილამაზის სიყვარულია.
მაკრთობს ვარსკვლავების
შუქით შერხეული ღამის შეხება,
ცვარის მოცახცახე ყელსაბამი.
ჩემი რტოებისგან სალამურს თლიან.
გულში მოგალობე მშვენიერება
ჯადოსნური ბგერებით ეხმიანება სამყაროს სულს.



ნათია როსტიაშვილი

სუნთქვის უმგროვებელი

ჩემს სამსახურად წოდებულ აქოთებულ ოთახში ვზივარ და ვფიქრობ – მეყოფა თუ არა გამბედაობა, ადამიანს, რომელსაც სულ სამი დღეა ვიცნობ, მაგრამ უკვე საკუთარი ბეზიასავით მიყვარს, ჩემი უცნაური უნარის შესახებ მოვუყვებ. იქნებ, ამ საიდუმლოს ამოთქმამ ცოტა ადგილი მაინც გამომითავისუფლოს ამბებით ჩახერგილ ფილტვებში. იქნებ, ამ ჩამძიმებულ გულსაც რაღაც მოაკლოს, შეამსუბუქოს.

დალი ბებოს ჰაერის არომატიზატორი უჭირავს და ოთახში დაფაჩუნობს, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე, „ჰაერს აკეთილშობილებს“. იცის, ამ ოთახის სუნს ჭკუიდან გადავყავარ და სადაც ვზივარ, იქ განსაკუთრებული მონდომებით ახრჩოლებს თუ აშხეფებს.

ფანჯრისკენ ვტრიალდები. საცრემლე სადინარში გაჩხერილ წვეთს უხილავი ძაფით შიგნითკენ ვექაჩები, ვისრუტავ. არ მინდა, დალი ბებომ აცრემლებული მნახოს.

– ნენსი, შვილო, – მეუბნება. – ასე ძალიან ნუ განიცდი.

მართალია, მისკენ ზურგით ვზივარ,

მაგრამ დალი ბებოს ზურგიდანაც შეუძლია, თვალებში ჩამხედოს.

– თუ გკითხავენ, სად მუშაობო, შენც ადექი და ინგლისურად უთხარი ხოლმე. ყველამ კი არ იცის ინგლისური, შვილო. ზოგი ვერც მიხვდება, რა სამსახურია!

ასეთ გულუბრყვილო, გულწრფელ დამშვიდებას, ცრემლის საქაჩი ძაფები რაა, ჯებირების შემაკავებელი ჯაჭვების აწყვეტაც შეუძლია. ჰოდა, აინყვიტა. წამოვიდა და წამოვიდა. წამოიღო შლამი და ლექი, ჩამოიცალა.

მართალია, ჩემს ამ მდგომარეობას უკვე ვერანაირი მსუბუქი თვითირონია ველარ უშველიდა, მაგრამ მაინც ვცადა – წარმოვიდგინე, კითხვაზე: „სად მუშაობო, გოგონი?“ ცხვირანეული ვპასუხობ: „სექენდ ჰენდში“ და ინგლისურის არმცოდნე კითხვის დამსმელი შურით სკდება.

მოვალე პირი და ხმით ავტირდი.

– დამშვიდდი, შვილო. გუშინაც სულ ტყუილად თქვი, თავი უსარგებლო მგონიაო. გამოგიჩნდება რამე უკეთესი სამსახური. შენ რომ იყავი, იმ სამი გასა-

უბრებიდან ერთგან მაინც როგორ არ მიგიღებენ?!. აბა, სულ ჩემნაირი ბებრუხანა თანამშრომელი კი არ გეყოლება, სულ ასე გამოყრუებულ ოთახში კი არ იჯდები! მთელი ცხოვრება წინა გაქვს, უმაღლესდამთავრებული, ლამაზი გოგო ხარ, ყველაფერი გამოგივა შენ!

რალა გამაჩუმებდა. წლობით ჩაკირული ემოციები ამიდულდა შიგნეულში და ამოხეთქა. ამოხეთქა და ამოიყოლა იმ ჩემი უცნაური ნიჭისა თუ წყევლის საიდუმლოც. ვუთხარი, რომ, სინამდვილეში, ერთადერთი საქმე, რომელიც გამომდის – სუნთქვის ნაკითხვაა.

დედის სუნთქვის გაზიფერის ამბავი

მოვუყევი, როგორ შეწვა იმ საბედისწერო დილით დედამ კატლეტი. ჯერ მე მაჭამა, მერე თვითონ გადაიღო. ერთხელ ჩაკბინა და თეფშზე დადო. მეტი არ ვაცალე, ბუშტი შევაჩერე გასაბერად.

– ნენსი, აცალე დედას საუზმობა! – მითხრა ბებიაჩემმა.

– არა უშავს, ამას, რომ დავბრუნდები, მერე დავასრულებ. დღეს ხომ შაბათია, ადრე ვამთავრებ. სამსახურიდან გადავირბენ, ფეხსაცმელს დავტოვებ ქუსლის გამოსაცვლელად და წამოვალ, – უთხრა დედაჩემმა დედამისს, ხელები ხელსახოცზე შეინმინდა და ბუშტი გამიბერა.

იმ დღეს დედა სამსახურიდან არ დაბრუნებულა. მის ნაცვლად გაფითრებულსახიანი ნათესავი ქალი მოვიდა და ბებოსთან ერთად ოთახში შეიკეტა. მოგვიანებით იმ გაფითრებულმა და უკვე თვალეზამონთლებულმა ქალმა რამდენიმე დღით თავისთან წამიყვანა. შეკითხვის დასმა ვერ გავბედე, თვითონაც არაფერი უთქვამს. ერთხელ, ვახშმობისას, მისმა ქმარმა სიტყვა „ავარია“ ახსენა და ამან თვალეზამონთლებული დაუბრიალა. ეგ იყო და ეგ.

სახლში რომ მოვყავდი, გული მისკდებოდა, ვაითუ, დედა აღარ დამხვედროდა, მაგრამ ზღურბლს გადავაბიჯეთ თუ არა, დედაჩემის გალიმებული სახე დავინახე. ლამის გული ამომვარდა მონატრებისგან. ასე თვალანთებული და გალიმებული მიყურებდა კარგა ხანს დედაჩემი, დღეები ისე გადიოდა, თვალს არ მაცილებდა. ზოგჯერ მზერა დაებინდებოდა ხოლმე და ვხვდებოდი – მინაა გასანმენდი. გავძახებდი ბებოს, მოიტანდა ისიც ძველი პირსახოცის ნაგლეჯს, ტირილ-ტირილით დააორთქლავდა მინას, გააპრიალებდა. გადაუსვამდა შავ ჩარჩოსაც და ფოტოდან ისევ ძველებურად თვალეზამონთლებული დედა მილიმოდა.

რა თქმა უნდა, ასე მარტივად ვერ გადავიტანდი დედის აღარყოფნას, რომ არა ის ამბავი, თავდაყირა რომ ამომიტრიალა რეალობა.

სახლში მობრუნების საღამოსვე თვალში მომხვდა საწოლსა და კედელს შორის დედაჩემის გაბერილი ბუშტი. წამებში გაიდლაბნა მთელი ოთახი, მთელი სამყარო. მკვეთრად და გარკვევით მხოლოდ ბუშტს ვხედავდი. უბრალოდ „ბუშტი“ არც ეთქმოდა – ეს ხომ ყველაზე დიდი ხილული სასწაული იყო დედამინაზე! დედა აღარ მყავდა, მაგრამ მისი სუნთქვა ძველებურად ცოცხლობდა. აქვე იყო, ჩემს საწოლთან. ნამდვილი, ნამდვილი, ცოცხალი! ღმერთო, გმადლობ და ბოდიში, რომ, რაც დედა გამიქრე, აღარ მწამდი.

კარგა ხანს მიკარება ვერ გავბედე. მერე ძალა მოვიკრიბე და მივედი. ავიღე, მჭიდროდ მოკრული პირი იმხელაზე შევუხსენი, ცხვირის წვერი რომ ჩამტეოდა. ფრთხილად შევისუნთქე დედაჩემის ფილტვებამოვლილი ჰაერი. ვიგრძენი, როგორ ამომეცხო ნესტოები მაცოცხლებელი ჰაერით, როგორ გადავიდაცხვირ-ხახაში, ხორხში, სასულეში, ბრონქებში... როგორ ტოვებდა თბილ კვალს ჩემი სასუნთქი სისტემის გზებ-

ზე. ფილტვებიც რომ ბოლომდე ჩამითბა, სუნთქვა შევიკარი. თან ბუშტს მჭიდროდ მოვუკარი პირი, მომავალი სალამოებისთვის გამოვიზოგე. შავი რეალობიდან ფერად სიზმარში გადასვლას ჰგავდა ეს ყველაფერი. ყველა ტკივილი დამიამდა, ავმჩატდი. ალბათ, ყველაზე ძლიერმოქმედ ნარკოტიკსაც არ ექნება ასეთი ძლიერი ზემოქმედება. სხვანაირი, რეალურობას გაცდენილი ბედნიერება იყო: დედა, რომლისგანაც ცხრა ცა, ცხრა მინა, ცხრა ზღვა და ცხრა განზომილება მაშორებდა, ასე იოლად „დავიბრუნე“ – ერთი შესუნთქვით.

ერთი ულუფა დედის ნასუნთქი ჰაერის მიღება ყოველ სალამოს, ძილის წინ, სავალდებულო და სასიამოვნო რიტუალად მექცა. მერე და მერე ამ სუნთქვისგან მხოლოდ სიამოვნების მიღება კი არა, მისი ნაკითხვაც ვისწავლე. უკვე ვიცოდი, ადამიანი ამბების, ემოციის, შეგრძნებების გადამმუშავებელი მანქანაა, რასაც შეისუნთქავს, იმავეს ამოისუნთქავს, ოღონდ უხილავ ასო-ნიშნებად დაშიფრულს. ეს შიფრები სასუნთქ გზებზე გემოს ტოვებენ. ამ გემოს ნაკითხვა კი ამქვეყნად ყველაზე აზარტული საქმიანობაა. ერთხელაც დედაჩემის სუნთქვას დამწვრის გემო ჩავატანე. ასეთი გემო მხოლოდ იმედგაცრუებას შეიძლებოდა ჰქონოდა. მივხვდი, რომ დედის გაცნობას ახლა ვინყებდი...

შემდეგ სალამოს ჩასუნთქული ჰაერის ყლუპი ნოტიო იყო და მწკლარტე გემო დაჰკრავდა – თითქოს ნესტიან კედელზე მოდებული ობის თხელი ფენისთვის ენის წვერი ამესვას. ეს გემოც სულ იოლად გავშიფრე – მარტოობა. ღმერთო, რა დიდი სისულელე იყო, დედას რომ იმის გამო იცოდებდნენ, ჩაკბეჩილი კატლეტი დარჩა თეფშზეო, ხელოსანთან „შიბლეტები“ დატოვა ქუსლის შესაცვლელად და ველარ ჩაიცვაო... როგორ ვერავინ გაიცნო დედა, როგორ არასწორად შეიცოდეს! ვიგრძენი, ფილტვებში შეკავებულ თბილ ჰაერს როგორ შეერია სიმლაშე. ესეც

მარტოობისა იყო, ოღონდ უკვე – ჩემი მარტოობის. ყველა მარტოობა არაა ერთნაირი. დედაჩემის მარტოობა მწკლარტე იყო, ჩემი მარტოობა მლაშეა. ობი და ცრემლი სხვადასხვა რამეა...

შეკავებულ სუნთქვას შეკავებული ცრემლი რომ შევუნყვილე, კინალამ დავიხრჩე. პირველად მაშინ გავიფიქრე, რომ ერთი ბუშტი ყოველთვის გაბერილი, გამზადებული უნდა გქონდეს ადამიანს, რა იცი, როდის დაგახრჩობს შეკავებული ცრემლი, სუნთქვა, დარდი ან სიყვარული. ხომ უნდა დატოვო შენი უთქმელი, არმოყოლილი ამბები სააქაოს?

ასე გრძელდებოდა ყოველ ღამ, სანამ ბუშტიდან ბოლო ულუფა ჰაერიც ჩემს ფილტვებში არ გადაიხაპა. უცნაურად შეიკრა წრე. თუკი დაბადებამდე დედაჩემის მუცელში ვცხოვრობდი, სიკვდილის შემდეგ დედაჩემი ჩემს ფილტვებში განაგრძობდა არსებობას. მე და დედა ერთმანეთში ვიყავით. აღდგა ჩვენი ძილისწინა საუბრებიც. უბრალოდ, ადრე თუ ძილის წინ ზღაპრებს მიყვებოდა ხმადაბლა, ახლა იმ არარსებულ პერსონაჟების ნაცვლად, საკუთარ თავზე, თავის რეალურ განცდებზე მიაბობდა უხმოდ. ეს იყო ყველაზე გულწრფელი საუბარი დედა-შვილს შორის. მე უკვე კარგად ვიცნობდი დედას.

იმ სალამოდან ჩემი ყველაზე კომმარული სიზმარი ასეთი იყო: იატაკი სავსეა თავდაყირა ამოტრიალებული ქინძისთავებით. ბუშტი საიდანღაც მოფრინავს, იატაკზე ეცემა და მე გულამოვარდნილს მეღვიძება.



დალი ბებოსთან ჩემი საიდუმლოს ამოთქმიდან ორ დღეში გასაუბრების პასუხზე დამირეკეს – შეგიძლიათ ხვალიდანვე შეუდგეთ მუშაობასო. იმ სამი სავარაუდო სამსახურიდან ეს ყველაზე ნაკლებად მინდოდა, მაგრამ რას დავეძებ. იმ აქოთებულ ოთახში ჯდომავი ბევრად უკეთესია!

ახალ სამსახურში გულაფანცქალე-ბული წავედი. თან ვფიქრობ, აწი, როცა მკითხავენ, სად ვმუშაობ, მხოლოდ და მხოლოდ ქართულად ვუპასუხებ – სწრაფი კვების ობიექტში-მეთქი, თორემ ეს „ფასთ ფუდი“ რალაცით „სექენდ ჰენდს“ მაგონებს.

სალამოს მთელი დღე დგომისგან ფეხებდასივებული დავბრუნდი. სახლის კართან ჩემს უმძიმეს ჩანთაში ხელი ჩავყავი და მთელი დუჟინი გასაღების ასხმულა ამოვარჩხარუნე. აქედან ერთი სახლისაა, დანარჩენი ჯართია. დილით „ბოლტ-გაიკის“ ყუთიდან ამოვკრიფე და ავასხი. რგოლზე მოკონწიალე კინკილა გასაღები რალაცნაირად სევდიანი სანახავი იყო, განწყობას მიფუჭებდა. თითქოს ყველას გასაგონად მოსთქვამდა: „ხალხო, შემომხედეთ, როგორი საბრალო ვარ, ჩემს პატრონს, დალი ბებოს გარდა, ხმის გამცემი არავინ ჰყავს!“

ვიდექი დალილი და ბედნიერი, გასაღებს საკეტს ვარგებდი და ვფიქრობდი: აი, როგორი ყოფილა შეგრძნება, რომ ცოცხალი ხარ, რომ რალაც სარგებლობის მოტანა შენც შეგიძლია.

ახალ სამსახურში მაჯაზე ბევრზანზალაკიანი სამაჯურები მიკეთია ხოლმე. ხელს მალლა ისე ვწვევ, რომ რაც შეიძლება ხმამალლა გაჟღარუნდეს. გასაღების ასხმისა არ იყოს, ავიკვიატე. ავწვე ხელს და ხმამალლა ვამბობ: „თავისუფალი ვარ!“ მოდიან კლიენტები. ვანვდი სხვადასხვანაირ ნაყინს: შოკოლადისას, ვანილისას ან კარამელისას, ვის როგორ... და ვუღიმი – ყველას ერთნაირად.

ზოგჯერ ვფანტაზიორობ, რომ „თავისუფალი ვარ“ ჩემი ოჯახური სტატუსია და ყველა ბიჭს, რომელიც ამ ფრაზის გაგონების შემდეგ ჩემკენ მოიწვევს, შეკვეთის მოცემა კი არა, ჩემი „დათრევა“ უნდა. მხიარული თამაშია.

– აი, თქვენი ჰამბურგერი, – შევციცინებ, მერე იმასაც ჩავეკითხები, კოკა-კოლაც ხომ არ სურს? – აჰ, არა?

იქნებ, სპრაიტი? კი ბატონო, ინებეთ თქვენი სპრაიტი.

შანსს არ ვუშვებ, ადამიანებს არ ველაპარაკო. მერე რა, რომ მხოლოდ მენიუზე. მთავარია, ნორმალური ადამიანით ცხოვრებას ვთამაშობ, როლში ვიჭრები.

მუშაობიდან ორიოდე კვირის შემდეგ ვიგრძენი, რომ აქაც ერთ ადგილს ვტკეპნიდი. რალაც ახალი მჭირდებოდა. ამბები, შეგრძნებები. ვიცოდი, როგორც უნდა გამომეხმო. მე ხომ ჩემი პირადი ბედნიერების ფორმულას მივაგენი: თუკი ჩემში ჩალექილი სხვების სუნთქვის შლამს მარცვალ-მარცვალ, სიტყვა-სიტყვა ამოვზიდავ, ამით ადგილს გამოვათავისუფლებ კარგი ამბებისთვის. დალი ბებოსთვის გულის გადაშლის მერე აშკარად ვიგრძენი, როგორ ამომევესო გამოცარიელებული ადგილი ენდორფინებით. ბედისწერაც პოზიტივზე მოიმართა. ამიტომაც გამოჩნდა იმაზე ცოტათი უკეთესი სამსახური, ვიდრე მქონდა.

ეს ნიშნავს, რამდენის სუნთქვის ამბავსაც თან დავატარებ ჩამძიმებულს, ყველას „გადახურდავება“ შემიძლია პოზიტივზე! ერთი ეგაა, დალი ბებოა ცოდო ამდენის საზიდავად. თითო ამბისთვის თითო მსმენელი მჭირდება. ეგეც დილემა. მართალია, ამბავი ცოტა მაქვს, მაგრამ არც პოტენციური მსმენელი მყავს ბევრი.

სამსახურის მერე იქვე, სკვერში, სკამზე მთვლემარე ლოთს გადავანყედი. სკამის მეორე ბოლოში ჩამოვჯექი და ვუთხარი:

– რალაც უნდა მოგიყვეთ... აუცილებლად... მსმენელი მჭირდება...

კაცს, ეტყობა, ნანასავით ჩაესმა ჩემი ხმა, ძილ-ბურანში ტკბილად გაელიმა. ვყვებოდი, არ ვჩერდებოდი; ვციდილობდი, ყველა დეტალი ზუსტად გამეხსენებინა. ნამცეციც არ უნდა ჩამრჩენოდა ამ ამბიდან.

სიმპოს სუნთქვის გაზიფერის ამბავი

დედაჩემის შემდეგ სხვისი სუნთქვის შესუნთქვა არ იყო იოლი. თითქოს მართლა ჩემს ფილტვებში ცხოვრობდა და მასთან მდგმურის შესახლებისა მერიდებოდა.

არადა, უკვე სტუდენტი ვიყავი და ადამიანების გაცნობა-გამოცნობის სხვა მეთოდი არ ვიცოდი. არ ვიცოდი, არ გამომდიოდა. თითქოს პარალელურ რეალობაში ვცხოვრობდი. თითქოს ჩემი ცხოვრებით კი არ ვცხოვრობდი, სხვისა შემოვიცვი და არ მომერგო.

ჯგუფში სიმპათიური ბიჭი გვყავდა, მეტსახელად „სიმპო“. მხოლოდ ჩემთვის კი არა, მთელი ჯგუფისთვის გაუგებარი იყო (სახეზე ენერათ), რა ჯანდაბით მოვიბღლე ამ მუდო გოგომ? ასე იყო თუ ისე, მე შემარჩია. მართლა სიმპო იყო სიმპო, ოღონდ ისეთი არა, პრიალა გარეკანისთვის რომ ივარგებდა. წვერი მოეშვა, ძველი ნივთები, მშობლების დროინდელი ტანსაცმელი და ფანდურზე დაკვრა უყვარდა. ახლა უკვე ვიცი, რომ მეც მაგ პრინციპით შემარჩია: არათანამედროვე, ძველმო-

დური, თან კარგად შენახული, უხმარი. მოკლედ, მის ტანსაცმელ-საკრავების კოლექციას ჰარმონიულად ვერ წყნობდი. სულ ეს იყო, მაგრამ მაშინ ვერ ვხვდებოდი. სიმპომდე ცხოვრება თითქოს ცალკე გზით მიდიოდა და მე ერთი მივჩანჩალებდი ამ ფართო გზის პარალელურად, საცალფეხო ბილიკზე. სიმპოსთან ურთიერთობამ კი მეც დიდ გზაზე გადამიყვანა, მეც საერთო მარაქაში გამრია. ეს იყო მთავარი.

არ ჰქონდა მნიშვნელობა, ერთად ვიყავით თუ არა. სულ ვხედავდი. თითქოს თვალების შიგნიდან ეკრანი მქონდა ამოკრული მისი მოძრავი გამოსახულებით. სადაც უნდა გამეხედა, ჯერ იმისი სახე ჩანდა ჩემიდან და მერე დანარჩენი – თვალს გარეთა სამყარო.

ერთხელ ჯგუფელის დაბადების დღეზე ვიყავით. სიმპომ ბევრი გასაბერი ბუშტი მოიტანა და მაგიდაზე დაყარა. ჩემ გარდა ყველამ დაიწყო გაბერვა. მე ვერ გავბედე. მეგონა, ბუშტს თუ ჩავბერავდი, ყველა ჩემი ამბავი ან კედელზე გამოეფინებოდა, ან თვითმკვლელობით ქაღზე ჩამოეკიდებოდა. გააჩნია, იუბილარი სად მიუჩინდა ადგილს. იმ საღამოს სიმპოს გაბერილი ბუშტი ქურდულად ჩამოვწყვიტე აივნის მოაჯირიდან და სახლში წამოვიღე, როგორც საიდუმლო ინფორმაციის უტყუარი წყარო.

სიმპოს სუნთქვის ნაკითხვის დაწყებისთვის გამბედაობა მხოლოდ ორი დღის მერე მოვიკრიბე. ბებოს რომ ჩაეძინა, ბუშტით ხელში საწოლში შევწექი, საბანი ამოვიკეცე, თვალები დავხუჭე და დაგროვილი ჰაერის პირველი ულუფა მორიდებულად შევისუნთქე. თავს უხერხულად ვგრძნობდი. თითქოს სხვის ფიქრებში უკითხავად შესული ქურდი ვიყავი, მაგრამ გადანყვეტილება უკვე მიღებული იყო, ჩემი სუნთქვის წამკითხველი რეცეპტორები ხელის ცეცებით აგნებდნენ სიმპოს გულის კუნჭულებში ჩატოვებულ ემოციებს, ტვინის ხვეულებში გადამალულ ინ-



ფორმაციებს. არც კი მეგონა, ამდენი წლის შემდეგ ასე იოლად თუ შევძლებდი სუნთქვის შიფრის ამოკითხვას. გემოებიდან ჩამნიფებული ხურმის სიტკბო და მწვანე მანდარინის სიმჟავე დაჰკრავდა, ტემპერატურიდან – ზომიერი სითბო, სუნი – დაჭაობებული წყლის. ადვილად გასაშიფრი გამოდგა სიმპო, პირველივე შესუნთქვით ბოლომდე წასაკითხი. სულ რამდენიმე ემოციის, ინტერესისა და შეგრძნების პატრონი აღმოჩნდა, რომლებიც წრეზე ტრიალებდნენ. ახალს ვერაფერს იპოვიდი. დედაჩემის სუნთქვა სხვა იყო. ყოველ შესუნთქვაზე ახალ-ახალი შრეები ჩნდებოდა... სიმპოს მიმართ ინტერესი დამეკარგა, სამუდამოდ.

ამ საღამოდან ჩემი ყველაზე კომმარული სიზმარი ასეთი იყო: ხელგაშლილი შუა გზაზე ვდგავარ. ხალხი მოდის და ჩემი სხეულის გავლით ისე აგრძელებს გზას, თითქოს არც ვარსებობ.

როგორც ჩანს, მთვლემარე ლოთისთვის მოყოლა ჩამეთვალა – ახალმა, კარგმა ამბავმა არ დაიგვიანა. ერთ-ერთმა კლიენტმა, რომელიც მანამდეც ბევრჯერ შემიმჩნევია, მიწოდებული ქვითარი გამომართვა, წვრილი ასოებით რალაც მიანერა და დამიბრუნა. „წვიმა დილიდანვე ისე ბარდნის, საღამომდე დადებს... გუბებს. პარალელურ ქუჩაზე, საავადმყოფოსთან უნდა ავიდე ამ საღამოსვე, სანამ გუბეფეხდაუდებელი და გაუკვალავია. მეორე წყვილ ბოტსაც წამოვიღებ, წამო, ჩავაჭყაპუნოთ. ლუკა.“

სანამ ჩავიკითხე, უკვე წასული დამხვდა. უცებ ხელი ისეთი მონდომებით ავიქნიე, სამაჯურს ერთი პატარა ზარი ასწყდა.

ჰო, „თავისუფალი ვარ“, – აღარ დამიყოლებია.

იმ დღის მერე ახალი ცხოვრება დაიწყო. ყველაზე ნამდვილი. ერთმანეთს ზედმეტ კითხვებს არ ვუსვამდით. ლუკაზე ორი რამ ვიცოდი: გული აწუხებდა, საოპერაციო იყო. ეგ ერთი და მეორე

– ერთ-ერთი ინსტიტუტის სტუდენტებისგან შემდგარ დასს ხელმძღვანელობდა, რეჟისორი იყო. მეც ხშირად მივყავდი რეპეტიციებზე, მაგრამ იქ თავს კარგად ვერ ვგრძნობდი. მეჩვენებოდა, რომ ერთ-ერთი სტუდენტი, სალო, ლუკაზე იყო შეყვარებული. ერთხელ ლუკას დაბადების დღეზე მივედი საარეპეტიციოში და უამრავი ბუშტი დაგვხვდა სცენაზე. ლუკას ბავშვით გაუხარდა. მერე მითხრა, თურმე სალოს მთელი ღამე გაუთენებია ამეების ბერვაში, მე რომ გავეხარებინეო. არ მესიამოვნა. თავის დაზღვევის მიზნით, ორი ცალი ბუშტი წამოვიღე.

მეორე საღამოს ლუკამ ისევ ახსენა, სალო რა ტიპია, მთელი ღამე უწვალა, ბერვაში გაუთენებია, რომ ჩემთვის სიურპრიზი დაეხვედრებინაო.

– გატყუებს, – ვუთხარი. – ბუშტში სუნთქვა კი არა, ჰაერი იყო.

– რაო?..

– მე სუნთქვის გაშიფვრა შემიძლია. მართლა. ის ბუშტები სპეციალური ხელსაწყოთია გაბერილი და არა სუნთქვით, ანუ არც ისე ძალიან უწვალა, როგორც გგონია.

ლუკამ ამაზე ბევრი იცინა და „მთხოვა“ – ჩემი და ჩემი შეყვარებულის სუნთქვის ამოკითხვა მინდა შეგიკვეთოთ, ეგებ, როგორმე ურიგოდ მიგვილოთო.

– შენი სუნთქვის ნაკითხვა არ მინდა. შევეშვი ამ საქმეს. იმიტომ, რომ მერე გაშიფრული ამბების ამოსუნთქვა აღარ გამოდის, მიგროვდება და სიმძიმეს მიტოვებს. სიმძიმეს და კიდევ – სიზმარს. ერთგვარი გადასახადია ჩვეულებრივი მოკვდავისთვის აკრძალული ნიჭით სარგებლობისთვის, თან ბოლო დროს სუნთქვიდან ახლო მომავლის ამოცნობაც ვისწავლე. არ მინდა ვიცოდე, მერე რა იქნება. ჩემი სუნთქვის ნაკითხვის მცდელობა უკვე მქონდა, მაგრამ... გინდა, მოგიყვე?

– კი. მოყევი და მერე აბსურდის სპექტაკლი დავდგათ: „სუნთქვის შემგროვე-

ბელი“, მთავარ როლში – სალო, – ლუკამ წელანდელივით ხმამაღლა გაიცინა. – ვხუმრობ. სალოზე ვხუმრობ, სპექტაკლზე – ჯერ არ ვიცი. მიდი, გისმენ. აჰა, ათი თვალი და ათი ყური გამოვიბი. უბრალოდ არ ჩანს. ყველას გაგვაჩნია ჩვენ-ჩვენი არამოკვდავური ნიჭი, მილედო.

ჩემი სუნთქვის პერბაშიფერის ამბავი

იმ დღეს ფილტვებჩამძიმებულს გამეღვიძა. სასუნთქი გზა არმოყოლილი ამბებითა და შეკავებული ემოციით მქონდა ჩახერგილი. ამ დღემდე მიმაჩნდა, ჩემი სუნთქვის გაშიფვრა არ ღირდა, არაფერი იქნებოდა ამაში საინტერესო. ალბათ, მხოლოდ ჰაერის წყალწყალა ნაკადი შემრჩებოდა ხელში. ბევრი-ბევრი – მინის გემო დაჰკრავდეს, საიდანაც მხოლოდ სევდისა და მარტოობის ამომარცვლა თუ მოხერხდებამეთქი. იმ დილით კი ჩემმა გაძნელებულმა სუნთქვამ აზრი შემაცვლევიანა.

ღია ფანჯარასთან ჩამოვჯექი, ჭრელ, გასაბერ ბუშტს დავეხედე. ვერ ვბედავდი. მეშინოდა, რაიმე ისეთი არ ამომეკითხა ჩემი სუნთქვიდან, უსიამოვნოდ რომ გამაოცებდა, საკუთარ თავს რომ შემადილებდა. როდის-როდის, ძალა მოვიკრიბე და ბუშტი ტუჩებთან მივიტანე. პირველი ჩაბერვა გამიჭირდა. ისე მქონდა ჰაერი გაჯერჯვებული ჩემი ყოფილი ბიჭის ბუტაფორიული კოცნებისგან, პერიოდული მიტოვებებისგან, მისგან მოსმენილი გრძნობაგამოცლილი სიტყვებისგან, მზერისგან, მოფერებისგან, ჩემი არეულ-დარეული ფიქრებისგან, შიშისგან, იმედისგან... რომ ამ ყველაფრის ერთად მოკრება, შეკუმშვა, ბუშტის ყელისოდენად დავინროება და ბუშტში გადაძახება ვერაფრით მოვახერხე. მესამე ცდაზე გამომივიდა. ერთი რომ გაინიეს ბუშტის კედლებმა, მერე მიჰყვა და მიჰყვა. გადავუძახე ჰაერად ქცეულ დარდისა და სიხარულის ამბებს. ჩასუნთქვა-ამო-

სუნთქვისას მინიჭებული შიფრებითა და კოდებით ივსებოდა ჭრელი ბუშტი. სადარდებელი და გასახარი, მარცხი და გამართლება, მარტოობით ჩაშავებული დღეები და ალერსში თეთრად ნათენები ღამეები – ყველაფერი დაიტია. თავი მოვუკარი და ჰაერში რამდენჯერმე ავაგდე. თითქოს მინდოდა, ამბები და შეგრძნებები ერთმანეთში კარგად შერეულიყო, რომ მერე საკუთარ თავზე უტყუარი საშუალო არითმეტიკული დასკვნა გამომენატა. ერთი აგდებაც და ბუშტი ფანჯრიდან გამიფრინდა. დავინახე, როგორ დაემვა ეზოს ნაგვით სავსე ურნისკენ და თავახდელი კონსერვის ბასრ თავსახურს დაასკდა.

როგორც კი ბუშტი გასკდა და ჩემი სუნთქვა ნაგავს შეერია, პირში ისეთი სიმყრალე ვიგრძენი, გული ამერია – პირდაპირი მნიშვნელობით. იქვე, ფანჯარაში გადაყუდებულს. პირველი სართულის მეზობელს, ლეილას, სარეცხი ჰქონია გაფენილი. გამოალო ფანჯარა და კვილთან ერთად ნვერზე შხამნასმული სიტყვების ჯერი ამოტყორცნა ჩემზე მორგებული სამიზნისაკენ. სავარძელში მთვლემარე ბებიაჩემი შეხტა, გამოფხიზლდა. გამოფხიზლდა და მაშინვე დღეების თვლა დაიწყო:

– ერთი პარასკევი ხვალ გავა, მეორე – შვიდ დღეში. ორი პარასკევილა დამრჩა, ჩემო გოგო...

არ ვიცი, ამ „ჩემო გოგოთი“ მე მომმართავდა თუ დედაჩემს. მე მაფრთხილებდა, შენგან მალე ნავალო თუ თავის შვილს ანუგეშებდა – მალე მოვალ შენთანო. კარგა ხანი იყო, სავარძელში თვლემისა და დღეების თვლის გარდა, აღარაფერი შეეძლო.

ბებოს თვალი მოვაცილე და ქვემოთ ჩავიხედე. მეეზოვე, ლეილას ბრძანებით, დასვრილი სარეცხის თოკებს ჭრიდა. ჩაჭრა და ზედ დარწყულ სარეცხთან ერთად იმ ურნაში გადაუძახა, სადაც ბუშტის ნაფლეთს ჯერ ისევ ოხშივარივით ასდიოდა ჩემი სუნთქვა.

ნელანდელზე უარესი სიმყრალის გემო ვიგრძენი, თავი ვერც ახლა შეივკავე... არც ლეილას უცდია თავის შეკავება. ლანძღვითა და წყევლით ამოვარდა კიბეზე და გაცეცხლებულმა გვიბრახუნა კარებზე. ეს წავიდა და ცოტა ხანში ახლა მეეზოვემ ატეხა ბრახუნი ტექსტით: „ნარწყევი ვისი იყო? შენი!“ – ლეილასთვის განუვლი შრომის ანაზღაურებას ჩემგან ითხოვდა.

სიზმარი არ მინახავს, მაგრამ ძილის წინ მელანდებოდა, თითქოს ლეილა და მეეზოვე თავზე მადგნენ და კონსერვის ქილიდან დამპალი ხორცის ჭამას მადლებდნენ.

იმ დღის მერე ლუკა აღარ გამოჩენილა. არავინ იცოდა, სად გაქრა. არც თეატრში ჩანდა, არც ტელეფონს რთავდა. ჩემმა უცნაურმა ნიჭმა რომ არ დააფრთხო, მაგაში დარწმუნებული ვარ. ზუსტად ვიცი, ჩემი მოყოლილი არ დაიჯერა. ვინეტი ჩემს სანოლზე დამხობილი და ლუკაზე ვფიქრობდი. ბუნდოვნად გამახსენდა, ბოლოს რომ გაიცინა. ახლოს ვიყავი, უნებურად მისი სუნთქვა შევისუნთქე და გამაჟრჟოლა. ხიფათი, რისკი თუ რალაც ამდაგვარი ამოვიკითხე, მაგრამ თავი დავაჯერე, რომ შევცდი. ქუჩის ჰაერთან შერეული სუნთქვის გაშიფვრა ხომ დიდად არ გამომდიოდა ხოლმე.

კარზე დააკაკუნეს. იმედიანად ნამოვხტი, მაგრამ ზღურბლს იქით, ჩემდა გასაოცრად, პირველი სართულის მეზობელი, ლეილა დამხვდა. შემოვიდა და საზეიმოდ დადო მაგიდაზე შინდის მურაბით სავსე ქილა. შინდი ერთადერთი ხილია, რომლის მურაბაც არ მიყვარს. არ გამოვრიცხავ, რომ განგებ შემირჩია. საიდან უნდა სცოდნოდა, მაგრამ მაინც.

– ნენსი, მე გპატიობ იმ ძველ ამბავს. ვოტ ტაკ! მე ასეთი ქალი ვარ, დიდსულოვნება მიყვარს. ცოტა თუ მოიქცეოდა ღირსეულად, მაგრამ მე ბებიაშენის სიკვდილის ამბავზე ფულიც დავდე მაშინ

და ყველაფერი. ნახავდი, ალბათ, სიაში... დალაპარაკებით, ვიფიქრე ერთხელ პირადად ავალ და ვეტყვი ნენსის, რომ ვაპატიე. თან მურაბაც... მე ისეთი ქალი ვარ, გაცემა მიყვარს... ის ფულის ხამი ქუჩის მხვეტავი განუხებდა, ხომ? რასაც ეგ ცოცხის ტარით გიბრახუნებდა! არ იფიქრო, თითქოს მე გამოვგზავნე, ვინც არწყია, იმან გადაგიხადოს თოკების ჩაჭრისა და სარეცხის გადაყრის ფული-მეთქი, არა! მე ისეთი ქალი ვარ... ისე კი, თავიდანვე რომ გაგელო კარი და ფული მიგეცა, მთელ სადარბაზოს აღარ შეგვანუხებდა ხმაურით. თან უბედური ბებიაშენი მაშინ უკვე ცალი ფეხით „იქით“ იყო... ხმაურზე რეაქციაც არ ჰქონდა იმ საცოდავს?

– ყველაფერს დაწვრილებით მოვყვები, – ძალიან მშვიდად გავუღიმიე. – ოღონდ, თუ არ გენყინებათ, თქვენ ნაცვლად, თქვენს შინდის მურაბას მოვუყვები.

ბებიაჩემის სუნთქვის პერბაშივრის ამბავი

ქალბატონი ლეილას სარეცხის უნებლიე ნაბილწვის შემდეგ ბებოს მშვიდი თვლემ სასანატრელი გამიხდა. აღზნებული მოსთქვამდა, ორი პარასკევი დამრჩა და წამიყვანენო. აი, ყოველლამ აკაკუნებენო. მთელი კვირა არ მოგვასვენა მეეზოვემ. ასეთ რეჟიმს შევეჩვიეთ: სალამოს, ვახშმის მერე, კარზე ბრახუნს ვუსმენდით. როგორც კი ეს ბრახუნი შეწყდებოდა, ბებო მშვიდად იძინებდა. უხაროდა, ამაღამაც ვერ წამიყვანესო. ერთხელაც, სანამ დააბრახუნებდა, გავუღე და ფული ფეხებთან მიუყარე. ჩვენი ბიუჯეტისთვის არც ისე ცოტა თანხა იყო, მაგრამ ბებიაჩემისთვის სტრესის მოხსნად მიღირდა. ვერ გავთვალე, რომ ბებოს გრაფიკიდან ამოვარდნა გაუჭირდებოდა. წრიალებდა, ბრახუნს ელოდებოდა. მაგ ბრახუნის ჩანყნარება ხომ ერთგვარი ნიშანი იყო, რომ მორჩა, აწი მშვიდად

შეიძლება დაძინება. აღარ იყო ნიშანი და აღარ იყო მოსვენება.

ლოგინში ჩანოლაზე ძლივს დავითანხმე. ჩანვა თუ არა, მალევე მოეშვა და თვალები მილულა. ვუყურებდი მის ბუდეში ჩაცვენილ, დახუჭულ თვალებს და ვფიქრობდი: ახლა რომ მოკვდეს, ხომ ვერასდროს გავიგებ, რა სწყინდა, რა უხაროდა?

ოთახიდან გავედი და გასაბერი ბუშტით დავბრუნდი. თან რაღაც სინდისის ქენჯნის მაგვარს ვგრძნობდი. ჩავეხუტე და ამეტირა.

– დღეს რა დღეა? – თვალი გაახილა.

– ხუთშაბათი, ბე... ბე, გეხვეწები, ეს ბუშტი გამიბერე, რაა, ვითომ ისევ შენი პატარა ნენსი ვარ...

– პარასკევი თენდება? პარასკევი თენდება? – ანერვიულდა.

უცებ გავიაზრე, რომ შეუძლებელს ვითხოვდი, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი, ბებოს სუნთქვა ნამეკითხა, აღარ მოვეშვი. ალბათ, რამხელა ძალისხმევა დასჭირდა იმ ერთი ჩაბერვისთვის. ჩაბერა და ძალაც გამოეცალა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, ამას ველარ გაიმეორებდა. ოდნავ ამობურცულ ბუშტს თავი წამში მოვუკარი და ბებოს შუბლზე ვაკოცე. დამშვიდდა და ჩაეძინა.

ძილის წინ თითქმის ცარიელი ბუშტი გულში ჩავიხუტე და დიდხანს ვიტირე.

ბებოს აღარ გაულვიძია.

იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება იმ ერთი, მაგრამ მთელი ძალით შებერვისთვის ბებოს სუნთქვა არ ეყო და სულიც ამოაყოლა, ალბათ, სამარეშიც არ მომასვენებს. „ბუშტში ბებოს სულია“, – ამ აკვიატებულ ფიქრს ჭკუიდან გადავყავდი. დასაფლავების მეორე დღითვე მომეჩვენა, რომ კარადიდან, სადაც ბუშტს ვინახავდი, კაკუნი ისმოდა. ქუჩაში გავვარდი. რაც კი ჯიბეში ფული მქონდა, ბუშტები ვიყიდე და მთელი დღე ვბერავდი. ვბერავდი გამეტებით, მთელი ძალით, რომ როგორმე სუნთქვა ამომხაპვოდა და სული ამომეყოლები-

ნა, მაგრამ საკუთარი თავისთვის სამაგიეროს გადახდა არ გამომივიდა.

ველარ გადამენწყვიტა, როგორ მოექცეულიყავი. ხან ვფიქრობდი, უბრალოდ, ემოციურ ფონზე განვითარებული აკვიატება მქონდა, თამამად შემეძლო შემესუნთქა. საბოლოოდ, ბებოს სუნთქვის გაშიფვრის სურვილს ბებოს სულის „გადაყლაპვის“ შიშმა სძლია. საფლავთან მივედი და ბუშტს პირი მოვხსენი. სული არ ვიცი, მაგრამ საკუთარი თავი კი გავათავისუფლე – ეჭვებისგან. იმ საღამოს ვალმოხდილს ჩამეძინა. სიზმარი არ მინახავს.

ლეილას სტუმრობის მეორე საღამოს სამსახურის უკან, სკვერში მივედი. ის ლოთი ბიძა ერთგული ვინმე ჩანდა – ყოველთვის ერთსა და იმავე სკამზე ეძინა. ჩანთიდან შინდის მურაბის ქილა ამოვიღე და გვერდით მივუდგი. „ახლა ერთად ხართ ჩემი მესაიდუმლეები, – ვთქვი. – შინდო, მაპატიე, შენი მომხუფავი რომ შევაშინე.“ ლოთს მაშინდელივით ტკბილად გაეღიმა. ნეტაი მაგას, მე კი სულ კომშარები მესიზმრება და...

იმ ღამეს ვერაფრით დავიძინე. ხან ახალი, კარგი ამბისთვის გამოთავისუფლებული ადგილი მეიმედებოდა, ხანაც ლუკას სუნთქვაში დაჭერილი შემაშფოთებელი სიგნალი მაშინებდა. დილით მესიჯი მივიღე: „თუ გაღმა წერილი გაქვს გასაგზავნი, მომეცი, ნავიღებ, არ მეზარება:)))))) ნუ, ძალიანაც ვერ შეგპირდები, ეგებ არც გადამიშვან საზღვარზე:) საოპერაციოში შევდივარ ექსკურსიაზე, ნენს, ყველაზე მაგარი გუბების საავადმყოფოში. როგორც არ უნდა ჩაიაროს – მიყვარხარ.“

რაც ხელში მომხვდა, გადავიცვი და გიჟვით გავვარდი. კარგა ხნის სირბილის შემდეგ გავიაზრე, რომ ტაქსი უნდა გამეჩერებინა. გადაბმულად ვრეკავდი, მაგრამ ტელეფონი უკვე გამორთული ჰქონდა. რეკვა შევწყვიტე თუ არა, ზარი შემოვიდა – სამსახურიდან.

„მაპატიეთ, მაგრამ სამყაროს ყველა სამსახური ფეხებზე მკიდია“, – ვუპასუხე და გავთიშე. პირველად ვთქვი „ფეხებზე მკიდია.“ როგორი გულის მოსაფხანის სათქმელი ყოფილა.

საოპერაციოს დერეფანს ადვილად მივაგენი. ფანჯარასთან გავჩერდი. ვილაც ქალი მომიახლოვდა. ღმერთო, როგორ ჰგავდა ლუკას!

– ნენსი ხართ?.. – ძალიან ჰგავდა, ძალიან... გამაოგნებლად. – მე ლუკას და ვარ. ლუკამ თქვენთვის რაღაც დამიტოვა. ახლავე მოვიტან, დამელოდეთ.

– დაგელოდებით... – შევპირდი. თითქოს მისი ამ თხოვნის გარეშე სადმე წამსვლელი ვიყავი...

რომ გაბრუნდა, თვალი არ გამიყოლებია – რაღაცნაირად შემეშინდა, ზურგიც ლუკასი არ ჰქონოდა.

ლუკას აღარყოფნაზე ფიქრი მოდიოდა, მკბენდა, მკანრავდა, კაბის ბოლოზე მქაჩავდა, მაგრამ ვცდილობდი, თავიდან მომეცილებინა.

ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის ოჯახის წევრები და ნათესავები ნერვიულად დააბიჯებდნენ წინ და უკან. ათნი მაინც იქნებოდნენ. მივხვდი, როცა რგოლზე ბევრ გასაღებს ვკიდებდი ან სამაჯურზე ათას წვრილმანს ვაკონწიალებდი, ქვეცნობიერად ამას შევნატროდი, ეს მინდოდა – დიდი ოჯახი და ბევრი გულშემატკივარი.

ლუკას და დაბრუნდა (ღმერთო, როგორ ჰგავს, როგორ!), წითელი ბუშტი და ბუშტის წითელ ძაფზე გამობმული ბარათი მომიტანა. ლუკასი, ლუკასგან, ლუკამ! ხელიდან გამოვტაცე და გავიქეცი. გულაჩქარებული, ნერწყვამშრალი და გაოფლილი დერეფნის ერთი ბოლოდან მეორე, ნახევრად ჩაბნელებული ბოლოსკენ მივრბოდი და ჩემი გადავსებული თვალებით ბარათიდან სიტყვების ამოკითხვას ვცდილობდი:

„ნენს, აჰა, შენ ჩემი პირადი ინფორ-

მაციის საბადო (იხ. ბუშტი). იქნებ, რაიმე ისეთი კომპრომატი ამოშიფრო, მერე გული აღარ დაგწყდეს ჩემს „ნასვლაზე“:) კაი ვხუმრობ, ჩემებურად – შავად. მიყვარხარ. ნუ გეშინია, გადავრჩები. გადავაგორებ.“

მივრბოდი ამ უსასრულო დერეფანში და ვფიქრობდი: „ახლა რომ წავიქცე და ბუშტი გამისკდეს... შესუნთქვამდე რომ გამისკდეს!..“ – ჩემივე გულის ცემის ხმაური ყურებს მიგუბებდა. კიდევ კარგი, როგორღაც ჩამთავრდა დერეფანი, თორემ მესამედაც რომ მომესწრო – „რომ გამისკდეს“ – ამის გაფიქრება, ნამდვილად გამისკდებოდა გული.

კედელთან აწყობილ ყუთებს შორის, იატაკზე ჩავჯექი და ბუშტის კვანძის გახსნა ვცადე, მაგრამ თითები ვერაფრით დავიმორჩილე, საქსოვი ძაფივით ამებლანდა ერთმანეთში. შიშისგან გაყინული ხელები ბუშტს მოვხვიე, მოვხვიე და უცებ ისეთი ნაცნობი სითბო წამოვიდა შიგნიდან... სულ დამილღვა თითებიც და ეს ჩემი ყალყზე შემდგარი ნერვებიც უცებ მოემვნენ, თითებთან ერთად ესენიც „გამოიბლანდნენ“, დალაგდნენ. პანიკამ გამიარა. ხელმეორედ ვცადე და ახლა უკვე სულ იოლად გავუთავისუფლე ყელი ბუშტს. შევისუნთქე თუ არა, გარშემო ყველაფერი გაქრა. აღარაფერი არსებოდა, ლუკას ნასუნთქი ჰაერისა და ჩემი რეცეპტორების გარდა...



დერეფანი იქიდან აქეთაც ისევე გიჟივით გამოვირბინე, როგორც წელან – სანინალმდეგო მიმართულებით. ლუკას და ისევ იქ დამხვდა – ფანჯარასთან. მივირბინე, უზომოდ მშობლიურ თვალებს გავუღიმე და აჩქარებული სუნთქვისგან სული როგორც კი მოვითქვი, ვუთხარი:

– ნუ გეშინიათ... ლუკა გადარჩება... ზუსტად ვიცი – გადააგორებს.



ანდრო ბუაჩიძე

სახსოვარი

აქედან ვუმზერ გარდასულებს, ვით ამბრაზურას
და მიჭირს ახლა გავიხსენო რამე გარკვევით,
იყო ცხოვრება სპექტაკლივით და ის დასრულდა,
რადგან ისინი აღარ ჩანან უკვე სარკეში
და არც უსარკოდ. ასეთია ხვედრი წასულთა.
კინოჩვენება იყო თითქოს ანდა თეატრი;
აბსურდის? დასრულებით მართლა დასრულდა,
დანარჩენი კი მართლა იყო? ან რას შეადრი
მათ ყოფნას? თითქოს აჩრდილები დარჩნენ
კედლებზე...

იქნებ, ეს იყო თოჯინების უხმო სპექტაკლი?
არავინ უხმობს, არც იხსენებს და არც ედრება,
ყოფიერება მათი უკვე სუფთა დაფაა.
არაფერია არყოფნაზე უფრო სპეტაკი.

●

უნდა ვიცოდე, ახლა სად დგახარ,
უნდა ვიცოდე, ახლა სად მელი,
რადგან დაბნელდა და სიბნელეში
შენ ხელთ არა გაქვს შენი სანთელი.
მე მეღვიძება და მახსენდება,
რომ მძინებია თურმე რამდენი,
ხელის ფათურით კედელს დავეძებ,
მინდა ვიპოვო ბნელში ჩამრთველი,
რომ გავანათო და გამახსენდეს,
ახლა სად დგახარ ანდა სად მელი,
ვაითუ, მართლა სიბნელეში ხარ
და არ გიპყრია ხელში სანთელი,

მაგრამ თანდათან ვიბრუნებ ხსოვნას
და მახსენდება აღარსად მელი,
და ყველა ქუჩა ცარიელია,
და სულ უეცრად წყდება სათქმელი.

გათენება

წყვდიადში უკვე ყივის მამალი –
დავინწყებული და უხსოვარი,
ეს ხმა ედება, როგორც წამალი
ჩემს ყურთასმენას – ყრუ და მყოვარი.
ეს ხმა ექცევა ფერდობის ჩიხში,
თავისი თავი რომ გააქვავოს,
და ვუსმენ მამალს, ნდობით და შიშით
შემოხიზნული ამ სააქაოს.

იჭვი

სადღაც შენს სულში თუ სულის ფსკერზე
იმ ერთი ცოდვის განასერია,
რომელსაც ხელის ცეცებით ვეძებ,
რამაც ლექსები დამანერინა.
ეს ნაწერები ჰგვანან ჭრილობებს
და ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს,
მე დავიფლითე, როგორც ჭილოფი,
აღბათ, თვითონვე ვეძებ მომცელავს.
სადღაც შენს სულში, სულის წიაღში
ცოდვის ირიბი განასერია,
და ამ ჩემს ყოფნას ზედვე მივაფშვნი,
ოღონდ ჯერ სისხლით დამანერინა.
დამანერინა, როგორ ჭრიალებს
ჩემს სულში დარდი ანდა იჭვები,
როგორ მძალავენ და უჩინარი
ჯავრით შეჭმული როგორ ვირჯები.
სადღაც შენს სულში ის კვლავ ანთია,
იმ მწარე ცოდვის განასერია,
ჩემი ყოფნა კი იმის დარდია,
იმის ნასხლეტი და ნამსხვრევია.



არ ვიცი, როგორ დავითარსები,
არ ვიცი, ვისი მიშველის ზრუნვა,
მხოლოდ ის ვიცი, მთელი არსებით
ვგრძნობ გარინდული ჰაერის ბრუნვას.
არ ვიცი, ვისი ხელის შეხება
ჩაახშობს ჩემში ამ მწარე განცდას,
ვიცი, საღამომ სივრცე შეღება

და შემოსაზღვრულ მიდამოს გასცდა.
არ ვიცი, ასე რამ დამარბია,
რამ შემოაგდო ჩემში ქარ-წვიმა,
ვდგავარ და თითქოს სადღაც გავრბივარ
და ტანს შემხმარი წლები მაცვივა.
რა ვქნა, არ ვიცი, შემოვეხვევი
ჩემს თავს ნისლივით ანდა ჯანლივით,
და თუკი შემძრავ და შემეხები -
იგრძნობ, რატომ ვარ ასე დაღლილი.



მე წამოგყვები, წამოვალ შენთან,
ასე ვიდგები ჩუმად შენს გვერდით.
მე არ მჭირდება შენ გამო სევდა,
მე მინდა, შენი მივილო ხვედრი.
მე მინდა, შენი ტკივილი ვიგრძნო,
ხანდახან შენი სიზმრები ვნახო,
ასე სჯობია, ვიდგები, ვინძლო,
რალაც მეშველოს შენთან, შენს ახლოს.
მე მინდა ასე შენს გვერდით ვიწვე,
ასე ვეკიდო ამ ღამის სიმზე,
გულით დროს ვგრძნობდე, სხეულით – სივრცეს
და თვალგახელილს ვხედავდე სიზმრებს.
თენდება. ზამთრის დღეს მოაქვს სუსხი,
ფანჯრებზე ყინვის ფიგურებს ქარგავს,
სხვა რალა გითხრა, როდესაც ვუნყი –
უშენოდ ველარ ვიქნები კარგად.



განათებულა ღამის ქალაქი,
ქცეულა ცრუ და მბზინავ ველობად,
ის კი ბრუნდება ულაპარაკოდ –
უკვე დატოვა უცოდველობამ.
ტანჯავს გრძნობა, რომ უკვე იმრუშა
და უკვე ნაღვლით თუ გაიღიმებს,
და დასტყობია ტუჩებს სილურჯე,
სხეულს – სიტკბო და თვალებს – სიმღვრივე.
რა საცოდავად ბრუნდება სახლში,
სხეულში ვნება უღვივის ღველფად,
შეაღებს კარებს, ამ დილით დახშულს
და უნდა თავი რომ იგრძნოს მსხვერპლად.
ამ დილით ჯერაც არ იყო მსხვერპლი
მარადიული, ტკბილ-მწარე ცოდვის,
და ახლა, როგორც დამფრთხალი ნერბი
გზააბნეული სახლისკენ მოდის.
ხოლო ქალაქი, ღამის ქალაქი –

ქცეული ცრუ და მბზინავ ველობად,
ცდილობს ცბიერად, ულაპარაკოდ
შემოატყუოს უცოდველობა.
მაგრამ ქალაქი მრუშია, მრუში,
პირქუშად დუმს და არ ილიმება,
ის საიდუმლოს ინახავს ღრუში
და უაზროა მისი მხილება...
მალე დამთავრდა ეს სიახლოვე,
ტკენა და ტკობა იგრძნო სხეულმა
და ახლა ფიქრობს, რომ შეახოცეს
ცოდვა ისე, რომ არც შერხეულა.
არადა, ვნებას ბოლომდე ეგზნო,
მთელი ცხოვრება ებრძოდა ლოდინს,
სასონარკვეთილს უნდოდა ეგრძნო
მარადიული ზაფრა ამ ცოდვის.
განათებული ღამის ქალაქი,
ქცეულა ცრუ და მბზინავ ველობად,
ის შინ დაბრუნდა ულაპარაკოდ,
იქ კი არავინ არ მოელოდა.

მწუხრი

რაც უნდა მოხდეს – განტევა ანდა მკვლელობა,
სალამო დაღვრის თავის ნათელს, ვით დაუღვრია,
დაბაში ნელა დაეშვება მწუხრი მკვლობლად,
რადგანაც მუდამ ასე იყო – მწუხრი მწუხრია.
რაც უნდა მოხდეს – მიტოვება ან განტევა,
სალამო მაინც გადასერავს მყუდრო მაყვლოვანს,
გაიფანტება ნათლის სვეტი, აიმტვერება
და აკრეფს მწუხრსაც, ხევში ერთხანს რომ დააყოვნა.
ქალაქის ახლოს ჩრდილოვანი ვიწრო ტრასაა,
აქ, ტყისპირებთან, სალამოთა მსუბუქ ტიხართან
მწუხრმა ფრთა დიდი ფრინველივით გაასავსა
და მერე იქვე ჩაიკეცა და ჩაიხაფრა.
სახლი დგას, იქ კი ოთახები სიმარტოვეთი
არის ნაფენი, ჩამავალ შუქს რომ დაუღვრია,
ეს სოფელია ორბეთი ან დიდი თონეთი
და იქ ცარიელ ოთახებში ახლა მწუხრია...

ცარიელი ოთახი

არაფერი არ გაიტანო შენი ოთახიდან, შენი სახლიდან,
შენი სამყოფელიდან, არაფერი არ გაიტანო
და, თუ რამე გაიტანე, ისიც თავის ადგილას დააბრუნე;
დააბრუნე რკინიგზის სადგური, მატარებლები,
სადღაც რომ მიდიოდი ოჯახთან ერთად და სადგური,

რკინიგზის ლიანდაგებს რომ ეძებდი და რომ ვერ იპოვე
 და წყვილიაღმი გვერდიდან რომ მოუარე...
 და ორი თურქი, ორი თურქი კაცი, თბილისში,
 რკინიგზის სადგურზე, რომ ეკითხებოდი, სად იყო
 მატარებელი და მათ არ ესმოდათ და გეუბნებოდნენ
 თურქები ვართო, „თიურქე, თიურქე“... არც ერთი
 ხსოვნა არ გაიტანო სურათებივით, არაფერი არ
 გაიტანო, ხელს არ გააყოლო, დავინწყებას არ გაატანო,
 დააბრუნე, თორემ ამაოებას შეეჯახები, უშველებელ
 ამაოებას, როგორც უეცრად გაღვიძებული ადამიანი
 ვეება მთვარეს... არ გაიტანო შენი ერთი დავინწყებული
 მეგობარი, რომლის სანახავად მიხვედი მიხეილის
 საავადმყოფოში და რომელიც უკვე შენ აღარ გიყურებდა,
 გხედავდა, მაგრამ აღარ გიყურებდა, რადგან
 სხვაგან იყო უკვე გადასული, იქ, საიდანაც აქეთ
 უკვე ძნელად თუ იყურებიან... მძიმეა, მაგრამ მაინც
 ნუ გაიტან მაგ შენი ცხოვრებიდან, თორემ თავზე
 ჭერი დაგენგრევა, აირევა ყველაფერი და სიცარიელეს
 და ამაოებათა ამაოებას შეეჯახები... ნუ გაიტან
 შენი ცხოვრების ნაყარნუყარს, ნამუსრევს, რომელიც
 თურმე, ერთად თავმოყრილი, ძვირფასი ყოფილა...
 ნუ გაიტან სიმთვრალეებს, დაღამებულ ქუჩაში ხეტილებს,
 გამწარებულ გინებას და ფურთხებას, ცხოვრების გმობას,
 რომელიც თურმე ძვირფასი ყოფილა და უნდა მოძებნო,
 უნდა მოძებნო ხსოვნის ნაფლეთები და შეანებო,
 ფაქიზად შეანებო, რომ შენს არსებობას აზრი დაუბრუნო,
 აზრი დაუბრუნო ყველაფერს, რაც დაგეფანტა და გაგებნა,
 რადგან ყველაზე ძნელი უაზრობაა, რომელიც თანდათან
 ადამიანივით გახსლოვდება და მხრებზე განყოფს სველ
 ხელებს...
 ნუ გაიტან შენი ოთახიდან სინანულს იმის გამო,
 რომ ცხოვრება უქმად გაატარე, უქმად და უნიათოდ,
 უდარდელად და უსასოოდ. ფუჭად დადიოდი
 ქვაფენილებზე
 და ამაყად იწონებდი თავს, რომ ვარსკვლავების
 ნაშიერი იყავი,
 ოცნებებით იკვებებოდი, ამპარტავანი იყავი და
 თავკერძა...
 ნუ ამორეცხავ ამასაც, როგორც მრეცხავი მყვირალა
 ლაქებს,
 რადგან ეს შენ იყავი, შენ იყავი და სხვა არავინ...
 აჰა, ნახე, როგორც იქნა, გათენდა და გამოიდარა
 და გარეთ კი დაფრინავენ ყიამყრალი, შავი ყვავები...
 ნუ გაიტან მათ შენი ცხოვრებიდან და მახსოვრობიდან,
 ესეც შენი... ნუ შერისხავ, ნუ შებილწავ, ნუ შეაჩვენებ.
 მათი ყრანტალი შეიძლება მოგენატროს გზაჯვარედინებზე

და ჩაგესმას მათი ძახილი – „შენ ჩვენი ხარ, ჩვენთან
იყავი“ –
ნუ გაიტან შენი ცხოვრებიდან ამ ყოველივეს
ნაუცბათევადა,
თორემ შენი ცხოვრება დაცარიელდება, როგორც ოთახი
და შენ მოგეჩვენება, რომ სრულ ამაოებაში ცხოვრობდი,
ამაოებასა და ერთფეროვნებაში და სულ ორი,ორად ორი
ნაბიჯი თუ იყო ეს ოთახი, აქეთ და იქით, სხვა არაფერი...

ორწონეზუი მოხეტიალე

გივი ბარდანაშვილს – მეტყევეს და მესაფლავეს

შემოდგომაა, ჟანგისფერი შემოდგომაა, თრიალეთზე
უკვე ჟღალი შერევიან ჩაღვენთილ ტყეებს,
ლამის არის ბაგების ტყიდან ბენზინგასამართ
სადგურებამდე მგლების ხროვამ ჩამოაღწიოს.
შენც ხომ მგელი ხარ და თვალებით უკუნს ანათებ,
ლამით გაჰკივი ნაარყალი, უთენია კი
გზააბნეული ორნოხებში დაეხეტები.
რის მაქნისია ეგ წანწალი: ჟანგისფერი ამკობს
თრიალეთს. შენ მეტყევეც ხარ და მესაფლავეც.
ლამით ტყეში დაბორიალებ, ალიონზე კი გავეშებით
თხრი იმ ერთ საფლავეს, კარგა ხნის წინ
რომ გადაჯეგეს და გადათელეს, თხრი იმ საფლავეს,
სადაც, ალბათ, ერთი შენი ძველი ნაცნობის,
იმ უნდული და უკბილო გაიოზას, თავის ქალაა,
ვისთან ერთადაც შენ პურს ჭამდი და ჭიქა არყით
იხსენებდი წასულებს და ორნოხებში გზააბნეულებს...
ქვემო ბაგებს რომ გასცდები, რკინის ჯიხურთან
ერთად ისხედით ცხოვრებისგან შეწყვილებულნი,
გადამთვრალეები ჩიფჩიფებდით, იგინებოდით,
გულზე დარდი გეფინათ და ენის წვერზე კი
გიტრიალებდათ ამ ცხოვრების ლანძღვა-გინება.
და ახლა იმის თავის ქალა, იმ ბაგებელის, იმ
უკბილო გაიოზასი, ხელში გიჭირავს და იცინი,
შენი დიდი, უკბილო პირი დაგიფჩინია,
შენ შექსპირის მესაფლავე ხარ, გაიოზა კი იორიკია,
მეფის მასხარა. შემოდგომაა, საფლავეებზე ყრია ფოთლები,
ხმელ ფოთლებს ქარი მიაქანებს სააქაოში.
ამ თრიალეთის შემხედვარეს მომჩვენებია,
რომ თრიალეთი კი არ არის, ეს გოლგოთაა,
მეექვსე ჟამს რომ აცვეს ქრისტე ჯვარს, მეგობარო,
შენც იქ იდექი, იქ ეყუდე ხმაგაკმენდილი
და იხილე, როგორ დაბნელდა, ვიდრე მეცხრე ჟამი
არ დადგა და უკუნეთი არ განათდა სამიდღემშიოდ.
მაშინაც, ალბათ, ქარი ქროდა მთის კორტოხებზე,

მაშინაც, ალბათ, ავს გითქვამდა გული უმძრახად,
მაშინაც, ალბათ, დარდით გქონდა მზერა შეჭმული...
დღე არის ახლა, მაგრამ ღამით მთვარის კიდეებს
აირეკლავენ ალაგ-ალაგ მთის ფერდობები
და შენ, მგელივით უღრან ტყეში მოსიარულე,
ჯერ ტრასაზე გამოხვალ და თავქვე დაშვებულს
მოგესურვება ღამით გავლა სასაფლაოზე,
გადაჭრი ტრასას, ხეობაში ჩაეშვები და ხეობიდან
ამოხვალ მთვარით განათებულ თეთრ ბილიკებზე,
შენ აქ ჩრდილებიც კი გიცნობენ, შინაური ხარ,
უშენოდ აქ ხომ ნიავიც არ გაფაჩუნდება.
შენს ნაბიჯებს სასაფლაოს ძაღლები გრძნობენ,
ზურგს გაქცევენ და სხვა მხარეებს ეშურებიან,
შენს აქ ყოფნაზე ყაბულს არიან და უფრო მეტიც:
შენი დიდხანს აქ არყოფნა ეუცხოებათ.

აკი, ერთხელ შენც წამოგცდა, მკვდრები ჯერ არ
წამომდგარანო. მაგრამ ნეტავ რა გაცინებდა,
იქნებ, აქეთ აღარც უნევთ გული გარდასულთ,
იქნებ, სხვადყოფნა უკვე მათთვის სხვაგანყოფნაა,
და იქნებ, იმათ კვერს უკრავდი შენც უნებლიეთ,
როცა მათ შორის იჯექ ქვაზე ნაშუალამევს?

შემოდგომაა, ჟანგისფერი შემოდგომაა, თრიალეთზე
უკვე ჟღალი შერევია დაღვრემილ ტყეებს,
მგლები არა და ღამის ტურები ამ კუნაპეტ ნაშუალამევს
ჩამოვიდნენ ბაგებიდან ბენზინგასამართ სადგურებამდე
და... შენ აქ ზიხარ, მთვარისქვეშეთში გულსევიანი.

ბედის ვარსკვლავი

ნაგვიანევი საუბარი მამასთან

უცნაურია, ახლაც აქ ვიდგე
და ავყურებდე ცას ცალი თვალით,
როგორც სალოსი და თან ვამბობდე:
რომელი იყო ჩემი ვარსკვლავი,
ვერ შემოვხაზე, ვერ შემოვკანრე,
ვერ შემოვწერე,
ცარგვალის შიგნით განათებული
ნახევარცაზე წვერნატეხილი,
ის ანათებდა და სხვა ცთომილებს
გარე იკრებდა... ვერ ჩამოვზიდე...
უფრო კი ალბათ არცკი ყოფილა
და დამესიზმრა, მაგრამ სიზმარი
სულ უმნიშვნელო მეჩვენა თვითონ
და ამიტომაც არ დამახსოვდა.

ჩემი ვარსკვლავი წვერწამახული,
წვერწატეხილი, ცარგვალის შიგნით...
რომელი იყო ჩემი ვარსკვლავი,
და თუ ამქვეყნად არცკი ყოფილა,
რატომ ვიცხოვრე ვარსკვლავთქვეშეთში...
ან შენ მითხარი, რატომ იცხოვრე,
მე ხომ არასდროს ეს არ მიკითხავს
და ახლა თუმცა აზრი არა აქვს
ამ კითხვას, მაინც შეგეკითხები
და იქნებ შენც ეს მითხრა პასუხად:

„იქნებ არ არის ძნელი ეძიო
ცის კაბადონზე ერთი ცთომილი,
თუ სულ ეს არის ცხოვრების აზრი,
თუ სულ ეს იყო ჩვენი ცხოვრება,
რომ ნუთით მაინც შეგეხო ხელი
იმისთვის, რაც შორს იციმციმებდა?..
აკი ვიდექით ღამის ქუჩებში
სტუმრადმყოფი და შინ წამოსული,
აკი ვიდექით და ავყურებდით
ცას და იგივეს ვფიქრობდით მაშინ.
უკვე ეს ფიქრი იყო ვარსკვლავი,
თუმცა აინთო და ჩაიფერფლა,
თუმცა განათდა და ჩაინავლა
ისე, ვით ყველა და ყველაფერი,
და ამიტომაც ნუ იტყვი ასე,
რომ ვერ იპოვე შენი ვარსკვლავი,
წვერწამახული და წამტვრეული.
თვითონ სურვილი იყო ვარსკვლავი,
სურვილი ვარსკვლავთმადიებლობის,
და ამიტომაც ნურაფერს მკითხავ,
მე ხომ მაგ სივრცეს გამოვერიდე“.

და მე კი მაინც იმასვე ვიტყვი,
იმასვე ვიტყვი მაინც ჯიუტად:
„რომელი იყო ჩემი ვარსკვლავი,
ვერ შემოვხაზე, ვერ შემოვკანრე,
ვერ შემოვწერე,
ცარგვალის შიგნით განათებული,
ნახევარცაზე წვერწატეხილი,
ის ანათებდა და სხვა ცთომილებს
გარე იკრებდა... ვერ ჩამოვზიდე...“

და შენც იმ ვარსკვლავს ეთანამგზავრე.



დათია ბადალაშვილი

რალაც ღლიურების მსგავსი

მოვა თებერვალი, გაზაფხულის პირი, აამღვრევს ბუნებას და უჩენს ადამიანს ჩუმ სატკივარს, მოხუცებს განსაკუთრებით. ეხუმრები, შენ, ოთხ მკვდარს ორ კვირაში?! მეხუთე ბოტანიკის მოხუცი მასწავლებელი იყო, ნამღევა, მკაცრი. როცა გავაბრაზებდი, მემუქრებოდა, ფანჯრიდან გადაგადებო, უკვე მეცხრეკლასელ ვირს.

წავყევი მეც მესაფლავეებს. ჯერ ერთი, დღეს დავაღამებდი, მეორეც, მახსოვდა მისი ნასწავლი ბუტკო და ფოტოსინთეზი. წავედით საფლავის გასათხრელად: ერთი მოხუცი ყრუ-მუნჯი, ერთიც შუახნის, ლოთობით გვერდზე გადაღმერთილი, ერთიც ჩემხელა აქა-იქა კბილებით და მე – უშნოდ გამომღამებელი წუთისოფლისა. გამოგვყვა სასაფლაოს ცალთვალა ყარაულიც, მოგვიზომა და მოგვადგა კოჭლი ბებერი თავთიხაც. ადრე სასაფლაო ჩემი სათიბი იყო, იხტუნავა კალიასავით კოჭლი ფეხით, აქეთ გზისკენ ნუ გადმოხვალთ, მე და ჩემი ცოლი უნდა დავიმარხოთო. კაცი გულზე დასაყრელი შავი მინით რომ ვერ გაძლება,...

მინა რბილია. რამდენიმე დღის წინ აქ თოვლი იდო, თებერვლის დღენაკლული თოვლი და ებრძოდა გაზაფ-

ხულს, როგორც ჩემი მასწავლებელი სიკვდილს. გაღმა ძველი სასაფლაოა, სოფლის ასაკის. ვიღას არ ნახავ ქვაზე ამოკვეთილს, კავიან მეცხვარეს თუ გუთნისდედას. ფიჭვი დგას ბევრი და სოჭი. მინა – მაგარი, სალი კლდე, ამიტომაც ხალხი აქეთ მარხავს, ახალ სასაფლაოზე, არავის უნდა, თავის მკვდარს გულზე ლოდები დააყაროს. თანაც ძველ სასაფლაოზე საფლავის გათხრისას შეიძლება ვიღაცის კუბოს მოახვედრო წერაქვი. კუბო, სანამ მინაშია, საღია, მოხვედბა მზის სხივი და იშლება. ძვლებია მარტო, ტომარასავით ჩამოცმული ტანსაცმლით. მესაფლავეები შეყოფენ კუბოში ხელს და სასმელს ეძებენ. ძველ სასაფლაოზე შეიძლება შენი მკვდარი ვიღაცას დაამარხო გულზე. სხვისი არ ვიცი და სიკვდილი ჩემთვის მოსვენებაა. და სულაც არ მინდა, ვიღაცას ვანვე გულზე.

ახალზე ბებერი კაკლებია, უამრავი მარმარილო თუ გრანიტი, ვერ ვერკვევი კარგად. მარჯვნივ – წმინდა გიორგის საყდარი, მარცხნივ – ღვთისმშობლის. ღმერთთან სალაპარაკოდ აქ გამოვდივარ ხოლმე.

მინის ზედაპირს ბელტებს აჭრი და საფლავის პირზე აწყობ, მიჯნა რომ არ დაგერღვეს. მერე ნელ-ნელა სიღრმეში ჩადიხარ, მინას მაღლა ყრი – შორს

არა, იქვე. ხვალ დილას ისევ შენ უნდა მიაყარო. მუნჯი მიტევს, ნიჩაბს ხელში ნუ მანვდიო. არ შეიძლება თურმე, მეც მეციინება და მინაზე ვაგდებ.

ჯერ თიხა გვხვდება, მთლად სველი, მერე კი შავი მინა, ისეთი შავი, იფიქრებ ვილაცას განგებ გაუპოხიერებიაო. გვერდზე გადაღმერთილი ფილოსოფოსობს: „რამდენი შეჭამა ამ მინამ და კიდევ რამდენს შეჭამს“.

ზომა, როგორც ნესი, მეტრნახევარია, მალ-მალე ჩაზომება გვეზარება. როცა ზედაპირს ნიკაპით გაუსწორდები, საფლავი მზადაა.

ვლაპარაკობდით იმაზე, როგორი კარგი ამინდი დაუდგა მიცვალებულს – არც ჭირისუფალს აწვალებს და არც მოტრიალეს, მოუვა ხალხი თუ ვალი დაედებათ.

ვილღები, ხელიც ამებებრა. ამოვდივარ და აკოკოლავებულ მინაზე ვჯდები. მალლა გაიფიქრებ – ვისაც ვერ იტან, იმისთვის ბელტსაც არ გადააბრუნებ. ეგაა მხოლოდ, გაგიჭირდება საყვარელი ადამიანისთვის მინის მიფარება. იმაზეც იფიქრებ, არა, ინატრებ, არ ნახო მათი სიკვდილი, ვინც გულით საყვარელია შენთვის. ამისთვის მზად ხარ, რომ შენ ნახვიდე ნინ-ნინ.

გამოგიგზავნიან საჭმელს, ჯდები, არც იბან, იფშენეტ გამხმარ მინას ხელიდან. პირველს ახლად შესვენებულს მოიხსენიებ, მერე უდროოდ წასულეებს, ვინც გული დაგწყვიტა. იცი, რაა? იქნებ, ის უდროოდ წასული იმდენს მიხვდა, მე, დროულადაც რომ წავიდე, ვერ მივხვდები. არ ვიცი.

კიდევ – მოიხსენიებ უპატრონოებს, აღდგომას ნითელი კვერცხის გამგორებელი რომ არ ჰყავთ.

სასმელისგან შეხურებული მერე რას იტყვი, აღარაა საინტერესო.....

როგორ შეიძლება, კაცი თებერვალში მზეს დაემდუროს, ნუ აცხუნებო?! მარა მაჭერდა სასმლით გახურებულ შუბლზე. ფიჭვები შორს იყო, მივნიქი საფლავის გვერდზე და მივხუტე ცხე-

ლი შუბლით ცივ მინას. მოედო სასმელი გადაღმერთილსაც, ვერ ჩადის მინის ამოსაყრელად საფლავში, თუ ჩადის და ველარ ამოდის.

ბოლოჯერლა ჩავედი დაბლა და მივეზომე ნიკაპით, გავუსწორდი უკვე.

მოვრჩით.

წერაქვი მხარზე გავიდე და ჩამოვუარე მინას ამოფარებულებს.

ღმერთო, როგორ არ უხდება ქვაზე დახატული ლამაზი სურათი ჭიისგან შეჭმულ მკვდარს...

მივხვდი, როგორი უნდა იყოს ჩემი საფლავი – უბრალოდ გათლილი ლოდი, გვარი და სახელი.

ერთი საფლავის ღია კარი მივხურე. ქვას გავხედე, ლამაზი ქალია ძალიან და იქვე ეპიტაფიაც:

„ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ. თუ მართლა იცი, რა არის ღვთის მადლი და სასუფეველი“.

რომ არ ვიცი, მაგას ვჩივი მეც...

ჩემს ხსოვნაში

ის დრო ხომ გახსოვთ, დენის მოსვლა დღესასწაულივით რომ იყო?

მანამდე კი ჩაქრებოდა და ბნელდებოდა სოფელი. დაიწყებდნენ უფროსები მთავრობის გინებას, უფრო უფროსები – კომუნისტების ნატვრას, ქალები კი: სინათლე გამოეღოთო თვალში.

გამგზავნიდნენ გარეთ ლამით, როცა ქარი აბუქებდა თოვლს: გაიხედე, ალგეთგალმა სოფლებში თუ არის სინათლეო. თუ იქ იყო და... დათვებს აქვთ სინათლე, ჩვენთან რა სატკივარი სჭირთო?!

ჩვენ გაღმასოფლელ მთიულებს დათვებს ვეძახდით. ისინი ნოპრეებს გვეძახდნენ. ნოპრე რას ნიშნავს, არ ვიცი. ვფიქრობ, კარგს არაფერს.

თუ უფროსებს „მალლა ასახედი“ სასმელი ბლომად ჰქონდათ, მოვიდოდნენ ხასიათზე: გავიდეო დათვებთან და იქნებ, გვასესხონო თითო ვედრო შუქი.

თენდებოდა, უსინათლოდ მაინც...

მონტიორი გვყავდა ერთი, კუსოკას ეძახდნენ. რა ეტყობოდა კუსოკის? მაღალი, ხმელი კაცი იყო, დინჯი. არ მოვიდოდა სინათლე და ჩვენ, პატარები, სკოლიდან მომავლები, უფროსები, მაღაზიასთან აყუდებულები: როდის მოვა სინათლე, მიშა პაპა? როდის მოვა სინათლე, მიშა ძია? გავაბეზრებდით კითხვებით, ის კი დინჯად – მოდისო, გზაშიაო.

გავიზარდე, ისე რა, ახლა ყველაფერი, ხალხი აღარაა ოღონდ.

მე მაინც ველოდები სინათლეს, რომელიც მოდის, გზაშია.

ჯიუტად, მოთმინებით...

●

იყო ერთი კაცი, ვანო. ყოჩოს ეძახდნენ. კი იყო ყოჩივით, მოიხსნიდა დიდ, მსხვილბალთიან ქამარს, ამოსდებდა მოზრდილ ქვას და ეწეოდა კბილებით. თავის გამოსადებად კი არა, ისე, მულამის გულისთვის.

მოიყვანა ცოლი და გალექსა ვანუა ყოჩომ:

*ავიღე ვალი,
ვითხოვე ქალი,
არ გამომადგა,
პანჩური ვკარი.*

რატომ ემდუროდა ცოლს, არ ვიცი, ჩემს ხსოვნაში ტკბილი ქალი იყო.



მოკვდა ყოჩო უცბად, 9 მაისს. მოვიდა დიდი თოვლი, შეკრა გზები. ნამქერს გამოსწრებული, მოკლეპერანგინი ჭირის მოზიარეები კავკავებდნენ სიცივით. იდო თოვლი თეთრად თეთრად აყვავებულ ტყემლებსა და ალუბლებზე.

მე კი მიხაროდა, აღარ მომიწევდა ლექსის წაკითხვა მთელი სოფლის თვალწინ, „შინმოუსვლელთა ობელისკზე“, ხმამაღლა, გამოთქმით.

ისევ ვფიქრობ, რა აქვს საერთო ვალის აღებას ცოლის მოყვანასთან? მგონი, „ინანებ, არ ინანებს“ ჰგავს.

არ ვიცი, რომ მოვიყვან, გავიგებ.

ჩემი ული აღსარება

არ ვიცი, დილით თუ ბინდისას მომიყვანენ შენტან, ღმერთო. ან ალაღად გეტყვი, ან დამაფქვევინებ:

დავიჭირე-მეთქი სხვის ცოლზე თვალი. დავთოფე-მეთქი სახლში შემოვარდნილი. არც ვნანობ.

გავაკეთებდი უფრო ცუდს, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა და პატიოსნება დავარქვი-მეთქი.

კარგი იქნებოდა, წელგამართულს მეთქვა შენტვის, რომ არასოდეს გავმხდარვარ სხვისი ცრემლის მიზეზი, მაგრამ იმედს ვუცრუებდი მათ, ჩემი ზნის გამო, ვისაც ვუყვარდი. ამას ვნანობ მხოლოდ.

საყვედურიც დამცდებოდა კადნიერი, ვითომდა შენ შენი სიდიდით ჩვენს სიმცირეს ვერ ხედავ...

საყვედური, ოღონდ გაბუტული, პატარა ლეკვის წკმუტუნს ჰგავდა.

მერე მივხვდი, ყველაფერში შენი გარევა არ შეიძლებოდა.

ულმერთო გარემოში ვეძებდი პატარა ღმერთს და გპოულობდი, ღვთისნიერ გარემოში კი დიდ ეშმაკს და ვერ ვხვდები, რატომ...

მეტყვი: შენ ცაში მეძებდი, დაგვხედა თუნდაც მიწისთვის და დამინახავდიო მეც.

შენამდე ადრე მოსვლას არ ვჩივი, პირიქით, მიხარია, იმათი წამოსვლა რომ ვერ ვნახე, ვინც მიყვარდა.

შენც შეიჭმუნნი ჩვენ ყურებაში გადათეთრებულ წარბებს...

მეც ჩამაგდებენ კუბურში და შემინთებენ ცეცხლს, ოღონდ დაბალს, როგორც არც ისე წყალწაღებულს.

ჩაფიქრდები შენც და მიხვდები, რომ არაა საკმარისი მილიონი წელი ადამიანებისთვის შენი და სამყაროს რაობის გასაგებად.

მე კი, კუბურში გამთბარს, გამიხარდება, ცეცხლზე შეშას რომ არ უმატებენ.

ძალლი

ლეკვს ახალი ახელილი ჰქონდა თვალები, საქონლის თბილი ბაგის და რძის სუნი ასდიოდა ისევ. ძუ გამოდგა. მამაჩემმაც ვერ გაიმეტა ხელმეორედ გასაჩუქებლად.

ვპარავდი დედაჩემს რძეს, ახალ პურს და ვაჭმევდი. დამრგვალდა, „წამოვიდა წვიმანწყალივით“ – როგორც ბებიჩემი გოჭებზე ამბობდა ხოლმე. ბურთა დავარქვით, გულაღმა ნაქცეულს წამოდგომა უჭირდა სიმსუქნის გამო. ეთამაშებოდა ყველას, მამაჩემთან გასაკრეჭად მოსულებს, მეზობლის კოჭლ ცხენს, თოკმა ფეხი რომ გაუფუჭა და თავიანთი ბოსტნიდან გრძელი კისრის წყალობით ჩვენს ყვავილებს ჭამდა. უყვარდა ფეხზე კბენა, ყოველგვარი გაბოროტების გარეშე და ამის გამო შეიძლება ფეხდაფეხ ედევნა მთელი დღე.

ზაფხულში, თიბვის დროს, როცა შუადღით მუშაობა აუტანელი ხდებო-

და, მწვანე ბალახი ყვითლად იწყებდა კვდომას. ხო იცით, აგვისტოში ყვითელი სიკვდილის ფერია. ლეკვი გაეხვეოდა ბებიჩემის გასარჩევად გაშლილ მატყლში და ეძინა. აიშვერდა მალლა ოთხივე ფეხს. ხოდა, ჩხუბობდა ბებიჩემი:

ახალი ჩულქი დამიხიაო, ამ დასანველმა! – მაგრამ მალევე უბრუნდებოდა „დასანველ“ ლეკვზე გული და პატიუბდა მატყლზე:

„დანე, გოგო, ნანინა ქენი!“

არ დადგებო ამისგან „ფხიზელი“ ძალლი, – ამბობდა მამაჩემი. ყურების დაჭრა მოუნდა, „გამოფხიზლებისთვისო“ და არ დავანებე. არ მოუხდებამეთქი.

სწავლა დაიწყო და წამოვედი სოფლიდან, არდადეგებზე ავბრუნდი ისევ. ლეკვი გაზრდილი დამხვდა. თვეები ჩვენთვისაა ცოტა, ძაღლისთვის, ალბათ, ძალიან ბევრი.

მამაჩემი აშკარად კმაყოფილი იყო ძაღლით: ფხიზელია, მთელი ღამე ყეფს, უცხო საქონელს არ აჩერებსო ეზოში. ბებიჩემი სიძეებს ელოდებოდა უკვე, ამძუნდებო მალე, ასკვნიდა, ვეტიქიმ ეფრემასავით. დავუსხი საღამოს მოპარული რძე, ჩავუფშვენი ახალი პური და როცა თამაში ვცადე, წამწვდა გაავებული საკბენად ფეხებში.

გაზრდილიყო და გაბოროტებულიყო...

არ მომეწონა ეს. მერჩინა, ისევ ისეთი მხიარული და უწყინარი დარჩენილიყო (ჯანდაბას, წაერთმია წიგნი და მედევნა კარტოფილის კვლებზე, ეთქვა მერე ბებიჩემს, არაფერი გეშველებო...)

მარა მას რას ვერჩოდი, მე თვითონ ვიცვლებოდი დღითი დღე, სქელკანიანი ვხდებოდი: აღარ მალეღვებდა ფილმი ცუდი დასასრულით, კუთხეში მდგარი ბებრული ცრემლით მტირალი მათხოვარი, კარგი წიგნი და წყაროში ჩაცვნილი ვერხვის ოქროსფერი ფოთლები, ჰაერით სავსე კოპლები გიმპერივით შავ კუნელზე. ჰოდა, რაღას ვერჩოდი ძაღლს... დაღამდა...

თებერვლის ღამეა ცივი, თოვლის ღამეული მსხვილი ფანტელით. ვზივარ ჩამქრალ ლუმელთან და ვკითხულობ ბუნინის ლიკას სანთლის შუქზე ინტერნეტის ხანაში.

ვრჩები წიგნს და ჩემი ძაღლის გავებული ყეფაც მესმის. მგელია! ძაღლს წაიყვანს. გავვარდი წინდების ამარა მუხლამდე თოვლში, მივრბივარ, მივრბივარ და ვყვირი მთელი ძალით. ვეძახი ძაღლს. ფერდაზე ვაშლის ხესთან ხელებზე გავხობდი კიდევაც. ახლა უკვე ჩემი ძაღლის უმწეო წკმუტუნი მესმის ხევს გადაღმიდან, კილომეტრს იქით. გული რომ ამომვარდა, გავჩერდი.

თოვლში ნაგორავები, სისხლი და

დიდი ნაკვალევი დავინახე მგლის. ჩავჯექი თოვლში. ქარის ხმა, ხევის ლუკლუკი და გაყინული ტირიფის ტოტების ტკაცატკუცი ისმოდა მხოლოდ.

ველარაფერს უშველი, წაიყვანაო უკვე, – დამიყვირა მამაჩემმა სახლიდან, ჩემი გულჩვილობით გაბრაზებულმა იმ ღამესავით სუსხიანი ხმით. მგლის ბოდმა რომ არა, აუცილებლად მოვალეები პირს.

მე მაინც დიდხანს ვეძახდი ძაღლს, უმწეობით გატენილი ბრაზით და სველი ფეხებით.



თემურ ჭკუასელი



●
ბედისწერის ბებერ წიგნის
დღეებს ფურცლავს ბინდები,
დრომ ჩააცვა მახსოვრობას
დავინწყების წინდები.
ყველაფერი კვამლად მოჩანს,
წარსულს მიქებს მირაჟი,
სისხლით ავსებს მაცდურ სირჩას
საიქიოს სირაჯი.
მე კი მაინც მენატრება
სიმღერათა დღეები –
დახუნძლული შემოდგომა
გიორგობის თვეებით.

ლოდინი

წუხელ ველოდი და იმედი გამიცრუა.
დილამ ჩამოთოვა თოვლის ფანტელები,
ტყემ მასპინძლობაზე გული აიცრუა
და ზეცას შეაგება კურკანტელები.
ფერადი ნამქერია, თეთრი და წითელი,
ღრუბლებიც დასცქერის და... ცრიის, როგორც საცერი,
ფიქრისთვის ფაცურია ტყისპირა დიდველი,
იმ დიდველს გასცქერის ეჭვი ასაცრელი.
მოვა თუ არ მოვა?! მოვა თუ არ მოვა?!
ლოდინი გამხდარაყველა გზის ჩამკეტი,
ამალამ ბუხრიდან სიზმრები ამოვა
და ტყიდან გამოვა თეთრი კუნაპეტი.

მონატრება ქარში

შემოდგომის იმ დილას მოღრუბლულ გუნებაზე ავდექი. ცოტაც და სულში გამინვიმდებოდა, მაგრამ, კიდევ კარგი, რომ წვიმას მცხეთისკენ გავასწარი.

იქ კი, გზათ მცხეთისკენ, მტკვრის პირა ხეივანში, ქარმა მოულოდნელად შემოდგომის ფოთლები წამოხვეტა, ჯერ თავბრუ დაახვია, მერე წინ გაირეკა და ისეთი გაუგებარი სილამაზის ფერხულში ჩააბა, რომლის დადგმაც მხოლოდ ბუნებას თუ ძალუძს და რომლის ფარდი შედარების ძებნა ამო სურვილია. უნდა უცქირო და შეეცადო, თვალების ხამხამსაც კი დაანებო თავი, დროებით მაინც. ანდა ფანჯარა ჩაალო და იმ დღესასწაულ ქარს ხეს მოწყვეტილი ფოთოლივით გაატანო სიმღერის ნაფლეთი. „მაცალე სულის ამოთქმა, დახამხამება თვალისა“, – თან რეფრენივით მიაძახო ხმაჩახლეჩილი აღტაცება. – „აუუუუ!!!“

ცელქი ბავშვივით ავყევი ქარის თამაშს და ფოთლების ფერხულს ავედევნე. სწორედ ამ დროს ვინატრე ის! ნეტავ ახლა გვერდით მყავდეს-მეთქი, ძველებურად-მეთქი. ის, ქარში მოფარფატე შემოდგომის ფოთოლივით ფერადი რომ იყო და სიფრიფანა.

სულ რამდენიმე წამი მივდევდი ოქროსფერ ფერხულს და იმ რამდენიმე წამმა მთელი კვირის სიმწრით ნაგროვები უამინდობაც ქარს გაატანა. გუნებაც გადამეკარა და, ბიჭოს, მგონი გავიღიმე კიდევც.

ჰოდა, ის გაუბედავი ღიმილი ჯერ ისევ ჩემს სახეზე ნებივრობდა, როცა უეცრად, თითქოს რომელიღაც მხუთავი გაზი მიასხურესო, ნაცრისფერ გზაზე მოცელილივით დაცვივდა მთელი ეს ულამაზესი კორიანტელი და გაირინდა. დაიხოცნენ წუთის წინ ლაღად მოცეკვავე ფოთლები...

„ჩადგა ქარი!“ – გავიფიქრე და სიჩქარე შევანელე.

წერილი თუ სისხარული?!

– რა გენატრებათ?! – მკითხა ოდესღაც ჟურნალისტმა და თან, მახსოვს, ისე გამიღიმა, რომ, მივხვდი, ეგრეთ წოდებული „უხერხული“ კითხვების კრიალოსანი ჩაცლილი ჰქონდა და იმასაც მივხვდი, რომ რაღაც ორიგინალურ პასუხს ელოდა ჩემგან – რაღაც ისეთს, „ნანვიმარ სილაში ვარდს“ მიმსგავსებულს.

– ყველაზე მეტად?! – დროის მოსაგებად შევუბრუნეკითხვა.

– ხოო, ყველაზე მეტად...

დიდი ხნის წინ იყო ეს, თავის მონონება რომ ჯერ კიდევ მიხაროდა.

რა ვუპასუხე მაშინ იმ მომღიმა-რე ჟურნალისტს და გაგუხანგრძლივე თუ არა მის ღიმილს სიცოცხლე, ეგ კი აღარ მახსოვს. ეტყობა „ჩავფლავდი“, თორემ მემახსოვრებოდა. მონატრების სწრაფად გამოგონება ვერ მოვახერხე, ალბათ. გონების სისხარტემ მილაღატა.

რატომ გამოგონება?! იმიტომ, რომ კაცს მართლა რაც გენატრება, იმის უცხოთვის კი არა, საკუთარი თავისთვის გამხელაც გიჭირს ზოგჯერ. მით უმეტეს, გითხარით უკვე, დიდი ხნის წინ იყო ეგ-მეთქი, მაშინ, როცა მონატრების სეზონის დადგომამდე საკმაოდ დიდი დრო მქონდა გასავლელი.

ჰოდა, თითებშუა ჩაცლილ სილასავით გაქრა ის „საკმაო დრო“ და უკანასკნელი მატარებელივით ჩამოდგა მონატრების სეზონი ჩემი ცხოვრების ბაქანზე. ჭეშმარიტი მონატრება ხომ ასაკის მგზავრია.

მანამდე?! მანამდე ყველაფერი ზერელეა, ცხოვრებაც კი... ხინკალი გენატრება და ელარჯი. ჰა და ჰა, ბებიის ქვასანაყის სუნი...

ნაღდი მონატრება კი არასოდეს იცი, როდის შემოგიღებს კარს. დაუკითხავად შემოგიძვრება სანოლში და შენთან ერთად ფხიზლობს. ჩაგეძინება და ფორია-

ქით გაღვიძებს. არ აინტერესებს, რამხელა გზა გაქვს გამოვლილი და როგორ ხარ დალლილი. გაჯიუტებული ფიქრით არ გაძლევს მოსვენებას.

დგები მერე ერთ მშვენიერ დღეს და ოდესღაც შენს მონატრებასთან ერთად გავლილი გზების ძებნას იწყებ, ოღონდ ამჯერად მარტო და თანაც წვიმაში, სახეზე ჩამოგორებული ცრემლი რომ არ შეგამჩნიონ. გერიდება მაინც... ის წვიმიანი გზა ხომ მონატრების გზაა... გზა, რომელიც ოდესღაც საყვარელ ადამიანთან ერთად გქონდა გავლილი. მაშინ, როცა არ წვიმდა და მზის სხივების ნაჩუქარი საღამო სიყვარულის გამოც იყო თბილი.

ბევრი სხვა გზაც მომნატრებია. აბა, გამოვლილ გზებს რა გამომიღევს, მაგრამ მერე და მერე, წლების კვალდაკვალ, თანდათან ძლიერდება დრო-ჟამის მლაშე ქარი და შენთვის გამოყოფილ დღეებთან ერთად ბაბუანვერას ფთილებივით სათითაოდ და მეთოდურად გტაცებს მონატრების გზებსაც და ბილიკებსაც. ასე თანდათან გეკარგება ნაჩვევი და თვინიერი მონატრებები.

ცხოვრებისეული ყოველდღიურობა ხომ მახსოვრობისა და სხვა მსგავსი „შემანუხებლების“ დაუღლე მტერია. გინდა არ გინდა, გასურს თუ არ გასურს, შენი ოდესღაც ნებიერი მონატრება ჯერ ყოველდღიურობის საცერში იცრება, მერე კი სამუდამოდ იფანტება მზის სხივებით შენუხებული ნისლივით.

ასე თანდათან კრისტალდება ყველაფერი. კრისტალდება და ბოლოს ხელში ერთი, ერთადერთი მონატრება გრჩება – გაჯიუტებული მაყარივით ახირებული, მაგრამ შენთვის უსაყვარლესი, როგორც ყველა მონატრების დარდიანი ვეზირი...

აუუუ, რამდენი ვილაპარაკე, გადაგლალეთ, ალბათ, მეც დავიღალე, მაგრამ, რა ვქნა, ხომ ხედავთ გამოცდილ მონადირესავით ვეპარები მთავარ სათქმელს.

იმიტომ ხომ არა, რომ, რაც უნდა გაგიმხილოთ, თავადვეა შენიღბული?!

იმიტომ ხომ არა, რომ მთავარი მონატრება სულ სხვაა და სწორედ იმ მთავარს ნიღბავს?!

იმიტომ ხომ არა, რომ ცხოვრება ნესტიანი ფიქრია?!

იმიტომ ხომ არა, რომ ცრემლი საბუდარშია ჩაბუდებული?!

ჩამომივარდებოდა ქუთუთოდან ობოლი წამწამი, მოიკალათებდა რომელიმე ღანვზე ან უფრო ქვემოთ ყვრიმალზე, შეამჩნევდა ის და ღიმილით მკითხავდა: „წერილი თუ სიხარული?“ თან ამ დროს მონდომებით ცდილობდა წამწამიანი ღანვისთვის როგორმე არ შეეხედა... ცდილობდა, მაგრამ ვერასოდეს ახერხებდა ამას და მეც უტყუარად ვიცოდი ხოლმე სახის რომელ მხარეს მქონდა ასარჩევი – ან წერილი, ან სიხარული. ცდილობდა, მაგრამ ჩემთვის ხომ მთავარი არჩევანი მისი გახარება იყო, ამიტომაც მუდამ პირიქით ვპასუხობდი.

ნეტა გენახათ, როგორ უხაროდა... ჩემია, ჩემიაო, მომტაცებდა სახიდან წამწამს და გულთან იხუტებდა, თან ამ დროს ისეთი ბედნიერი იყო, ისეთი ბედნიერი, რომ... აბა, რა გითხრათ.

მორჩა! აღარასდროს განმეორდება. აღარც წერილი, აღარც სიხარული. ორივე არჩევანი სამუდამოდ გაქრა. ჩემთვის გაქრა და მისთვის ხომ საერთოდ.

ჰოდა, აი, ეს მენატრება, წერილი მენატრება და სიხარული მენატრება.

ყოველ დღით აბაზანაში შესვლისას სარკეში ვიყურები და საკუთარ ღანვებს უაზროდ შევცქერი კარგა ხანს. ამაოდ შევცქერი, რადგან, იქ ჩამოვარდნილი წამწამი აღარ მინახავს. თითქოს წამწამებიც მიხვდნენ, რომ ქუთუთობის მიტოვებით ველარავის გაახარებენ. მე კი მაინც ყოველ დღით, საღამოსაც, ჯიუტად გამიბრბის თვალი ყვრიმალუბისკენ. თითქმის ჩვეულებად მექცა

უკვე, მაგრამ, ჩამოვარდნილი წამწამის ნაცვლად, კარგა ხანია, სულ სხვა რამეს ვამჩნევ – როგორ თანდათან იცვლის ფერს ღანვები და როგორი დაჟინებით ჭკნებიან. ისე ჭკნებიან, რომ ვატყობ, მალე წამწამს კი არა, ცრემლსაც გაუჭირდება ზედ ჩამოგორება.

მოსტუნაკე აზრები

– ძნელია კეთილად იცხოვრო, როცა გარშემო მხოლოდ უზნეო ადამიანები კი არა, უზნეო ქვეყნები გარტყია...

– დოსტოევსკი გენიოსი იყო. კარგად დაუგდეთ ყური რას ამბობს: „შეყვარება არ ნიშნავს სიყვარულს... შეიძლება ვინმე შეგიყვარდეს და მაინც გძულდეს“. აი, კლასიკური მაგალითი აზროვნებისა, რომელიც გაიძულებს, შენც იაზროვნო.

– კაცმა ცოლი ოცდაათიდან ოცდათხუთმეტი წლის ასაკში უნდა შეირთოს. იმ ურჩმა კი, რომელმაც ოცდათხუთმეტი წელს მიაღწია და ცოლი არ შეურთავს, ყოველწლიურად სასჯელის სახით უნდა იხადოს გარკვეული თანხა, რათა არ ეგონოს, თითქოს და მარტოხელა ცხოვრებას მისთვის ხეირი და შეღავათი მოჰქონდეს. სანამ შემრისხავდეთ, მოვასწრებ და გეტყვით, რომ ეს მე კი არა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პლატონმა თქვა. დიახ! დიახ! პლატონმა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე... სხვათა შორის, მოგვიანებით კომუნისტებიც იზიარებდნენ ამას და ყველა ზრდასრულ უცოლო მამაკაცს ხელფასიდან უშვილობის გადასახადს უქვითავდნენ. კურიოზებიც ხდებოდა, სამშვილიან და ცოლს გაცილებულ, ერთ ჩემს მეგობარს ბუღალტერი უშვილობის ფულსა და ალიმენტს ერთდროულად უქვითავდა, ცნობა არ გაქვს მოტანილიო...

სახელების შერჩევის დროს ადამიანებს მეტი ყურადღება გვმართებს. ავიღოთ თუნდაც ჩვეულებრივი „სანტიექნიკი“. თუ ამ სიტყვას აი, ასე დავანაწევრებთ: სანტი-ექნიკი, გამოდის, რომ ამ ვილაც ექნიკს წმინდანად მოვიხსენიებთ. ასე, რომ სიფრთხილე გვმართებს, წმინდანად არ მოგვეჩვენოს ხოლმე ჩვეულებრივი უნიტაზის დამყენებლები.

სახალისო დიალოგი:

– ჩემს შვილს ჩემი მომავალი რომაა, პირდაპირი გაგებით ესმის და მე რომ დღეს ვილაშქვ, იგი იმ დღეს ითენებს...

– ეგ როგორ?

– ამერიკაში ცხოვრობს...

– ამქვეყნად ყველაზე მეტი სიმდიდრე სიმშვიდეა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სიმდიდრეს არ მოაქვს. აღარ მახსოვს წავიკითხე ეს სადმე თუ თავად მოვიხელთე.

სახალისო კითხვა-პასუხი:

კითხვა – ტო, ტელე არის?!

პასუხი – არის ტოტელე!

– თუ ძალას ღირსება ახლავს, მაშინ იგი მშვიდია და არა საშიში.

– ველარ ვიხსენებ რომელმაც ფილოსოფოსმა თქვა: სინდისი და პატიოსნება ტანსაცმელს ჰგავს, რაც უფრო მეტად შეგეაბნება, მით უფრო დაუდევრად ეპყრობიო.

– სიხარბე მხოლოდ გონებას ეპატიეება.

სტენდალმა თქვა, მე გახსენებთ: „მოქნილ ჭკუას შეუძლია სილამაზე ჩანაცვლოს“.

– ადამიანთა უმრავლესობის აზროვნება შავ-თეთრია. მხოლოდ პოეტებს აქვთ ფერადი აზროვნება. ვინც ლექსებს წერს იმათ კი არა, პოეტური სულის მქონე ადამიანებს. ამიტომაც გაივსო ქვეყანა შავ-თეთრი ლექსებით.

მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე



თანამედროვე ქართული პოეზიის ენისათვის „ცისკარი 1852“

I
რამდენად აზის ჩვენი დროის „დალი“ თანამედროვე ქართული პოეზიის ენას, რა ფორმებს ირჩევენ პოეტები და რაზე მეტყველებენ სიტყვანი?

ენა მრავალი თვალსაზრისით შეისწავლება. ბესარიონ ჯორბენაძე ენის შესწავლის ყველა მიდგომას სამ ძირითად ასპექტამდე დაიყვანს: „ა) ენა თავისთავად, ე.ი. ენის ფორმოზოგიური და სემანტიკური სისტემების, სტრუქტურების შესწავლა; ბ) ენა, როგორც ერის კულტურის შემადგენელი ელემენტი; გ) ენა, როგორც მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალება (ანუ ენის შესწავლა პოეტური ლოგიკის თვალსაზრისით)“.

ჩვენთვის საინტერესოა ენის შესწავლის უკანასკნელი მიდგომა, რადგან მიგვაჩნია, რომ სინამდვილის მხატვრული ასახვისას განსაკუთრებით იჩენს თავს ენისადმი სუბიექტური დამოკიდებულება. ამიტომ არის, რომ ერთი და იგივე საგანი ან მოვლენა, შესაძლოა სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო ასოციაციებსაც კი იწვევდეს ორ შემოქმედში. შემოქმედის ენისადმი,

სიტყვისადმი დამოკიდებულება იქცევა მისი თვითმყოფადობის საფუძვლად. ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედების უმკაცრესი კანონები ხელოვანისგან ითხოვს არა მხოლოდ სათქმელის ორიგინალობას, არამედ აზრის გადმოსაცემად სწორად შერჩეულ ენობრივ ქსოვილსაც, ანუ შინაარსის შესაფერის ფორმას.

1852-1863 წლებში ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე ენის საკითხზე გაშლილი პოლემიკა ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩნდა. მოპაექრე მხარეებს განსხვავებულად ესმოდათ გამართული წერა-კითხვის ნორმები, მეტიც, არსებობდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ნორმირებული ენა პირობითი მოვლენა იყო.

დ. ბაქრაძე წერდა: „მე არ მწამს ესა, გრამატიკის კანონებით ენის სწავლა. გრამატიკის კანონებით ენის სწავლა შეუძლებელია, როგორც ლოგიკის კანონებით მსჯელობა. მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში, აგრეთვე შემდეგ, ქართველთ არ ჰქონიათ დაწერილი გრამატიკა. მაშ, რუსთაველმა,

ჩახრუხაძემ, ვახუშტიმ და საბა ორბელიანმა, რომლის კანონებით ისწავლეს სამშობლო ენა?”

საკმაოდ მაკაცრი იყო არჩილ ჯორჯაძის პასუხი: „განა უცნაური არ არის, მეცნიერმა სთქვას, ენის კანონების შესწავლა არ არის საჭიროო? რუსთაველს არ შეუწნავლია და ნახეთ, რა ენაზე სწერსო. ჯერ ერთი, არ ვიცით, შეუწნავლია თუ არ შეუწნავლია. იმ ხანაში განათლება საქართველოში სხვა ხარისხის იყო“.

კითხვა – სად და როგორ შეისწავლა რუსთაველმა გრამატიკა, საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაისვა. პასუხი არც დღეს ვიცით დანამდვილებით, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ პოლემიკა იმ მოაზროვნეთა სასარგებლოდ დამთავრდა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ გრამატიკული წესები ენის განვითარების ბალავარს ქმნის. ამიტომ „ცისკრის“ ფურცლები შემდგომშიც ერთგულეზდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს და ამით მძლავრად უწყობდა ხელს მის განვითარებას.

არ ვიცით, ვინ შეასწავლა რუსთველს გრამატიკა, თორემ მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ იქნება საკმარისი იმის დამადასტურებლად, რომ სიტყვა თავის მხატვრულ ფუნქციას ასრულებს არა მარტო შინაარსზე დაყრდნობით, მისი მნიშვნელობის პოეტური გააზრებით, არამედ იგი მხოლოდ ფორმითაც შესაძლოა, იქცეს მხატვრული ფუნქციის მატარებლად. „ვეფხისტყაოსანში“ უხვად არის გაბნეული პერსონაჟთა ხორციელი სილამაზის ამსახველი ეპითეტები, მაგრამ მათ სულიერ სამყაროს, უპირველეს ყოვლისა, მათივე სიტყვა გადმოგვიშლის, ნამოქმედარზე უკეთესად მათი ნათქვამი წარმოგვისახავს პიროვნულ ხატს. სამართლიანადაა ნათქვამი: „განა ეს ერთადერთი შორისდებული, რომელსაც ნესტანის გამტაცებელნი „ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა“, გაჰყვიან, არ წარმოა-

ჩენს მათ პრიმიტიულსა და ველურ ბუნებას – „მათ გაეხარნეს, ხმა-მალლად იყივლეს: იპი, იპია?!“, განა ჭაშნაგირის მუქარით დამფრთხალი ფატმანის ვიშვიში და ნიოკობა უკეთ არ ჩაგვახედებს მის სულში: „მოსთქვამს: მოგვკალ, ჰაი, ქმარი, ამოვნყვიდენ წვრილნი შვილნი“ (ბესარიონ ჯორბენაძე).

პერსონაჟთა ხასიათების ძერწვის ეს ხერხი შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებში კიდევ უფრო დაიხვეწა, გამრავალფეროვნდა, თვისებრივად შეიცვალა: თუ ადრე ხასიათის დახატვა ნათქვამის შინაარსს, აზრს ეკისრებოდა, მოგვიანებით ამ მიზნით გამოიყენეს ფორმაც: ეროვნული, სოციალური, საზოგადოებრივი თუ სხვა მახასიათებლების წარმოსაჩენად პერსონაჟის ნათქვამში ჩაერთო დიალექტიზმები, ბარბარიზმები, მხოლოდ ამა თუ იმ პირისადმი ნიშანდობლივი გამოთქმები.

ასე რომ, დადასტურდა ზემოაღნიშნული – სიტყვა თავისთავად იქცა მოქმედის მახასიათებლად ისე, რომ მოქმედება აღარ გახდა საჭირო. შესაბამისად, სიტყვა ერთგვარ საზომადაც გამოდგა სულიერი მდგომარეობის შესაფასებლად.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენ თვითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებილა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იმტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს? სულიერი დამცრობა ენის დაკნინებასაც იწვევს. გახუნებული და უსახური ნათქვამების მომრავლებას“.

ვინ, ვინ და გალაკტიონ ტაბიძემ იცოდა სიტყვის ფასი. ნიშანდობლივია მისი მეუღლისადმი მიწერილი ერთ-ერთი ბარათი. პოეტს მიუღია ანონიმური წერილი, სადაც ავტორი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა გალაკტიონს. ამის შესახებ პოეტი მეუღლეს სწერს: „მან სულ რამდენიმე სიტყვაში თქვა თავისი თავი“.

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ სიტყვას აქვს უნარი, წარმოაჩინოს პიროვნე-

ბაც და თვით ეპოქაც. განსაკუთრებით სიტყვას, განფენილს პოეზიაში.

საინტერესოა, როგორია სიტყვისადმი თანამედროვე პოეტების დამოკიდებულება – რა განაჩენს გამოუტანს მათ მიერ შერჩეული სიტყვა თავად ავტორებს?

ღვთის წყალობით, ლექსი დღესაც ბევრი ინერება და იბეჭდება. საკმაოდ ძნელი იყო შერჩევა, საიდან დაგვეწყოს და ვისით. შევჩერდით პოეზიაზე, რომელსაც ბეჭდავს ჟურნალი „ცისკარი 1852“, რითაც ერთგვარად გამოვეჩმაურეთ ჟურნალის აღდგენას და გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იან წლებში თავის დროზე გაჩაღებულმა პოლემიკამ დიდად განსაზღვრა ქართული სიტყვის ბედი (ანუ ვინცებთ თავიდან). ამ არჩევანმა კიდევ ერთი კითხვა გააჩინა: როგორია „ცისკარი 1852-ის“ არჩევანი? ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებს გავცემთ ჟურნალ „ცისკარი 1852-ის“ 2015 წლის ნომრებში დაბეჭდილი პოეზიიდან. აქვე გამოვხატავთ განსაკუთრებულ მაღლიერებას ჟურნალის მისამართით, რომელმაც თავი მოუყარა საინტერესო ხელოვანთა შემოქმედებას და მათი კვლევის საშუალება მოგვცა.

მხატვრული ნაწარმოებების ენის, მათ შორის პოეზიის ენის შესწავლას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. პოეტის ენა მრავალმხრივად შეისწავლებოდა: ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებებით, სინტაქსური კონსტრუქციებითა თუ სტილისტიკური მიდგომით.

ძველი ქართული ენის სინტაქსი, სიტყვათა წყობა და ლექსიკა უცხო არასდროს იყო ქართული პოეზიისთვის და ეს ასეა დღესაც. ლექსებში ახლაც გვხვდება, „**ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ხასიათის**“ არქაიზმები. განსაკუთრებულ ოსტატობასთან ერთად, განსწავლულობასაც საჭიროებს ძველ ქართულთან ზიარება. ამიტომ არ მიგვაჩნია მოულოდნელობად, რომ პოე-

ზიაში შედარებით ხანგრძლივად ნაწრთობი პოეტები მიმართავენ ლექსს არქაულ წყობაზე გამართავენ ხოლმე. შეინიშნება კანონზომიერება: ძველი ქართული ენის ნორმები გამოყენებულია ლექსის შინაარსთან შესაბამისობის მიზნით, მაგალითად: ისეთი სათქმელის გადმოსაცემად, რომელიც მარადიულ ღირებულებებს ეფუძნება, რომელსაც დრო და სივრცე არ გააჩნია.

„რადა კრთი, სულო, რად სხვაგვარით რთოლვით მევესები“ – ასე იწყება მანანა ჩიტიშვილის ლექსი „**სამადლობელი**“ (№1), რაც „სინტაქსური არქაიზმის“ ნიმუშია. ლექსში გამოყენებულია სულ რამდენიმე არქაული სიტყვა:

*მაღალ პალატებს საოსტიგნე
მწირის ვარჩიე,
იცის კი ვინმემ,
რა უშქარი გზებით ვიარე...*

ასე გრძელდება ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ნორმებით. მიუხედავად ამისა, პირველ ორ სტრიქონში სიტყვათა წყობით შექმნილი განცდა და ძველი ქართული ლექსიკა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ სამადლობელი სიტყვები მკითხველმა ლოცვად აღიქვას. განცდა იმისა, რომ უფლისადმი მიმართულ სათქმელს ისმენს, მკითხველს უჩნდება მანამ, სანამ გაიაზრებს თავად სიტყვების, სათქმელის შინაარსს.

ჯარჯი ფხოველის ლექსში „**მოდი, დაამშვიდე შეთქმული სიტყვები**“ ძველი ქართულის ფორმა მეტი სიმძაფრისა და ემოციისთვის არის გამოყენებული. ვფიქრობთ, პოეტი სათქმელის გაძლიერების ფუნქციით იყენებს მას:

*მოდი, დაამშვიდე შეთქმული
სიტყვები,
ამ ქვეყანაზე იმედი ხომ ყველას
ეკუთვნის,
იმ ველური ნადირის გარდა,
ვინც ალაგო ციხეკოშკები,*

ვინც შორიდან თვალებს
გიმწვეტებს,
ვინც გაგაძვეა თავის ჯოგიდან!
(№1).

„ალ-“ (აღაგო/ააგო) ზმნისწინის ძველი ფორმით გამოყენებამ ფორმაში კიდევ უფრო დააძველა აგებული ციხეკოშკები და შორეულ წარსულში გადაისროლა მათი ამგებნი.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული ფუნქცია აქვს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელ ფორმებსა და კონსტრუქციებს მურმან ჯგუბურიას, როგორც ავტორი უწოდებს, პოემა-შეგონებაში **„გუბერნატორად გამწესების წინ დონკიხოტმა სანჩო-პანსას ჭკუა დაარიგა“**. როგორც სათაურიდან ჩანს, პოემა დიდაქტიკური ხასიათისაა. დონ კიხოტი სანჩო პანსას 21-ე საუკუნის გადასახედიდან არიგებს ჭკუას, ესაუბრება ღირებულებებსა და ფასეულობებზე, სათავეს ჯერ კიდევ ადამისა და ევას დროიდან რომ იღებს. დროის საზღვარი წაშლილია. ამას თვითონ პოეტის სიტყვები უკეთ გამოხატავს:

რაც შენ გგონია, ახალია, არს
ოდენ ძველი
და იქ ყვავილობ, სადაც უკვე
მწიფეა რთველი.

ენობრივი ქსოვილიც ნარევია, ზუსტად ისევე არაერთსახოვანი, როგორც ნათქვამი – სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ეპოქის, მაგრამ გასაგები და ჩვენამდე მოსული. ენობრივად ე.წ. ახალი და ძველი სტილის შერევით ავტორი ადასტურებს, რომ სინამდვილეში რაც **„ახალია, არს ოდენ ძველი“**:

გამორიცხული სულ არ არის,
გარდათქვას ლექსად
კაზმული სიტყვის მოყვარულმა,
აქ გირჩევ რასაც,
და ჩაულრმავდეს ჩვენს შინამოს

და არა ფასადს,
ეთქვათ, რას ვჭამთ, რას ვსვამთ,
რა გვაცვია ანდა რა გვმოსავს,
რამეთუ გული მაცხოვარმა
ჩაგვიდგა ლოცვად,
და სული ჩვენი აღამალლა
მინიდან ცამდე.

მთელი პოემა აგებულია ამგვარი ოპოზიციებით: ლუკმაპური და სარჩო, ხამს და უნდა, მეტადრე და უფრო, შავი/თეთრი ან ურგი/სარგი ან ცუდი/კარგი; მიუსართო და არგუნო და ა.შ. საინტერესოდ გვეჩვენება შოთა რუსთაველის სიტყვების ავტორისეული პერიფრაზი:

თუ თავი შენი შენვე გახლავს,
ვით ამბობს შოთა,
ვინაც პოემა უებარი აზრებით
მორთა,
თუმცა პოემის მახსოვარი შენ
არ ხარ, მაგრამ,
ეს ერთი მაინც დაიხსომე
ნიადაგ, რადგან,
უფრორე კარგი არა თქმულა
მოკვდავი ენით:
„რასაცა გასცემ (მარტოოდენ)
ის არის შენი.

ზოგიერთ შემთხვევაში **„ვით“** ზმნიზედის გამოყენება შეიძლება, არქაიზმად მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, აქ უნდა გავმიჯნოთ ორი პირობა – პირველი, როდესაც ზმნიზედას მოჰყვება ძველი ქართული სინტაქსური კონსტრუქცია, ანუ ფრაზა გამართულია ძველი ქართული ენობრივი ნორმების მიხედვით და მეორე, როდესაც კავშირი **როგორც უბრალოდ, რიტმის გამო ვერ ჯდება** და ჩანაცვლებულია ზმნიზედით **ვით**:

„ვით წვიმის წვეთი მიტოვებულ
ქუჩის შადრევანს“ (დოლიძე, სიჩუმე
შტორმის წინ, №4);

„იყავი მშვიდი, ვით მარანში
პირსავსე ქვევრი“ (ჯგუბურია, №5).
გამოიკვეთა ერთი კანონზომიერება:

თანამედროვე ქართულ პოეზიაში **როგორც** თავისუფლად ინაცვლებს ვით ზმნიზედას და ამის მაგალითები უხვად დასტურდება ყველა თაობის პოეტთა ენაში. არის შემთხვევები, როდესაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძველი ლექსიკური ერთეული შერჩეულია ალიტერაციის ეფექტის მისაღწევად და ჭირს რამე კონკრეტული ფუნქციის დანახვა:

*ლექსებს იმედს ვაცმევ, ცრემლში
ტანდაბანილს
სტროფებს ზეპურსა და ზეპირს,
რა ვქნა?! – შენზე გადის ჩემი
ჯანდაბანიც,
ჩემი იმის იქით გზებიც (დოლიძე,
„გალათეა“, №4).*

განსხვავებული განცდა რჩება მკითხველს ნანა გასვიანის პოეზიის კითხვისას. ლექსში „**იმწუთიერი**“ ენობრივი ფორმა-კონსტრუქციები თანამედროვე ქართული ენის გრამატიკული ნორმების შესაბამისია, მაგრამ ერთ ფრაზაში თავმოყრილი უცხო და ძველი ქართული ლექსიკა ისე მიჰყვება ერთმანეთს, რომ მათ შორის ზღვარი იშლება, მაგ:

*რიფებს გავცდით და ავცდით
სანაოს,
სისხლიც ვკემსეთ და სევდის
ხოშარიც,
მზის ტალანებში თანისთანაობს,
ვინც ხვალ ვიყავი – მარგი.
კლოშარი.*

ან: *ძლივს გავარჩიეთ გვრიტის
დისკანტი.*

ან: *ჩავუარეთ და ჩავაყოლეთ
თვალი უშქარი,
ცხრა სკნელს, ცხრა ღარტაფს
გავცდით ხაშმიანს,
მოვზიდეთ მშვილდი, დავჭიმეთ
ლარი
და წავასწარით – ერებოსის*

*განიხვნა საშო –
გადაუკვანდა ცის კიდურმა მზის
სხივს ჭიპლარი.
წლების ქერეჭი, დღეების ხრილი,
უსხი სიცოცხლის ეს ვოიაჟი,
თქვენ გქონდეთ. ნავალ მე
თავდახრილი,
ჭილის ქუდით და საკვოიაჟით.*

საინტერესო ექსპერიმენტი, რომელიც ჩაითრევს მკითხველს მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვათა უმეტესობა, შესაძლოა, გაუგებარი აღმოჩნდეს. ლექსი სიტყვათა თამაშს ემგვანება, სადაც უნდა უსმინო რიტმს და სიტყვათა მნიშვნელობა ამოიცნო. ეს კი ავტორისაგან მკითხველის გამონვევას ჰგავს. როგორც წესი, ასეთ ექსპერიმენტებს ახლავს რისკი – ამართლებს მხოლოდ „განსწავლულ“ მკითხველებზე.

რაც შეეხება დიალექტიზმებს, ისინი ძირითადად ლექსიკური ხასიათისაა. აქვე ცალსახად უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი გამოყენება გააზრებულია და ემსახურება ძირითადად იმ კუთხის კოლორიტის შექმნას, რომელ დიალექტზეც იწერება ფრაზა, სტრიქონი, სტროფი თუ ლექსი:

*და კვამლი, როგორც „დაპნნილი
ყველი“
ნისლების რძისგან ამოჰყავს დილას
(„გაზაფხულისპირული“, დოლიძე №4).*

იქმნება ხალხურობის მეტი განცდა, ხაზი ესმება სათქმელის გულწრფელობას, რჩება სილალის, კარგად ნაცნობთან მიახლოების შეგრძნება და ფორმა ისეთი მისაღებია მკითხველისთვის, რომ შინაარსი გადაადის მეორე პლანზე:

*ჩვენ მოვდიოდით, მთელს დუნიას
გარინდებულნი,
როგორც დედასთან (ქადაგიშვილი-
ოქროპირიძე, „კავშირები“, №4)
ვაგრძელებთ უცხო სიტყვების თე-*

მას, რომლით გატაცებაც ქართულ პოეზიაში ახალი არ არის. გატაცება არ იგრძნობა, მაგრამ „ცისკარი 1852“-ის ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსებშიც ვხვდებით უცხო სიტყვებს, არა უცხოური, არამედ ქართული გახმოვანებით:

*ბრები, ლითონის ტორშერები,
რქები მოზვერის,
პატიფონები. მსახველი ომის –
ალბომი...*

ან: „
*ქალებიც თავებს ანონებენ
ფილატელისტებს*

...
*ბავშვი ჯაზმენი ფაიფურზე უკრავს
ნაპრალებს.*

ან: *გარეშე ქალაქს აჭრელებულს,
ვინტაჟებიანს,
ვისკენ მივმართო არსებობის გრი-
ლი გლისანდო (ჯახუტაშვილი, „მშრალი
ხიდი“ №1).*

ვეფიქრობთ, უცხოურ ლექსიკას ორგვარი ფუნქცია აკისრია. პირველი – „თანამედროვე ცივილიზაცია“ ამ გზით შემოდის პოეზიაში.

მეორე ფუნქცია უცხო სიტყვებისა პოეტის მიერ აღწერილი სამყაროს გაუცხოებაა, ხაზგასმა, რომ რაღაც არაორგანულია – გარედან მოსული:

*არა სუპერბლეფი – მეტაპოეზია!
– სულს სულ სხვა რამ უნდა –
მეტი პოეზია!
ამ ბიჭს ან იმ გოგოს მეტაპოეზია
სად, ვინ შეასალა, ნეტა, პოეზიად!
(ჭანტურია, „ყურმოკრული რეპლიკა მე
მხოლოდ გავლექსე“, №2).*

ყურნალში დაბეჭდილი ლექსებიც კი საკმარისი აღმოჩნდა გვეფიქრა, რომ, ცივილიზაციასთან მიმართებით, გადამწყვეტი მაინც შემოქმედის ნიჭია. მოქნილი, ფრაზა, მაღალმხატვრული პოეტური სახე და სწორად მიგნებული სიტყვა სასწა-

ულებრივად ათვინიერებს, იმორჩილებს და ხელოვნების ჩარჩოში აქცევს „ვეებერთელა ცივილიზაციას“, სადაც ამ უკანასკნელს ხელოვნების, მსახურების გარდა, არაფერი დარჩენია.

მზია ხეთაგურის ლექსი „დაკითხვა“, რომელიც თავიდან ბოლომდე დიალოგია (მოპასუხე – დედამინის ნებისმიერი მცხოვრები, მხოლოდ ბოლო კითხვაზე პასუხში ჩანს საქართველოს მოქალაქე), ჩვენი საუკუნის ნებისმიერ სასამართლო პროცესს მოერგება:

გვარი, სახელი?

– *მე!*

– *დაბადების წელი, თვე, რიცხვი?*

– *თარიღი, როცა ერთი წლით ადრე
დედაჩემი ყინულიან ეზოში*

*ფეხშიშველა დადგა, რადგან ოჯახი
მამაჩემზე გათხოვების ნებას არ
რთავდა...*

– *წარმოშობა?*

– *უცხოპლანეტელი –
ადამიანთა გასაცნობად
ჩამოფრენილი...*

– *პროფესია?*

– *მოლიპულ გზებზე მოხეტიალე
ექსკურსიამდლოლი...*

– *რას საქმიანობენ თქვენი
მშობლები?*

– *ოცნებობდნენ.*

– *პატიმარი თუ ყოფილხართ?*

– *რაც თავი მახსოვს, პატიმარი
ვარ...*

*გყავთ თუ არა უცხოეთში
ნათესავები?*

– *დიახ – დიდი სანათესაო მყავს
ცხინვალში, ზღუდრის სასაფლაოზე –
დღეს ხომ ის მიწა უცხოეთია... (№4).*

გლობალიზაცია/ცივილიზაციამ შეიძლება წაშალა საზღვრები, დააჩქარა დრო, გახსნა ჩაკეტილი სივრცეები, გააერთფეროვნა სატკივარი და სიხარული, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა იმ ურთიერთობას, იმ ინტიმს, რომელსაც

ქმნის ორი მიკროსამყარო პირობითი სახელწოდებით: „**მე და შენ**“. შეუძლებელია, შემთხვევითობად ჩავთვალოთ, რომ გამოქვეყნებული ლექსების ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი მიმართვაა. ეს კი ლექსს მეტ ინტიმურობას სძენს, მკითხველი თავს ლირიკული გმირის სათქმელის ადრესატად აღიქვამს და მასთან პირისპირ რჩება.

შემდეგი სტრიქონები ნაწყვეტია ლია ლიქოკელის ვერლიბრიდან:

*დაღლილი იქნები და არაფერს
გკითხავ,
არც არაფერს მოგიყვები,
ლოგინს გაგიმზადებ, რბილ თივას
გაგიშლი,
ზურგით ჩამოვიტან გორიდან
სულ ახლად მოთიბულს .
გაგიფენ, მოგინვები.
გულზე ხელს დაგადებ, გიყურებ.
გაივსება ჩემი სახლი („ნამო ჩემ-
თან“, №2).*

პოეტი სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკით, სადა, გაუპრანჭავი ფრაზებით (ავტორის მთელ შემოქმედებას რომ ახასიათებს) თითქოს პასუხობს ცივილიზაციის გამოწვევებს, გლობალურ სამყაროში ახერხებს თავისი კუთვნილი მინის პოვნას იმ ადამიანისაგან განსხვავებით:

*რომელმაც იარა, იარა და
კედელს მიეყუდა,
რადგან ვერ იპოვა მინა,
რომელზეც დადგებოდა,
ხეს დარგავდა და სახლს
ააშენებდა (ლიქოკელი, „დამიხატე
ხე“, №2).*

მუსიკალობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო გვეჩვენა ახალგაზრდა შემოქმედის დათა გოულუას ლექსები:

*საით ქალი, – ანგრეული კვირტი,
საით კაცი – ნაზი გამონვევა,
მთელი ღამე იმტვრეოდა ტვისტი,
დროთა ტანგო, თრთოდა ჩემი
ხვევნა.
მთელი ღამე იშლებოდა ფურცლად,
თვით ტკივილიც ეჯდა პიანინოს
და ჰანგები ჩაესახა მუცლად,
ზედ კისერზე მტირალ ვიოლინოს
(„ღამის ბლუზი, თეთრი როიალი“, №7).*

ჩვენი ყურადღება კიდევ ერთმა თავისებურებამ მიიპყრო, რაც სინშირის გამო ერთგვარ ტენდენციადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ – ლექსების ენისთვის დამახასიათებელია გამეორება. მეორდება სიტყვები, მეორდება ფრაზები და თვით სტრიქონებიც კი; მეორდება წინადადების ესა თუ ის ნევრი:

*აქეს, აქეს, აქეს, აქეს,
რა არ დასცდა ცბიერ ბაგეს
(ჩხიკვაძე, „აქეს, აქეს, აქეს“, №9)*

მეორდება წინადადება (ქვენყოფისას მთავარი წინადადება ან დამოკიდებული):

*დამიხატე ხე, რომელსაც არ
ეცოდინება რა არის მინა,
დამიხატე ხე, რომელიც არ ამოყრის
ნერგებს
დამიხატე ხე, რომელსაც შეუძლია
იცხოვროს მარტომ (ლიქოკელი, №2).*

დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ მასობრივი საშუალებების გავლენაზე, უმართებულო ფორმების დამკვიდრების თვალსაზრისით. მართლაც ყოველდღიურად გვესმის მცდარი ფორმები და ვეჩვევით მათ. ვეჩვევით იმდენად, რომ პოეზიაშიც აღარ გვეხამუშება: „რა კარგად არის თქვენს შორის ყველაფერი“; „შენს მაგიერ მე მრცხვენია“; „ღია ფანჯრიდან ეზოს წვდება სურნელი ილის“; „წვდებოდეს უფსკრულს და სიბნელის შვილებს კვებავდეს“, მეორე

მხრივ, სწორი ფორმები ენირება ლექსის რიტმს ან რითმას: „დასარული წყალის ნაყვის...“; „გრძელი, საკვირლად ლამაზი თმა“, თუმც, სიმცირის გამო, ამ შემთხვევებს ვერ განვიხილავთ ტენდენციად, ისინი რჩება გამონაკლისებად. სალიტერატურო ენის ნორმების ერთგულება პირველ რიგში შემოქმედთა არჩევანია.

ძალიან საინტერესოდ გვეჩვენა ფრაზების აგებულებისა და სიტყვათწყობის საკითხებიც. მსუბუქი ფრაზები გვერდით ხშირად გვხვდება საკმაოდ მძიმე, დატვირთული ლექსიკური ერთეულებიც. რა ინვესს ამას? საქმე გვაქვს ოსტატობასთან თუ სტილის ძიებასთან? ეს ჩვენი შემდგომი კვლევის თემაა. ვფიქრობთ, ქართული პოეზიის სინტაქსის შესწავლა ბევრ საინტერესო კითხვაზე გაგვცემს პასუხს. ამიტომ ამჯერად სტილის საკითხებზე არ გავამახვილებთ ყურადღებას. მოკლე დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ყველა ძირითადი ტენდენცია, რომელიც ქართულ პოეზიაში შეიმჩნეოდა, გრძელდება დღესაც. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, ტრადიციული ხაზის გაგრძელება პოეტთა გააზრებული არჩევანია. დიდ წინაპართაგან შემოქმედნი იხსენიებენ სხვადასხვა პოეტს, მაგრამ უპირობოდ აღიარებენ შოთა რუსთაველს. ქართული სალიტერატურო ენის წიაღში კვლავაც იბადება ულამაზესი მხატვრული სახეები. ეს მკაფიოდ ჩანს „ცისკარი 1852-ის“ ფურცლებზე დაბეჭდილი პოეზიიდანაც. ჟურნალი ამით თავის დამოკიდებულებასა და კონცეფციაზე მიუთითებს. ამირან გომართელი აღნიშნავს, რომ „163 წლის „ცისკარი“ კიდევ ერთხელ აღსდგა!..“ მთავარი რედაქტორი ხაზს უსვამს გამოცემის მნიშვნელობას: „მითუმეტეს დღეს, როცა ჩვენი ყოფაცა და სულიერი არსებობაც განახლების პროცესშია, როცა მხატვრული სიტყვა ჩვენში ისეთსავე ლოგოსურ მნიშვნელობას იძენს, როგორც სახარებისეული „პირველთაგან იყო სიტყვა“. ამ რწმენით ჩვენ

აღთქმული ქვეყნისკენ მივემართებით. ჩვენ გზაში ვართ!“. მართლაც, გზაშია დღეს თანამედროვე ქართული პოეზია, რაც ნიშანდობლივია, სწორად არჩეულ გზაში. არც ქართულ სიტყვას დაუკარგავს ძალა და არც პოეტს საკუთარი დაწინაურების განცდა:

*საღვთო მადლი აქვს სიტყვას და ბგერას,
ელვა და მეხი მას ვერ დანაცრავს,
ლექსებს კი არ ვწერ, სამოსელს ვკერავ,
რომ შემცივებულ სულებს ჩავაცვა*
(ჩიტვილი, „ლექსი ბეგთარი“, №3).

II

სიტყვა ცოცხლდება წინადადებაში, ცოცხლდება ფრაზაში და სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, იგი თანაბრად საინტერესო ხდება როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით. მეტიც, ლექსის ანალიზში ერთვება პოეტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის მომიჯნავე დარგები: ესთეტიკა, ზოგადი ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, სტრუქტურული პოეტიკა.

ვაგრძელებთ ერთი წლის განმავლობაში „ცისკარი 1852-ის“ ფურცლებზე დაბეჭდილი პოეზიის ენაზე დაკვირვებას. ამჯერად განვიხილავთ მას სინტაქსური თვალსაზრისით.

მწერალი უმეტეს შემთხვევაში ლიტერატურული ენის კანონების შესაბამისად აგებს ფრაზებს, მაგრამ არც თუ იშვიათად დგება სინტაქსური ნორმების დარღვევის აუცილებლობის წინაშე. ეს იმიტომ, რომ ყურადღება მახვილდება ემოციაზე. ხშირად „დარღვეული ნორმისაგან“ მიღებული შთაბეჭდილება ახლოსაც ვერ მივა „გამართული წყობით“ გადმოცემულ განცდასთან. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ასეთ დროს საქმე გვაქვს **პოეტურ სინტაქსთან**. პოეტთა ენაში, ერთი შეხედვით,

სიტყვების თანწყობაში იკვეთება სიტყვის ძალა.

ქართული ენა მდიდარია მორფოლოგიური კატეგორიებით, აფიქსაციით. შესაბამისად, სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულების გამოსახატავად სიტყვათა რიგის სიმკაცრე აუცილებელი პირობა არ არის. ეს ფაქტი ქართულში ქმნის მრავალფეროვან შესაძლებლობას, როგორც სხვადასხვაგვარი სტილური ელფერის გადმოცემისას, ისე ლექსში რიტმისა და რითმის მოთხოვნილებების შესაბამისად სიტყვათა რიგის სხვადასხვაგვარი ვარიაციისას:

შენ ახლა მარტის ამინდით მიყინავ გრძნობებს,

ველოვობ სიბნელეს, დარჩენილი მიღმა დარაბებს (გ. დოლიძე, „ერთი ნამია ცხოვრება და ერთ გრომად არ ღირს“, №4).

წერილის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ პოეზიის ენაში მრავლად ვხვდებით დიალექტიზმებს, არქაიზმებს. მიუხედავად მათი ასე თუ ისე სიუხვისა, ლექსებში ფრაზები არ მძიმდება. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ფრაზის აგებულებაში უნდა ვეძიოთ. პოეტები წერენ:

ა) მოკლე, მარტივი წინადადებებით:

*ცამ დაიკრიფა გულხელი ნამით...
აი, წვიმამაც გადაიღო!
მზე ნაოცნებარ ხნულებში
დათრთის,
ვნუხვარ!.. პაემანი გადაიღო (თ. ლაფაური, „ცრემლის აკიდო“, №6).*

*ან: წლები თოხარიკით მირბის,
მიაქვს მდინარეზე ხიდი.
რუხი შემოდგომა მოდის,
ცხელი ჟრუანტელის – მიდის (ვ. ჩხიკვაძე, „გახსოვს მდინარეზე ხიდი“, №9).*

ბ) შერწყმული წინადადებებით:

შემრჩები, როგორც სილამაზე, სიკეთე, დაღლა(ჯ. ხაინდრავა, „დასრულების“, №3).

ან: მე რა ხელი მაქვს კუს ტბაზე, ლოკოკინას ტბაზე

*ან მგლის ტბაზე მოძუნძულე –
გახდომის ჟინით შეპყრობილ
გოგო-ბიჭებთან, ქალებთან, კაცებთან... (მ. ხეთაგური, „სხვისი უბედურება“, №4).*

გ) რთული თანწყობილი წინადადებები:

ზურგი ვაქციეთ ერთმანეთს და ჩვენს სუსტ სხეულებს

აჰყვით სევდა და განშორების მწველი ქარიზმა (ქ. ნათელაძე, „გაგცდი...“, №3).

რაც შეეხება ქვენყობას, ვიტყვით, იგრძნობა ტენდენცია ამგვარი ნყოფის წინადადებათა მომრავლებისა ლექსებში:

*და თუ ამ ფირალს ჰქვია ცხოვრება,
მისი ნაბადი ემოსა მტერს,
სჯობს, ვიქცე ფერფლად, მის დამონებას,*

მე თუ ის მპარავს მზეს“ (დ. გულუა, „ვინ მომპარა მზე?“, №7).

არადა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ცოცხალი, ხალხური, სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი მარტივი წინადადებებია.

რით უნდა ავხსნათ ქვენყოფილი წინადადებათა სიმრავლე? ჩვენი აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი – შთაბეჭდილების გაძლიერებისა და ხაზგასმის მიზნით, ავტორები იყენებენ ისეთ დაქვემდებარებას, როცა დამოკიდებული წინადადებები ერთი და იმავე ხასიათისაა:

და მერე მთელი გზა გული
ხელით მეკავოს,
სანამ არაგვი გამოჩნდება,
სანამ სოფლის პატარა მალაზია
გამოჩნდება,
სანამ მწვანე ჭიშკარს დავინახავ,
სანამ თავშლიან ბებიაჩემს
დავინახავ (ა. ლაზვიაშვილი, „კვი-
რა“, №5).

მეორე – თანამედროვე პოეზიაში შე-
ინიშნება რითმისგან გათავისუფლების
მცდელობა, არჩევანი თეთრი ლექსის
სასარგებლოდ კეთდება. სხვათა შორის
ამითვე აიხსნება ლექსებში ანჟანბემა-
ნის სიმრავლე. რიტმულობის თვალ-
საზრისით, განსაკუთრებით დამახასი-
ათებელია ანჟანბემანები – როდესაც
სტრიქონიდან სტრიქონში გადაედინება
აზრი, ემოცია და იქმნება რიტმი, რო-
მელიც მკითხველს აიძულებს სტროფე-
ბი პაუზების გარეშე, მართლაც ერთი
ამოსუნთქვით წაიკითხოს. მაგალითად:

დიდი ხანია, დამძიმებულს ფიქრით,
არათუ
შენი თვალები აღარ მახსოვს, უკვე
თავიც კი
გადამავიწყდა – როგორი ვარ.
ჩემივე პროფილს,
აურას, ნიკაპს ვერ ვუყურებ,
რადგანაც არ მაქვს
სარკე, რომელიც გამომგლიჯა ხე-
ლიდან ქარმა... (გ. ჯახუტაშვილი, „დი-
დი ხანია“, №1).

ანჟანბემანი არღვევს მეტად მყარ
გრამატიკულ კავშირებს: არსებით სა-
ხელსა და ეპითეტს შორის, კავშირსა
და მომდევნო სიტყვას შორის.

ცალკე ყურადღების ღირსია ფრა-
ზეოლოგიზმებისა და იდიომებისად-
მი დამოკიდებულება, რასაც „პოეზიის
გრამატიკაც“ უწოდეს (ზაზა შათირიშ-
ვილი), თუმცა ეს უფრო სტილისტიკას
უახლოვდება. ჩვენი აზრით, საერთო
ტენდენციამ, ურითმო ლექსისადმი მის-
წრაფებამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნე-
ლობა მიანიჭა სინტაქსს, რადგან სწო-
რედ ჯერ სინტაგმას, შემდეგ ფრაზასა
და წინადადებას დაეკისრა რიტმის შექ-
მნის ფუნქცია. ლექსებზე დაკვირვება
კიდევ ერთხელ ცხადყოფს, ამ თვალ-
საზრისით რაოდენ დიდ შესაძლებლო-
ბას აძლევს ქართული ენა მწერალს.

წერილის დასაწყისში ვიმონებდით
აზრს იმის შესახებ, რომ შემოქმედის-
თვის მთავარია არა ის, რას ამბობს,
არამედ როგორ ამბობს. ამ მოსაზრე-
ბას ბევრი იზიარებს. ჩვენთვის მისაღე-
ბი კონსტანტინე კაპანელის თვალსაზ-
რისია: „ახალ სიტყვას უნდა ძლიერი
განცდა. მარგალიტებს ისვრის მხო-
ლოდ ატალღებული ზღვა. ვისაც უნდა
გამოსახოს ლამაზი ფორმა, უნდა ატა-
როს თავის სულში განცდათა ქაოსი“.
ჟურნალის სიცოცხლის ძალა ქართულ
სიტყვაშია, რომელსაც „ცისკარი 1852“
მკითხველს კიდევ სთავაზობს და კი-
დეც ექომაგება.

მაია მელანაშვილი



პიკარესკული ჟანრი და მისი ქართული ნიშნუბი

აღორძინების ეპოქის ესპანური ლიტერატურის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანრი თაღლითური (პიკარესკული, ანუ გაიძვერული) რომანი (ესპ. novela picaresca, ინგლ. picaresque novel, ფრ. roman picaresque, გერმ. Schelmenroman) ფორმირდება ესპანეთში XV საუკუნეში, აყვავებას იწყებს XVI ს-ის შუა პერიოდში, ხოლო XVII-XVIII სს-ებში დიდი სინრაფით ვრცელდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში და დღემდე გავლენას ახდენს მსოფლიო მწერლობაზე. სატირული პროზის ეს მიმართულება, რომლის ცენტრში დგას მატყუარა მანანნალა, თაღლითი და ავანტიურისტი, ცხოვრების მანკიერ მხარეებს რეალისტური და ხშირ შემთხვევაში იუმორისტული დეტალის მეშვეობით წარმოადგენს.

თაღლითურმა რომანმა, სრულ ჩამოყალიბებამდე, საკმაოდ გრძელი გზა განვლო. მან გამოიყენა ბევრი ელემენტი, რომელიც შემუშავდა წინა პერიოდში: ანტიკურ ლიტერატურაში, შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში. ამორალური, მოხეტიალე ადამიანის ტიპი კარგად იყო ცნობილი ჯერ კიდევ ანტიკურ ლიტერატურაში, მაგ: პლავტეს კომედიებში, პეტრონიუსის „სატირიკონში“, აპულეუსის „მეტამორფოზებში“, ლუკიანეს თხზულებებში.

შუა საუკუნეების ევროპული ლიტ-

ერატურა გვთავაზობს სოციალური სატირის მრავალ მოდელს. საინტერესოა ფაბლიოებისა და ფარსების პერსონაჟები. შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი სატირული ელემენტები ფრანგი სატირიკოსის რიუტბეფის შემოქმედებაში. მწერლის ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა ე.წ. თქმების ნიმუშებში: „უნივერსიტეტზე“, „სიცრუეზე“, „პირმოთნეობაზე“... რაც შეეხება მეორე ფრანგ პოეტს, ვიონს, მისმა ლირიკამ დააგვირგვინა შუა საუკუნეების მწერლობა. ჩვენთვის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პოეტი რამდენჯერმე დააპატიმრეს ბოჰემური ცხოვრების გამო. დაახლოებული იყო ავაზაკებთან, ქურდებთან; მონაწილეობდა ძარცვაში, ანუ კარგად იცნობდა თაღლითურ საზოგადოებას. პირადი გამოცდილების საფუძველზე, ვიონი იშვიათი ფერადოვნებით ძერწავს პარიზის დაბალი ფენების – მანანნალების, მედუქნეების, ქურდების, ლოთების, მეძავი ქალების ცხოვრების სურათებს. ცნობილია მისი ციხეში დაწერილი „ჩამოხრჩობილთა ბალადა“ (1462წ.).

იტალიაში წინათაღლითური თემატიკა წარმოდგენილია პოეტ ლუიჯი პულჩის ეპიკურ პოემაში „დიდი მორგანტი“. მასში ერთმანეთს ერწყმის რელიგიური და საერო, სერიოზული და სახუმარო. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ჯანეო მარგუტე ჰყვება თა-

ვისი ცხოვრების ეპიზოდს, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „პიკარესკული რომანი მინიატურაში“. თაღლითის ტიპი შთამბეჭდავდაა წარმოდგენილი ბოკაჩიოს ნოველებში.

ძალზე მნიშვნელოვანია გერმანელი მწერლისა და ჰუმანისტის, სებასტიან ბრანტის, გალექსილი სატირულ-ეპიკური, დიდაქტიკური ნაწარმოები „სულელების გემი“. მასში მხილებულია რაინდების ძალადობა, სამღვდელოების მომხვეჭელობა, დაგმობილია „ადამიანური სისულელის“ ნაირგვარი გამოვლენა: ეგოიზმი, ანგარება, ლოთობა, გაიძვერობა, მრუშობა. თხზულება ითარგმნა მრავალ ენაზე. მან ხელი შეუწყო სატირული ლიტერატურის, კერძოდ, გრობიანიზმის ნაკადის განვითარებას. მკვლევარ შანდლერის მიხედვით ლათინურ ენაზე დაწერილი „იბერ ვაგატორუმ“ „გერმანული თაღლითური რეალიზმის“ პირველი ნიმუშია (ნაწარმოები ითარგმნა 1528 წ. მარტინ ლუთერის მიერ), რომელმაც ევროპაში შეიტანა დიდი დაინტერესება კრიმინალების მიმართ. „ტილ ულენშპიგელი“ 1483წ. ასევე მიჩნეულია პიკარესკულ რომანად (14:174).

ფრანგულ ლიტერატურაში თაღლითური რომანის გმირებთან ყველაზე ახლოს დგას ფრანსუა რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ პანურგი და გერმანული „ეროვნული წიგნების“ ზოგიერთი პროტაგონისტი. ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი პერსონაჟი მთლად პიკარო არ არის, ამასთანავე, ამ თხზულებებში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა თაღლითური რომანის ძირითადი მოტივები: მძიმე სოციალური ფონი, მარტოსული გმირი – არსებითად ანტი-გმირი – დეკლასირებული ელემენტი, მტრულად განწყობილი საზოგადოება და სხვ. პიკარესკული რომანის საბოლოო ფორმა მხოლოდ ესპანურ ლიტერატურაში ყალიბდება.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული, „თაღლითური რო-

მანის პირველსაფუძვლად ანონიმი ესპანელი ავტორის ვრცელი მოთხრობა, „ლასარილიო ტორმოსელის ცხოვრება“ ითვლება“ (გომართელი: 2005: 77).

პირველ ქართულ პიკარესკულ რომანს მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ წარმოადგენს. „ავტობიოგრაფიაში“ მწერალი აღნიშნულ რომანს იმ ნაწარმოებებს შორის იხსენიებს, რომლებიც მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მეორე პერიოდში დაწერა. როგორც ცნობილია, რომანის ცალკეული ნაწილები პირველად 1923 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „დროშა“ (№1, №2, №3, №4). მოგვიანებით მწერალმა ცალკეული სათავგადასავლო-ავანტიურისტული ეპიზოდები ერთ სიუჟეტურ ლერძზე აკინძა და მოთხრობების ციკლს რომანის სახე მისცა. ნაწარმოების თემისა და პრობლემატიკის აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რომანის – „კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი“ – გამოსვლის შემდეგ არაერთი მცდელობა განხორციელდა მისი პიესად გადაკეთებისა.

რომანის მიხედვით, ნიკო შიუკაშვილმა დაწერა ორი პიესა: „ძიას გასაბჭოება“ და „ამერიკელი ძია“, რომელთა ადრეულ ვარიანტებში მთავარი მოქმედი პირი კვაჭის სახელით არის წარმოდგენილი. მიხეილ ჯავახიშვილის არქივიდან ასევე ჩანს, რომ კვაჭიზე პიესა დაუწერია შალვა დადიანსაც და ბოლოს, 1927 წლის შემოდგომაზე, მიხეილ ჯავახიშვილს სანდრო ახმეტელისთვის – რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისთვის – წაუკითხავს სარეპერტუარო კომიტეტში წარდგენილი პიესა „ივერიუმი“, რომელიც მისივე რომანის მასალებზე იყო აგებული.

საინტერესოა, რომ მწერლის პირად არქივში ასევე, დაცულია რუსულ ენაზე დაწერილი კინოსცენარი „Жизнь и похождения Квачи Квачантирадзе“ (მანქანაზე გადაბეჭდილი 126 გვერდი), რომელსაც გადაღება არ დასცალდა.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში დამკვიდრებული თვალსაზრისით, მწერალმა კვაჭი კვაჭანტირაძის მეშვეობით შექმნა განზოგადებული სახე თაღლითისა, რომელიც დასახული მიზნის მისაღწევად, კარიერული წინსვლისა და საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის დასამკვიდრებლად არავის და არაფერს ერიდება. საგულისხმოა სიტყვები, რომლებიც მწერალმა რომანის პირველ, 1925 წლის წინასიტყვაობას წაუძღვარა: „ვბედავ და ამ წიგნს წრფელი გულით მივუძღვნი ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა კვაჭსა და კვაჭიკოებს, რომელნიც ჩემს კურთხეულ სამშობლოში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ“ (შავგულიძე, 1988:22). მწერლის შენიშვნის კვალდაკვალ, რომ „კვაჭი ნარევი ტიპია“, ჯავახიშვილის შემოქმედების არაერთი მკვლევარიც შენიშნავს, რომ კვაჭი კვაჭანტირაძე უთუოდ გროტესკული, მხატვრულად გაზვიადებული სახეა, თუმცა ამით მისი რეალისტური ბუნება ოდნავადაც არ კნინდება; ავტორი ხომ თავისი გმირებისათვის ყოველთვის ირჩევდა რეალურ პროტოტიპებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას ცოცხალი მხატვრული სახის შექმნაში.

პროტოტიპებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა მწერლის ქალიშვილის, ქეთევან ჯავახიშვილის, ერთი მოგონება: „1922 წელს მამამ ვინმე მეგრელიშვილი გაიცნო, რომელიც ვაჭრობის დარგში მუშაობდა. ლენინის მოედანზე, სამხედრო შტაბის გვერდით, მას ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, კანტორად წოდებული, სადაც თავის კომერციულ საქმეებს მართავდა. მეგრელიშვილი დაუმეგობრდა მამას და მისი ნდობა მოიპოვა. ერთ დღეს მან უთხრა მამას, რომ ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი, რომელიც დიდ მოგებას ჰპირდებოდა და ამისთვის ფული სჭირდებოდა. მამა მას ენდო და მისცა, რაც გააჩნდა. მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. მამა მოთმინებით

ელოდა, როდის დაუბრუნებდნენ მას ვალს. დრო კი გადიოდა და არაფერი საიმედო არა ჩანდა. მან სხვა მხრივაც მოუჭრა გზა. მეგრელიშვილს ლამაზი ცოლი ჰყავდა. ებრაელი იყო, კეკლუცი და მიმზიდველი. ისინი ხშირად პატიჟებდნენ დედას და მამას თავისთან ოჯახში და ამით მეგობრობას ამტკიცებდნენ. მეგრელიშვილი ამ დროს თავის საქმეებს აწესრიგებდა, მამას კი ტკბილი სიტყვებით ისტუმრებდა. მამა მინდობილი ადამიანი იყო და პირველ ხანებში სჯეროდა, რომ ის პატიოსანი კაცი იყო. ბოლოს, მის თაღლითობაში რომ დარწმუნდა, გული გაუტყდა და თავი მიაწება. დრო რომ გავიდა, გაიგო, რომ მეგრელიშვილი დიდი მასშტაბის კომერსანტი და კომბინატორი ყოფილა და დიდ საქმეებსაც ატრიალებდა თურმე. ვალი რომ არ გადაეხადათ, ცოლ-ქმარი ამაზეც კი წავიდა, რომ მეგობრული დამოკიდებულებით მამა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს და მან ვალის დაბრუნებაზე ველარა უთხრა რა. დრომ რომ გაიარა, მის გონებაში მომწიფდა თაღლითი ადამიანის პიროვნება და კვაჭის ტიპად თვალწინ დაუდგა. მწერალმა თვითონვე აღნიშნა, რომ ის ნარევი ტიპი იყო“ (ჯავახიშვილი, 1989:206). როგორც ვხედავთ, მწერლის ქალიშვილის თანახმად, კვაჭის სინთეზური სახის ერთ-ერთ კომპონენტად ვინმე კომერსანტი მეგრელიშვილი მოიაზრება.

განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გერონტი ქიქოძეს, რომლის მოგონებათა თანახმად, კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპი ვასილ დუმბაძე იყო. გერონტი ქიქოძე სამ ეპიზოდს იხსენებს ვასილ დუმბაძის „ხრიკებთან“ დაკავშირებით: პირველში აღწერილია, ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლისას როგორ შეკრიბა დუმბაძემ ახალგაზრდები სადილად და როგორ გაითამაშა სცენა, თითქოს ზუგდიდიდან მიღებული დეპეშით (რომელიც სადილის დროს შემოუტანეს) ატყობინებდნენ მუშების გაფიცვის შესახებ და მას კი, საქმეების მოსაგვა-

რებლად, სამშობლოში დასაბრუნებელი თანხა არ ჰქონდა. ერთ-ერთ გერმანელ სტუდენტს, კურტს, რომელიც მსხვილი მენარმის სიძე იყო, შეეცოდა დუმბაძე და მეორე დღესვე „დიდძალი თანხის საბანკო ჩეკი მოუტანა“. გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, რომ სინამდვილეში დუმბაძეს არანაირი ქარხნები არ ჰქონდა და დეპუტატ ლაიფციგიდან იყო გამოგზავნილი ვასილის მეგობრის, იასონ მენაბდის მიერ. შევნიშნავთ, რომ გერონტი ქიქოძის მოსაზრებებს კატეგორიულად არ იზიარებენ ისტორიკოსები – ქველი ჩხატარაიშვილი და რუსუდან დაუშვილი, რომლებმაც საფუძვლიანად გამოიკვლიეს ვასილ დუმბაძის ცხოვრების გზა.

მკვლევართა ერთი ნაწილი, მაგალითად, პროფესორი, გერმანისტი ლეილა თეთრუაშვილი კვაჭის პროტოტიპად ცნობილ ქართველ ავანტიურისტს, სოლომონ ამორდიას მოიაზრებს. ცხადია, მისი სახელი და მოღვაწეობა ცნობილი იყო მიხეილ ჯავახიშვილისთვის, რადგან იგი პერსონაჟადაც შემოიყვანა რომანში სათანადო შენიშვნით: „ამორდია თავისი დროის განთქმული ავანტიურისტი იყო და ყალბი სიგელ-გუჯრების საშუალებით უხვად არიგებდა აზნაურობის საბუთებს“. ნიშანდობლივია, რომ რომანში სილიბისტრო კვაჭანტირაძემ და კვაჭიკომ აზნაურობა სწორედ მისი მეშვეობით მოიპოვეს. საზეიმო ვახშამზე ამორდიამ შემდეგი სიტყვებით მიმართა „ახლადგამოჩეკილ“ აზნაურს: „ჩემო პატარავ! მე გზა გაგიკაფე, ყველა კარი გაგიღე და დანარჩენი შენ იცი“. მწერალი იქვე ირონიულად დასძენს: „რა იცოდნენ მაშინ ნოტიომ ან პუპიმ, თუნდაც ამორდიამ, ან გაბლენძილმა სილიბისტრომ, რომ მომავალში პანანინა კვაჭიკო ამორდიას სახელს სრულიად დაჩრდილავდა, ქვეყანას მართლა ააფორიაქებდა და თავის გვარს ბრწყინვალე შარავანდედით შეამკობდა“. ამგვარად, მწერალი თავის პერსონაჟს ამორდიას „დიად“ საქმეთა გამგრძელებლად მოიაზრებს.

კომერსანტი მეგრელიშვილის, ვასილ დუმბაძისა და სოლომონ ამორდიას გარდა კვაჭის პროტოტიპად ზოგიერთი კრიტიკოსი მიხეილ ანდრონიკოვს (იგივე მიხეილ ანდრონიკაშვილი) მოიაზრებს. 2008 წელს გამოცემულ ვ. ბ. ლოპუხინის წიგნში – „საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ჩანაწერები“ („Записки бывшего директора департамента министерства иностранных дел“) – აღნიშნულ პირზე მოტანილია შემდეგი ცნობები: მიხეილ მიხეილის ძე ანდრონიკოვი (1975-1919) – თავადი, ტიტულარული მრჩეველი, პუბლიცისტი და გამომცემელი – სწავლობდა პაჟთა კორპუსში, მსახურობდა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტში, კანცელარისტად. 1914-1917 წლებში იყო საგანგებო დავალებათა მოხელე წმიდა სინოდის ობერ-პროკურორთან.

მიხეილ ანდრონიკოვი გერმანოფილობის ბრალდებით, სამხედრო უწყების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ცნობილია, ანდრონიკოვის სიტყვა, რომელიც მან კაიზერთან დაზავებასთან დაკავშირებით წარმოთქვა: „ნუ დაივინყებთ, ბატონებო, 1905 წელს. ჩემი აზრით, უმჯობესია, გერმანელებმა მოგვაჭრან კუდი, ვიდრე ჩვენმა გლეხებმა — თავი“. აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი ფრაზებით იგი ძალიან წააგავს კვაჭის და მის იდეოლოგიას უახლოვდება. მოგვიანებით ანდრონიკაშვილი გრიგორი რასპუტინს დაუახლოვდა და მისი უშუალო კონსულტანტი გახდა საკადრო დანიშვნებისა და სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთობის სფეროში. ანდრონიკოვი თავის ოთახს საგანგებოდ უთმობდა რასპუტინს ეპისკოპოს ვარნავასთან, შინაგან საქმეთა მინისტრ ხვოსტოვსა და საიდუმლო მრჩეველ ბელეცკისთან შესახვედრად. ანდრონიკოვი ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ღვთისმოსავობას, რაც კარგ ტონად ითვლებოდა მეფის სასახლეში. საკუთარი რელიგიურობის ხაზგასასმელად ანდრონიკოვს საძინებელში

სამლოცველო ჰქონდა მოწყობილი დიდი ჯვარცმითა და ნაკურთხი წყლით. იმავე საძინებელში კი, შირმის მეორე მხარეს, ორადგილიან სანოლზე საპროტექციოდ მოსულ მთხოვნელებს იღებდა. ამ ფაქტს თავის მოხსენებაში აღწერს ეკატერინოსლავსკის რაიონული სასამართლოს პროკურორი ვლადიმერ რუდნევი: „შირმის მეორე მხარეს, თავის ორადგილიან სანოლზე, ყველაზე გათახსირებულ, საძაგელ საქმიანობას ეწეოდა... ახალგაზრდა ადამიანებთან, რომლებიც მას ეალერსებოდნენ პროტექციის განევის სანაცვლოდ“ (Коцювинский, 2008:109).

XX საუკუნის 20-30-იან წლებში გასაბჭოებული რუსეთის პოსტიმპერიული სივრცის, მათ შორის საქართველოს, სამწერლობო წრეებში შეიქმნა ახალი, პოსტრევოლუციური რეალობის გააზრების მწვავე აუცილებლობა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში „ყოფიერების მოდელის“ ასახვის ერთ-ერთ ადეკვატურ ფორმად მწერლებმა, როგორც რუსეთში (ილია ილფი და ევგენი პეტროვი), ასევე საქართველოში (მიხეილ ჯავახიშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე) სწორედ პიკარესკა მიიჩნიეს, რომლის წინაპირობად, სხვა ფაქტორებთან ერთად, გარდამავალი პერიოდის სოციალური ფონი და კატაკლიზმები მოიაზრება:

1917 წლის რევოლუციამ ერთნაირად მოსპო ცხოვრების ყველა საფუძველი თუ სოციალური იერარქია. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები სულიერი და ფიზიკური გადარჩენის პრობლემის წინაშე დადგნენ. რევოლუციამ საცხოვრებელი ადგილებიდან „დაძრა“ უზარმაზარი ქვეყნის მოსახლეობა. გაჩნდა დეკლასირებული ელემენტების მასა, „ყოფილი“ ადამიანები (მიხეილ ჯავახიშვილის ტერმინით, „ნაკაცარი“), რომლებიც გამოეყვნენ თავიანთ სოციალურ ჯგუფებს. ქვეყანა მანანალებითა და უსახლკაროებით, თაღლითებითა და კრიმინალებით აივსო (ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობი-

ლია, თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაათავისუფლეს ციხეებიდან).

XVI საუკუნის ესპანეთის მსგავსად, მანანალა და უკეთესი ცხოვრების მაძიებელი საბჭოურ რეალობაში იმდენად ჩვეულებრივ, ყოფით მოვლენად იქცა, რომ ლიტერატურაშიც ჰპოვა შესაბამისი ასახვა. სწორედ ისინი გახდნენ საბჭოთა პიკარესკული (თაღლითური) მოთხრობებისა და რომანების მთავარი გმირები.

თაღლითური (პიკარესკული) თხზულებების მეშვეობით საზოგადოების დაცემისა და გახრწნის ასახვა ხდება. როგორც ამირან გომართელი აღნიშნავს, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ რუსეთის იმპერიის ზნეობრივ გახრწნილობასა და სოციალურ დაცემას ასახავს, მაგრამ მსგავსად ესპანური პიკარესკული პროზისა, ქართველი ავანტიურისტის, კვაჭი კვაჭანტირაძის, თავგადასავალიც ქართველი მწერლისათვის მძაფრი პროტესტის გამოხატვის საშუალებად იქცა. მიხეილ ჯავახიშვილმა ჩვენი საუკუნის პირველი ოცნლეულის რუსეთის იმპერიის უმძიმესი სოციალური და მორალური კრიზისი დახატა, ცხოვრების შინაგანი მხარე გვიჩვენა, „გადმობრუნებული“ სურათი მოგვცა. სწორედ ამ ნიშნით იძენს „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ღრმა რეალისტურობას, მაგრამ აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ ამგვარი რეალიზმი მხოლოდ და მხოლოდ თაღლითური რომანის ჟანრული კანონების მაქსიმალური დაცვით მიიღწევა“.

პიკარესკული რომანისთვის უპირველესად მთავარია ხაზგასმა პერსონაჟის სოციალურ წარმოშობაზე. ამ ჟანრის ნაწარმოების პროტაგონისტი, უმეტესწილად, დაბალი სოციალური წრიდან არის, რომელიც თაღლითობითა და ავანტიურისტობით იკაფავს გზას მაღალი საზოგადოებისაკენ. სამტრედია-ხონის გზაზე დაბადებული კვაჭი კვაჭანტირაძეც არისტოკრატიობას იჩემებს.

გარდა სოციალური წარმოშობისა,

თაღლითურ თხზულებებში ხშირად საგანგებო ყურადღება ეთმობა პერსონაჟის დაბადებასაც. მაგალითად, ლასარილიო ტორმოსელი მაშინ მოველინა ქვეყნიერებას, როცა დედამისი წისქვილის ღარზე იყო/ გადამდგარი და ახალშობილმა პირდაპირ წყალში მოადინა ტყაპანი, ხოლო, როცა კვაჭი კვაჭანტირაძე დაიბადა, იმ წელს, პირველ აპრილს, სამტრედიოში უცნაური ტაროსი იყო – დედამინას კუპრით შავი ღრუბელი დაანვა; ხან თოვლი მოდიოდა, ხან ხოშკაკალა, ხან წვიმა, ხან მზე გამოანათებდა, ხან გრიგალი ამოვარდებოდა და ხანაც ისეთი მყუდროება ჩამოვარდებოდა, რომ ცაში ღრუბელიც კი არ მოძრაობდა.

ლასარილიოს წისქვილის ღარზე დაბადების მსგავსად, კვაჭის ამგვარ უცნაურ ამინდში დაბადებასაც ფუნქციური დანიშნულება აქვს: იგი არაორდინალური პიროვნების, მომავალი ავანტიურისტის ქვეყნად მოვლინებას გვამცნობს.

პიკაროს განსხვავებულ ტიპოლოგიურ სახეს მიმართა პოლიკარპე კაკაბაძემ, რომლის საეტიპო პიესა – „ყვარყვარე თუთაბერი“ – „კვაჭი კვაჭანტირაძის“ პულიკაციიდან ხუთი წლის შემდეგ კოტე მარჯანიშვილის დადგა ქართულ სცენაზე. ცხადია, გარდამავალი პერიოდის სოციალური კატაკლიზმებისთვის დამახასიათებელი ყველა ის ნიშანთვისება და პრობლემა, რომელზეც ზემოთ ვიმსჯელებთ, აღნიშნულ პერიოდსაც მიემართება; ამდენად, პოლიკარპე კაკაბაძისთვის, როგორც მწერლისათვის, დრამატურგისათვის, უმთავრესი მის თანადროულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი სიტუაცია, კერძოდ კი, „ყვარყვარეზმის“ პრობლემა იყო. პიესის მოქმედება 1917-1921 წლებში იმდება, თუმცა ზუსტი ქრონოტოპი სულაც არ არის იმის მიმანიშნებელი, რომ 1920-იანი წლების დასასრულს (ან თუნდაც, დღესაც!) პიესაში წამოჭრილი პრობლემა გადაჭრილია და ახალ ინტერპრეტირებას არ ექვემდებარება. ცნობილია, რომ

საზოგადოებას პერიოდულად ქვეყნის ხელისუფლებად ერის მხსნელისა და ხალხის გადამრჩენის მანტიამორგებული ანტიგმირები ევლინებიან, რომლებიც საუცხოოდ გრძნობენ დროის პულსს; ისინი სარგებლობენ პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე შექმნილი მასობრივი ისტერიითა და ქაოსით, ზნეობრივი კრიტიკიუმების ჩამოშლით და ამ სიტუაციაში დაბნეულ, უმწეო, დამფრთხალ ადამიანებს საკუთარ „კანონებსა“ და „ახალ წესრიგს“ ახვევენ თავს. ასეთ დროს ერთეულები უძლებენ ცდუნებას, რომ საზოგადო ინტერესები პირადულით არ ჩაანაცვლონ, ქვეყნის სამსახურზე მაღლა პირადი კეთილდღეობა არ დააყენონ. პოლიკარპე კაკაბაძის პიესის აქტუალობას სწორედ ის განაპირობებს, რომ ავტორმა ნაბიჯ-ნაბიჯ გვიჩვენა ერთი რიგითი ავანტიურისტის აღზევების ისტორია, რომელიც კაცობრიობის მაღალ იდეალებს ამოფარებული ნიღბით ქადაგებს უზნეობასა და ფარისევლობას;

პოლიკარპე კაკაბაძემ განსხვავებულ გზას მიმართა თანადროული ეპოქის პრობლემის წარმოსაჩენად; პიესის პუბლიკაციის შემდეგ არავის დაუნყია ყვარყვარეს ავთენტიკური პროტოტიპების ძიება (როგორც ამას ადგილი ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის პუბლიკაციის შემდგომ), არც რეალური ისტორიები გახსენებია ვინმეს, რადგან ავტორმა პიესის პირველსავე წინადადებაში მიუთითა თავისი გმირის წარმომავლობაზე, მის ფოლკლორულ ძირებზე: „რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისქვილი. შუა ცეცხლთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია, და ქექავს ნაცარს. მენისქვილე ფქვილს მინდავს და ჩუმად ლილინებს“.

ფოლკლორული თაღლითის ტიპაჟს განასახიერებს პოლიკარპე კაკაბაძის პიესის, „ყვარყვარე თუთაბერის“ მთავარი გმირი. ყვარყვარე თუთაბერი – ნაცარქექია, გაუნათლებელი, უტიფარი,

ტლუ მედროვეა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, რომელსაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ცვლილებათა ჟამს ყველგან, ყველა ეპოქაში შეუძლია აღზევება და მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდება. პოლიკარპე კაკაბაძემ „ყვარყვარე თუთაბერი“ 1928 წელს შექმნა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1929 წლის 30 იანვარს, პიესა კოტე მარჯანიშვილმა დადგამნერლის ქალიშვილის, მანანა კაკაბაძის, მოგონებათა თანახმად, პრემიერას საქართველოს კომპარტიის ცეკა სრული შემადგენლობით დაესწრო (მათ შორის, ლავრენტი ბერიაც): „მთელი დარბაზი ხარხარებდა, ერთმანეთს დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: პოლიკარპე კაკაბაძემ ნილაბი როგორ ჩამოგხადა, ყვარყვარე შენა ხარო“. აღსანიშნავია, რომ კოტე მარჯანიშვილმა იმთავითვე გაითვალისწინა, პიესის მამხილებლური პათოსი თანამედროვეთა გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა, ამიტომ წინასწარ იზრუნა და სპექტაკლის დადგმაზე ცეკადან აიღო ნებართვა. „ამით ყველაფერი დადგინდა. ცეკას თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი სახეები იყო აღწერილი პიესაში, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ“.

საგულისხმოა, რომ მწერლური ოსტატობის წყალობით, პოლიკარპე კაკაბაძემ ქართული ფოლკლორის წიაღში შობილი ნაცარქექიას, ქოსატყუილას ნილაბი ავანტურისტის ზოგადსაკაცობრიო ნილბად, თაღლითის არქეტიპად აქცია. ყვარყვარეს ფოლკლორულ სანყისებთან დაკავშირებით ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. 1980 წელს გურამ ასათიანმა წიგნში „სათავეებთან“ აღნიშნა, რომ პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერს და დემნა შენგელაიას ბათა ქექიას, იმისდა მიუხედავად, რომ ერთმანეთის ანტიპოდები არიან, „ერთი ღერძი აქვთ. ქართულ ფოლკლორში

მათი პაპისპაპა ნაცარქექიაა... რალა თქმა უნდა, სიზარმაცე ნაცარქექიას ზღაპარში სიცილის მთავარი ობიექტია, მაგრამ, აბა, გამოასწორეთ ეს გმირი... სიზარმაცის გარეშე ნაცარქექია მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც დაკარგავდა თავის უნიკალურ მომხიბვლელობას“ (ასათიანი, 2002:59). კრიტიკოსის დასკვნით, ყვარყვარეც და ბათაც „ქართული ხასიათის შემადგენელი ელემენტებია“, თუმცა იქვე შენიშნავს: „ეს ხასიათი მეტად რთულია და მრავალფეროვანი. ის ერთი მთლიანი ქვისგან არ გამოუთლიათ. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მოზაიკური ხასიათია, ვიდრე სკულპტურული და ამ თავისებურ მოზაიკაში ყოველი კენჭის გამოკლება უთუოდ გაალარიბებდა საერთო კომპოზიციას, საბედისწეროდ დაარღვევდა ფერთა შეთანხმებულ გამმას, შეუვსებელ ხარვეზად დაეტყობოდა ჩანაფიქრის მთლიანობას“ (ასათიანი, 2002:60). გურამ ასათიანის ხედვა კატეგორიულად უარყო აკაკი ბაქრაძემ. იმავე, 1980 წელს გამოქვეყნებულ წერილში „მკვახე შეძახილი“ იგი შენიშნავდა: „ნუთუ სიზარმაცე და ბაქიობა ნაცარქექიას თვისება? თუ ასე ვიფიქრეთ, მაშინ რუსული ზღაპრების გმირი ივანუშკა დურაჩოკიც ბრიყვად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ასე რომ არ არის. ივანუშკა დურაჩოკი ხომ ყველაზე გამჭრიახი, ჭკვიანი და გონიერია. გამარჯვებულიც ამიტომ გამოდის. მამასადამე, „დურაკობა“ მისტიფიკაცია ყოფილა, ნილაბი ყოფილა ნამდვილი არსის დასამალავად. ასეთივე მისტიფიკაციაა, ნილაბია ნაცარქექიას სიზარმაცე და ბაქიობაც. ჩვენს ზღაპრებში ნაცარქექია ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. იგი ყველას ამარცხებს. მათ შორის ბაყბაყდევსაც, რომელიც მრავალგზის უფრო ღონიერი და მძლავრია, ვიდრე ნაცარქექია. თითქოს დევმა ნაცარქექია ნიორწყლად უნდა აქციოს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარ-

ცხებული და გაცუცურაკებული რჩება იგი. ჭკუით, გამჭრიახობით, მოქნილობით, ემმაკობით სჯობნის ნაცარქექია დევს. სწორედ ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა, ემმაკობაა ნაცარქექიას თვისება და არა სიზარმაცე და ბაქიობა. სიზარმაცე და ბაქიობა მისტიფიკაციაა, მომარჯვებული იმისთვის, რომ მტერმა ნაცარქექიას ნამდვილი თვისება ვერ ამოიცნოს“ (ბაქრაძე, 1990:153). ამგვარად, აკაკი ბაქრაძის წერილის პათოსი მიმართულია იმ თვალსაზრისზე, რომ სწორედ შენიღბულობასა და მისტიფიკაციას უპირისპირებდა ქართველი ხალხი თავის მრავალრიცხოვან ისტორიულ მტრებს; ამ თვისებების დახმარებით შეძლეს ქართველებმა ისტორიის რთულ ლაბირინთებში გზის გაკვალვა და თავის გადარჩენა.

ზემოაღნიშნული მასალის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პიკარესკული ჟანრი ორგანულად ჩაენერა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში, რასაც ადასტურებს ორი შესანიშნავი ნაწარმოები: მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“. თემატიკის, პრობლემატიკისა და ქრონოტოპის ერთიანობის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებში პიკაროების ტიპოლოგია რამდენადმე განსხვავებულია; გასული საუკუნის 20-იანი წლების „პოლიტიკარნავალების“ წარმოსაჩენად მიხეილ ჯავახიშვილმა მიმართა ტიპურ ისტორიებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ავთენტიკური ფიგურანტები ჰყავდათ; რაც შეეხება პოლიკარპე კაკაბაძეს, მან „ფოლკლორული თაღლითი“ – ნაცარქექია – გამოიყვანა თავისი პიესის გმირად, თუმცა ორივე ნაწარმოების პათოსი კეთილშობილურ ნიღაბს ამოფარებული ქარაქუცა მატყუარების მხილებაა და უნისონში ჟღერს: საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს, რათა არ დაუშვას იმ ადამიანთა აღზევება, რომლებიც

სარგებლობენ შექმნილი სიტუაციით და უტიფრად ცდილობენ ხელისუფლებას სათავეში (ან ძლიერთა ამა ქვეყნისათა ახლოს) ყოფნას.

კვაჭიზმი და ყვარყვარიზმი ცარიელ ნიადაგზე არ წარმოიშობა, მათი წარმოშობი მიზეზი სულიერებისგან დაცლილი საზოგადოებაა, რომელიც მზად არის სიყალბეს, უპრინციპობასა და უზნეობას უკმიოს გუნდრუკი, შიშისა თუ ანგარების გამო გმირად/წინამძღოლად/ბელადად შერაცხოს სხვადასხვა ავანტიურისტული ხრიკით ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული თაღლითი. ჩვენ ზემოთ მოკლედ შევხვით გარდამავალი პერიოდის, „ნგრევის ხანის“, სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებს, როგორც პიკაროების წარმოშობის ხელშემწყობ მიზეზებს. ასევე მოკლედ გავანალიზებთ ქართველი პიკაროების – კვაჭისა და ყვარყვარეს – ტიპურ ქარაქტეროლოგიურ თვისებებს.

მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილი მიერ პიკაროს ბავშვობის წლების წარმოჩენა, იმ სიტუაციისა, თუ ვინ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი მისი ხასიათის, ქარაქტეროლოგიური თვისებების ჩამოყალიბებაზე. ჯავახიშვილის რომანში პიკაროს აღმზრდელის, დამრიგებლის როლში ცალსახად კვაჭის მამა, სილიბისტრო გვევლინება. სწორედ სილიბისტრო იყო ინიციატორი აზნაურის წოდების მიღებასთან დაკავშირებული ავანტიურისა, რასაც „აუარებელი დრო და ფული“ დაახარჯა, რადგან გული ეთანაღრებოდა იმის გამო, რომ პასპორტში სამარცხვინო და სათაკილო სიტყვა „გლეხი“ ეწერა, თუმცა სილიბისტრო, თავის ოცნებებშიც კი, „მთელი სამტრედიის, ხონისა და ქუთაისის“ მასშტაბებს ვერ სცილდებოდა და სწორედ ამ ლოკალურ სივრცეში წარმოედგინა, რომ მისი კვაჭიკო „ნათესავს გაახარებდა... და მტერს თვალს დოუყენებდა“.

საყურადღებოა სილიბისტროს შეგონებები, რომლითაც კვაჭის უნდა ეხელმძღვანელა ადამიანებთან ურთიერთობისას: „შვილო კვაჭი, აი, ქვეყანა ასეა მომართული: ზოგი უმფროსია, ზოგი უნცროსი; ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბი; ზოგი ძლიერია, ზოგიც გლახაკი; ზოგი თავადია ან აზნოური, ზოგი კიდო ყაზახია, გლეხია. შენისთანა აზნოურიშვილმა ყველას თავი არ უნდა გოუყადროს... აზნოურს და მდიდარს დოუმეგობრდი, დოუახლოვდი... მდიდარი და ძლიერი ყოველთვის გამოგადგება: ერთი წინ ნაგაყენებს, მეორე გაჩუქებს რასმე, მესამე ხელს მოგიმართავს...“ ცხადია, სილიბისტროს დარიგებებმა განსაზღვრეს, რომ „კვაჭი ჭკვიანთან ჭკვიანი იყო, დინჯთან – დინჯი... პირდაპირთან – ორგული, ფლიდი და ორპირი; ორგულთან – ათგული და ათპირი; მუხასთან – ლერწამი, ლერწამთან – მუხა; რკინასთან – ბამბა და ბამბასთან – რკინა“, რომ „სადაც პირდაპირი გზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხევდა, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს იპოვნიდა... ათიოდე ხვრელს აღმოაჩენდა“, რომ მისი ცხოვრებისეული დევიზი გახდა: „ძამიავ, დეიხსომე: ღმერთს ცხვარი მოსანველად და საკრეჭად გოუჩენია“. ამგვარად, კვაჭიც „წველიდა“ და „კრეჭდა“ სხვადასხვა სიტუაციაში მასზე მინდობილ ადამიანებს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა – სამტრედიით დანყებული და ევროპის დედაქალაქებით დასრულებული.

ქართველ პიკაროებს გამორჩეულად იტაცებთ თავგადასავლები და ავანტიურა, მაგალითად: კვაჭის ბავშვობიდან იზიდავდა ზემოაღნიშნული, იმის მიუხედავად, რომ, ზოგადად, სწავლას დიდად არ სწყალობდა, „გატაცებით ჰკითხულობდა მოგზაურობას, ყოველგვარ თავგადასავალს, მსხვილფეხა და ნვრილფეხა ავანტიურის აღწერას. ორჯელ-სამჯერ გადაიკითხა ჯერ მაინ-რიდი, კუპერი, გუსტავ ემარი, გორდონის მოგონებანი, ნატ პირკენტონი, შერლოკ ჰოლმსი და

ათასგვარი დომხალი“. ზემოთ დასახელებული ავტორების მაღლიერ მკითხველს, შესაძლოა, წიგნში აღწერილი მოვლენებიდან ზნეობრივი, კეთილშობილური გაკვეთილები აეთვისებინათ, მაგრამ კვაჭიმ მალევე გააცნობიერა, „რომ ამ ქვეყნის ღერძი და დედაბოძი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, ხოლო დანარჩენი, რაც კი არსებობს... უკლებლივ ყველაფერი მხოლოდ ფულის მტვერია, მისი ყურმოჭრილი მონამორჩილია“. სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ მწერალი გვიჩვენებს, რომ კვაჭის ბუნება, მისი ფულისადმი სიყვარული არ იცვლება; კორექტირებას განიცდის მხოლოდ მისი „საქმის გაიმასქნების“ მასშტაბები: იგი იწყებს ქუთაისში ნაშოვნი ვერცხლის მანეთიანით და შემდგომში მისი აფიორებიდან შემოსული თანხა რამდენიმე მილიონამდე აღწევს, ხოლო მასშტაბურობით – პეტერბურგის, პარიზისა და ლონდონის მდიდრულ კვარტლებს სწვდება.

კვაჭის მსგავსად, ყვარყვარეც აცნობიერებს ფულის ძალას – კარგად იცის, თუ რა ენაზე ესაუბროს მის გარემომცველ საზოგადოებას – ეს არის ფულის, ქრთამის ენა. მენისქვილესთან საუბარში იგი ღიად აცხადებს: „დიდი მოიჯარადრე ვიქნები, დიდისგან დიდი. აი, ნახავ, ქრთამს სულ ქერივით დავაბნევ დიდკაცობაში. თვალი დაგიბრმავდება, რომ გაგივლი და არ შეგხედავ“. კვაჭის მსგავსად, ყვარყვარემაც იცის, ვისთან როგორ მოიქცეს: სუსტთან და უპოვართან – დიდგულობს, ძლიერთან – თავს ისანყლებს, ენაჭრელობა და ტყუილის თქმა ამოურჩევია. ცრუპენტელობა ის ნიჭია, რომლითაც იგი სხვებს აღემატება და რომელსაც საგანძურით უყურებს: „მე, ყვარყვარე თუთაბერს, ენით შენ შემომიარ?“. მისთვის ენა საკმარისი დასაყრდენია, რომ ყოველი საქმე ეშმაკურად მოაგვაროს, ბრიყვს თვალები აუხვიოს, სუსტი დაამინოს, ძლიერთან კი თავი მოისანყლოს.

ზოგადად, პიკარესკული გმირის

მორალურ-ფსიქოლოგიურ ქარაქტეროლოგიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პიკაროს დამოკიდებულება ქალების მიმართ. როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ტრადიციულ პიკარესკულ მოტივს, რომელსაც არც XX საუკუნის თაღლითურ/ავანტიურისტულ პროზაში განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება, წარმოადგენს ქორწინება, ქალების მიმართ ანგარებიანი დამოკიდებულება. ფრანსისკო კევედოს რომანის – „გაიძვერა დონ პაბლოსის ცხოვრების ისტორიის“ – ერთ-ერთი გმირი აცხადებს: „განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არასდროს არავინ გვიყვარს ანგარების გარეშე, წესდება გვიკრძალავს მორალისტ ქალებთან ურთიერთობას, ამიტომაც დავდევთ დუქნის მიმტან ქალებს – სადილის გამო, დიასახლისებს – საცხოვრებლის გამო. თვრამეტი წლის კვაჭიც პრაგმატულად უდგება ქალებთან დამოკიდებულების საკითხს: „ჩვენს დროში ათი წლის ბალანამაც ქე იცის, რომე ქალი წუთიერ სიამოვნებისთვისაა გაჩენილი... თუ თანასწორობაა, ყოლიფერში თანასწორობა უნდა იყოს. რათ ვათრიო ზურგით ოცი და ორმოცი წელიწადი ვილაც სონია, ვარია, ანუ მარუსია?... ჭკვიანი კაცი დედაკაცს ძირიან-ფესვიანად ამოსწურავს და თვითონვე მოაჯდება მას ზურგზე, ვინაიდან, დამიჯერეთ, სხვის ზიდვას მე მირჩევნია, რომ სხვა ვინმემ მზიდოს. ასეა ეს ქვეყანა მომართული“. კვაჭის დამოკიდებულებას ქალებთან მიმართებით არც შემდგომში განუცდია კორექტირება, პირიქით, იგი დასცინის მათ, ვისთვისაც ქალი გატაცების, სიყვარულისა და თაყვანისცემის ობიექტია: „ქალიზა ფულს მხოლოდ გიჟი და მახინჯი ჰხარჯავს... ნასწავლსა და ახალგაზრდა ქალიშვილებს მხოლოდ ტუტუცები და პოეტები დასდევენ... ქალი მხოლოდ სიამოვნებისთვისაა გაჩენილი“. ამდენად, ქალების მიმართაც მულავნდება „წველისა“ და „კრეჭის“ კვაჭისეული ფილოსოფია; მანაც დაუზარებლად ისარგებლა სხ-

ვდასხვა სიტუაციაში მასზე მინდობილი ქალებით.

საინტერესოა, რომ პიკარესკული პროზისთვის ნიშანდობლივი დიასახლისის არქეტიპი მიხეილ ჯავახიშვილთანაც იჩენს თავს; ვგულისხმობთ კვაჭიკოს პირველ ქუთაისელ დიასახლისს – ცვირის, რომლისგანაც პირველი ვერცხლის მანეთიანი იშოვა; ვოლკოვის ქვრივს, რომლის გულუბრყვილობით ისარგებლა, დაეპატრონა მის ქონებას და ხანდაზმული ქალი მისსავე სახლში მდგმურად აქცია. ზოგადად, კვაჭის ქალების სია შთამბეჭდავად გამოიყურება (კაპიტან სიდოროვის ქალიშვილი ვერაჩკა, რებეკა იდელსონი, სოფიო შავიძე და სხვ.). მათ შორის გამოირჩევა ქართველი ქვრივი, ულამაზესი ელენე, რომელსაც კვაჭი პეტერბურგის საზოგადოებაში დეიდაშვილად წარადგენს. ელენე ქალიპიკაროს სახედაც შეგვიძლია მოვიაზროთ; მაგალითად, ეპიზოდში, როდესაც კვაჭი მას სთავაზობს გრიგორი რასპუტინის მოხიბვლასა და საყვარლობას, ელენე შემდეგნაირად მსჯელობს: „რა თქმა უნდა, ფული კარგია, საჩუქარიც... ზემო სართულში გარევაც... თუ საქმე გაიჩარხა, ბარემ ის პატარა სახლიც მიყიდე, მე რომ მომწონს“. სხვათა შორის, ელენემ კარგად იცის კვაჭის ბუნება და როცა გრიშკა რასპუტინის წყალობით, სასახლის კარზე ფრეილინა ხდება, ყოფილ საყვარელზე გაბრაზებული, მას ამორდიას აზნაურობას წამოაძახებს, რაზეც განანყენებული კვაჭი პასუხობს: „შენ თვითონ ხარ ამორდიას აზნაური, თვარა კვაჭანტირადე ბაგრატ მეფის სარდალი იყო“. ასევე, განკერძოებით დგას რომანის პერსონაჟთა გალერეაში პარიზელი პრიმადონას, მადამ ლაპოშის ფიგურა; მან თავად გააცურა კვაჭი: სამი ათასი მანეთი დაახარჯვინა და მასთან გატარებული ერთი ლამის საფასურად ჯიბიდან 400 მანეთი ისე ამოულო, რომ შაურიც აღარ დაუტოვა. მადამ ლაპოშიც ქალი-პიკაროს სახედ შეგვიძლია მოვი-

აზროთ, თუმცა, ელენეს მსგავსად, ისიც ეპიზოდური პერსონაჟია და რომანის სიუჟეტიდან და ავტორისეული კონცეფციიდან გამომდინარე, მათი სახეები სრულყოფილად არ არის გახსნილი.

საინტერესოა კვაჭისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხი. იგი არასოდეს ივინყებს ხარისხზე მჯდომი ბებერი თუთიყუშის „თილისმურ ფორმულას“: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ... არც აქეთ, არც იქით... შენც მინდისარ, ისიც მიყვარს“. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა ქუთაისის საიდუმლო კრებებზე, სადაც პირველად გამოავლინა თავისი ორატორული ნიჭი. აღსანიშნავია, რომ კვაჭის პირველი ავანტიურა და მსხვილი თანხის შოვნა პოლიტიკას უკავშირდება; კერძოდ, არეულობის ჟამს ქუთაისში „ცნობილი და პატივცემული“ კოლია არევაძის დავალებით კვაჭი დაუახლოვდა შავი ქვის მრეწველის, ბერძენი კაროპულოს ვაჟს – კიპრიანეს, ხელი შეუწყო მის გატაცებას, რასაც ოჯახის მხრიდან მემკვიდრის გამოსყიდვა მოჰყვა. ამგვარი „საქვეყნო“ საქმის „გაიმასქნებით“ იშოვა კვაჭიმ პირველად დიდი თანხა. მართალია, კვაჭი არც სრულიად „არასაქვეყნო“ საქმეების „გაიმასქნებას“ თაკილობდა (მაიზელსონის როიალის ავანტიურა, ვოლკოვის ქვრივის სახლის ხელში ჩაგდება, სედრაქას ყალბი ფულით თამაში, ვერცხლის კოვზების მოპარვა სასტუმრო „ვეროპის“ რესტორნიდან და სხვ.), თუმცა კვაჭის ყველაზე დიდი მაქინაციები და მსხვილი აფიორები, რა თქმა უნდა, პოლიტიკური სიტუაციებისა და საჭირო ადამიანების სათავისოდ გამოყენებას უკავშირდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანგარებიანი ქორწინება ავანტიურისტული პროზის ერთ-ერთ ტრადიციულ მოტივს წარმოადგენს; პიკაროსთვის ეს უმარტივესი გზაა „ბუდის მოწყობისა“ და უმფოთველად ცხოვრებისა. აღნიშნულ სიტუაციაში პიკაროს ცინიზმი სრულად იჩენს თავს, რადგან მისთვის

აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს „გულის რჩეულის“ გარეგნობას, ასაკსა და ხასიათს. „ლიზა-ხანუმი მეტად სქელი და ჩატიკნული ორმოცდაათი წლის დედაკაცია. შავად შეღებილ ბულულა თმაში ბრილიანტების მძივი აქვს გახლართული. ფაფუკ ყელზე მოთვალული მანიაკი აქვს შემოხვეული. იმ მანიაკს ორსართულიანი ლაბაბი დასწოლია. გოლიათურ შიშველ მკერდსაც, განიერ მაჯებსაც და შუშაკიტრისოდენა თითებსაც უხვად აყრია ლალი, ფირუზი, ზურმუხტი და ამეთვისტო“. ასე გამოიყურება კვაჭის უკანასკნელი „სატრფო“ – სტამბულის ერთ-ერთი საროსკიპოს მფლობელი ბერძენი დედაკაცი, რომელთანაც კვაჭი საბოლოო ნავთსაყუდელს პოვებს. ამგვარად, მიხეილ ჯავახიშვილის რომანი სწორედ ანგარებიანი ქორწინების მოტივით იკვრება.

ფინალში ავტორი ირონიულად მიმართავს თავის გმირს: „ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს შენს ღირსეულს და ნამდვილ საქმეს მიაგენი. მაშ, არხეინად დაღბი მაგ ორმოში და მშვიდობით იყავი“.

პიესის ფინალში ყვარყვარეც თითქოს მარცხდება და ამბობს: „ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი თუთაბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება“-ო, მაგრამ ეს ის ძვალი იყო, რომელიც დრამატურგმა საბჭოურ ცენზურას გადაუგდო და რომლის წყალობითაც პიესა არასოდეს აუკრძალავთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყვარყვარეს ტიპი მარადიულია, მისი თავგადასავალი კვლავაც გრძელდება. ნიშანდობლივი ისაა, რომ პიესაში ბოროტება არ ისჯება, სხვაგვარად მისი ფინალი გულუბრყვილო და არაბუნებრივი იქნებოდა. ყვარყვარე ამ ბოროტების „აისბერგის“ მწვერვალია, მისი ნამდვილი საძირკველი კი – საზოგადოებრივი აზროვნება – ხელუხლებელი რჩება. შესაძლებელია ქვეყანაში მრავალი მთავრობა და ეკონომიკური ფორმაცია შეიცვალოს, მაგრამ, თუკი თავად ადამიანი და საზოგადოება არ შეიცვალა,

ბოროტების ფუძე ყოველთვის შეურყეველი დარჩება.

მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ ხშირად ადარებენ თომას მანის „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებას“ და გი დე მოპასანის „ლამაზ მეგობარს“. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მწერალი არასოდეს მალავდა მოპასანის გავლენას თავის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით მისი სამწერლო მოღვაწეობის პირველ პერიოდზე, რაც შესაბამისად დაფიქსირებულია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასთან, როგორც ცნობილია, „ლამაზი მეგობარი“ მიხეილ ჯავახიშვილმა თარგმნა, რითაც შესაძლებელია ამ რომანების მთავარ პერსონაჟებს შორის გარკვეული ტიპოლოგიური თანხვედრის ახსნა. რაც შეეხება „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებას“, იგი თომას მანის უკანასკნელი ნაწარმოებია.

ვფიქრობთ, აღნიშნულთან დაკავშირებით, საყურადღებოა პროფესორ ლეილა თეთრუაშვილის სტატია „ღირებულებათა გადაფასება“ მიხეილ ჯავახიშვილთან („კვაჭი კვაჭანტირაძე“ და თომას მანის „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებანი“). სტატიაში ავტორს მოაქვს ამონარიდები დიმიტრი ბენაშვილის წიგნიდან „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, რომ კვაჭი „კაცუნა იყო და გმირის როლი ითამაშა“, „ფარსის პერსონაჟი ტრაგიკულ სახეს იღებდა“ და ბოლოს: „ეს დროის ნიშანი იყო და მისი ხელით დაღდასმული“, რის შემდეგაც გვთავაზობს თავის მოსაზრებას, რომ „ამ გამონათქვამებში უკვე კვაჭიც ჩანს და ნაწარმოების ადგილიც მსოფლიო ლიტერატურის მდინარეებში, ანუ ის, რომ კვაჭიმ ყველა დიდი ღირებულება ხელყო და თავის დონეზე „დაქვეითებული“, ღირსებააყრილი და გაუფასურებული მიუგდო ადამიანებს“. მკვლევრის აზრით, „მთავარი, რაც კვაჭის,

როგორც ესთეტიკური ფენომენის, სახეშია მოცემული, არის თამაში. გავიხსენოთ: იგი სულ თამაშობს, ანუ არის იმიტატორი; თამაშობს გულწრფელ მეგობარს, ზოგჯერ თავგანწირულ მიჯნურს... თამაშობს ერთგულ სახელმწიფო მოღვაწეს, გენიალურ ფინანსისტს, ღირსეულ რაინდს თავისი ქვეყნისა.... ხდება ისე, რომ ზოგჯერ სახელმწიფოს მექანიზმიც კია მასზე დამოკიდებული (გავიხსენოთ რასპუტინთან დაკავშირებული გრანდიოზული აფორა)“ (თეთრუაშვილი, 2013, ელექტრონული ვერსია). სწორედ თამაშში, იმიტირებაში იჩენს თავს თომას მანის ყალთაბანდთან კვაჭის ტიპოლოგიური მსგავსების ასპექტი, თუმცა, ცხადია, განსხვავებაც არსებითია მათ შორის. კვაჭის მსგავსად, ფელიქს კრულსაც სხვისი ცხოვრებით უხდება ცხოვრება: „იგი მუდამ სხვა ადამიანების სამყაროშია გადასული. ის ხან ეპილეპტიკია, ხან სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ზოგჯერ ლიფტიორი, ზოგჯერ კელნერი, ბოლოს მარკიზი ვენოსატა. საექიმო კომისიის წინაშე ზუსტად ახდენს ბნედიანის შოკის იმიტაციას, ხატავს ისე, რომ არასოდეს ხატვა არ უცდია, თამაშობს ტენისს ისე, რომ აქამდე არ უთამაშია (ტოვებს კი შთაბეჭდილებას, თითქოს ძველად, ბავშვობაში ნათამაშები გადავიწყნია). იგი მუდამ ტოვებს საკუთარ თავს და სხვებში ესახლება ისევე, როგორც კვაჭი, რომელიც ხან ნაპოლეონ აპოლონის ძეა, ხან ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკი და ხან სხვა, ანუ კვაჭისა და ფელიქს კრულსაც აქვთ გასაოცარი უნარი საკუთარი თავიდან განსვლისა და სხვათა ცხოვრებაში ჩასახლებისა. გარდასახვისა და სხვის ცხოვრებაში შინაგანი წვდომის ამ ნიჭით ჯავახიშვილის კვაჭიც და თომას მანის ფელიქს კრულიც ხელოვანს (მწერალს, მსახიობს, მხატვარს და ა.შ.) მოგვაგონებს, მაგრამ ორივე გმირს ყველაფერი პრაქტიკული

მიზნებისთვის სჭირდება, რითაც ისინი „საქმის კაცებად“ რჩებიან, ხოლო ამათ „საქმეში“ ვლინდება... პროცესი დიდ ღირებულებათა გადაფასების, კლასიკური სულიერების დევალვაციისა და რღვევისა, რაც საუკუნის კატასტროფად აღიქმება იმავე სულიერების პოზიციებიდან“. ლეილა თეთრუაშვილის დასკვნით, „ორივენი – მიხეილ ჯავახიშვილიც და თომას მანიც – ერთი და იმავე ეპოქის დიდი წარმომადგენლები, ევროპული რანგის გამორჩეულად მასშტაბური მწერლები არიან და მონათესავე პოლიტიკურ კლიმატზეც მიგვანიშნებენ; დიდი ეპოქის დასასრულის მიჯნაზე ტრაგედია ფარსით იცვლება და კლასიკური ეპოქის გმირის სულიერი ღირებულებების დევალვაციის ფონზე ანტიგმირი ჩნდება“ (თეთრუაშვილი, 2013, ელექტრონული ვერსია).

„კვაჭი ფარსის პერსონაჟი იყო და ტრაგიკულ სახეს იღებდა“, ეს კი „დროის ნიშანი იყო“. სწორედ ამიტომ ენათესავება იგი ყველაზე მეტად პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერს და თომას მანის ფელიქს კრულს. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ ყვარყვარე სიტუაციას ნელ-ნელა უღებს ალღოს – თუ თავიდან რევოლუციონერებს ეხვეწება: თავი დამანებეთ, არ ვარ მე ის კაცი, თქვენ რომ გგონივართო, მერე რევოლუციონერობას შეიფერებს, მოგვიანებით – ეპოქის იმ კრედოს ამიშვლებს, „დროის ნიშანი [რომი]ყო“ და ბოლშევიზმის გაბატონებას უკავშირდებოდა, ანუ მენისქვილის რევოლუციონერ ქალიშვილს ეუბნება: „ამათ ბოლშევიკური პროგრამა მომთხოვეს, მაგრამ ვერ დავუფქვი და დღეს პანლური მომაცოლეს. ახლა ცოტა ბოლშევიკური ლაპარაკი მასწავლეს, ჩემო მოპოვებულო“.

ამგვარად, მიხეილ ჯავახიშვილისა

და პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებები ინარჩუნებენ პიკარესკული ჟანრისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ეგზისტენციალურ პრობლემატიკას, რომელშიც ვგულისხმობთ ისტორიულ-სოციალურ კატაკლიზმებში ჩართული გმირის/ანტიგმირის პიროვნული ჩამოყალიბების მხატვრულად წარმოჩენისა და გააზრების პროცესს; გმირისა/ანტიგმირისა, რომელიც მზად არის, ნებისმიერი ქმედების ფასად, გადალახოს დაბრკოლებები, გაიტანოს თავი, დამკვიდრდეს „მაღალ საზოგადოებაში“ და უზრუნველად გაატაროს ცხოვრება. რაც მთავარია, კვაჭი კვაჭანტირაძისა და ყვარყვარე თუთაბერის ავანტიურისტული თავგადასავლების მეშვეობით, მიხეილ ჯავახიშვილმა და პოლიკარპე კაკაბაძემ, სატირის, ირონიისა და გროტესკის მოშველიებით, შექმნეს მეოცე საუკუნის პირველი ოცნლეულის სინამდვილის ამსახველი მხატვრული ტილოები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ასათიანი გ. სათავეებთან, „ნეოსტუდია“, თბ: 2002;

ბაქრაძე ა. რწმენა, თბ: „მერანი“, 1990;

გომართელი ა. ლიტერატურული წერილები და ესეები, „უნივერსალი“, თბ: 2005;

თეთრუაშვილი ლ. ღირებულებათა გადაფასება მიხეილ ჯავახიშვილთან, თბილი-თელ-ავივი, 2013;

შავგულიძე ნ. ჩანჩურადან არსენამდე, „მეცნიერება“, თბ: 1988;

ჯავახიშვილი მ. თხზულებანი, ტ. VI, 1964;

Коцювинский Д. А. Лукоянов И В, Дневник Расрутина. М. ЗАО „Олма Медиа Групп“, 2008.



თეიმურაზ ნადარეიშვილი

შექსპირული ჩანახატებიდან

ჰამლეტი

ჰამლეტის „უმოქმედების“ პრობლემა

შექსპიროლოგიაში კარგადაა ცნობილი ჰამლეტის უმოქმედობის პრობლემა. მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ გმირს დაკისრებული აქვს ამოცანა, რომლის შესრულება მას არ შეუძლია და ამიტომ აჭიანურებს შურისძიებას. ეს ინტერპრეტაცია სათავეს იღებს გოეთედან, როდესაც იგი რომანში „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“, მსჯელობს ჰამლეტის შესახებ: „აჩრდილის გაქრობის შემდგომ ვის ვხედავთ ჩვენ წინ? შურისძიების გრძნობით ანთებულ ახალგაზრდა გმირს? ხელმწიფეს, რომლისთვისაც ბედნიერებაა ის, რომ მისი მონოდებაა, დასაჯოს უზურპატორი? არა! მარტო დარჩენილი ჰამლეტი შეძრწუნებული და დათრგუნვილია, იფიცება, რომ არ დაივინყებს გარდაცვლილს და ასკვნის ღრმააზროვანი ამოსუნთქვით (ქვემოთ ყველგან, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, მომყავს ივანე მაჩაბლის თარგმანები):

*დროთა კავშირი დაირღვა და
წყეულმა ბედმა
მე რად მარგუნა მისი შეკვრა!*

ეს სიტყვები, ჩემი აზრით, გვაძლევს გასაღებს ჰამლეტის მთელი საქციელისა და ჩემთვის ნათელია, რა უნდოდა ერვენებინა შექსპირს: ნებისყოფის სისუსტე მოვალეობის წინაშე! აი, ჩემი აზრით იდეა, რომელიც გასდევს მთელ პიესას. აქ მუხა დარგულია ძვირფას ჭურჭელში, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გამოიღოს მხოლოდ ნაზი ყვავილები. მუხის ფესვები იზრდება, ანგრევს ჭურჭელს და მუხა კვდება. მშვენიერი, სუფთა, კეთილშობილი, მაღალზნეობრივი ქმნილება, რომელიც მოკლებულია გრძნობების ძალას, რომლის გარეშეც არ არსებობენ გმირები, იღუპება ტვირთის ქვეშ, რომლის არც ზიდვა, არც მოცილება არ შეუძლია. ყოველი მოვალეობა მისთვის წმინდაა, ხოლო ეს მისთვის არანორმალურად მძიმეა. მისგან მოითხოვენ შეუძლებელს, არა ისეთს, რომელიც საერთოდ შეუძლებელია, არამედ მხოლოდ მისთვისაა შეუძლებელი.

დაახლოებით იმავე აზრს გამოთქვამს ჰეგელი (რომელიც ნაწილობრივ ეყრდნობა გოეთეს) ცნობილ თხზულებაში „ესთეტიკა“: „დასაწყისში ჩვენ ვხედავთ

ჰამლეტს, რომელიც იტანჯება ბუნდოვანი შეგრძნებით, რომ მოხდა რალაც საშინელი რამ. ამის შემდგომ მას ეცხადება მამის სული, აჩრდილი და იგი უხსნის ჩადენილ დანაშაულს. ჩვენ ველოდებით, რომ ამის შემდეგ ჰამლეტი უმაღვე დასჯის დამნაშავეს და მიგვაჩნია, რომ მას შურისძიების სრული უფლება აქვს, მაგრამ ის სულ უფრო აყოვნებს და აყოვნებს. ჰამლეტის ამ უმოქმედობას საყვედურობდნენ შექსპირს და კიცხავდნენ იმისათვის, რომ ტრაგედიაში თითქმის არ არის მოძრაობა, ქმედება. მაგრამ, პრაქტიკულად, ჰამლეტი წარმოადგენს თავის სულიერ განცდებში ჩაღრმავებულ სუსტ ნატურას. იგი მელანქოლიურია, განწყობილია, იქექოს საკუთარ სულში, მოაზროვნეა და ამიტომ არ შეუძლია სწრაფი მოქმედებები. გოეთეც ასევე ამტკიცებდა, რომ შექსპირს უნდოდა გამოეხატა თავის ტრაგედიაში დიდი გმირობა, რომელიც დაკისრებული აქვს ისეთ გმირს, რომელიც არ იმყოფება ამ გმირობის დონეზე. გოეთე თვლიდა, რომ მთელი პიესა შექსპირის მიერ დამუშავებულია ამ მიმართულებით“.

ამასთანავე, ჰეგელს შემოაქვს ახალი მოტივიც ჰამლეტის ქმედებების შესაფასებლად. კერძოდ, იგი განაგრძობს: „მაგრამ რაც შეეხება მამის აჩრდილის გამოჩენას, შექსპირი აქ იძლევა გაცილებით ღრმა შტრიხს. ჰამლეტი აყოვნებს იმით, რომ იგი ბრმად არ ენდობა აჩრდილს“. ჰეგელს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოჰყავს ჰამლეტის სიტყვები, სადაც ჩანს ერთ-ერთი მოტივი „ხაფანგის სცენის“ მონყობისა:

*იქნება მართლა მე რომ ვნახე, იგი
აჩრდილი
ემშაკიც იყო, და ეშმაკს ხომ,
როდესაც უნდა,
შეუძლიან თვით საამური სახე
მიიღოს.
იქნება იმან განიზრახა ჩემი
დაღუპვა,*

*რადგან ჩემებრივს სევდიან და
სუსტ ქმნილებაზედ
მავნედ მოქმედობს ძლიერება
ავის სულისა.
სჯობს, რომ საბუთი უფრო მტკიცე
მეჭიროს ხელში.
ეს წარმოდგენა მე გამიმხელს
მეფის სინიდისს.*

და ჰეგელი ასკვნის: „ვხედავთ, რომ აჩრდილი ვერ იმორჩილებს, ვერ განაგებს ჰამლეტს სიტყვაშეუბრუნებლად. ჰამლეტს ეჭვი ეპარება და სანამ რამეს მოიმოქმედებდეს, მას უნდა, დარწმუნდეს დანაშაულის სინამდვილეში“.

ახლა მოვუსმინოთ კოლრიჯს მისი ცნობილი „შექსპირული ლექციებიდან“: “ყველაფერი, რაც მიმზიდველი და საუკეთესოა ბუნებაში, ერთი ღირსების გამოკლებით, შეკრებილია ჰამლეტში. ესაა მედიტაციაში მყოფი კაცი, რომელსაც ჰუმანურმა და კეთილშობილურმა მოტივებმა უბიძგეს ქმედებისაკენ, მაგრამ მისი ცხოვრების დიდი მიზანი აუხდენელი რჩება იმის გამო, რომ, კი გადაწყვიტა ემოქმედა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების მეტი არაფერი იღონა!“

თითქმის იმავეს ამბობს ლორენს ოლივიეც: „ესაა ტრაგედია ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება“.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ მოყვანილი შეფასება ჰამლეტის უმოქმედობისა საბოლოოდ მაინც გოეთესეულ მოსაზრებას ეყრდნობა: „ნებისყოფის სისუსტე მოვალეობის წინაშე!“ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ცალკეული განსხვავებული მოსაზრებებიც. ასე მაგალითად, კოტე მარჯანიშვილი უმანგი ჩხეიძეს ეუბნებოდა: „მინდა ითამაშო უბრალო, მაგრამ კეთილშობილი ადამიანი“ და სრულებით არ აკეთებდა აქცენტს ჰამლეტის უნებისყოფობაზე. ასევე საინტერესოა ალექსანდრე წუნუნავას მოსაზრებაც: „არაფერი არ არის

საკვირველი, რომ ჰამლეტი ფილოსოფიის მეფედ იწოდებოდა. აზროვნება ჰამლეტს სამყაროს შემეცნებისკენ და მის შესაცვლელად აქტიური ჩარევისაკენ უბიძგებს, რათა „ნაღრძობი“ საუკუნე კალაპოტში ჩააყენოს“.

მინდა გავაკეთო რამდენიმე კომენტარი ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით, ხოლო ბოლოს კი საკუთარი მოსაზრებაც გამოვთქვა ჰამლეტის „უმოქმედობის“ შესახებ.

1) ნაწილობრივ შეიძლება დავეთახმოთ გოეთეს მოსაზრებას, რადგანაც, როდესაც ადამიანს რაიმე რთული პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, მაშინ, ჩემი აზრით, ორი შესაძლო სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

ა) ადამიანი შესაძლოა მოულოდნელად „დაბრძენდეს!“ მას უჩნდება „გვერდითი“, არაბუნებრივი იდეები, რადგანაც ვერ ძლევს პრობლემას და ცდილობს აიცილოს იგი! ამ მოვლენას ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ვაკვირდებით. კერძოდ, როდესაც მოსწავლემ ცუდად იცის გაკვეთილი, მაშინ იგი უცაბედად მჭევრმეტყველი ხდება და გაკვეთილის გარდა, ყველაფერზე ლაპარაკობს („მიედ-მოედება!“). ასევე, ზოგიერთი პოლიტიკოსის გამოსვლებს მაშინ „შეუდგება ბევრი წყალი“, როდესაც მას არ ძალუძს პრობლემის უშუალოდ გადაჭრა და ა.შ. ზოგადად ამ სიტუაციის დასახასიათებლად კარგი გამოთქმა არსებობს რუსულ ენაში: „Печальная мудрость неудачника!“ და ადვილი შესაძლებელია, ჰამლეტის მონოლოგები საკუთარი უმოქმედობის შესახებ სწორედ „გვერდითი“ იდეები, „ხელმოცარული ადამიანის სევდიანი სიბრძნე“ იყოს!

ბ) ადამიანმა შეიძლება დაიწყოს მისთვის უფრო მარტივი პრობლემის გადაწყვეტა (იმის, რაც მან იცის ან რასაც, გრძნობს, რომ დაძლევს!), რადგანაც მას უჭირს რთულის გადაწყვეტა! ამ შემთხვევაში კი ჰამლეტისათვის მო-

ნოლოგების წარმოთქმა უფრო მარტივი ამოცანაა, ვიდრე შურისძიების აღსრულება!

2) ჰეგელის მოსაზრებით ჰამლეტმა არ იცის, რა ტიპის სულთან აქვს საქმე, ამიტომაც მთავარია, დაადგინოს მკვლელობის ფაქტი, რისთვისაც აწყობს „ხაფანგის“ სცენას, მაგრამ ეს სცენა მესამე აქტის დასაწყისშია და თუ მარტო ამით იყო გამოწვეული ჰამლეტის უმოქმედობა, მაშინ გაუგებარია, რატომ არ იწყებს მოქმედებას ჰამლეტი დანარჩენი ორი აქტი (პიესის თითქმის მთელი მეორე ნახევარი!).

3) გოეთეს მიერ ნახსენები ჰამლეტის „საბედისწერო“ ფრაზა –

*დროთა კავშირი დაირღვა და
წყეულმა ბედმა*

მე რად მარგუნა მისი შეკვრა!

ნათქვამია უშუალოდ აჩრდილის ნახვის შემდგომ და ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს ემოციურ ფრაზად და არ ნიშნავდეს უნებისყოფობას! დამატებით არგუმენტი იმისა, რომ აქ სისუსტეზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი, არის ის, რომ ამ სიტყვების წარმოთქმამდე ჰამლეტს უკვე მოფიქრებული აქვს შემდგომი მოქმედების გეგმა – თავი მოაჩვენოს შეშლილად (რათა ამ „ნიღბის“ ქვეშ მოქმედება გაუდვილდეს) და მეგობრებს თხოვს, შეგნებულად თუ შემთხვევით არ გათქვან იგი:

ეს სათხოვარი შემისრულეთ:

იქნება ჩემთვის

*საჭირო იყოს უცნაურის სახის
მიღება*

და ჩემის ქცევის, მიხვრა-მოხვრის

სხვაფორივად შეცვლა,

თუ მნახოთ მაშინ, ნურავის ნუ

შეამჩნევენებთ,

რომ ჩემ შესახებ საიდუმლო ვითომ

რამ იცით.

ნურც გულზედ ხელებს

შემოიკრებთ ეჭვიანობით,

ნურც თავს გაიქნევთ, ორაზროვნად

ნურაფერს იტყვიტ,
ამის მსგავსს რასმე: „ვიციტ,
ვიციტ, ჩვენ კარგად ვიციტ...“
ან კიდევ ასე: „ჩვენ შეგვეძლო, რომ
გვდომებოდა,
რომ შეგვეძლებოდა იმისი თქმა...“ „მე
ვიცნობ კიდევ
ამ საქმის მცოდნე ზოგიერთებს...“
– ეს შემომფიცეთ.
ეგრემც ღვთის მაღლი გასაჭირში
თქვენ მოგფენოდეთ.

4) ასევე, ეს ფრაზა შეიძლება იმის ხმამაღალი გააზრება იყოს, მართლაც რა რთული ამოცანა დააკისრა ბედმა ჰამლეტს (და მეტი არაფერი!). ამასთან დაკავშირებით მახსენდება, თეოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვებში“ ხუცესი ზოსიმი როგორ დაუჩოქებს მიტია კარამაზოვს მისი მომავალი რთული ცხოვრების გამო.

ბოლოს კი მიინდა საკუთარი მოსაზრება გამოვთქვა ჰამლეტის „უმოქმედობის“ შესახებ. ჩემი აზრით, ჰამლეტის უმოქმედობა იმითაა გამონწეული, რომ მოხდა პარადოქსული, არანორმალური მოვლენა – ჰამლეტის ბიძამ მოკლა საკუთარი ძმა, შეირთო ჰამლეტის დედა და თანაც ძალიან მალე (როგორც ჰამლეტი სარკაზმით აღნიშნავს: „ჯერ ის ფეხსაცმელებიც კი არ გაუცვეთია, რომლითაც კუბოს მიაცილებდა“). ეს იმდენად თავზარდამცემი ფაქტია, რომ საჭიროა მასში გარკვევა. დავსვათ რიტორიკული შეკითხვა: „ვინ არის ჰამლეტი?!“ და თავად გავცეთ პასუხი: „ჰამლეტი პრინცია, რომელიც სასახლისეულ „სასათბურე“ პირობებში გაიზარდა და მამის მეფობის შემდგომ მისი ადგილი „ნყნარად“ უნდა დაეკავებინა!“ მაგრამ ამ მკვლელობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა! იწყება ჰამლეტის „გამოფხიზლების“ მტკივნეული პროცესი. კერძოდ, მისი წარმოდგენები სამყაროზე სწორი რომ ყოფილიყო, მაშინ მსგავსი რამ არ უნდა მომხდარიყო (როგორც თ. დოსტოევსკი ამბობს: „დარ-

ღვეულია მსოფლიო ჰარმონია!“), მაგრამ, რადგანაც ეს მოხდა, უნდა აიხსნას თუ რატომ მოხდა, რის მხოლოდ გარკვევასაც (კვლევას!) კი გარკვეული დრო სჭირდება და გამოდის, რომ ჰამლეტი გარეგნულად, ფიზიკურად არ მოქმედებს, სინამდვილეში კი იგი მთელი პიესის განმავლობაში ინტელექტუალურად მოქმედებს – იკვლევს თუ რა მოხდა, რის შედეგადაც რწმუნდება, რომ ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ჩვენი პირვანდელი წარმოდგენები მასზე. ამიტომ თანდათანობით ჰამლეტს დანია საპყრობილედ წარმოუდგება („სწორედ საპყრობილეა, რომელშიც ბევრი შენობაა, ბევრი ხვრელი, ბევრი ჯურღმული“.). ეს კვლევა კულმინაციას აღწევს „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგში, როდესაც ჰამლეტს იმდენად პარადოქსული ეჩვენება მომხდარი, რომ იგი სვამს კითხვას – აზრი აქვს თუ არა, საერთოდ, არსებობას?! (ჩემის მხრივ კი დავუმატებდი, რომ, რასაკვირველია, ყოფნა ჯობს არყოფნას, მაგრამ ადამიანი მუდმივად სვამს ამ კითხვას, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ეჭვი შეიძლება შევიტანოთ საერთოდ არსებობის მიზანშეწონილობაში!). მაგრამ, როდესაც კვლევა მთავრდება, იგი უმაღლესი ფიზიკური ქმედების ადამიანი ხდება და ალასრულებს შურისძიებას – კლავს კლაუდიუსს!



დადებითი გმირის, ჰამლეტის ოფელიასთან საკუთარ ნაკლოვანებებზე (რაც, რასაკვირველია, ყველა ადამიანს გააჩნია!) ღია საუბარი ჰამლეტის სულიერ აშლილობად აღიქმება, მაშინ, როცა რიჩარდ III-ის (ტირანის!) იგივე ქმედება („მოულოდნელი“ გულწრფელობები!) გარკვეული ხიბლის შემცველიც არის, რაც მისდამი გარკვეულ თანაგრძნობასაც კი აღძრავს მყურებელში! ასე რომ, გააჩნია თუ ვინ არის გულწრფელი!

ჰამლეტის კეთილშობილება იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ მან იცის, ბიძამის-

თან ბრძოლაში შეიძლება დაიღუპოს და უნდა, რომ ცუდად დაამახსოვროს თავი ოფელიას, რათა მისთვის ნაკლებად მტკივნეული იყოს ჰამლეტის შესაძლო დაკარგვა! მახსენდება მიხაილ ლერმონტოვის რომან „ჩვენი დროის გმირიდან“ პეჩორინის თავადის ასულ მერისთან დაშორების სცენა. პეჩორინი განზრახ მიაყენებს შეურაცხყოფას მერის, რაც მანდილოსნის გაცხარებას გამოიწვევს: „Я ненавижу вас!“ პეჩორინი მაღლობას უხდის თავადის ასულს ამგვარი რეაქციისათვის და მიდის. აქაც პეჩორინს უნდა, რომ მერის შესძულდეს იგი, რათა განშორება ისე მძიმედ გადასატანი არ იყოს! (თუმცა ამ ორ შემთხვევას განასხვავებს ის, რომ ჰამლეტს უყვარდა ოფელია, პეჩორინს კი არ გააჩნდა ეს გრძნობა მერისადმი)!



ჰამლეტს არ მოსწონს სასახლის დიდგვაროვანთა გაუთავებელი დროსტარება, თუმცა თვითონაც ასეა გაზრდილი („თუმცა შეზრდილი ვარ მე მაგ წესთან“):

*მუდამ მეჯლისი, სიმთვრალე დროს – გატარება
უცხო ხალხთ თვალში თავსა გვჭრის
და სახელსაც გვიტეხს;
ჩვენ გვეძახიან ლოთებს და სხვას
კიდევ უარესს
და ჩვენს ქველ საქმეს, ყველგან
განთქმულს ჩვენსა დიდებას
ფასიც, ღირსებაც უმცირდება ღვი
ნის წყალობით.*

მართლაც რაღა

ც არაორდინარული მოვლენა უნდა მოხდეს შენს ცხოვრებაში (ამ შემთხვევაში, ჰამლეტის ბიძის მიერ ძმის მკვლელობა და მისი ცოლის შერთვა!), რომ „გამოფხიზლდე“ და საკუთარი ცხოვრების წესს დააკვირდე!

როცა საჭიროა, ჰამლეტი უმაღვე იღებს გადაწყვეტილებას და ქმედების

აღამიანი ხდება. ეს კარგად ჩანს სამი ეპიზოდიდან.

პირველ შემთხვევაში ჰამლეტს ვერ აკავებენ ჰორაციო და მისი მეგობრები, როდესაც იგი აჩრდილს მიჰყვება:

„შემოქმედს ვფიცავ, ვინც კი დამიჭერს, მყის იმასაც აჩრდილად ვაქცევ!“

უკვე ამ ეპიზოდიდან ჩანს (პირველად!) თუ რა მამაცი ადამიანია ჰამლეტი, რადგანაც იმდროინდელი წარმოდგენებით აჩრდილი შესაძლოა ბოროტი სული ყოფილიყო და მას შეეძლო დაეღუპა ჰამლეტი.

მეორე ეპიზოდში, დედასთან საუბრისას, იგი უკვე „კლავს“ ბიძამისს, როდესაც ფარდის უკან საეჭვო მოძრაობას შენიშნავს, მაგრამ „შემთხვევით“ იქ პოლონიუსი აღმოჩნდება. მესამე ეპიზოდში კი ინგლისში ჰამლეტი წერილებს შეუცვლის „საუკეთესო მეგობრებს“ როზეკრანცსა და გილდენსტერნს და მოაკვლევინებს მათ!

ასე რომ, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ არავითარ „ნებისყოფის სისუსტესთან მოვალეობის წინაშე“ არ გვაქვს საქმე – როდესაც ჰამლეტის წინაშე შედარებით მარტივი ამოცანა დგას, იგი დაუყოვნებლივ ფიზიკურ ქმედებებზე გადადის!



ერთ-ერთი პირველი ფრაზა, რომელსაც ჰამლეტი წარმოთქვამს მამის აჩრდილთან შეხვედრის შემდეგ, არის შემდეგი სიტყვები:

„ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“, რასაც უმაღ მოჰყვება ჰორაციოს ირონიული შენიშვნა: „მაგის საცნობად რად გვინდოდა აჩრდილის მოსვლა“.

ამ ადგილის ინტერპრეტაციისას უმრავლესობა მკვლევრებისა მიიჩნევს, რომ ჰამლეტი ცდილობს, თავი აარიდოს პირდაპირ პასუხს შეკითხვაზე, თუ რა მოუთხრო მას აჩრდილმა. ჩემი აზრით, ეს სიტყვები ჰამლეტის ხმამაღალი ფიქრია ბიძამისის შესახებ (ეს ხომ

პირველი ემოციაა მას შემდეგ, რაც მან აჩრდილისაგან შეიტყო სიმართლე!), მაგრამ ეს ფიქრი შენიღბულია და ამიტომ ჰორაციოს გულწრფელ გაცეხებასა და ირონიულ შენიშვნას ინვევს. ასე რომ, ზოგჯერ ღრმა, მაგრამ შენიღბული აზრი შესაძლოა „უხერხულიც“ კი აღმოჩნდეს ავტორისათვის, რადგანაც იგი ბანალურად გამოიყურება (იმეორებს ცნობილ ჭეშმარიტებებს, მაგრამ ეს შენ მიერ მიგნებული, შენი „საკუთარი“ ჭეშმარიტებაა!).

●
თავისი „სიგიჟით“ ჰამლეტი კარგად მოქმედებს ცოდვიანებზე – ბიძამისი მონანიების ლოცვამდე მიიყვანა და დედასაც „შეუნჯღრია“ სინდისი (გერტრუდა: „ოჰ, მაგ სიტყვებით გული ჩემი ორად გაგლიჯე!“).

●
მოხეტიალე მსახიობების გამოჩენას ჰამლეტი ოსტატურად იყენებს, აწყობს რა ცნობილ „ხაფანგის“ სცენას, რომლის საშუალებითაც ერთდროულად ორ ამოცანას წყვეტს. ჯერ ერთი, ჰამლეტს უნდა დარწმუნდეს, ნამდვილად მოკლა თუ არა კლაუდიუსმა ძმა:

*გამიგონია, რომ როდესაც
ცოდვიანები
თავიანთ ცოდვის მზგავსაა რასმე
თეატრში ნახვენ,
გულდაკოდილნი მყის ამ ცოდვას
თვითვე ამხელენ,
კაცის მოკვლასთან თუმც ისპობა
მეტყველებაცა,
მაგრამ თვით ცოდვა სასწაულად
შექმნის ლაღადსა.
მე ამ აქტორებს მამაჩემის მოკვლის
მზგავსს რასმე
ბიძაჩემის წინ ვითამაშებ და თვალს
ვადევნებ,
წყლულსაც ერთგულად
გავუსინჯავ და თუკი შეკრთა,*

*მაშინ მე ვიცი, თვით გავიგნებ
მაშინ ჩემ გზასა.*

და მეორეც, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჰამლეტი მსახიობებს სთხოვს, წარმოდგენაში ჩაამატონ რამდენიმე წინადადება, რომლებშიც გაკიცხულია ადამიანის უმოქმედობა:

*მაგრამ ვივინყებთ ხშირად ჩვენვე
ჩვენგან განზრახულს,
განზრახვა არის ხსოვნისათვის
მონა მორჩილი,
იშვის ძლიერი და დაჰკარგავს
ბოლოს ძლიერს სულს,
როგორც რომ ხეზედ მაგრად ებას
ჯერ მკვახე ხილი
და მერე მწიფე მოსწდეს ხესა
არცკი
შერხეულს.*

.....

*სურვილი ჩვენი და ბედი ჩვენი
ერთს არ მისდევს გზას
და ხშირად ჩვენი განზრახული
რჩება განზრახვად.*

მე მგონი, სწორედ ეს არის ჰამლეტის მიერ ჩამატებული ადგილი საკუთარი თავის სასაყვედუროდ (ჰამლეტი თითქოს გარედან უყურებს თავის თავს!), რადგანაც მისთვის „განზრახული რჩება განზრახვად“ – ჯერ არ აღუსრულებია შურისძიების აქტი! ფსიქოლოგიაში ცნობილია შემდეგი „უცნაური“ მოვლენა: როდესაც ადამიანი სხვა ადამიანში ხედავს საკუთარ ნაკლს, მაშინ მას ეხსნება ეს ნაკლი! შესაძლოა, ჰამლეტთანაც ამ მოვლენასთან გვექონდეს საქმე!

●
ცნობილი „ხაფანგის“ სცენა დამთავრებულია – ჰამლეტმა ყველაფერი გაარკვია, დამნაშავემ უკვე გამოიშკარავა თავი და ჰამლეტმა დანამდვილებით იცის, რომ მისმა ბიძამ საკუთარი ძმა

მოკლა. მაშ, რაღა აკავებს ჰამლეტს?! რატომ არ აღასრულებს შურისძიების აქტს? ეს ერთ-ერთი რთულად გასაგები ადგილია პიესის და ცალსახა პასუხის გაცემა ზემოთ დასმულ შეკითხვებზე თითქმის შეუძლებელია! გამოვთქვამ საკუთარ მოსაზრებებს ამ ფაქტთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩემი აზრით, ჰამლეტის გადაწყვეტილება შურისძიების გადადებისა მოტივირებულია შემდეგი არგუმენტებით:

1. ჰამლეტი მაღალზნეობრივი პიროვნებაა და არ შეუძლია ადამიანი მოკლას ლოცვისას – განწმენდის პროცესში. იგი ელოდება სათანადო მომენტს, როცა ბიძამისი განცხრომაში იქნება ან მორიგ უკეთურ საქმეს ჩაიდენს:

*აგერ ლოცულობს!
მარჯვე დრო არის და მარჯვედაც
მოვიხმარ ამ დროს:
მოვკლავ და ზეცას ავა იგი. ამითი
ვითომ
მერე ჯავრს ვიყრი? მოფიქრება
არის საჭირო.
მამა მომიკლა ავაზაკმა და მე კი,
ნაცვლად,
მის მკვიდრი შვილი ზეცას ვგზავნი
იმავე ავაზაკს
ეს ხომ ჯილდოა, სად არის აქ
შურისძიება!*

.....
.....

*მერე ამით ვითომ ჯავრს ვიყრი,
რომ ან სიცოცხლე გამოვნირო,
როს მისი სული
განწმენდილია და ამოსვლად გან
ზადებული?
არა და არა! იქით, ხმალო, და მას
ეცადე,
დრო უარესი შეურჩიო: ოდეს
ლოთობდეს,
შფოთსა და ბრახს მისცემოდეს, ან
როს ეძინოს,
ან მეძავობდეს თვის სანოლში*

*სისხლის შერევით,
ანუ ღვთის გმობით, თამაშობით
გართული იყოს,
ან ჩადიოდეს სხვა უწმინდურს რამ
საქციელსა,
მაშინ დაჰკარ და ყირამალად
ჩააგდე ქვესკნელს,
რომ მისი სული იქმნეს ბნელი,
შეჩვენებული,
ვით მის სამყოფი ჯოჯოხეთი.*

ამ მონოლოგიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ ჰამლეტი ანალიტიკური უნარის მქონე პიროვნებაა – განსჯის, სათანადო ანალიზის გარეშე მას არ შეუძლია ქმედებაზე გადასვლა და ჩვენც ვეთანხმებით მის რკინისებურ ლოგიკას („ეს ხომ ჯილდოა, სად არის აქ შურისძიება!“), ანუ ამჯერადაც გვესმის ჰამლეტის „უმოქმედობის“ შინაგანი მოტივები!

2. შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ კლაუდიუსი ჰამლეტის ბიძაა (ასეთი საშინელი, მაგრამ მაინც ბიძა!). მახსენდება ბატონი რეზო ესაძის ნალაპარაკევი რადიოში: „ჰამლეტი, ალბათ, ბიძის მუხლებზე იზრდებოდა და ახლა ამ გაუგონარი ღალატის გამო გაოგნებულია; ასეთივე იყო ჩემი დამოკიდებულება სტალინისადმი მისი გარდაცვალების შემდეგ – მჯეროდა მისი და მოგვიანებით უამრავი საშინელი რამ გავიგე მის შესახებ!“ ამიტომ, მე მგონი, შეიძლება, სულ მცირედი, შეცოდების, სიბრალულის გრძნობა გააჩნია ჰამლეტს ბიძისადმი და ესეც აკავებს მას.

3. ჩემი აზრით, ყველაზე მძლავრი არგუმენტი მაინც ის არის, რომ ჰამლეტმა ჯერ არ იცის, თანამონაწილეა თუ არა დედამისი ქმრის მკვლელობისა, იცოდა თუ არა გერტრუდამ საერთოდ, რომ მკვლელობა მოხდა?! ჰამლეტს რომ მოეკლა კლაუდიუსი, მაშინ ხომ ყველაფერი „თავდაყირა დადგებოდა“ დანიის სამეფოში და შესაძლოა ველარასოდეს გაერკვია დედის ბრალეულობისა

თუ უდანაშაულობის საკითხი! სწორედ ამიტომ ჰამლეტი მიიჩქარის დედასთან შესახვედრად, რომელიც უშუალოდ ამ სცენის მომდევნო სცენაა.

●
დედასთან საუბრისას ჰამლეტის სანყისი სკეპტიციზმი არ არის გასაკვირი; მართალია, მის წინაშე მშობელი დედაა, მაგრამ იმ საშინელი ფაქტის შემდგომ, რაც მოხდა, ყველაფერი მოითხოვს თავიდან გააზრებას – დედის ცნებაც კი! (გავიხსენოთ, რომ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები არანორმალური სიტუაციისა – დედას ართმევენ ხოლმე დედობის უფლებას!). მართლაც, გერტრუდამ ჰამლეტის ბიძაზე ქორწინებით, ფაქტობრივად, თვითონ თქვა უარი ჰამლეტზე (დედა ბიცოლა გახდა!) და ამიტომ ჰამლეტიც „ეკლიანია“ დედასთან ურთიერთობისას! ის თანმიმდევრულად ადგენს, რომ გერტრუდამ არ იცოდა ქმრის მკვლელობის ამბავი და ამ ფონზე თანდათანობით გულახდილი ხდება დედასთან საუბარში. კერძოდ, დედას ჯერ იმას განუცხადებს, რომ თავს იგიუიანებს:

*შენ გგონია, მე გიყვი ვიყო?
ვით შენი მაჯა, ჩემი მაჯაც ზ
ომიერად სცემს
და თანაბრობით ამტკიცებს ჩემი
ჯანის სიმრთელეს.
რაც ეხლა მე ვთქვი, ეს სიგიჟით
როდი მომსვლია;
გამეორებას, აბა მითხარ, გიყვი ვით
შესძლებს?
ოჰ, დედაჩემო, გაფიცებ მაღლს,
ზეციურს,
ნუ ინუგეშებ თავს იმითი, ვითომც
სიგიჟე
და არა შენი ცოდვა ამას მ
ალაპარაკებს.*

ჰამლეტის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ

შექსპირი კარგად ერკვევა მედიცინაში, რადგანაც ფსიქიატრიაში ცნობილია, რომ შეურაცხად ადამიანს არ შეუძლია მის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამეორება! მოგვიანებით კი ჰამლეტი დედას პირდაპირ ეუბნება, რომ კლაუდიუსი მკლელია!

რა თქმა უნდა, ეს ქმედება გარკვეული რისკია ჰამლეტის მხრიდან, რასაც თავადვე აღნიშნავს:

*კარგი იქნება, ყველაფერი
გამოამყლავნო.
ან ვით შეჭფერის შენებრ ლამაზს,
ჭკვიან დედოფალს,
მას დაუმალოს ესოდენნი მძიმე
საქმენი,
მას, იმ ღამურას, ქვემძრომ ჯოჯოს,
ქეციანს კატას!*

მართლაც, გერტრუდა მისმა მდგომარეობამ (დედოფლობამ!) შეიძლება აიძულოს (სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე!), გათქვას ჰამლეტი. გერტრუდას ესმის, რომ მისი შვილი ბიძამისის მოსისხლე მტერი გახდა, მაგრამ დედობრივი გრძნობა მაინც იფარავს ჰამლეტს:

*სიტყვა სუნთქვას, სუნთქვას კიდევ
სიცოცხლე მოსდევს,
და მომესპოს მე როგორც სუნთქვა,
ისე სიცოცხლე,
შენი ნათქვამი საიდუმლო თუ
გავამხილო.*

დედოფალი, მართლაც, ინახავს ამ საიდუმლოს, თუმცა, ჰამლეტის თხოვნის მიუხედავად, მაინც უბრუნდება „გარყვნილების ბუდეს“ – კლაუდიუსს!

●
ფორმალურად ჰამლეტი ლაერტის წინაშე დამნაშავეა, რადგანაც ის შემთხვევით კლავს მამამისს – პოლონიუსს და მისი დის, ოფელიას სულიერი აშ-

ლილობისა და შემდეგ დაღუპვის ირიბი მიზეზი ხდება! ამიტომ ჰამლეტი ლაერთის წინაშე გარკვეული სინდისის ქენჯნას განიცდის! სწორედ ჰამლეტის ამ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ოსტატურად იყენებს კლაუდიუსი. კერძოდ, მან იცის რომ ჰამლეტი (ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო) ლაერთან „უწყინარ“ პაექრობაზე უარს ვერ იტყვის და სასიკვდილო ხაფანგს უგებს მას!

●
სასაფლაოს სცენაში მესაფლავეები ჩანან, როგორც მჭევრმეტყველი და ღრმად მოაზროვნე ადამიანები. მართალია სასაფლაო ისეთი ადგილია, სადაც ფილოსოფიურ განწყობაზე ვდგებით ხოლმე, მაგრამ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ უმეტესწილად შექსპირის პიესებში მეორეხარისხოვანი გმირებიც კი ბრძნულ მონოლოგებს წარმოთქვამენ, რამაც შესაძლოა ხელოვნურობის, არაბუნებრიობის განცდა გამოიწვიოს (ალბათ, ესეც აღიზიანებდა ლევ ტოლსტოის, რომელიც შექსპირის ბევრ პიესას „ხელოვნურს“ უწოდებდა, განსაკუთრებით კი „მეფე ლირს“!). ჩემი აზრით, ეს „უცნაური“ მოვლენა იმით შეიძლება აიხსნას, რომ დრამატურგს არა აქვს საშუალება, პიესაში სრულად გადმოსცეს გმირის შინაგანი განცდები, ფიქრები, თვით სპექტაკლის სპეციფიკურობის გამო, რადგანაც სცენაზე მსახიობი მაყურებლის წინაშე „საბოლოო“ სახით – მეტყველებით წარსდგება! (ეს „საბოლოო“ სახე კი სწორედ გმირის ფიქრებმა და განცდებმა შეამზადა, „დაბადა“!). მწერალს რომანში, მოთხრობაში და ა.შ. საშუალება აქვს, დეტალებში აღწეროს ის პირობები, გარემო, რომელშიც ესა თუ ის პერსონაჟი იმყოფება, გადმოსცეს მისი წარსული, გააკეთოს დროში წანაცვლებები, აღწეროს ბუნება და ა.შ. პიესაში კი ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია და ამ „ზარალის ანაზღაურება“ (დეტალების

შევსება!) რეჟისორს ევალება დეკორაციების, მუსიკალური გაფორმების, განათების და ა.შ. ხარჯზე.

რა თქმა უნდა, დრამატურგი პიესას წერს იმ გაანგარიშებით, რომ მას მაყურებელი ნახავს, მაგრამ დრამატურგს შესაძლოა ჰქონდეს მისწრაფება, რომ პიესაში მანაც შექმნას ისეთი პასაჟები, რომლებიც მხოლოდ რომანში, მოთხრობაშია შესაძლებელი. ამიტომ პიესაში შეიძლება იყოს ე.წ. ლიტერატურული ადგილები. როგორც ჩანს, გული სწყდებოდა იმის გამო, რომ თავის ცხოვრებისეულ დაკვირვებებს ვერ აფიქსირებდა პიესაში, რის გამოც ეს დაკვირვებები და მიგნებები „მიმოფანტულია“ მეორეხარისხოვანი გმირების მეტყველებაშიც; ამ „ლიტერატურული ადგილების“ მაყურებელმდე მიტანა კვლავ რეჟისორის ხელოვნებაზეა დამოკიდებული! მართლაც, რეჟისორს აქვს დიდი თავისუფლება, საკუთარი გემოვნების, შეხედულებების მიხედვით გადმოსცეს ეს ადგილები. ამიტომ, მე მგონი, ყველაზე კარგი რეჟისორი თავად დრამატურგი უნდა იყოს, რადგანაც ყველაზე უკეთ მან იცის თუ რა დაწერა და მასზედ უკეთ ვერავინ შეძლებს ამჯერად უკვე სპექტაკლში განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი!

ამგვარი მიდგომით შესაძლოა აიხსნას ის ფენომენი, რომ შექსპირი თავად იყო საკუთარი პიესების რეჟისორიც და მსახიობიც. აქვე გავიხსენოთ ისიც, რომ ჩარლი ჩაპლინი საკუთარი ფილმების სცენარისტიც იყო, მთავარი როლის შემსრულებელიც და მუსიკის ავტორიც. ასე რომ, გენიოსებს საკუთარი მიგნებები და დაკვირვებები თავად სურთ სრულად განახორციელონ, რისთვისაც ისინი ერთდროულად რამდენიმე პროფესიას ითავსებენ. ამასთან დაკავშირებით მახსენდება გამოჩენილი ამერიკელი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის რიჩარდ ფეინმანის შემდეგი გამონათქვამი: „ბუნებამ არ

იცის დაყოფა ფიზიკად, ქიმიად, ბიოლოგიად, ფსიქოლოგიად და ა.შ. უბრალოდ, ერთი ადამიანის გონება ვერ ნვდება ყველაფერს და ამიტომ მოხდა ეს ხელოვნური დაყოფა!“ მართლაც, სხვადასხვა პროფესიებად ამგვარი ხელოვნური დაყოფა მოგვიანებით მოხდა, როდესაც გართულდა ბუნების შესწავლის პროცესი, მაგრამ შექსპირის მსგავს გენიოსებს არ სჭირდებათ ბუნების ასეთი „დანანევრება“ – ისინი ბუნებას მთლიანობაში აღიქვამენ!

●
„ჰამლეტში“ შექსპირი ორი ტიპის სულიერ აშლილობას აღწერს: ჰამლეტის მოჩვენებით და ოფელიას ნამდვილ, კლინიკურ შეურაცხადობას.

ჰამლეტის მოჩვენებითი სიგიჟის ეფექტს შექსპირი შემდეგი საშუალებებით აღწევს: ჰამლეტი შენიღბულად ან აშკარად ამბობს სიმართლეს, ბავშვურ ალტაცებას ავლენს, სიტუაციისათვის აშკარად შეუფერებელ, არაადეკვატურ ფრაზებს წარმოთქვამს ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი სიტყვების მრავლმნიშვნელოვნებას იყენებს. „სიგიჟის ტექნიკის“ საილუსტრაციოდ მოვიტანოთ თითო მაგალითი პიესის ტექსტიდან..

ა) ჰამლეტი ეუბნება ოფელიას: „ჩვენ ყველანი მატყუარები ვართ“. ჰამლეტი ამ შენიღბულ განცხადებას აკეთებს, რადგან თავს მატყუარად მიიჩნევს იმის გამო, რომ იძულებულია თავი მოიგიჟიანოს!

ბ) ჰამლეტი თავის „მეგობრებს“ გილდენსტერნსა და როზენკრანცს ეუბნება:

„ბიძაჩემი ეხლა დანიის მეფეა და ვინც მამიჩემის სიცოცხლის დროს მაგას მასხრად იგდებდა, ეხლა მაგის პატარ-პატარა სურათებში ოცს, ორმოცს, ორმოცდაათს, ასს დუკატს აძლევს. ამ ამბავში რაღაც არის უცნაური. ნეტავი ფილოსოფოსთ სწავლას მაინც შეეძლოს ამის მიგნება“.

როგორც ვხედავთ, ჰამლეტი ირონიულად კიცხავს ბიძამისს და თან გან-

ზოგადებასაც აკეთებს ამ კონკრეტული ფაქტიდან – ზოგჯერ უფარგისი ადამიანი მოვლენების სათავეში ხვდება და ჰამლეტს უნდა გაიგოს თუ რა არის ამის მიზეზი! ჰამლეტის ამგვარი აშკარა კრიტიკა კლავდიუსისა შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ მისი „სიგიჟის“ ფონზე, რადგანაც მსგავს აზრებს ნორმალური ადამიანი არ ახმოვანებს. გარკვეული აზრით, ჰამლეტის ნიღაბი „მომგებიანია“ – დაუფარავად ამბობს იმას, რასაც ფიქრობს (გულს იოხებს!) და თან ამ ქმედებით შეშლილად აჩვენებს თავს გილდენსტერნს და როზენკრანცს.

გ) პოლონიუსი ეუბნება ჰამლეტს, დედა გიბარებსო, ჰამლეტი კი მოხერხებულად იყენებს იმ ფიზიკურ ფაქტს, რომ ღრუბლები ცაზე სწრაფად იცვლიან ფორმას და ადარებს მათ ხან აქლემს, ხან კვერნას და ხანაც ვეშაპს (რასაც პოლონიუსი უსიტყვოდ ეთანხმება). აქ უკვე ჰამლეტის „შეშლილობა“ გადმოცემულია ბუნების მოვლენებისადმი ბავშვური ალტაცებით – მოზრდილები ხომ საკუთარი ემოციების გამოხატვას ვერიდებით!

დ) კლავდიუსის შეკითხვაზე თუ სად არის პოლონიუსი, ჰამლეტი „უცნაურ“ პასუხს იძლევა:

ჰამლეტ

ვახშმად არის

ხელმწიფე

ვახშმად?

ჰამლეტ

მაგრამ ის კი არ სჭამს, იმასა სჭამენ: პოლიტიკოსი მატლები შეკრებილან და ახლო მისხდომიან. თუ ჭამაზე მივარდება საქმე, თქვენი ერთადერთი პატრონი და მბრძანებელი მატლია. ჩვენ სხვა ცხოველებს იმისათვის ვასუქებთ, რომ ჩვენ დაგვასუქონ და ჩვენ თითონ კი მატლებისათვის ვსუქდებით. მსუქანი ხელმწიფე და მჭლე გლახაკი ორივე მათი საქმელია, ეს მხოლოდ ორი თავია ერთსა და იმავე სუფრაზედ მი-

სატანი. ყველას ბოლო ეს არის.

ხელმწიფე

ოლონდაც, ოლონდაც!

ჰამლეტ

კაცს შეუძლია თევზი დაიჭიროს იმისთანა ჭიკაყელათი, რომელსაც ხელმწიფის ხორცი უჭამია და სჭამოს თევზი, ამ ჭიკაყელათი გამძლარი.

ხელმწიფე

მაგითი მერე რა გინდა სთქვა?

ჰამლეტ

არაფერი, იმის გარდა, რომ მინდოდა მეჩვენებინა, ხელმწიფე გლახაკის ნაწლავებში როგორ დაძვრება.

ამ შემთხვევაში გადმოცემულია შექსპირის ერთობ ღრმა ფილოსოფიური დაკვირვებები ცხოვრებაზე, მის წარმავლობაზე (და თან შექსპირისათვის დამახასიათებელი გარკვეული სილალით!), თუმცა ამკარა უადგილობის გამო (თუ სად და როდის ითქმება!) ეს ყველაფერი კვლავ ჰამლეტის სულიერ აშლილობად აღიქმება! ჰამლეტს კი ისევ მომგებიანი პოზიცია უკავია: იგი თავის სათქმელს (ამ შემთხვევაში ცხოვრებისეულ დაკვირვებებს) მაშინ ამბობს, როცა უნდა! მოგვიანებით კი მესაფლავეებთან ჰამლეტის არანაკლებ ღრმავარდნიანი „ხაიმისებური“ მსჯელობა (როდესაც მას ხელში უჭირავს სასახლის ყოფილი მასხარის თავის ქალა და ალექსანდრე მაკედონელზე ხმამალა ფიქრობს!) უკვე „სიგიჟის იარაღის“ აღარ ატარებს: ჯერ ერთი, სასაფლაო სწორედ ამგვარი ფილოსოფიური განწყობის შესაფერისი ადგილია და მეორეც, მესაფლავეებთან თავის მოგიჟიანება არც სჭირდება, რადგანაც მათ არ იციან, რომ მათ წინ „შეშლილი“ დანიის პრინცია!

ე) ჰამლეტი ოფელიას ასე მიმართავს: “To a nunnery go Ophelia!”. ამ ფრაზას ივანე მაჩაბელი ასე თარგმნის: „მონასტერში წნადი ოფელია!“ მაგრამ საქმე ისაა, რომ სიტყვა “nunnery”-ის ორი მნიშვნელობა აქვს: მონასტერი და საროსკიპო! ასე რომ, ამ შემთხვევაში შექსპირი იყენებს ინგლისური ენისათვის დამახასიათებელ სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნებას და ჰამლეტის მიმართვა ორაზროვნად შეიძლება გავიგოთ მისი „შეშლილობის პროგრამის“ შესაბამისად!

ოფელიას შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ჭეშმარიტ შეურაცხადობასთან და ამიტომ მისი ფრაზები ცალკეული მოგონებებისა და შეფასებების სრულიად დაუკავშირებელი სიტყვების გროვია! (სწორედ ეს არის კლინიკური გამოვლენა სულიერი დაავადებისა!). მე მგონი, ფსიქიკურად ნორმალური ადამიანისათვის, შექსპირისათვის საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო ამგვარი სრულიად უსისტემო ფრაზების შეთხზვა. მართლაც, მაგალითად, ცნობილია, რომ ფსიქიატრები განასხვავებენ შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანისა და ავანგარდისტი მხატვრის ნამუშევრებს. შესაძლოა, შექპირს ესმარებოდა ცხოვრებაში ნანახი რომელიმე რეალური ფაქტი, რაც მან შემდგომ პიესაში გამოიყენა ან ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რომ ეს დაუკავშირებელი ფრაზები მაინც ნორმალური ადამიანის შექმნილია (სპეცი-ალისტი კი ამას ადვილად დაადგენს!).



ჰამლეტი აზრის, სინდისის ჯარისკაცი, სარდალია (იგი მთელი პიესის განმავლობაში ბოროტებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული, რათა „ნაღრძობი“ დრო განკურნოს!) და ამიტომ მას, როგორც სარდალს, ისე მიაცილებენ უკანასკნელ გზაზე!

კატო ჯავახიშვილი

ამბავი თუ ბესოვი,
ანუ ბესო
სოლომონაშვილი



ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ დაიწყო: დაიწყო ჩემს სახლში, უზნაძის 105-ში, ჭიქა ჩაიზე, ხან ყავაზე, ხან ღვინოზე და დაიწყო მეგობრებთან ერთად. ყველა ადამიანი, რომელიც ამ სახლის ზღურბლს გადმოაბიჯებდა, ტოვებდა ამბავს, თავისას, ცხოვრებისას, პრობლემებისასაც და გროვდებოდა მერე ეს ამბები და ჯერ ფურცელზე, მერე ჟურნალის გვერდებზე გადადიოდა. იყო რამდენიმეწლიანი პაუზაც და აი ახლა, როცა ისევ გადავწყვიტე, ეს საუბრები ჟურნალ „ცისკარში“ დავაბრუნო, ვზივარ და ვფიქრობ, რა შეიძლება გითხრათ ჩვენ ისეთი, რაც აქამდე არ მოგისმენიათ? და მივხვდი, ჩვენ შეიძლება მოგიყვებოდეთ ცხოვრება, ჩვენი შეულამაზებელი ცხოვრება, რომელიც ხშირად ისეთი სულაც არაა, როგორსაც ჩვენს წიგნებში გადააწყდებით ან პირიქით, ზუსტად ისეთია – ან, ან. მანამდე კი, ვიდრე ბესო, ანუ ბესო სოლომონაშვილი მოვა, მეგობრებზე მინდა დავწერო. სხვადასხვანაირებზე, სიტუაციის მეგობრებზე, შემთხვევით გადაყრილებზე, სასიყვარულო ამბების მეგობრებზე, ჭიქა ყავაზე მშვიდად ჩამოჯდომის, საქმის ერთად მკეთებელ ადამიანებზე, ლიტერატურული თუ სხვა თავყრილობების და ჩახუტებების მეგობრებზე და კანი რომ გენვის

იმათზე, თვალი რომ გინდა დაუხარო, რომ კიდევ მეტი არ წაიკითხონ, რადგან იცი, ისედაც, უშენოდაც იციან, რა, როგორ, რანაირად, უშენოდაც იციან, რამდენი ტონა ტკივილი ათრიე და რამდენს ველარ უმკლავდები, იმათზე, უშენოდ რომ შეუძლიათ დაგიცვან და იმათზე, ვისაც სილის გარტყმაც ეპატიებათ. კარგა ხანია, აღარ დავდივარ ისეთ ამბებში, სადაც ერთ-ერთი ვარ, კარგა ხანია, ჩემი დრო ადგილის შეესებებისთვის არ მემეტება და კარგა ხანია, ვიცი, ცნობა ნაცნობობას არ ნიშნავს, სიახლოვე – სიყვარულს, თავზე ხელის გადასმა – სიკეთეს და რომ ადამიანები ერთმანეთისთვის გამოუვალნი მდგომარეობა უნდა იყვნენ და რომ შეუცვლელია ადამიანი და რომ ადამიანი მთელი თავისი ნაგავსაყრელიანად უნდა მიიღო და არ უნდა დაგეზაროს, საკუთარი თავის გაცემა არ უნდა დაგენანოს, რადგან მერე, ერთხელ, ეგ გაუცემლობა გამოგჭამს გულს.

(მოქოთქოთდა. ასე იცის ხოლმე – ხმაურიანად, ენერგიულად, ამბებით. ამ ბოლო დროს ვფიქრობ, რომ პროზაიკოსებს უკეთესი მეგობრობა გამოსდით, ვიდრე პოეტებს, ან შეიძლება ეს იმის ბრალიცაა, რომ მე უფრო პროზაიკოსებთან ვმეგობრობ. მოკლედ, რო-

გორცაა, მთავარია, რომ ეს ადამიანი ჩემი მეგობარია, ამ სიტყვის ყველაზე კლასიკური გაგებით).

– როგორ ხარ, აბა? (ვეკითხები და პასუხი ისედაც ვიცი, დაიწყებს ახლა ასე: რიავი, აბა...)

– რიავი, აბა (აი, ხომ გითხარით), ვარ, ვარ და ცუდად რომ არ ვიყო, ვაკეთებ ბევრ საქმეს, ზოგი გამომდის, ზოგი არა და მეც, ამ გამოსვლა-არგამოსვლაზე დამოკიდებული, ვარ ჩემთვის. და შენა?

– მეც ჩემთვის, ოლონდ, აი, მაგებზე ნაკლებად ვფიქრობ. ისეთი პალასა მაქვს, მგონი, სულაც არაფერზე ვფიქრობ და ეს არაფრობა ისე მომწონს, ვერ წარმოიდგენ. მთავარია, ვინმემ ხელი არ შემეშალოს.

– ეს ხელისშეშლები არ თქვა, ხანდახან გინდა, ადგე და გადაიკარგო, მარა ეს ოხერი პასუხისმგებლობები რომ არ გასვენებს და საწყის მდგომარეობაში გაყენებს, მერე ზიხარ და საკუთარი თავი გეზიზღება ამის გამო.

– აი, ზუსტად. ხან ვფიქრობ, იქნებ, იმაზე მეტს ვიღებთ საკუთარ თავზე, ვიდრე შეგვიძლია? და გარშემოც მიეჩვივნენ, რომ მეტი მოგვეთხოვება.

– ეგაა. მაგრამ ახლა უკვე ძალიან გვიანია. ახლა მე და შენ, მგონი, უკვე დავბერდით, რალა გამოგვასწორებს (იცინის).

– ადრე კატასტროფულად მეშინოდა სიბერის, სარკის, ნაოჭების, აი, სულ რაღაც 20 წლიდან დამეწყო ეს შიშები და სულ მეგონა, რომ ვბერდებოდი. უკვე აღარ მეშინია, მგონი, ჯერ ადრეა, ჯერ ცხოვრებაა მოსასწრები, სახლი გამოსაგველი, ათასი საქმე გასაკეთებელი.

– ჯერ ადრეა, ხო, მარტო სანერია იმდენი, რას ვეყოფით.

– და ერთი ცხოვრება რა ცოტაა, არა?

– უუჰ, ძალიან. წერაზე გამახსენდა და სასაცილო ამბავს მოგიყვები: მეშვიდე კლასში მქონდა აბსოლუტურად გაუაზრებელი მცდელობა რეჟისურაში. ჩემი კლასელების თხოვნით, დავხატე პორნოგრაფიის მთელი სერია. ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ ერთხელაც მასწავლებელმა თავზე არ გადამახია.

– გადასარევი ამბავია. კლასელების არ ვიცი, მარა მასწავლებელს არასდროს დაავიწყდები. ისე, ეგ ვითომ გაუაზრებელი მცდელობები განაპირობებს მერე ჩვენს მომავალს. ვითომც არაფერი მცდელობები, ვითომც არაფერი ამბები.

– ჰო, აი ეგ ნიშნულები მართლა უნდა დაინახო, რომ შენი ცხოვრება არ გაგექცეს. მით უფრო, თუ იზრდები ოჯახში, სადაც დედა და მამა ძალიან შორს არიან ხელოვნებისგან და შენთვის სულ სხვანაირი მომავალი უნდათ. მამა მექანიზატორი იყო, დედა – აგრონომი. მამაჩემი ძირითადად რაიონში მუშაობდა და იქვე ცხოვრობდა, დედაჩემი – აქეთ. ერთადერთი, ვისაც ჩემს ოჯახში ხელოვნებასთან ჰქონდა შეხება, ჩემი ბიძაშვილი ვანიჩკა ტატიშვილი იყო, რომელსაც მხატვრობა უნდოდა. მეც უფრო მეტად ვხატავდი, ვიდრე ვწერდი და სულ მინდოდა მხატვარი ვყოფილიყავი, მაგრამ კომუნისტების დროს ამ სფეროში სერიოზული კორუფცია იყო. აკადემია, კონსერვატორია, თეატრალური... ერთი ამბავი იყო. ისიც კი ვიცი, ერთმა ცნობილმა რეჟისორმა და ასეთივე ცნობილმა კინომხატვარმა შვილები როგორ გაუცვალეს ერთმანეთს ინსტიტუტებში.

– ანუ თეატრალური და აკადემია გა-

მორიცხული იყო... ხო, დედასგან ვიცი, იმასაც თეატრალურზე უნდოდა ჩაბარება და დიდი ამბავი ყოფილა, მაგრამ მაგდროს სად არ იყო ამბავი? ან თუ ასმანეთიანების პაჩკა (შეიძლება მეტიც, მაგფულში ვერ ვერკვევი), არ გედო სახლში, მხოლოდ დურაკულ ფაკულტეტებზე ხვდებოდი, ისეთებზე, სადაც კონკურსი ნაკლებად იყო.

– მოიცა კაცო, არ თქვა, რომ მე დედაშენი ერთი თაობა ვართ...

– ნუუ, არა, მაგრამ უცებ ეგ გამახსენდა.

(რა თქმა უნდა, გაუჩერებლად ხარხარებს და მე ვხვდები, ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც ეშინია სიბერის, ეშინია იმისი, რომ წინა თაობასთან ამდენი საერთო აქვს. მეც ხომ მეშინია – არც ვმაღავ).

– კარგი, კარგი, აქ ხომ იმისთვის მოხვედი, რომ შენზე გვესაუბრა და არა დედაჩემზე. ვაგრძელებ. ავირჩიე კომპრომისული ვარიანტი – არქიტექტურული. ბავშვობაში რაღაც პერიოდი პიონერთა სასახლეში დავდიოდი არქიტექტურაზე, მაგრამ ძალიან მალე გამოვიქეცი, იმიტომ, რომ ერთხელ დავალება მოგვცეს, დაფა იყო დასამზადებელი, ეგრეთ წოდებული პლანშეტი, ჩემებმა ვერ გამიკეთეს, ფინანსების გამო... ჩემი ხელით გავაკეთე, მაგრამ ისეთი არ იყო, როგორსაც ითხოვდნენ. ჰოდა, შემრცხვა და აღარ ნავედი... მოკლედ, არქიტექტურულზე ოცდახუთი ადგილი იყო და ოცდამესამე ვიყავი მე. მოხდა ისე, რომ ხუთი კაცი სპორტული სიებით ჩარიცხეს ბოლო ხუთ ადგილზე და დავრჩი გარეთ. სამაგიეროდ, ჩავირიცხე მეტალურგიულზე. დიდი ხნის შემდეგ, უკვე სარეჟისოროზე ვსწავლობდი და მეტ-ნაკლებად რეალიზებული ვიყავი, რომ იმ „სიიდან“

ერთ-ერთი ბაზრობაზე შემხვდა – ქალის საცვლებს ყიდდა, ვერ მოვითმინე და ვკითხე: შე ჩემისა, ნიფხვების გულისთვის წამართვი ადგილი-მეთქი?

– არ თქვა, რომ ნიფხვები საჭირო არაა.

– ძალიანაც საჭიროა, მაგრამ ჩემი არქიტექტურული ოცნება ამაღ არ ღირდა.

– მოიცა, ძაან ამრიე ახლა შენ მე, და მეტალურგიულზე როდისლა სწავლობდი?

– გულზე პრობლემები მქონდა და ჯარში რომ არ ნავეყვანე, სადღაც ხომ უნდა ჩამებარებინა, ასე მოვხვდი იქ. ძაან სასაცილო კი იყო. საერთოდ, ახლაც ვერ ვხვდები, რა დისციპლინაა ეს ქიმია. ფიზიკას კარგად ვსწავლობდი, მათემატიკასაც, მაგრამ ამისი ვერაფერი გავიგე. ჰოდა, პირველი წიგნი, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ გადავაგდე, ქიმია იყო. დედაჩემმა ძალიან კარგად იცოდა ეს ეგრეთ წოდებული ქიმია და უკან შემოიტანა წიგნი, გამოგადგებაო. ЗАКОН ПОДЛОСТИ – ხუთი წელი ვისწავლე ინსტიტუტში.

– თუშეთზე მომიყევი, რა. აი, უცებ, ერთ მშვენიერ დღეს ქუდი რომ დაიხურე, დატოვე აქ ყველაფერი და უკანმოუხედავად გაიქეცი იმისთვის, რომ სოფლის სკოლაში გემუშავა და ბავშვებისთვის ფიზიკა გესწავლებინა. იმაზეც, რა მოგცა იქ ყოფნამ და დაბრუნდებოდი, რომ შეგეძლოს, დაბრუნდებოდი უკან?

– ახლა ვაცნობიერებ, ოცდაოთხი წლის ბიჭმა რამხელა რაღაც გავუკეთე საკუთარ თავს, როცა ორი წელი გეპეიში მუშაობის შემდეგ ავდექი და ნამდვილ სამოთხეში ნავედი. არა მარტო ფიზიკას, მათემატიკას და ხატვასაც ვასწავლიდი. სოფლის საბჭოს პატარა, თუშური სახლები ჰქონდა აშენებული

მასწავლებლებისთვის. ერთ-ერთი მომცეს. ავეჯი სულ ჩემი ხელით გავაკეთე. სანოლის გვერდით დიდი ლუმელი იდგა. ხანდახან ისე ციოდა, ლუმლის გვერდითაც კი იყინებოდა წყალი.

(თვალეები უციმციმებს, აი, მგონია, რომ ახლავე ადგება, დაიხურავს ქუდს და პირდაპირ ჩვენი საუბრის შემდეგ გაუდგება გზას).

– წარმოიდგინე (განაგრძობს), არასრული დაწყებითი სკოლა იყო, მერვე კლასამდე. კლასში მყავდა ერთი ან ორი ბავშვი. სულ ორმოცდაათი კომლი ცხოვრობდა. სკოლა იყო ზევით, ფერდობზე, ფეხით უნდა ავსულიყავი. სადღაც შუა გზაში ედგათ თონე, სადაც პურს აცხობდნენ და გაკვეთილების შემდეგ უკან რომ ვბრუნდებოდი, ახალი პური ამოდიოდა. აბა, ქალაქელო, მოდიო, – და თონის პირას ცხელი არაყი იდგა. არაყს ჩაიდანში ასხამდნენ და პირს უფარავდნენ, ორთქლი რომ არ ამოსულიყო. ახალი ამოსული პური, ყალი – ანუ გამოყვანილი ხორცი, გუდის ყველი, არაყი, მჭავე და მიდიოდა როგორი ქეიფი, იცი? სიმღერაზე და იუმორზე აღარაფერს ვამბობ. სრულიად ფანტასტიკური ხალხი, ზღაპარი იუმორის გრძნობით. ხალასი. ჩემთვის თუშები ყველაზე ხალასები და მსუბუქები არიან ქართულ მთაში.

– უკვე გკითხე, მაგრამ, რომ შეგეძლოს, დაბრუნდებოდი უკან?

– აუცილებლად, რომ არა ყოფა, რომ არა ვალდებულებები, რომ არა... უბედნიერესი პერიოდი იყო, უუშველებელი ემოციების პერიოდი. თუშეთში დავწერე პირველად მოთხრობაც და იმის მერე რასაც ვწერ, ყოველი მეორე ან მესამე ტექსტი თუშეთს ეხება.

(ადამიანები ქრებიან ქალაქში, ვფიქ-

რობ და მენანება ჩვენი გამომწყვდეული ყოფა, ყოველდღიურობას შეწირული ჟანგბადი, ყველაფერი ის, რაც ასე გვჭირდება. ესეც ჩაქრა, უკვე განონასწორებული, ემოციადაკარგული ზის და... ალბათ, ფიქრობს, დაბრუნებაზე, ან ვინ იცის – ვერდაბრუნებაზე).

– მორჩა. თემა იცვლება. ძალიან მონიყინე. ამდენი წელია, გიცნობ და აი, რამდენი არ მცოდნია შენზე. ჩამოსვლას ხომ კარგი ამბებიც მოჰყვა – გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც, ფაქტობრივად, შეცვალეს და განსაზღვრეს შენი მომავალი.

– ალბათ, მაგან გამაძლებინა. მთიდან რომ ჩამოვედი, ჩემი ძმა ერლომ ახვლედიანის სახელოსნოში იყო და ირაკლის ვთხოვე, მოდი, ჩემი მოთხრობები ერლომს წააკითხე-მეთქი. ერთი კვირის შემდეგ მიბარებს ერლომი და მეუბნება, რომ ცუდი მოთხრობებია, მე ასეთს არ დავწერდი, მაგრამ აუცილებლად უნდა გააგრძელო წერა, ცუდად კი არ წერ, უბრალოდ, რალაცები არ იციო. დამიჯდა და ამიხსნა, რა არის ბანალური და რა არა, რა შეიძლება და რა არა. ეს იყო კაცი, რომელმაც მითხრა, როგორ უნდა წერო და საერთოდ, რა არის წერა.

– მეც გადავეყარე ასეთ ადამიანებს ცხოვრების გზაზე, რომლებმაც ჩემში გარდატეხა მოახდინეს, ოღონდ იცი, როგორ? აი ისე, საკუთარს რომ არ დაკარგავ, ზუსტად იმ საკუთარზე დაშენებით რომ აკეთებ რალაც სიახლეს. ბოლო ამბავი გიორგი შენგელაიას, მის სახლს და სცენარს ეხება. უცებ – ტელეფონის ზარი, უცნობი ნომერი, იღებ და ხმა: გამარჯობა, კატო, გიორგი ვარ, შენგელაია და შენი ნახვა მინდა სასწრაფოდო. ლამის ენა ჩამივარდა, გიორგი შენგელაიას უნდოდა ჩემთან ერთად რალაცის კეთება. უბრალოდ, სწორად უნდა შევაფასოთ ჩვენს ცხოვრებაში შე-

მოსული ადამიანები. ესაა და ეს, მეტი არც არაფერი მოგვეთხოვება. ვიცი, რომ შენც დიდი ხნის ურთიერთობა გაქვს მასთან და მაგიტომ ვახსენე. მგონი, შენს სარეჟისოროზე მოხვედრაშიც აქვს რაღაც თავისი წილი ამ ადამიანს.

– ეს იყო მეორე ადამიანი, რომელმაც ცხოვრება შემიცვალა. მთიდან ჩამოსვლის შემდეგ გადანყვებილი მქონდა, რაც გინდა მომხდარიყო, სარეჟისოროზე ჩამებარებინა. როგორ მახსოვს, მეგობრებთან მივედი გეპეში და უკან რომ მოვდიოდი, ქუჩაში, პირდაპირ ფეხებთან მოფრიალდა გაზეთი „კომუნისტი“ და უცებ წერია: „ცხადდება მიღება სარეჟისორო ფაკულტეტზე“. დაგვეცე ეს ბინძური ნაგლეჯი და შევინახე.

ეროვნული მოძრაობის პერიოდი იყო, მეც ავანტიურაზე წავედი და დავწერე თავისუფალი თემა „ღია წერილი რეზო ჩხეიძეს“, სადაც ღიად აღვწერე იმდროინდელი გარემო... მირეკავს პარტიუროს მდივანი და რეზო ჩხეიძე გიბარებს და მიდიო. პირველი ფრაზა, რომელიც რეზო ჩხეიძემ მითხრა, იყო: „თქვენ გიჟი ხართ, ახალგაზრდავ!“ პატარა ვაბანკზე წავედი, რის შემდეგაც რეზო ჩხეიძემ ყურადღება გამოიჩინა და ერლომ ახვლედიანთან მიშუამდგომლა. საბოლოო ჯამში კი მოხდა ის, რომ გიორგი შენგელაიასთან სარეჟისორო ფაკულტეტის გამოცდაზე აღმოვჩნდი. მოვიდა ასეთი თემა: გზა. სახლი. სიმარტოვე. წარმოიდგინე, ვზივარ გამოცდაზე, გავიხადე პერანგი, ფეხსაცმელი,

გავიხსენი ქამარი და, აი, ასე დავიწყე წერა, როგორც სახლში მიწერია. ეს იყო ჩემი შანსი, რომელიც უნდა გამომეყენებინა. აღმოჩნდა, რომ ას სამოცდახუთ კაცში ერთადერთი ხუთიანი მივიღე, თუმცა ყველაფერი მაინც ისე გადალაგდა, რომ კინალამ გარეთ დავრჩი. დიდი ხნის შემდეგ გავიგე, რომ გიორგი შენგელაიას უთქვამს, მე არ ავიყვან ჯგუფს, ამ კაცს თუ არ მიიღებთო – ან შეიძლება, ჭორსაც მომიყვენენ, ვინ იცის... მთელი სწავლის პერიოდში გვქონდა ძალიან ემოციური ურთიერთობა, თითქმის ჩხუბამდე მივდიოდით, მაგრამ ის, რაც მე მისგან ვისწავლე, ფასდაუდებელია.

– მხატვრობა, ლიტერატურა, ხაზვის ცოდნა, მათემატიკა... ყველაფერი რეჟისურის შემადგენელი ნაწილებია და მაინც, კონტრაბანდისტები, მოთხრობა, რომელმაც ყველა აალაპარაკა.

– იმ პერიოდში, მართლა, ღმერთმა გადმომხედა. წარმოიდგინე, ერთმანეთის



მიყოლებით რომ შეგხვდებიან – ერლომ ახვლედიანი, გიორგი შენგელაია, თამაზ ჭილაძე. თამაზ ჭილაძემ საბოლოოდ დამაჯერა, რომ უნდა მენერა. იმ პერიოდში ირაკლი თამაზ ჭილაძის დრამატურგიულ ჯგუფში იყო და ზაფხულობით ქობულეთში იკრიბებოდნენ ხოლმე. წასვლისას კონტრაბანდისტები გავატანე. წაუკითხავს თამაზს და შეხვედრაზე გამოუცხადებია, ირაკლის ძმის სახით ახალი მწერალი გავიცანიო. მგონი, იმ დღეს დაიბადა ჩემი მწერლობა...

მერე ლევან თითმერიამ გამოსცა ჩემი და ირაკლის მოთხრობები და პიესები, ორიგინალური წიგნი გამოვიდა, ორივე მხრიდან იკითხებოდა: ერთი მხრიდან – ჩემი ძმა, მეორედან – მე...

(ჩუმდება. მე ვიცი ამ მოთხრობის ამბავი, მოთხრობის, რომელიც პირველად თამაზ ჭილაძემ დააბეჭდინა „ცისკარში“ და მალევე საყოველთაო განხილვის საგნად იქცა. ისიც ვიცი, როგორ მიულოცა როსტომ ჩხეიძემ ქართულ ლიტერატურას ახალი მწერლის დაბადება და...

ზარი:

– დიახ, გისმენთ.

– ბესო ხართ?

– დიახ;

– მე ვარ, თუ გაგახსენდება ოთარ ჭილაძე და მინდა მადლობა გადაგიხადო ამ მოთხრობისთვის;).

– რალაც უცებ აღმოვჩნდი ლიტერატურულ წრეებში (უცებ ამბობს), ეს ყველაფერი კი ამ მოთხრობის დამსახურებაა. ამას მოჰყვა პენმარათონი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამას მოჰყვა ტელევიზიაში მუშაობის დაწყებაც და ათასი რამ, რასაც გადარჩენისთვის აკეთებს ადამიანი.

– უკან ვბრუნდებით, ხედავ? საუბრის დასაწყისში.

– ვხედავ და სიმართლაც ხომ ეგაა. ალბათ, უფრო სერიოზულადაც შემედლო მუშაობა, სხვა რალაცებისთვის რომ არ გადამეყოლებინა ჩემი ცხოვრება. იშვიათად ვწერ... სულ სამი წიგნი მაქვს გამოშვებული. იმდენი რამის გაკეთება მინდა, მაგრამ... ძნელია. ცოტა კინო, ცოტა ლიტერატურა, ცოტა ტელევიზია გამომივიდა.

– დიდ მსხვერპლს ითხოვს ლიტერატურა, ალბათ – კინოც, მაგრამ ზოგჯერ ისეთი რამის განირვა გიხდება ადამიანს, ძალიან მნიშვნელოვანის, თუნდაც იმიტომ, რომ ყოფისთვის და გადარჩენისთვის აუცილებელია. მაგრამ პირიქითაც ხომ შეიძლება. იქნებ, პირიქით ჯობს განირვა?

– შეიძლება გავგიჟდე, რომ გავჩერდე. ორმოცდაათი წლისა ვარ და რალაცების განირვა ახლა ვისწავლე. რალაცებს ვწირავ უკვე და აღარ მენანება, იცი?! საკუთარი თავი შემძულდება, ამას თუ არ გავაკეთებ. უზენაესი გაძლევს რალაც დივიდენდს, კრედიტს და შენ ხარ ცუდი გადამხდელი, ვალს ვერ უბრუნებ.

– და მაინც, რომელი? კინო თუ ლიტერატურა?

– მწერალი რალაც სხვა არის ჩემთვის... სხვა ჟღერადობა აქვს. ჩემთვის არის ღმერთი და მწერალი – ფაქტობრივად, ერთმანეთს უტოლდება. მაგრამ მიყვარს ქალაქში კინოს კეთებაც. გადაღება... მონტაჟი... იცი, ეს როგორი შეგრძნებაა? ეს არის სრულფასოვანი სექსი. სიყვარულიც როა და ერთადაც რომ ხართ და ტემპერატურასაც რომ გრძნობ, დაახლოებით ეგეთი. ალბათ, ნებისმიერი შემოქმედისთვის, რომელიც ბოლომდე იხარჯება, ასეა.

– და იმისთვის, ვინც ბოლომდე არ იხარჯება?

– ზუსტად იმდენი გერგება, რამდენ-ზეც იხარჯები, ხანდახან ცოტა უფრო მეტიც კი... ყველაფერში ზუსტად იმდენი მივიღე, რამდენზეც დავიხარჯე... ადრე თუ გვიან მაინც მიიღებ შესაბამის პასუხს. ისე, ჩემს თავთან მართალი მგონია თავი. მგონია, რომ არასოდეს დამინერია მხოლოდ იმიტომ, რომ გამოიცეს... არც „ზამორა“, არც „კონტრაბანდისტები“, არც „თითრინავი“... – არც ერთი. ყოფილა, დამიმთავრებია, კაი ხანი არ მივკარებოვარ სპეციალურად, მერე გადამიკითხავს და თავიდან დამინერია... მწერლობა ყველაზე მაგარი ღირსებაა.

– და ვინც იხარჯება და მაინც... და ვინც ვერ ისწავლა სპეცეფექტები და შოუ, ვინც ვერ მოერგო ნომენკლატურებს, მაშინ რა ხდება? სჭირდება ოცდამეერთე საუკუნის ადამიანს ლიტერატურა?

– საქართველოში არ არის თვითრეგულირებადი ლიტერატურული ბაზარი, იმიტომ, რომ პატარა ქვეყანაა, ძალიან ლოკალური ენობრივი არეალით... ჩვენი ენა ხომ თან ღირსებაა და თან განსაცდელი. ასეთ ამბავში სახელმწიფო იღებს ხოლმე თავის თავზე რეგულირებას და აქ იწყება ყველაზე ცუდი სიტყვა – „ჩალიჩი“. ატყდება უცებ ვინმე მავან ახალ „გენიოსზე“ ხმაური, ნაიკითხავ და არაფერი. ამის ყველაზე ცუდი შედეგი კი ის არის, რომ მკითხველს ლიტერატურული გემოვნება უქვეითდება, თან ისეთ დონეზე, რომ ხანდახან გული გისკდება, ვის კითხულობენ... კიდევ უფრო ცუდი ის არის, როცა ამ საპნისოპერამბებში ზოგჯერ ჩემს მეგობარს, ძალიან კარგ მწერალს აღმოვაჩინე ხოლმე... თავმოყვარეობა მელახება, ვითრგუნები, რომ ფასეულობებს იაფფასიანი პიარი აყალიბებს. ეს პატარა ბაზრის და ამ პატარა ბაზარზე ცოტა უთავმოყვარეოდ

დამკვიდრების შედეგია... მაინც უნდა წერო, თუ გენერება, ოღონდ არ უნდა „ჩალიჩო“...

– მაღალბიუჯეტის ფილმების უმრავლესობაც ხომ ეფექტებზეა გათვლილი მაინც?

– ეგ ყოველთვის ეგრე იყო. გაჩნდა კინო და გაჩნდა ჰოლივუდი. აანყო ჰოლივუდმა თავისი ჩინური კინო და ბიზნესად გაიხადა. ესაა ქარხანა, არანაირ შემოქმედებაზე არ არის აქ ლაპარაკი – მიდის აბსოლუტურად მექანიკური გადაღებები. ასეა ლიტერატურაშიც. ახლახანს ქალთა კოლონიაში ვიყავი რალაც გადაღებაზე და ბიბლიოთეკაში ორი დიდი თარო ყველაზე „გაცვეთილი“ წიგნებით იყო სავსე.

მძიმეა, როცა შენს წიგნს იმ თაროებზე არავინ ელოდება. აი, შეხვალ წიგნების მაღაზიაში და ასი სხვადასხვა ავტორია, ას მეერთე გინდა დამატებია და გინდა არა... მაგრამ მაინც, არასოდეს არ უნდა წერო და გადაილო იმისთვის, გელოდება თუ არა ვინმე, გენერინება და წერე, გადაიღე... დანარჩენი სხვაგან წყდება.

– და ახლა ჩვენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მივალთ იმ აზრამდე, რომ მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ვწეროთ, უნდა გადავიღოთ, რომ სხვა გზა არა გვაქვს და იმავე დროს, უნდა ვინვალოთ, უნდა მოვერგოთ ყოფას და სოციუმის მოთხოვნებს და ბოლო-ბოლო, გავა ეს ცხოვრებაც, რა, ამ ძიებასა და დარდებში და სირბილებში და... ჩვენ აღმოვჩნდებით სადღაც და... მოკლედ, დაამონტაჟებდი თუ არა შენს ცხოვრებას, რომ შეგეძლოს და როგორ?

– აუცილებლად დავამონტაჟებდი... ხომ არიან, რომ ამბობენ, არაფერს შევცვლიდი და ზუსტად იმავე შეცდომებს დავუშვებდიო. აი, მე კი შევცვლიდი. იმდენი ნიჭი მომეცა კრედიტად და

იმდენი გავფლანგე, რომ ხანდახან მართლა სინანული მთრგუნავს. ვერ გავუძელი ყოფიერების ცდუნებებს... იქნებ, იმიტომ, რომ არც ისე კმარი ბავშვობა მქონდა და დავგოიმდი სოციალურ მდგომარეობაზე, მაგრამ ვერც ეგ რომ ამოვქაჩე ბოლომდე?

იმ ქართველი ფეხბურთელებივით მომივიდა, იმედის მომცემებად და პერსპექტიულებად რომ დარჩნენ მთელი ცხოვრება... (იკინის) ალბათ, ცოტა ინფანტილურად ვუყურებდი ცხოვრებას – როგორც ადვილად მომეცა ყველაფერი, მეგონა, რომ ასევე ადვილად გაგრძელდებოდა. მწერლები მეუბნებოდნენ – დაანებე კინოს თავი, კარგად წერო; კინოში მეუბნებოდნენ, კარგად იღებ და ცოტა მეტი დრო დაუთმეო... მე კი ტელევიზიას შევრჩი. ტელევიზიონშიკობა ცალკე ფსიქოლოგიაა, ვითომ რელაქსისთვის გაკეთებულ ნარკოტიკს ჰგავს, ნელ-ნელა შეჯდები, არ გინდა, აღარ გინდა, მაგრამ ჩათრეული ხარ და ცხოვრება გვერდით გრჩება... ტელევიზია ძვირად ღირებულ მეძავს ჰგავს, ძალიან მოქნილად რომ გიქმნის სიყვარულის ილუზიას, კინო და ლიტე-

რატურა კი ნამდვილ სიყვარულს ითხოვს და უყურადღებობას არ გპატიობს. ვერც შევეგუე და ვერც შევეშვი...

ზუსტად ვიცი, რა უნდა ამოვჭრა ჩემი ცხოვრებიდან, დრამატურგიულად სად უნდა გავამძაფრო და სად გავხსნა კვანძი, თუმცა ახლა უკვე ყველაფერმა ჩაიარა... ახლა იმ მოცემული კრედიტის ბოლო ხურდებს ვითვლი, იქნებ, ამჯერად მაინც დავაბანდო შედარებით ჭკვიანურად, რომ ცხოვრების დაისი რეალიზებული გავხადო. მაინც ინფანტილური იმედი მაქვს, რომ ღმერთი ისევ მომცემს ძალას, იმიტომ, რომ უამრავი იდეა მაქვს დაწყებული და დაუმთავრებელი... თავში ყველაფერი მზად არის.

ეს ოხერი გადარჩენა... როგორ დავივალე ამ გადარჩენებით, ხან სხვისი და ხან საკუთარი თავის.

ასე მარტო მეგობრები ლაპარაკობენ და ასე მარტო მეგობრებს შეუძლიათ დაამთავრონ: ჩუმად, არაფრით, სიჩუმით და დაბრუნებით, იქ, საიდანაც დავიწყეთ, სადაც ერთი დიდი ორმოა, რომლიდანაც ხან ვახერხებთ ამოსვლას და ხან ვერა, ჩვენ, ადამიანები.

უილიამ ბლეიქი

პეზსკი

ვეფხვო, შენს ტანზე უთვალავი ელვარებს ხალი
და ღამეც იწვის, ამ ნათების მთვარედ შემკვრელი...
რა გრძნეულ ხელით, რა უკვდავი შევლებით თვალის,
ამ საზარელი სიმეტრიის ვინ არს შემქნელი?

რომელ შორეულ სიღრმეებში ან რომელ ცაში
აინთო ცეცხლი შენი მზერის, შმაგის და მწველის...
რომელმა ძალამ გააჭენა ქარიშხლის რაში
ან ამ ცეცხლისთვის ვინ გაბედა შევლება ხელის?

რომელმა მხარმა, რა მისწურმა ხელოვანობამ
შეძლო დაგრეხა შენი მკერდის მტკიცე მყესების?
სულშთაბერილმა გულმა როდის იწყო გალობა,
ადამიანის ხელმა ჰქმნა თუ ბრწყალმა მხეცების?

რომელმა ურომ გაფრქვევინა თვალთაგან ელვა?
რამ გამოგანროთო – ჯაჭვმა? ბრძმედმა? ძნელია ახსნა,
შენი შეგდება გრდემლზე ვისმა გაბედა ხელმა
ან ვინ იტვირთა სასიკვდილო საკინძის გახსნა?

ვარსკვლავთა გუნდმა როს დაშრეტა თვალთა ინება,
ედემის კიდეს დაესვენა მაშვრალი მკლავი,
თუ გაელიმა, როს იხილა თავის ქმნილება?
იმანვე შეგქმნა, მოუვლინა ვინც სოფელს კრავი?

ვეფხვო, შენს ტანზე უთვალავი ელვარებს ხალი
და ღამეც იწვის, ამ ნათების მთვარედ შემკვრელი...
რა გრძნეულ ხელით, რა უკვდავი შევლებით თვალის,
ამ საზარელი სიმეტრიის ვინ არს შემქნელი?

გიუნტერ გრასი

კვერცხში

ჩვენ კვერცხში ვცხოვრობთ
და შიგნიდან ვამტვრევთ ნაჭუჭებს
გაურკვეველი ნახატებით და მტრის ხატებით.
ვიღაცა გვჩეკავს.

ჩვენი დამჩეკი
ჩვენს ფანქარსაც სიცოცხლეს აძლევს.
ჰოდა, ერთხელაც, კვერცხს რომ გავარღვევთ,

კრუხის პორტრეტის შევუდგებით მაშინვე ხატვას.

შევგუებივართ, რომ ვილაცამ უნდა დაგვჩეკოს
და წარმოვიდგინო ზნეკეთილ ფრინველს,
ვწერთ გრძელ ტრაქტატებს მერე იმის ფერსა და ჯიშზე...

მაგრამ როდის დავიჩეკებით?
მისნები, კვერცხში რომ ცხოვრობენ,
ხშირად დავობენ გამოჩეკის დღეზე, ვადებზე...
დაბადების დღეს ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდღა X-ით.

მონყენილობამ, საარსებო მოთხოვნილებამ
ხელი დაგვრია.
და ამიტომაც მოვიგონეთ ინკუბატორი.
აქ, კვერცხში ვფიქრობთ ჩვენს შვილებზე, მათ
ბედ-იღბალზე,
მერე კი იმას, ვინაც ჩვენზე კისრულობს ზრუნვას,
პატენტს ვუთმობთ და მისხლითაც კი არ გვენანება.

თავზემთ მაინც ჭერი გვხურავს, მოვენყვეთ თბილად.
აქ ბერიკაცი-წინილები,
ეს ემბრიონი-პოლიგლოტები,
სულ ჩურჩულებენ და სიზმრების ახსნას ლამობენ:

ვანი, რომ აღარ გამოგვჩეკონ?
ან ეს ნაჭუჭი არასოდეს რომ არ გაირღვეს?
ეს ჰორიზონტი, იქნებ, მართლაც კარაკულთა
ჰორიზონტია
და არასდროს იქცევა ცხადად!
თუმც მაინც გვჯერა,
რომ ოდესმე დავიჩეკებით.

მაგრამ, როგორც კი დაჩეკაზე მიდგება საქმე,
დაგვზაფრავს შიში,
რომ ვილაცას ნაჭუჭის მიღმა
ერთხელაც ძლიერ მოშივდება,
გაგვტეხს, ტაფაზე მოგვისვრის და მარილს მოგვაყრის...
აი, მაშინ რა გვეშველება,
კვერცხისმიერო და-ძმანო ჩემო!

შეიშას ჰინი

ფერთების აქტი

I

პირველად ვიძვრი. გახშირდა ამაღამ პულსი,
თითქოსდა წვიმამ მხოლოდ კი არ გადაიარა,

ტვინის ჩანთხევა მოინდომა ქანჭრობის გულში.
გვიმრის სანოლი გადაიხსნა, როგორც იარა.
აღსავლის ნაპირს ჰგავს მაგ ზურგის წრფივი სერები,
თანმიმდევრულად რომ მივყავარ ნანატრ მიზანთან:
მკლავ-ბარძაყიდან ბორცვებისკენ. და ვეფერები
იმ პროვინციას სად წარსული ამოიზარდა.
ჩემი სამეფოს იქითაა შენი ფერდები.
შენ არც უარმყოფ, არც პირმოთნედ მადრი საფირონს.
დამორჩილება წოლას უდრის. მგონი, ვბერდები
და შენს ნახევრად სუვერენულს ვთმობ სანაპიროს,
რომლის საზღვრებსაც ეს სამკვიდრო მიუტაციათ,
აქ მიიღენწევა შეუდრეკი კულმინაცია.

II

და აი, კვლავაც ვარ კაცურად იმპერიული,
მივდივარ შენგან და სანაცვლოდ გიტოვებ ტკივილს.
კოლონიასთან განშორება ვინ თქვა იოლი?
სახრედაკრული კუროს გულში ეკალი ღვივის.
აქტი მეხუთე კოლონაა, რომ დგას ჯიუტად,
პოზიციები მისი, ალბათ, ცალმხრივად ცვალებს.
ჩემს გულს ქვემოთ კი მისი გული, ვით კაიუტა,
კარშელებული, პარაზიტულს მოიკრებს ძალებს.
ურჩ და უსუსურ მუშტისცემას გაუძლებს სხვა ვინ?
ჩემს საზღვრებს უტევს, კიდურთ კიბეს აჰყვება ხვეულს
ჩემს სიმალემდე. დაიდება ვერაფრით ზავი.
წინასწარ ვჭვრეტ, რომ მე გავპოხავ მაგ დამსკდარ
სხეულს,
მაგ დიდ ტკივილებს, რომ ივიწყებ ჩემსავით იმ წამს,
რომ გიტოვებს ხოლმე, როგორც ნედლ და პირღია მიწას.

უილიამ ბატლერ იეიტსი

ცირკის მხეცებთან დამფვიდობება

მახსოვს, ვიხილე ცარიელი სრულიად სცენა:
ყოველდღიური ლამპართ ელვა ღველფივით გაქრა,
მე მელოდება ხმელი ძვლების ხაროში ცვენა,
კმაყოფილებას იგრძნობს გული ბოლოჯერ, მაგრამ,
ზამთარ-ზაფხული ბერიკაცის ვიდრე ნაზია,
დღეს ჩემი ცირკის ყველა მხეცი არენაზეა.
ოჩოფეხები, ორთვალეები შეაკრთობს ნურც ვის,
ლომი, ქალწული, დანარჩენი უფალმა უწყის.

II

რა შემძლია? ძველ ხილვათა ჩამოთვლა მარტო,
ზღვათდამლაშქრავი ოიშინი გემს არ ინყალებს,
მისნურ კუნძულზე კიჩოს დაფშვნის სიზმართა საღტო –
ფუყე ხალისი, ფუყე ბრძოლა, ფუყე სინყნარე.

ჩაგრულ გულს მხოლოდ ნამღერ ჰანგთა ძალუძს ხსენება,
ნატიფი შოუს გაბრწყინება და დამშვენება.
ვდარდობდი ერთზე, სეირნობას როს წყვილის ვმზერდი:
მწყუროდა სხვა კაცს მიყრდნობილი მფეთქავი მკერდი.

შემდეგ სიცრუით გაიჟღინთა პიესა მთელი
და „გრაფის ასულ ქეთლინადაც“ მოვნათლე მაშინ,
სულგაყიდულად მიიჩნიეს, უწოდეს „ხელი“,
მაგრამ სამოთხემ შეაგება მშველელად რაში.
რად დაიღირა ბედისწერა სულზე დანებად?
ფანატიზმმა და სიავემ რად მოჰგვარა რული?
მე მისახსოვრა უცაბედად ავი ზმანება,
რომელშიც კვდება ჩემი ფიქრი და სიყვარული.

ბრმა და შეშლილმა როცა იწყეს პურის ძიება,
კუჭულის მაშინ ზღვა შეება გაუხედნავი;
ჩამოიმარცვლა გულის კენესა მისტერიებად,
მომაჯადოვეს ამ ხილვებმა ლექსის მხედარი.
გმირი გმირობამ დააკენტა, რათა ამგვარად
შთანთქას ანწყო და დაიმონოს მეხსიერება,
მე სიყვარული მოხატულმა სცენამ წამგვარა,
არა მათ, ვისაც მიჯნურებად ყოფნა ენება.

III

წმინდა გონებას ანარეკლი სახეთა რჩება.
რალაც დასრულდა. რა მოჰყვება ხვალინდელ დილას?
ნაყარნუყარი, აღმართული ქუჩებში მთებად,
ძველი კარდალა, ძველი ბოთლი, კონსერვის ქილა,
ძველი კავეები, ძველი ძვლები, მეძავის ჯიბე,
და მეც მხოლოდლა ძილის მოგვრა თუ დამჭირდება...
იქ უნდა დავწვე, სადაც ფლასით იწყება კიბე
და გულის დახლზე ჩემი ძვლები გაიყიდება.

ტომას ვენცლოვა

სსოპნის ბაჩენამღე

გარდასულთ უცდი? მაგრამ უკვე წასულა ყველა –
იმ სიღრმეებში არც სულია და არც აჩრდილი,
არავის ახსოვს ვნების პიკი, წუთით განცდილი,
მარადისობა დროში ღამედ არის გაჩრილი.
თოვს. წვიმს. ბნელდება და თელას თუ გასძახებს თელა.

ვინ გაიმარჯვა, ვინ ითავა არსთა შეკრება?
განშორებას თუ განშორება კვლავ ეთრთვილება,
სულის სიმრთელეს დაამარცხებს განხეთქილება,
როცა ორი ხმა ერთურთს მტრობს და ეპაექრება.

რა რჩება ქვეყნად? ლერწმადმრხევი ნიშანი ერთი:
მინაზე თითის ანაბეჭდი. ჩრდილი სათვალის...
სად გაქრა ნება, ლექსი, ცრემლი, ეშმაკი, ღმერთი –
ამ კითხვათაგან დაგვრჩა მხოლოდ ჩამონათვალი.

სითბოს, ფორიაქს გარდასულის აქ ყოფნას ადრი,
მშობლიურ ქალაქს ან ეს ხმები ექცნენ ძიძებად,
შენსავით ხსოვნის თურმე მათაც ებოძათ მაღლი,
რომელსაც ახლა მხოლოდ შენში გაედვიძება,
როგორც ბრმა მერცხალს, მოფრთხილეს სივრცეში
მწირად,
შენ გევალება თბილ უბეში იმისი ყოლა...
ქარს გაჰყოლია კლასიციზმი – დიდების სკოლა,
გამოტყდი ბარემ, დანთქმულა და აღარ ღირს ჩირად.

ასე ნელ-ნელა გვეპარება ძილისპირული.
იმსხვრევა ჟამი, გარდასული და განწირული.
აღინუსხება ცოცხლის სუნთქვა, სიმყრალე მძორის,
სანტიმეტრებით იზომება ნანახ-განცდილი
და სოლად ელავს წარსულსა და მომავალს შორის.

ვისლავა შიმბორსკა

დაბადების დღე

რამდენი წუთი წუთისოფელს უძღვნია ჩქარი:
რამდენი ზვაგი, რამდენი ზღვა, რამდენი ზღვარი,
რამდენი ხევი, რამდენი ხე, რამდენი ახო –
სად ჩავისახლო ეს სამოთხე, სად შევინახო?
პირი, ნაპირი, კაპარჭინა, ხალი, ხელები,
სად დავატიო მოცვი, ლოცვა და მლოცველები,
ჩიტის რაკრაკი, ჩიჩახვში რომ არ ჩაეცია?
მადლობელი ვარ, თუმცა, მგონი, მეტისმეცია.
ოროვანდები, ლავანდები – რკალად, ბნკალებად,
პანიკა, ელდა, ბრჭყალი, წყალი და ბრწყინვალეობა?
ვერცხლის დამმაღავ კოლიბრისთვის არ ვკვერავ კომბალს,
ხელთ როგორ ვიგდო ხეპრე ზებრა და ზორბა დომბა?
ნახშირბადს ვბადებ. ჟანგბადს ჟანგის ჭანგით ვეხები,
ცხრა ადღს გადაიან რვაფეხები, ორმოცფეხები.
ფასები ინევს აგვისტოში – ძვირდება ხომლიც...
გმადლობ ამ ძღვნისთვის, ღირსი არ ვარ თუმცაღა
რომლის.
მზის სწრაფ ამოსვლას არ მოჰყვება ჩასვლა გვიანი?
ვერ ინეტარებს ნატვრის ნატვრით ადამიანი?
აქ და ახლა ვარ – ნაცთუნებიც, ვნებადამცხრალიც,
ოღონდ იმაზე მეტჯერ მეტი, ქვეყნად რაც არის.

მგზავრის მზერაში იის ელვა ჯობნის იელეებს,
უუცხოვდება სვის სისავსე სიცარიელეს.
მჭრელი ჭავლებით მეხეთქება შლეგი ეროსი:
ვწუხვარ პრობლემით ფოთლის, ფითრის, მარცვლის,
ლეროსი.
ამ სივრცესავით ვკრთები ელდით, ნაუცბათევიტ,
სუსტი, საეჭვო წუთისოფლის წუთში დატევიტ.

მარინა ცვეტაევა



არაფერს ვითხოვ – მხოლოდ სახლში მოსვლა მენება.
მოახლესავით არც პურს გთხოვ და არც არსად წავალ.
ვნება ვარ შენი, შენი შვება და მოსვენება,
შენი კვირა ვარ და შენივე მეშვიდე ცა ვარ.

გროშებს მიყრიდნენ სამონყალოდ მიწაზე, ქვემოთ,
დოლაბს მკიდებდნენ ყელზე, მაგრამ გამოვეცალე...
ო, საყვარელო, ნუთუ სულის დაკარგე გემო,
მე ფსიქეა ვარ, ფსიქეა ვარ, შენი მერცხალი.

ბელა ახმადულინა

ანა კალანდაძისადმი

უცნაური და საკვირველი არ იყო, განა?
მთვარის ამოსვლას სევდიანი ხვდებოდა ანა.
მოულოდნელად გავიგონე სიტყვა პირველი:
– უცნაურია ყოველივე და საკვირველი!
იქ, იპოდრომთან, უცებ ჩეროს შეჰყროდი უნდა,
მოვდიოდით და მოგვყვებოდნენ ხეებიც თანა.
ხარობდა ხალხი. ბუნება კი დუმდა და დუმდა.
იყო სავანე. იყო მთვარე და იყო ანა.
ჩვენ ხალხით სავსე მღვიმეებთან გვედგა ნავები,
ანა კი, თითქოს, ბუნებასთან ერთად დადისო,
რომ ვერ გაკილავ და ვერასდროს შეედავები,
მხოლოდ ჭვრეტ – გუშინ, დღესაც, ხვალაც, სამარადისოდ.
ბალახი, მთვარე, ნისლეული, ფერდობი, ყანა –
სრულქმნილს უსრული ვერასოდეს ვერ დაიმგვანებ.
ჩვენ მხოლოდ ვბაძავთ, ასლი არის ბუნების ანა,
რადგან ღმერთმანი, მოვლენაა სწორედ იმგვარი.
იქ, იპოდრომთან, ბრიალებდა თრობის ცეცხლი და
რესტორნის მეხმაც მერამდენედ გაიხმაურა.
ანა კი იჯდა – მერე რა, რომ ცოტა შესცივდა –
ილიმებოდა თან საყვარლად, თან უცნაურად.
და მე ვხდებოდი უფრო ანცი, მიცქერდნენ ხენი,

ჩემს სადღეგრძელოს ვერ ახშობდა ზარი, ყაყანი:
 – ო, ანა, კდემა და მშვენება მაგიჟებს თქვენი,
 თქვენი მეტრფე ვარ, მაქებარი და მოთაყვანი.
 ერთ რამეს გკითხავთ, თუმც, კითხვადაც, ალბათ,
 არა ღირს:
 თქვენს ლექსში ნუთუ გამოცანა ისეთი სახლობს,
 როგორც მისნური შეერთება მტკვრის და არაგვის
 დაისის სხივთა სინათლეში იქ, მცხეთის ახლოს?
 ამ წყალთა შეყრა მნიშვნელობას ახალს დაბადებს –
 მას ვერ ჩასწვდება ვერა მზირი, ვერა მზვერაფი...
 ამ ერთადერთი სასიტყვეთის წყალუხვ ნაკადებს
 ამიერიდან ვერ გათიშავს ქვეყნად ვერავინ.
 თქვენს სიტყვებს ბედად გადარჩენილ ყვავილნარს ვადრი,
 რომ არ გახუნდა, არ გაქარწყლდა, არ გაიქვითა,
 სვეტიცხოვლამდე რომ სუნთქავდა – ან უფრო ადრე,
 სამარეშიც რომ ცოცხლობდა და იმას იქითაც.
 მაგრამ ო, ანა, ამ თვალებმა დღეს რაც იხილეს,
 ვერ შეცვლის ვერც ეს იპოდრომი, ვერც მთელი რემა,
 თუმცა მომესმის, გამუდმებით როგორ ჭიხვიანებს
 მარადმღვიძარე ფაშატების ფხიზელი თვლემა,
 ხან რაინდი ხართ, ხან ბალღივით ლალობთ წვიმაში,
 ხან – ციცქნა ღერო, თვალთ რომ ვერც დაინახავდი...
 უნდა გამოტყდეთ აქ, საჯაროდ, ყველას წინაშე,
 რომ სახაშეში არ დაგიდგამთ ფეხი აქამდე.
 განა არ ღირდა ანას შვებად და გახარებად –
 ისმოდა ფიცი საყვარელი და საკვირველი:
 – ვფიცავ განთიადს, სინითლე რომ შეეპარება,
 რომ აქ პირველად შემოვედი, მართლაც პირველად!
 ო, სიცოცხლეო, რარიგ მიყვარს შენი ბუნება,
 ანა რომ შედგა და გული რომ გადაუქანდა,
 მისი სინითლე, შეყოვნება და შეცბუნება,
 მასპინძლებივით მივიყვანეთ როცა დუქანთან.
 სულის ცახცახი თან რთულია, თანაც იოლი,
 ცისკენ რომ გზავნი, ღრუბლებში რომ გინდა დამალო...
 დაგასაჩუქრებს, შენთანაა გალაკტიონი,
 განთიადივით უნაპირო და უსამანო.
 შემოიხედა იდუმალად, ალბათ, წარსულმა,
 თვალთ – ვერასდროს რომ შენიშნავ, მხოლოდღა გულით,
 იტყვის: აქა ვარ, აქ ვლივლივებ, არსად წავსულვარ,
 კლდის ქიმზე, თურმე, გეკარება არასდროს რული.
 მეტეხის თავზე ვიტრიალებ, სულ აქ ვიქნები,
 ამ სიმაღლიდან ადვილია თქვენი შემჩნევა.
 ო, როგორ მიყვარს გულუბრყვილო თქვენი ფიქრები,
 თქვენი გართობა და ბავშვური თავის შექცევა.
 ვინატრე მაშინ: სანამ სულში შემრჩება ღონე,
 სანამ მეზობლად დასახლდება ჩრდილი დიადი,

სიცოცხლევ, შენი სასწაულის მამყოფე მონა,
მიძღვენ ის ღამე, ის ანა და ის განთიადი.

ბორის პასტერნაკი

ჰაელეტი

გუგუნი მიწყდა. სცენაზე ვარ. მშვენი მახვილი.
წირთხლს მივყრდნობივარ. ბლაგვი დაშნა წუთით
ლახვრდება,
ირიბად მეტყვის შორეული გამოძახილი,
წუთისოფელში რაც ანაზღად თავს გადამხდება.

დაუღერია ღამეს ბინდად წყეული ჩერო,
ღურბინდებიდან თითქოს მზერდეს ათასი ეშმა.
თუ შესაძლოა, ამარიდე, მამაო ჩემო,
მხოლოდღა ჩემთვის განკუთვნილი სასმისის შესმა.

მიყვარს, რაც შენში განზრახვა და გამოცანაა,
შესრულებაზე ამ როლისაც დაგყაბულდები,
ოლონდ, ახლა რომ თამაშდება, სულ სხვა დრამაა,
და გთხოვ, ამჯერად ნუ შემბორკავს მისი ხუნდები.

დადგენილია თუმც კმედების ყოველი წამი
და ეს სიცოცხლევ ბედისწერის გახდება დავლა.
მარტო ვარ ისევ. ფარისევლებს უდგებათ ჟამი.
მინდვრის გადავლა ნუ გგონია ცხოვრების გავლა.

რენე შარი

ჟობა

რად მოილტვოდა სული ჩემი მიწისკენ, ნეტა?
ან განკაცება რად ინება, როს საზღვარს გასცდა?
ქვევით საფრენად რად ისურვა მან ფრთათა ცვეთა,
რად ისულსწრაფა ანდა რატომ შეერთო კაცთა?

რას იპარავდა ფრთხილი მზერით, რად იქცა ქურდად,
როცა ღრუბლებში სიდიადეს რიჟრაჟის მიხვდა?
უფერულ ბრბოში, ნეტავ, ვისი შეცნობა სურდა,
როს შორით ჭვრეტდა ავაზაკთა, უბირთა, ბრიყვთა?

სამოთხის შემქმნელს ჯოჯოხეთის ეტლი ენება,
სიავის ეკალს ანაცვალა ხე, ედემს რგული,
როგორ აცთუნა მიწიერმა ბედნიერებამ,
სიყვარულით რად მოინამლა, ნეტავი, გული?

ვარსკვლავი მონყდა! დავინახეთ გარკვევით, ცხადად.
გაშეშდა ხალხი. ქროდა ხომლი, სინათლის მფრქვევი...
ო, თუმცა არა... საარსებოდ არ ეყო ცა და
სული ღრუბლიდან ამიტომაც დაეშვა ქვევით.

პერ ლაგერკვისტი

•

გამიღიმე და მნათობებმა იწყეს ცილობა.
შენი კბილები რაყიფ მთვარეს ძალღვივით უყეფს.
შენზე დახარჯა მინამ მთელი ხელგაშლილობა.
უშენოდ ყოფნა უდაბნოა – ზანტი და ფუყე.

შენ გამაკოტრე, სიმდიდრითაც ამავესე შენა:
შენი ძღვენია რწმენის ფთილა, სიმშვიდის ღერი...
გაიღიმებ და მზე ჩაქრება – მენვევა ლხენა.
„არარა“ მერქვა. შენ დამარქვი მე „ყველაფერი“.

თარგმნა გია ჯოხაძემ



ხორხე ლუის ბორხესი

1983 წლის 25 აგვისტო

პატარა სადგურის საათი გუშინდელი დღის თერთმეტ საათს აჩვენებდა. მე სასტუმროსკენ გავეშურე. როგორც ხშირად (ალბათ, ყოველთვის) მომსვლია, აქ თავს მშვიდად ვგრძნობდი. ასეთი გრძნობა მხოლოდ კარგად ნაცნობ ადგილებში ეუფლება ადამიანს. ალაცაფის ქიშკარი ღია დამხვდა, სასახლე სალამოს ბინდში ჩაძირულიყო. მისალებში შევედი. დანისლული სარკეები ბუნდოვნად ირეკლავდნენ ყვავილებსა და ოთახის ინტერიერის დეტალებს.

ჩემდა გასაკვირად, მასპინძელმა ვერ მიცნო. მან სარეგისტრაციო წიგნი გამოძინოდა. კალამი ავიღე, ბრინჯაოს სამეღნეში ჩავანე და გადაშლილ ფურცლებზე დავიხარე თუ არა, პირველ მოულოდნელობას წავანყედი იმ უამრავთაგან, რომლებიც ამ ღამეს მელოდა. ჩემი სახელი და გვარი – ხორხე ლუის ბორხესი – ვილაცას სულ ახლახან ჩაენერა წიგნში. მელანი ჯერ კიდევ არ შემშრალიყო. სასტუმროს მეპატრონის ხმა შემომესმა:

– მეგონა, თქვენ უკვე აბრძანდით... – მერე დაკვირვებით შემომხედა და ბოდიში მოიხადა: – სენიორ, მაპატიეთ... ის ძალიან გგავთ, უბრალოდ, თქვენ უფრო ახალგაზრდა ჩანხართ.

– რომელ ნომერშია? – ვიკითხე მე.

– მან მეცხრამეტე მოითხოვა. – გაისმა პასუხი. სწორედ ამის მეშინოდა.

კალამი მაგიდაზე დავაგდე და კიბეს სირბილით ავუყევი. მეცხრამეტე ნომერი მეორე სართულზე გახლდათ.

ძველი, მიუსაფარი ოთახის ფანჯრები შიდა ეზოს გადაჰყურებდა; თუ სწორად მახსოვს, აივანზე, რომელიც ოთახის მთელ სიგრძეზე გაჭიმულიყო, შეზღონგი იდგა.

მეცხრამეტე ნომერი მთელ სასტუმროში ყველაზე დიდი იყო. კარებს მივანეჭი და ისიც ადვილად დამემორჩილა. ჭერზე დაკიდებული ჭალის ამაზრუნე შეუქზე საკუთარი თავი ვიცანი. მოხუცი და გაბურძენილი ვინეტი რკინის ვინრო სანოლზე და ჭერზე გამოსულ ლაქებს შევეყურებდი. ხმა შემომესმა, რომელიც ჩემს ხმას მიაგავდა, მაგრამ ჩემი არ იყო – ობერტონები აკლდა, უსიამოდ ჟღერდა და თითქოს აუდიოჩანაწერიდან ისმოდა.

– საოცარია, – თქვა მან. – ორნი ვართ და იმავდროულად ერთი...

– ესე იგი, ეს სიზმარია, – ვუპასუხე ათრთოლებულმა.

– სიზმარია, თანაც უკანასკნელი, – მან ხელით სანოლის გვერდზე მდგარი კამოდის მარმარილოს თავისკენ მიმანიშნა, სადაც პატარა, ცარიელი ბოთლი იდგა. – შენ ჯერ კიდევ უამრავი სიზმარი დაგესიზმრება, სანამ ამ უკანასკნელ სალამომდე მოაღწევ. მითხარი, რა რიცხვია შენი კალენდრით?

– ზუსტად არ ვიცი, – ვუპასუხე შეძრწუნებულმა. – თუმცა გუშინ სამოცდაერთი წელი შემისრულდა.

– როდესაც უძილობა ამ უკანასკნელ ღამესთან მოგიყვანს, უკვე ოთ-

ხმოცდაოთხის იქნები. დღეს ხომ 1983 წლის ოცდახუთი აგვისტოა?

– ამდენი უნდა ველოდო?... – წავი-ჩურჩულე მე.

– მე კი აღარაფერი დამრჩა, – მომიჭრა სიტყვა. – სიკვდილი ყოველ წამს შეიძლება დამატყდეს, რის შემდეგაც უცნობ სამყაროში დავინთქმები. იქ სხვა სიზმრები დამხვდება, სხვა აკვიატებული აზრები, რომლებიც სტივენსონითა და სარკეებით იქნება ნასაზრდოები.

სტივენსონის ხსენება გამომშვიდობებად უფრო ჟღერდა, ვიდრე საუბარში ჩათრევის მცდელობად. მე ხომ ის ადამიანი ვიყავი, ვინც ჩემ წინ, სანოლზე იწვა, ამიტომ ყველაფერი მესმოდა მისი. შექსპირი რომ გახდეს და მის დარად შექმნა დაუვინყარი სტრიქონები, ამისათვის შენი ცხოვრების ტრაგიკული წამების სიმრავლე სულაც არ ყოფილა საკმარისი. საუბარი რომ სხვა თემაზე გადამეტანა, ვუთხარი:

– უამრავი წლის წინ ვიცოდი, რომ ეს სწორედ აქ, ამ ოთახში მოხდებოდა. თვითმკვლელობის სცენა მაშინ პირველი სართულის პატარა ოთახში აღვნივრეთ ზუსტად.

– სწორედაც... – დამეთანხმა ჩაფიქრებული, თითქოს მოგონებებში ჩაძირული. – მაგრამ, სიმართლე თუ გინდა, კავშირს ვერ ვხედავ. იმ ჩანაწერებში ხაზგასმულია, რომ ადროგას ბილეთი ავიღე; სასტუმროს, სადაც გავჩერდი, მახსოვს – „ლოს დელისიასი“ ერქვა. მეცხრამეტე ნომერში შევედი, რადგან დერეფნის ბოლოში იყო, სწორედ იქ გავასწორე ანგარიში სიცოცხლესთან.

– მეც ამიტომ მოვედი აქ, – ვთქვი მე.

– აქ? ჩვენ ხომ ყოველთვის აქ ვართ. მანუს ქუჩაზე მცხოვრებს, ამ სანოლზე მწოლიარე გხედავ სიზმრებში, სწორედ აქ დავდივარ იმ ოთახში, რომელიც დედას ეკუთვნოდა.

– ოთახი, რომელიც დედას ეკუთვნოდა, – ისე გავიმეორე, რომ სიტყვებზე

არ დავფიქრებულყავი. – ჩემს სიზმრებში ყოველთვის იმ ოთახში ხარ, რომლის ფანჯრებიც შიდა ეზოში გადის.

– ვინ ვის ესიზმრება? ვიცი, რომ მე მესიზმრები, მაგრამ არ ვიცი, გესიზმრები თუ არა შენ. ადროგას სასტუმრო კარგა ხნის წინ, ოცი, თუ ოცდახუთი წელია, დაანგრეს.

– მე ახლაც სიზმარში ვარ! – შეეძახე გამომწვევად.

– ვერც კი წარმოგიდგენია, რა მნიშვნელოვანია იმის გაგება, ერთი ადამიანი ხედავს სიზმარს, თუ ორს ესიზმრება ერთმანეთი.

– მე ბორხესი ვარ, ვინაც შენი გვარი სტუმრების სიაში ამოიკითხა და აქ ამოვიდა.

მისი სახისკენ დავიხარე და ორივემ ერთდროულად დავიწყეთ საუბარი. ვიცოდი, რომ ორივენი ვცრუობდით.

მოხუცებულ სახეზე მსუბუქი ღიმილი დაეფინა – ჩემი ანარეკლი.

– ჩვენ ვცრუობთ, – შენიშნა მან. – მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი თავი სხვადასხვა არსებად წარმოგვიდგენია. სინამდვილეში კი ერთი ვართ და იმავდროულად – ორნი.

ეს საუბარი მომბეზრდა, რაც გულახდილად განვაცხადე კიდეც, მერე კი დავამატე:

– ნუთუ 1983 წელს არაფერი გაქვს მოსათხრობი, რაც წინ დამრჩენია?

– რა გითხრა ბორხეს, შე საბრალოვ? უბედურებები ისევ ძველებურად შენი თანამდევნი იქნებიან, თუმც ამას უკვე მიჩვეული ხარ. საბოლოოდ, შინ მარტო დარჩები. ხელით შეეხები წიგნებს, სადაც ასოები არ წერია, შეეხები სვედენბორგის პროფილის ბარელიეფს და ხის მოვარაყებულ ლანგარს, რომელზეც ჯვრის ორდენი დევს. სიბრმავე სულაც არ გახლავს წყვილი – იგი მარტოობის ერთგვარი ფორმაა. კიდეც ერთხელ მოხვდები ისლანდიაში.

– ისლანდიაში! ზღვებში ჩაკარგული ისლანდია!

– რომში კიტის სიტყვები აგეკვი-
ატება, რომლის სახელიც, როგორც
სხვების, წარმავალია.

– რომში არასოდეს ვყოფილვარ.

– კიდევ ბევრი რამ მოხდება. დანერ
ჩვენს საუკეთესო ლექსს – „ელეგიას“.

– სიკვდილის... – ფრაზა ვერ დავას-
რულე შეშინებულმა.

– არა... არა. ის ლექსი შენც მოგინე-
ლებს და თვითონ დარჩება.

დავდუმდით. მერე ისევ მან განაგრძო:

– შენ დანერ წიგნს, რომელზეც ასე
ვოცნებობდით. 1979 წელს უეცრად
მიხვდები, რომ ეს ნაწარმოები სხვა
არაფერია, თუ არა ჩანახატების, სხვა-
დასხვა შინაარსის, თემისა და გრძნო-
ბების ჩანახატების კრებული. სწორედ
ამიტომ საბოლოოდ განაგდებ პატივ-
მოყვარულ ცდუნებას, რომ დიადი წიგ-
ნი დანერო. დიახ, ცდუნებას, რომელიც
თავის დროზე „ფაუსტის“, „სალამბოს“
და „ულისეს“ ნაკითხვამ დაბადა ჩვენ-
ში. ძალიან ბევრი ვწერე.

– ბოლოს კი მიხვდი, რომ წარუმა-
ტებლობა განიცადე.

– უფრო უარესადაა საქმე. მიხვდი,
რომ ეს ხელობაა, ამ სიტყვის უმძიმესი
მნიშვნელობით. ჩემი კეთილი, მხატვრუ-
ლი სურვილები პირველ გვერდებს ვე-
რასდროს გასცდა. მერე ჩნდებოდა ლა-
ბირინთები, დანები, ლამეული ვეფხვები,
სისხლისმღვრელი შეტაკებები, ბრმა და
შეუჩერებელი ხუან მურანიო, მასედო-
ნიოს ხმა, გარდაცვლილთა ფრჩხილები-
საგან აგებული ხომალდი, საღამოობით
ძველინგლისურში მეცადინეობა.

– ეგ ჩემთვის კარგად ნაცნობი კუნ-
სტკამერაა, – გავიღიმე მე.

– კიდევ, ყალბი მოგონებების რიგი,
სიმბოლოების ორმაგი განმარტებანი,
ჩამონათვალის უგრძესი რიგი, სინამ-
დვილის ზერელე აღქმა, ნაკლული სი-
მეტრიები, რომელთა აღმოჩენა კრი-
ტიკის აღფრთოვანებულ შეძახილებს
ინვევდა. არააპოკრიფული წყაროების
მითითება.

– ეს წიგნი გამოქვეყნდა?

– მელოდრამატული ფიქრები მეწ-
ვია, რომ ის გამენადგურებინა, მაგრამ
მაინც გამოვეცი მადრიდში ფსევდონი-
მით. კრიტიკამ იგი უნიჭო მიმბაძველო-
ბად გამოაცხადა, ხოლო ავტორს ბრა-
ლად წაუყენეს, რომ სახელგანთქმული
მწერლის ნაწარმოებთა პაროდია დაე-
წერა.

– განა გასაკვირია? – ჩავურთე მე.

– ბოლოს და ბოლოს ყველა მწერალი
იმით ამთავრებს, რომ საკუთარი თავის
უნიჭო მონაფედ უნდა გარდაიქმნას.

– სხვათა შორის, ამ წიგნმაც მომიყ-
ვანა აქ. სხვა დანარჩენი მიზეზები?..
სხვა დანარჩენი ბებრული სისუსტეა და
იმის განცდა, რომ შენთვის განკუთვნი-
ლი დრო უკვე ამოიწურა...

– ამ წიგნს აღარ დავწერ! – მივეცი
პირობა.

– დანერ. ჩემი სიტყვები ოდენ სიზ-
მარით გაგახსენდება.

მისი დამრიგებლური ტონი უკვე მა-
ლიზიანებდა. ეს ტონიც ჩემი გახლდათ
ამკარად... ლექციებზე ხშირად მომის-
მენია იგი. მარზიანებდა, რომ ასეთი
მსგავსება იყო ჩვენ შორის და იმავე-
დროულად ის სარგებლობდა დაუსჯე-
ლობის იმ უცნაური შეგრძნებით, რა-
საც მხოლოდ მოახლოებული სიკვდილი
ანიჭებს ადამიანს. ჩემდაუნებურად,
შევეცადე, მისთვის მენყენინებინა და
გკითხე:

– ასე დარწმუნებული ხარ, რომ
კვდები?

– დიახ, – მიპასუხა მან. – თავს ისე
მსუბუქად და მშვიდად ვგრძნობ, რო-
გორც არასოდეს. არ არსებობს სიტ-
ყვები, რითიც შეიძლება ეს შეგრძნება
გადმოგცე. მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ
შემიძლია მათი აღწერა. მითხარი, ასე
საგრძნობლად რატომ მოქმედებს ჩემი
საუბარი?

– იმიტომ, რომ ძალიან ვგავართ
ერთმანეთს. მეზიზღება შენი დამტკნა-
რი სახე, რომელიც ჩემს კარიკატურას

ჰგავს. მეზიზღება შენი ხმა, რომელიც ჩემი ხმის უბადრუკი პაროდიაა, შენი ქედმაღლური ტონი მაღიზიანებს, რომელიც ჩემიცაა...

– მართალი ხარ, – ჩაილაპარაკა მან.
– თავის მოკვლა სწორედ ამიტომ გადავწყვიტე.

ბაღში ჩიტმა დაიჭიკჭიკა.

– უკანასკნელი... – თქვა მან.

ჟესტით მიმიხმო თავისთან. ხელით ეძებდა ჩემს ხელს. შევკრთი, შევშინდი, რომ უეცრად ერთსულად არ გადავქცეულიყავით. ნელა წარმოთქვა:

– სტილოსები გვასწავლიან: არ უნდა ინუნუნო ცხოვრებაზე, რადგან საკნის კარები მუდამ ხსნილია. ამას ყოველთვის ნათლად აღვიქვამდი, მაგრამ თანდაყოლილი სიზარმაცე და სიმხდალე მამუხრუჭებდა. ორიოდე კვირის წინ დე პლატაში „ენეადას“ მეექვსე წიგნის შესახებ ვკითხულობდი ლექციას. უეცრად მივხვდი, რომ ამის გაკეთების დრო მოვიდა. გადაწყვეტილებაც მაშინ მივიღე. სწორედ ამ წუთიდან ვიგრძენი, რომ უწყველად ვარ. ჩემი ბედისწერა შენი გახდება და შენ წილად გერგება, დიდი აღმოჩენა გააკეთო, რადგან კარგად იცი ლათინური და ვერგილიუსი. მათი ნყალობით შენ დაივინყებ ამ უცნაურ, წინასწარმეტყველურ შეხვედრას, რომელიც ორ სხვადასხვა ადგილზე და ორ სხვადასხვა დროს მოხდა. როდესაც კიდევ ნახავ ამ სიზმარს, შენ გახდები მე და ჩემი სიზმარი.

– ამ სიზმარს არასოდეს დავივინყებ და დილით მას აუცილებლად ჩავინერ.

– ის ღრმად დაილექება სხვა სიზმრების საფარქვეშ. თუკი მას ჩაინერ, სურვილი გაგიჩნდება, რომ ის ზღაპრულ მოთხრობად გადააქციო, მაგრამ ეგ ამბავი ხვალ კი არ მოხდება, არამედ მრავალი წლის შემდეგ.

იგი დადუმდა და მივხვდი, რომ მიიცვალა. რაღაც მანქანებით, თითქოს მეც მოვკვდი იმ წამს: ბალიშისკენ დავხარე თავი სევდიანმა, მაგრამ საწოლზე უკვე აღარავინ იწვა.

ოთახიდან თავქუდმოგლეჯილი გამოვვარდი. არანაირი შიდა ეზო იქ არ არსებობდა, გამქრალიყო მარმარილოს კიბეები და ჩაძინებული სასახლეც; გამქრალიყვნენ ევკალიპტები და ჩარდახები, შადრევნები და გალავანში ჩაშენებული ალაყაფის ჭიშკარი. იყო მხოლოდ სოფელი ადროგა, სადაც სულ სხვა სიზმრები მელოდა.

ლატარია ბაბილონში

როგორც ყველა ბაბილონელი მა-მაკაცი, მცირე ხნით პროკონსულიც გახლდით; მონად ყოფნამაც მომიწია რაღაც ჟამს; მიგრძენია უსაზღვრო ძალაუფლება, ისევე, როგორც საქვეყნოდ თავლფდასხმა და საპყრობილე... დახედეთ ჩემს მარჯვენას – საჩვენებელი თითი მაკლია; შემომხედეთ, სწორედ იქ, სადაც სამოსს მუშტისხელად ამოჰგლეჯია ნაჭერი, როგორ იმზირება წითელი სვირინგი ჩემს მუცელზე ამოტვიფრული; ანბანის რიგით მეორე ასო გახლავთ იგი – „ბეტა“. სავსემთვარეობის ჟამს ეს სვირინგი მანიჭებს შეუზღუდავ უფლებას ადამიანებზე, რომელთაც „გიმელის“ ნიშანი ადევთ, თუმც, ამავე დროს, „ალეფის“ ნიშნის მატარებელთ უნდა ვემსახურო. თავად „ალეფის“ ნიშნიანები კი უმთვარო ღამეებში „გიმელის“ სვირინგის მქონეთა ყურმოჭრილი ყმები ხდებიან. გარიჟრაჟამდე, გატეხილ ღამის უცნაურ ჩრდილებში, მინისქვეშეთში, შავიქვის საკურთხეველზე მეც შემინირავს წმინდა ხარები; მთვარის წელიწადის განმავლობაში უჩინარი ვიყავ; ვიძახდი დაარავინ მპასუხობდა, პურს ვიპარავდი და არავინ მსჯიდა. შევიმეცნე და შევისისხლხორცე ის, რაც ბერძენთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ – საკუთარი თავის ურწმუნობა. სპილენძის საკანში მყოფს ყელზე საბელივით მოუცილებლად მიჭერდა იმედი. ნეტარების მორევში ჩაძირულს ქედზე ცხოველური

შიში შემომჯდომოდა. ჰერაკლიტე პონტოელი – პითაგორა გვამცნობს, რომ იგი ერთ დროს პიროსი გახლდათ, მანამდე კი ეფფორბეა; კიდევ უფრო ადრე, სხვა სხეულის გარსში არსებობდა. მისგან განსხვავებით, ამგვარი სახეცვლისათვის სრულიად არ მჭირდება სიკვდილის ან სიცრუის მოხმობა საშველად.

ჩემი სვე-ბედის ამგვარ, ულმობელ ცვლილებებს ერთ დანესებულებას უნდა ვუმაღლოდე, რომლის მსგავსიც სხვა სახელმწიფოებში ან არ არსებობს, ან ღრმა მინისქვეშეთში ფუნქციონირებს საიდუმლოდ და რომელსაც ლატარიას უწოდებენ. მისი წარმოშობის ისტორიაში გარკვევა არ მიცდია; მხოლოდ ის ვიცი, რომ მისი უძველესი ფორმების რაობა მაგთა და ჯადოქართა შორის დღესაც ცილობის საგანია. ჩემთვის მასზე იმდენივეა ცნობილი, რამდენიც მთვარის შესახებ უწყის ასტროლოგიაში გაუთვითცნობიერებელმა მოკვდავმა. საოცარი ქვეყნის ქვეშევრდომი გახლავართ, ქვეყნისა, რომლის მოქალაქეთა სიცოცხლეზე ლატარია მეფობს; აქამდე, მასზე უფრო მეტი არ მიფიქრია, ვიდრე ღმერთების შეუცნობელ ძალაუფლებაზე... არც იმაზე მეტი, ვიდრე საკუთარი გულის საიდუმლოებით მოსილ ბუნებაზე.

მშობელი მამა მომითხრობდა, რომ შორეულ წარსულში – ვერ გეტყვით ზუსტად, საუკუნეთა, თუ წლების მიღმა, – ლატარია ბაბილონელ პლებსის თამაში გახლდათ. ის ამტკიცებდა (რამდენად მართალი იყო, დღემდე უცნობია ჩემთვის...), ადგილობრივი დალაქები ახალთახალი, მბზინვარე მონეტების სანაცვლოდ, ძვლისაგან ან პერგამენტის ფურცლებისგან დამზადებულ კვადრატებს იძლეოდნენ, რომელთა ზედაპირზეც სხვადასხვა ნიშანი ამოეკანრათ. მათ დღისით, მზისით ათამაშებდნენ. ვისაც ბედი გაუღიებდა და შემთხვევის წყალობით გაიმარ-

ჯვებდა, ვერცხლის მონეტებს იგებდა. როგორც გესმით, სრულიად მარტივი მექანიზმი მუშაობდა, ამდენად ბუნებრივია, რომ ამგვარი „ლატარები“ მუდამ კოტრდებოდნენ. მათში არ არსებობდა არანაირი ფარული საზრისი – მორალური ძალა. ისინი ჩვეულებრივი ადამიანის გონებას სრულად ვერ იპყრობდნენ, რადგან მხოლოდ იმედის ნაპერწკალს აღვივებდნენ. იმედგაცრუებულთა რიცხვის ზრდასთან ერთად, საზოგაოების ლატარიისადმი მოთხოვნილებამ იკლო, რამაც ამ საქმის წამომწყებნი გაკოტრებამდე მიიყვანა. მათ შორის ყველაზე გამჭრიახმა მოიფიქრა და ბედნიერი ბილეთების რიცხვს რამდენიმე უბედური ბილეთიც დაუმატა. ამ სიახლის დანერგვის შედეგად, დანიშნული ფირფიტების შემქმნთ ორმაგი შანსი მიეცათ – ან მოიგებდნენ გარკვეულ თანხას, ან გადაიხდიდნენ ჯარიმას, რომელიც შესაძლოა საკმაოდ დიდი ყოფილიყო. ამ უმნიშვნელო საფრთხემ (ყოველ ოცდაათ მომგებიან ბილეთზე ერთი წამგებიანი ბილეთი მოდიოდა...), როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებრივი ინტერესი გამოაცოცხლა. ბაბილონელები თამაშმა ჩაითრია. ვინც ფირფიტებს არ ყიდულობდა, მათ ლაჩრებად, სულმდაბლებად თვლიდნენ. მცირე ხანში მოთამაშეთა სიძულვილმა ორი მიმართულება შეიძინა. ეზიზღებოდათ ის, ვინც არ თამაშობდა, ასევე ვერ იტანდნენ წაგებულებს, რომელთაც უბედური ბილეთი ერგებოდათ წილად. ლატარიის კომპანიები (ამ დროისათვის მათ უკვე ასე ერქვათ) ვალდებულნი იყვნენ, მოგებულთა ინტერესები დაეცვათ, რადგან მოგებულები კუთვნილ ფულს ვერ მიიღებდნენ, თუკი წაგებულები სრულად არ დაფარავდნენ დავალიანებას. კომპანიებმა ასეთ წაგებულთა წინააღმდეგ სასამართლოში დაიწყეს სარჩელების შეტანა. მოსამართლე მოვალეს აკისრებდა წაგებული თანხის დაფარ-

ვას, რასაც ემატებოდა სასამართლოს ხარჯები. გადაუხდებლობის შემთხვევაში უბედური ბილეთის მფლობელს რამდენიმე დღით საპრობილეში ჩაჯდომა მოუწევდა. იმისათვის, რომ კომპანიები გაეცურებინათ, თითქმის ყველა განსასჯელი ციხეში ჩაჯდომას არჩევდა. მუდმივმა ხმაურმა და აყალ-მაცალმა კომპანიების ძალაუფლება ახალ სიმძლავრეზე აიყვანა და მას რელიგიური, მეტაფიზიკური დატვირთვაც შესძინა.

კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ ისტორიული ქრონიკები კენჭისყრის შესახებ გადმოცემულ ცნობებში უკვე აღარ ახსენებენ ფულად ნაგებებს. მათში გადმოცემულია, თუ რამდენი დღის პატიმრობა ერგუნა ამა თუ იმ უბედურ ნომერს. ამ ერთმა პატარა, მკითხველისთვის შეუმჩნეველმა, ლაკონურმა ფრაზამ დროთა განმავლობაში სრულიად დაუჯერებელი მნიშვნელობა შეიძინა. ლატარიის სისტემაში გაჩნდა პირველი ელემენტი, რომელიც არ გახდათ ფულთან დაკავშირებული და იგი საფუძვლად დაედო უზარმაზარ ნარმატებას. მოთამაშეთა ზენოლით კომპა-

ნამ გადანყვეტილება მიიღო, უბედური ნომრების რიცხვი გაეზარდა.

საყოველთაოდაა ცნობილი რომ ბაბილონელები არიან ლოგიკისა და სიმეტრიის მიმართ ფრიადი სიყვარულით. ის ფაქტი, რომ გამარჯვებული ნომრების მფლობელნი მსხვილ თანხას იჯიბავდნენ, ხოლო ნაგებულები თავისუფლებას უნდა გამოთხოვებოდნენ, გარკვეულ შეუსაბამობას ქმნიდა. მორალისტების ერთმა ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფულის მონეტები სულაც არ ქმნიან ნეტარების გარანტიას, ამიტომ ბევრად ლოგიკური იქნებოდა, თუკი ბედნიერი ნომრის მფლობელებს სხვა ფორმის ბედნიერებით დააჯილდოვებდნენ, რაც უფრო ეფექტური საპირწონე გახდებოდა ნაგების რისკისა.

ლარიბთა უბნებში განსხვავებული საშიშროება იზრდებოდა. კენჭისყრის ქურუმთა კოლეგია უფრო და უფრო ზრდიდა ფსონებს და შიშისა და იმედის მძაფრი შეგძნებების კიდევ უფრო გამძაფრებას ლამობდა. უქონელთ (გასაგები და აუცილებელი შურით აღვსილებს) კარგად ესმოდათ, რომ ამ საო-



ცარი შეგრძნებებიდან, მომნუსხველი თამაშიდან გარიყულნი რჩებოდნენ. სრულიად სამართლიანმა მოთხოვნის; ლებამ, რომ ყველას – მდიდრებსაც და ღარიბებსაც ჰქონოდათ ლატარიაში მონაწილეობის შესაძლებლობა, მასობრივი გამოსვლები და არეულობა გამოიწვია... იმ ბობოქარ დღეთა ხსოვნა წლების მდინარებამ ვერაფრით გაახუნა. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არ ესმოდათ, რომ რეალურად გარდაუვალი ისტორიული ეტაპი, ახალი წესრიგი ყალიბდებოდა... თურმე ვიღაცის მონამ როგორღაც ერთი ნითელი ფირფიტა მოიპარა; კენჭისყრის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბილეთის მფლობელისთვის ენა უნდა ამოეგლიჯათ. კანონის მიხედვით, სწორედ ასეთივე სასჯელს იმსახურებდა ბილეთის ქურდი. ბაბილონელთა აზრი ორად გაიყო: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ მონა, როგორც ქურდი, ისე უნდა დასჯილიყო, მეორენი კი ამბობდნენ, რომ ჯალათს ღვთაებრივი განგებულების გამო უნდა ამოეგლიჯა მისთვის ენა. კამათმა ქურბში გადაინაცვლა. მოხდა შეხლა-შემოხლა, სამნუხაროდ, სისხლიც დაიღვარა... შედეგად მდიდრებთან დაპირისპირებაში ბაბილონელმა ხალხმა იმარჯვა და ლატარიის თამაში ამიერიდან, სოციალური მდგომარეობის განურჩევლად, ყველას შეეძლო. ბაბილონელებმა სანუკვარი ოცნება აისრულეს და კეთილშობილურ მიზანს მიაღწიეს. პირველ რიგში, მათ ის მოახერხეს, რომ მთელი ძალაუფლება კომპანიას ჩააბარეს. (ამგვარი ცენტრალიზაცია უბრალოდ აუცილებელი გახდა, რადგან მართვის მექანიზმი სრულიად შეიცვალა.) ხალხმა კიდევ იმას მიაღწია, რომ ამიერიდან ლატარიის გათამაშება საყოველთაო, უფასო და ფარული გამხდარიყო. ბილეთებს ფულზე გაყიდვა გაუქმდა. ნებისმიერ თავისუფალ ადამიანს შეეძლო „ბელლას“ ღვთაების საკურთხეველთან ზიარება მიეღო და იგი ავტომატურად

ხდებოდა უწმინდესი კენჭისყრის წევრი და თანაზიარი. კენჭისყრა ღვთაება „ბელლას“ მინისქვეშა ლაბირინთებში ყოველ სამოც ლამეში ერთხელ ტარდებოდა. სწორედ ამ კენჭისყრაზე უახლოესი სამოცი ადამიანის ბედი ლამით განისაზღვრებოდა. შედეგები ყოველ ჯერზე ამოუცნობი გახლდათ. ბედნიერ შემთხვევითობას შეეძლო, ადამიანისთვის ქურუმთა საბჭოს წევრობაც ებოძებინა ან მისივე მოსისხლე (ღია, თუ ფარული) მტერი ჩაეგდო დილეგში; შეეძლო მკრთალად განათებულ საძინებელში სწორედ იმ ქალთან ჰქონოდა პაემანი, ვისი სურვილიც, აგერ რა ხანია სტანჯავდა და მისი ხილვის იმედიც კი დაკარგული ჰქონდა; უბედურ ბილეთს პატრონისათვის შეეძლო მოეტანა დასახიჩრება, საზოგადოებრივი შერცხვნის ათასგვარი ფორმა. ისეც ხდებოდა, რომ დუქანში მავანი „ა“-ს მკვლევლობა და იმავდრულად მავანი „ბ“-ს დიდების მწვერვალზე აყვანა ოცდაათი, ორმოცი სხვადასხვა კენჭის კომბინირებით მიიღწეოდა. ამგვარი კომბინაციების ერთმანეთთან შეფარდება, თქმა არ უნდა, ფრიად რთული საქმეა, მაგრამ, უნდა შეგახსენოთ, რომ კომპანიის წევრები საოცრად გამჭრიახი და ძალმოსილი ადამიანები იყვნენ (და არიან დღემდე). უამრავ შემთხვევაში, იმის გაფიქრება, რომ ესა თუ ის ნეტარება, რომელიც მავანს წილად ხვდა, მხოლოდ შემთხვევითობის წყალობაა და მეტი არაფერი, ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, შეურაცხველია; ამგვარი, არასასურველი შეფასებების თავიდან ასაცილებლად, კომპანიის აგენტები საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის შთაგონებასა და ჯადოქრობას იყენებდნენ. მათი ვინაობა, მიზნები და ქმედებები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, რათა ფარულად მოეპოვებინათ ცნობები ცალკეულ ადამიანთა სანუკვარი ოცნებებისა და მათ გონებაში ჩაბეჭდილი ყველაზე საშინელი კომმარების შესახებ. კომპა-

ნია მსტოვრებისა და ასტროლოგების შეთანხმებულ, შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველჰყოფდა. სადღაც, თვალისაგან დაფარულ ადგილებში, ქვის ლომების ქანდაკებებთან, წმინდა, საიდუმლო სამსხვერპლოები არსებობდა, რომელთაც „კაფეკას“ უწოდებდნენ; ძველ, მიტოვებულ და მტვრით ამოვსებულ წყალსადენებში არსებული საიდუმლო ნაპრალების შესახებაც დადიოდა ხმები, საიდანაც კომპანიასთან კავშირის დამყარება იყო თურმე შესაძლებელი. გაბოროტებული ან პირიქით, მავანისადმი მადლიერებით აღსავსე ადამიანები სწორედ ამ ადგილებიდან აგზავნიდნენ ხელმოუწერელ წერილებს კომპანიაში. ყველა ეს ინფორმაცია, რომელთა უტყუარობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი გახლდათ, ერთ ადგილზე, არქივის კარტოთეკაში, ანბანის მიხედვით ლაგდებოდა და ინახებოდა. ამ ყველაფრის შესახებ ბევრი ჩურჩულებდა, თუმც კომპანია, რომელიც უალრესი თავდაჭერილობით გამოირჩეოდა, ამ მითქმამოთქმას პასუხს არ სცემდა. კომპანიის მოღვაწეებმა მოკლე აღიარებითი წერილი ნიღბების სახელოსნოსთან დატოვეს მხოლოდ, რომელიც, ამჟამად წმინდა ტექსტებშია დაცული. ზემოთხსენებული დოგმატიკური ნაწარმოები იუნყებოდა, რომ ლატარია სამყაროში დაშვებული შემთხვევითობების ინტერპოლაცია გახლავთ, ამდენად მცირეოდენი შეცდომები, რომლებიც ხდება კენჭისყრისას, არ ეწინააღმდეგება ამ შემთხვევების რაობას, პირიქით, მის უცილობლობას ადასტურებს. აქვე, აღნიშნული იყო, რომ ლომების ქანდაკებებისა და წმინდა კლოაკას მნიშვნელობა კომპანიის მიერ არამც და არამც არ კნინდებოდა, თუმც მათი ფუნქციონირება სულაც არ გახლდათ ოფიციალურად გარანტირებული.

ზემოთქმულმა განცხადებამ სწრაფად ჩაახშო საზოგადოებრივი მღელვარება. როგორც შემდგომმა მოვლენებმა

ცხადყო, მას სხვა შედეგებიც მოჰყვა, რომლებიც ტექსტის ავტორებს გათვალისწინებული არ ჰქონდათ. განცხადებამ ძირფესვიანად შეცვალა კომპანიის სული. სიმართლე გითხრათ, ძალიან ვჩქარობ, რადგან ეს წუთია გაგვაფრთხილეს, რომ ჩვენი ხომალდი მალე დაიძვრება, თუმც, შევეცდები, ზემორე სიტყვების ჭეშმარიტებაში დაგარწმუნოთ.

რაოდენ დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, იმ დრომდე არავის უფიქრია თამაშის თეორიის შექმნაზე. საერთოდ, ცნობილია, რომ ბაბილონელები გონებრივი შრომისკენ არ არიან მიდრეკილნი. რიგითი ბაბილონელი პატივს სცემს შემთხვევას, ბედისწერას; სწორედ მას ანდობს იგი საკუთარ სიცოცხლეს, იმედებს, პანიკურ შიშებსა და ოცნებებს; მას არასოდეს მოუვა თავში, შემთხვევის ჩახლართული კანონზომიერებების კვლევა-ძიება, არც იმ მოხტუნავე ბურთულების მოძრაობის მიმართულებების ახსნას შეეცდება, რომელთა ბზრიალითაც ირკვევა ჩვენი განაჩენი. მიუხედავად ამისა, კომპანიის განცხადებამ იურიდიულ-მათემატიკური სახის დისპუტი წარმოშვა. ერთ-ერთი ამგვარი კამათის დროს ასეთი აზრი დაიბადა: თუკი ლატარია მართლაც შემთხვევის ინტენსიფიკაცია არის, რომელსაც სამყაროს წესრიგში ქაოსის აუცილებელი ელემენტის შეტანა ძალუძს, ხომ არ აჯობებდა, შემთხვევა განსაზღვრავდეს გათამაშების ყოველი ეტაპის შედეგს და არა მხოლოდ საბოლოო განაჩენს? განა სასაცილო არ არის, რომ შემთხვევა მავანს მიუსჯის სიკვდილს, მაგრამ ამ სიკვდილის ხილული თუ დაფარული გარემოებები, თავის რიგს ელიან ერთი საათის ან ერთი წლის განმავლობაში და შემთხვევითობა მათზე არ ვრცელდება? ამ სრულიად სამართლიანმა შენიშვნებმა მნიშვნელოვანი რეფორმები დააჩქარა, რომლის არსში გარკვევა ერთეულ სპეციალისტებს შეეძლოთ (გაითვალისწინ-

ნეთ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი შესწორებები). მიუხედავად ამისა, შევეცდები, მოკლედ, სქემატურად აღვწერო ის, რაც ვიცი.

წარმოდგინეთ პირველი კენჭისყრა, სადაც მავანს სიკვდილით დასჯა ამოუვიდა. ამ განაჩენის აღსასრულებლად საჭირო ხდება მეორე კენჭისყრა, რომლის ჩატარებისთვისაც საჭიროა ცხრა შესაძლო ჯალათის სახელი. ამ შესაძლო შემსრულებელთაგან ოთხს უფლება აქვს, მესამე კენჭისყრა მოაწყოს, რომელიც გამოავლენს იმ პირს, ვინც პირველი კენჭისყრის განაჩენი უნდა აღასრულოს; ორ დანარჩენს მეორე კენჭისყრისას ამოსული ცუდი შედეგი ბედნიერი ბილეთით ეცვლება (მაგ. დაფლული განძის აღმოჩენა), ხოლო მეოთხემ სიკვდილიმისჯილს ტანჯვა უნდა გაუათმავოს (წამების ან საზოგადო შერცხვენის გზით); დანარჩენი ოთხს შეუძლია, რომ უარი განაცხადოს ასეთ თამაშში მონაწილეობაზე. ალბათ, გესმით, ეს მხოლოდ სქემაა. სინამდვილეში, კენჭისყრათა რიცხვი უსასრულოა. არცერთი გადაწყვეტილება საბოლოო არ გახლავთ; თითოეული მათგანი იტოტება და ახალ გათამაშებას იწვევს. უმეცარნი ფიქრობენ, რომ უსასრულო გათამაშებებს უსასრულო დრო სჭირდება; სინამდვილეში, საქმე მარტივადაა: დროის ერთეული შესაძლოა განუსაზღვრელ ერთეულებად დაიყოს, როგორც „კუსთან სირბილში გაჯობრების“ ცნობილ იგავშია აღწერილი. ამგვარი უსაზღვროება, მართლაც, საოცრად ესადაგება შემთხვევითი ციფრების ფანტასმაგორიულ მონაცვლეობას და ლატარიის ზეციურ არქეტიპს, რომელსაც პლატონიკოსნი სცემენ თაყვანს... რამდენადაც ვიცი, ჩვენი რიტუალების სახეცვლილმა ფორმებმა ტიგროსის ნაპირებამდე მიაღწია. ელიუს ლამპრიდიუსი „ანტონინ ჰელიოგაბალის ცხოვრების აღწერაში“ გვამცნობს, რომ ზემოხსენებული იმპერატორი ნიჟა-

რებზე ამოაკანვრინებდა ჯილდოებს, რომლებიც მის სტუმრებს უნდა რგებოდათ; ერთნი იგებდნენ ათ ფუნტ ოქროს, მეორენი კი ათ ბუზს, ათ ციყვს, ათ დათვს... აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ იმპერატორი ჰელიოგაბალი მცირე აზიაში ღმერთ-ეპონიმის ქურუმებმა აღზარდეს.

არსებობს ისეთი კენჭისყრებიც, რომლებიც არანაირ მიზანს არ ემსახურება. შეიძლება ითქვას, უსახო და უსარგებლოა: მავანს ევფრატში ტაპობანის საფირონის გადაგდება ერგება; სხვას კი დაევალება, რომ კოშკის ქონგურზე მდგარმა, ჩიტი გალიიდან გამოუშვას; მესამეს წილად ხვდება ყოველას წელიწადში ერთხელ მოხვეტოს (ან მოაბნიოს) ქვიშა ზღვის სანაპიროდან.

ხანდახან კენჭისყრის შედეგები შემზარავია.

კომპანიის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, ჩვენი ცხოვრება შემთხვევითობებითაა აღსავსე. დამასკური ღვინით სავსე ერთი დუჟინი ამფორის შეძენისას, არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ მათში უძვირფასესი თილისმა ან შხამიანი გველგესლა დაგხვდეთ; ჩინოვნიკი, რომელიც გარიგებას აფორმებს, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში სადღაც არასწორ თარიღს დასვამს ფურცელზე; თვითონ მეც, ამ ნაჩქარევად დანერილ წერილში, სადღაც ზედმეტი ბრწყინვალეობით შევაფერადე თხრობა, სადღაც სისასტიკე წარმოვაჩინე მეტად და, ალბათ, უფრო გავასაიდუმლოე ბართი, ვიდრე ეგებოდა... ჩვენმა ისტორიკოსებმა, რომელნიც გამჭრიახობით არიან ქებულნი, მოიფიქრეს, როგორ უნდა განეიტრალდეს შემთხვევის ზეგავლენა; ხმები დადის, რომ მათ მიერ დანერგილი მეთოდი ფრიად სარწმუნოა და კარგად მუშაობს, თუმც, ისიც საყურადღებოა, რომ ამგვარი ხმების გავრცელებას კომპანია უწყობს ხელს, რაც საფუძვლიან ეჭვებს ბადებს, თუ რამდენად წერენ სიმართლეს ისტორი-

კოსები. თუ ვინმეს სიმართლე აინტერესებს, იგი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ისტორია მთლიანად გაჟღერებულია გამოგონილი ამბებით... წმინდა ტაძრებში აღმოჩენილი ნებისმიერი პალეოგრაფიული დოკუმენტი, შესაძლოა გუშინდელი ან სულაც ასი წლის წინანდელი კენჭისყრის შედეგადაა შექმნილი; ახლადგამოცემული წიგნის თითოეული ეგზემპლარი ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდება. გადამწერთა ამქრის წევრები საიდუმლო ფიცს დებენ, რომ გამოტოვონ, გადაასხვავდნენ, დაამახინჯონ ან ინტერპოლაცია გაუკეთონ ძველ ტექსტებს. ხშირად პირდაპირ და ურცხვად ცრუობენ.

კომპანია, რომელიც საკუთარ, უზენაეს ღვთაებრიობას საიდუმლოების ბურუსში ახვევს, ყოველგვარ რეკლამას ერიდება. ალბათ, გასაგებია, რომ მათ მიერ შექმნილი აგენტურული ქსელი სრულიად საიდუმლოა: ბრძანებები, რომელთაც იგი პერმანენტულად (უფრო კი ყოველწუთიერად) გამოსცეს, არ განსხვავდება იმათგან, რასაც თაღლითები ავრცელებენ... ბოლოს და ბოლოს, ვინმეს შეუძლია თავი დადოს, რომ იგი მატყუარა თაღლითია? გაუბედურებული ლოთი მოულოდნელად სრულიად სად და საჭირო კანონს წერს... უეცრად გაღვიძებული მამაკაცი ორივე ხელით ახრჩობს მის გვერდზე მწოლიარე ქალს... იქნებ ისინი მხოლოდ კომპანიის მიერ ერთი საათის წინ მიღებულ გადამწყვეტილებას ასრულებენ? ყოვლის-

მომცველი იდუმალეობა, რაც მუდმივად ახლავს მათ საქმეებს, მართლაც, ღვთიური ძალმოსილების ნიშანს ატარებს და უბირ ადამიანებში ათასგვარ მითქმა-მოთქმას და ვარაუდს იწვევს. ერთი ამგვარი ვარაუდი შემადრწუნებელ ფიქრებში ახვევს ჩვენს გონებას: უკვე მრავალი საუკუნეა, კომპანია აღარ არსებობს და ჩვენი ცხოვრების შემდგენელი წმინდა ქაოსი – მემკვიდრეობით ტრადიციად გადაქცეულა; მეორე, არანაკლებ მძიმე დასკვნა ამგვარია: – კომპანია მარადიულია და იქამდე იარსებებს, სანამ უკანასკნელი ღმერთი სამყაროს არ გაანადგურებს. არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც კომპანია ყოვლისშემძლეა, მაგრამ გავლენას მხოლოდ წვრილმანებზე ახდენს, როგორებიცაა ჩიტის ღამეული დაკვივლება, ჟანგისა და მტვრის ჩრდილები, დილის თვლენა... შენიღბული ერეტიკოსების ბილწი მტკიცებით, კომპანია არც არსებულა არასოდეს და არც მომავალში იარსებებს და ბოლოს, კიდევ ერთ, ასევე უხიაგ აზრსაც გვიტენენ თავში: თითქოს, აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, გვჯერა თუ არ გვჯერა ამ საიდუმლოებით მოცული კორპორაციის არსებობა, რადგან თვით ბაბილონი სხვა არაფერია, თუ არა უსასრულო შემთხვევითობების მარადიული თამაში.

თარგმნა ლაშა ხეცურიანმა



ალინა ქადაგიშვილი

ოლივიე როლენი და მისი „მეტეოროლოგი“ თბილისში

აპრილის მყუდრო დღეა... მოღრუბლული, მაგრამ თბილი. წერილის მონახაზს ვამზადებ. ქარის სიჩქარე უმნიშვნელოა, ნიავე უფრო ეთქმის. მოსალოდნელია წვიმა... ვფიქრობ იმ წიგნზე, რომლის შესახებაც მსურს, გაამბოთ. ვცდილობ, წარმოვიდგინო მისი მთავარი გმირი – სსრკ-ს მთავარი მეტეოროლოგი, რომელსაც ისევე, „როგორც სტალინური ტერორის მილიონობით სხვა მსხვერპლს, ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა“.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ ყოველწლიურად, მარტის თვეში, ფრანკოფონიის დღეების ფარგლებში, სხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობასთან ერთად, გვეძლევა იშვიათი შესაძლებლობა, შევხვდეთ, მოვუსმინოთ და გავესაუბროთ თბილისში ჩამოსულ ფრანგ მწერლებს. ამ წელს საქართველოს ფრანგულმა ინსტიტუტმა არჩევანი შეაჩერა ოლივიე როლენზე, რომელიც უმთავრესად თავისი დოკუმენტური პროზით არის ცნობილი. საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი დაინტერესდა საფრანგეთში გახმაურებული მისი წიგნით „მეტეოროლოგი“. ქართულ ენაზე თარგმნა და მისი ავტორი საქართველოში მოიწვია.

21 მარტს, ფრანკოფონიის საერთა-

შორისო დღეს, ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა ოლივიე როლენისა და ლაშა ბაქრაძის დიალოგი: მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე მათ ისაუბრეს საბჭოთა კავშირის ისტორიაზე, სტალინის რეპრესიებსა და „მეტეოროლოგზე“, ხოლო 22 მარტს ნაკლებად ოფიციალურ ვითარებაში ჩვენი ძვირფასი სტუმარი შეხვდა ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკაში შეკრებილ ფრანგულენოვან მკითხველს. შეხვედრას ესწრებოდნენ ქართული თარგმანის ავტორი ცისანა ბიბილეიშვილი და გამომცემლობა „აგორას“ რედაქტორი მარინა ბალავაძე. როგორც ვიცით, ეს გამომცემლობა, უმთავრესად, ფრანგი ავტორების ნაწარმოებებითაა დაინტერესებული.

ოლივიე როლენი „მეტეოროლოგის“ წინასიტყვაობაში წერს: „მისი სფერო ღრუბლები იყო. სსრკ-ს უზარმაზარ ტერიტორიაზე თვითმფრინავებს მისი პროგნოზი სჭირდებოდათ დასაჯდომად, გემებს – ყინულებში გზის გასაკვლევად, ტრაქტორებს – შავმიწა ნიადაგის მოსახნავად. სივრცის დაპყრობა ახალი დაწყებული იყო, მისი ხელსაწყოები იკვლევდნენ სტრატოსფეროს, ოცნებობდა ქარისა და მზის მომინაურებაზე, სწამდა სოციალიზმის აღ-

მშენებლობისა 1934 წლის იმ დღემდე, ვიდრე დააკავებდნენ, როგორც „მავნებელს“.

ყველაფერი ჩვეული სცენარით წარმართა: დააკავეს მისი კოლეგები, რომლებმაც აღიარეს მათ მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება და ცრუ ჩვენებები მისცეს, სადაც მისი, ალექსეი ფეოდოსიევიჩ ვანგენგეიმის, ბრალეულობასაც აღიარებდნენ. ეს სწორედ რომ დროული იყო – გაჩნდა შესაძლებლობა, 30-იანი წლების დასაწყისში უკრაინაში მძვინვარე შიმშილი შეგნებულად არასწორი, მავნებლური მეტეო-პროგნოზით აეხსნათ და დამნაშავეები სამაგალითოდ დაესაჯათ!

სოლოვეცკის კუნძულებზე საბჭოთა ბანაკების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით ჩასული მწერალი გაეცნო ვანგენგეიმის მიმონერას: წერილებს მეუღლისადმი, რომლებსაც

სახული...

ოლივიე როლენი წერს: „ამ მიმონერის აღმოჩენამ ბავშვთან, რომლის ნახვაც აღარ ენერა, გადამანყვეტინა, დავინტერესებულყავი ალექსეი ფეოდოსიევიჩ ვანგენგეიმის ხვედრით, ასევე – რწმენამ, რომ ეს სხვა დროის, სხვა ქვეყნის ამბები არც ისე შორეულია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს: კაპიტალიზმის მსოფლიო ტრიუმფი რევოლუციური იმედის საშინელი აღსასრულის გარეშე ვერ აიხსნებოდა“.

69 წლის ოლივიე როლენი, ჟურნალისტი და მწერალი, ისევე, როგორც მისი ძმა (აგრეთვე ჟურნალისტი და მწერალი), ჟან ფილიპ როლენი, ახალგაზრდობაში უკიდურესად მემარცხენე იდეებს იზიარებდა. ოლივიე როლენმა ლიტერატურის მუზეუმში გამართულ შეხვედრაზე ისიც კი თქვა, რომ ახალგაზრდობაში მაოისტი ვიყავი და ჩი-



ხშირად თან ახლდა მათი პატარა გოგონასთვის გაგზავნილი ნახატები, ჰერბარიუმები, გამოცანები და სხვ. ამ მასალას გადასახლებულის ქალიშვილმა, ელეონორამ, თავი მოუყარა ერთ ალბომში, რომელიც მამის ხსოვნას მიუძღვნა. მამის ხსოვნა... ოთხი წლისაც კი არ ყოფილა, როცა მამა გადაასახლეს. ალბომის ყდაზე ღრუბლები იყო გამო-

ნეთს ვუჭერდი მხარს, მაგრამ არა საბჭოთა კავშირსო. მოგვიანებით, როლენი ჩამოშორდა პოლიტიკას და „ლიბერასიონში“ და „ნუველ ობსერვატორში“ დაიწყო მუშაობა, როგორც ჟურნალისტი – სანამ მის უმთავრეს საქმიანობად მწერლობა იქცეოდა. დღეს ოლივიე როლენი რამდენიმე რომანისა და ესეს ავტორია, ლიტერატურული პრე-

მიების, მათ შორის „ფემინას“ მფლობელი. განათლებით ფილოსოფოსს, აინტერესებს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური ასპექტები, ბევრს წერს მოგზაურობის შესახებ.

ვფიქრობ, რომ ლაშა ბაქრაძესთან ლიტერატურის მუზეუმში გამართული საუბარი, რომელიც დამსწრე საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გამო დიალოგის საზღვრებს გასცდა, აგრეთვე საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

ოლივიე როლენის სიტყვებით, მსოფლიო ისტორიაში ორი რევოლუცია არსებობს: ერთი 1789 წლის საფრანგეთისა და მეორეც, რუსეთის 1917 წლის რევოლუცია. ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთში მწერალი პირველად 1986 წელს ჩავიდა, როგორც კი რკინის ფარდის მიღმა დემოკრატიის სიომ დაჰბერა. ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა, აინტერესებდა, როგორი იყო ამ ქვეყნის მოქალაქეთა ყოველდღიუ-

რი ცხოვრება და ამიტომ წიგნში, რომელიც 1987 წელს დაწერა, არაფერია ნათქვამი პოლიტიკაზე. როგორც თავად ამბობს, მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მომდევნო ოცდაათი წლის განმავლობაში ძალიან ბევრჯერ ეწვეოდა ამ, ერთი შეხედვით, არასასიამოვნო ქვეყანას, იქ იმუშავებდა და წიგნებსაც კი დაწერდა მასზე: „არ გეგონოთ, რომ რუსეთის დღევანდელ პოლიტიკას ვემხრობი, პირიქით! ამიტომაც ჩემი წიგნები არაა ნათარგმნი რუსულად“.

„მეტეოროლოგის“ ავტორს არ დაუმაღავს, რომ მოჯადოებულია რუსეთის თვალუწვდენელი სივრცით – კიონიგსბერგიდან კამჩატკამდე მატარებლით მგზავრობას რამდენიმე დღე სჭირდება. გარდა ამისა, მის აზროვნებაში, ჯერ კიდევ ბავშვობიდან სიტყვა „კამჩატკა“ ქვეყნის დასალიერთან იყო გაიგივებული. როგორც ერთგან წერს ანტონ ჩეხოვი, არავინ იცის სად იწყება და სად მთავრდება ტაიგა, მხოლოდ გადამფრენმა ჩიტებმა იციანო...



საუბრისას ლაშა ბაქრაძემ ფრანგ მწერალს განუმარტა, რომ რუსეთი მხოლოდ ხელგაშლილობისა და ემოციურობის ქვეყანა როდია, არამედ დიდი ბოროტებისა და სისასტიკის ქვეყანაცაა. ამის საპასუხოდ ოლივიე როლანმა მიუგო, რომ, რა თქმა უნდა, რუსეთში დიდ სიუხეშეს ხვდები, მაგრამ მის მიღმა დიდი სითბო და სტუმართმოყვარეობაც გამოსჭვივის: „შეიძლება სიუხეშის მიზეზი ისიც იყოს, რომ ამ ვეებერთელა მინა-წყალზე ძნელად მოძებნი ისეთ ოჯახს, რომელსაც ასე თუ ისე არ შეხებოდეს საკონცენტრაციო ბანაკების საშინელება. როცა ისეთ ადგილას ხვდები, როგორც ბანაკია, ცდილობ, საკუთარი თავი გადაარჩინო, სხვებზე ველარ ზრუნავ“. ასეთია მწერლის ჰიპოთეზა, რომელსაც მხოლოდ ნაწილობრივ თუ დავეთანხმები. ცხადია, ადამიანების მიმართ ხანგრძლივად განხორციელებული სისასტიკე უკვალოდ ვერ ჩაივლიდა, მაგრამ განა მხოლოდ ამას, მე-20 საუკუნის რამდენიმე ათწლეულს შეეძლო ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბება? ამასთან დაკავშირებით მახსენდება ანდრეი ტარკოვსკის „ანდრეი რუბლიოვი“ – ივანე მრისხანეს ეპოქა, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთის ისტორიის შედარებით უფრო გვიანდელ ფურცლებზე.

საკონცენტრაციო ბანაკები! თავად ტროცკიც კი ძნელად წარმოიდგენდა, რომ მის იდეას მსგავსი დამსჯელობითი ინსტიტუციების შექმნის შესახებ, ასეთი გასაქანი მიეცემოდა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი ნაცისტური გერმანიის მიერ – ასეულობით ათასი ადამიანის სასაკლაოდ და ამ რეჟიმების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დასაყრდენად იქცეოდა.

ლაშა ბაქრაძე: „ფრანგი მწერლები ანრი ბარბიუსი და ანდრე ჟიდი დაახლოებით ერთსა და იმავე ხანაში ესტუმრნენ საბჭოთა კავშირს. როგორ გგონიათ, რატომ ხედავდა პირველი მათგანი მხოლოდ კარგს და მეორე –

ცუდს?“

ოლივიე როლენი: „სიყალბეს აჩვენებდნენ და იმიტომ. ჟიდი მიხვდა, რომ ეს სიყალბე იყო. ჩემივე სიტყვებს მოვიხმობ: იდეოლოგია არის ყალბი ჩვენებების სიყვარული. იმ დროს საფრანგეთში შეიძლებოდა გცოდნოდა, რომ საბჭოეთში არსებობდა საკონცენტრაციო ბანაკები, მაგრამ უმრავლესობას არ უნდოდა ამის დაჯერება. მემარცხენეებს უნდა ეფიქრათ, რომ ყველაფერი კარგად იყო. მე ვისურვებდი, რომ რუსეთი მთლად არ დაშორდეს ევროპას, ჰქონდეს ურთიერთობა ინტელექტუალებთან. ვერ გეტყვით, რომ ეს ქვეყანა მათი სიმპათიით სარგებლობს“.

დღეს სტალინური შიშის იმპერია პარადოქსებისა და აბსურდის სფეროდ, ხოლო ის წლები კომმარული სიზმარით უსასრულოდ გვეჩვენება. აბა, როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სტალინის სიკვდილს მის მიერ წამებულნი, გადასახლებულნი და მათი ოჯახის წევრებიც დასტიროდნენ. რეპრესირებულთა შედარებით უფრო მცირე ნაწილმა (ძირითადად პოლიტპატიმრებმა) მიიღო ეს სიახლე სიხარულით, როგორც მოსისხლე მტრის აღსასრული. იმ დღეებში ბანაკებში ერთმანეთს ჩურჩულით გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთადერთ სიტყვას: „ჩაძაღდა“, – შენიშნა ლაშა ბაქრაძემ, ოლივიე როლენმა კი ღიმილით დასძინა: როგორც ვასილი გროსმანი წერს თავის ნიგნში „ყველაფერი გაივლის“ – „სტალინი ისე გარდაიცვალა, რომ არ ჰქონია ამხანაგი სტალინის ბრძანება“.

ტერორი დასრულდა, გაჩნდა შესაძლებლობა მრავალი ათასი უდანაშაულო ადამიანის რეაბილიტაციისა – სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდგომ. მათ შორის იყო მეტეოროლოგი ვანგენგეიმიც, რომელსაც „ტროიკამ“ დახვრეტა მიუსაჯა.

ოლივიე როლენის „მეტეოროლოგი“ მთლიანად დოკუმენტურ მასალას

ეფუძნება. აქ ვერ შეხვდებით გამონაგონს, თუმცა ზოგჯერ გამოთქმულია ვარაუდი შედარებით უმნიშვნელო საკითხებთან დაკავშირებით. ავტორს არ სურს, ისტორიკოსის როლი იტვირთოს (ამას სხვები მასზე უკეთ ართმევენ თავს). უშუალოდ ნიგნის დაწერას ძალიან ცოტა დრო დასჭირდა, უმთავრეს სამუშაოს ინფორმაციის მოპოვება წარმოადგენდა: ვანგენგეიმის მიმოწერის შესწავლა, მისი საქმის მსვლელობისთვის თვალის გადავლება, ასოციაცია „მემორიალის“ წევრებთან თანამშრომლობა, შინსახკომის არქივის საბუთების შესწავლა და სხვ.

ოლივიე როლენი: „თავიდან იმედი მქონდა, რომ მის ბიოგრაფიაში წავაწყდებოდი ისეთ ფაქტებს, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ის მეამბოხე იყო, წინ აღუდგა სისტემას. აღმოვაჩინე, რომ, პირიქით, კონფორმისტია, რომელსაც სხვებივით სჯერა, რომ, თუ სტალინი ჩაერევა, ყველაფერი გამოსწორდება. ამრიგად, ეს გახლავთ ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანის ისტორია, ათასობით სხვათა მსგავსად – მართალია, არ უპირისპირდებოდნენ სისტემას, მაინც გზავნიდნენ მათ საკონცენტრაციო ბანაკებში“.

ნანყვეტი ნიგნიდან: „თუკი აქამდე ცოტა ეჭვი მაინც ეპარებოდა იმაში, თუ რა ბედი ელოდა (რაც ნაკლებ სავარაუდოა), იმ წუთში ნამდვილად დარწმუნდა, რომ პარტია, რომლის იმედიც ჰქონდა, რომლის რწმენასაც არ ჰკარგავდა, ისე მოკლავდა, როგორც ცხოველს სასაკლა-

ოზე“. იოზეფ კ-ს უკანასკნელი ფიქრიც ეს იყო: „ძალიან დაძვინჯეს“. იმ იოზეფ კ-სი, რომელიც ერთ დღეს დააპატიმრეს, თუმცა არაფერი დაუშავებია... ასეთია კაფკას „პროცესის“ დასასრული და დასაწყისი. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ებრაული წარმოშობის გერმანულენოვანმა მწერალმა, კაცობრიობის წინაშე მდგარი უდიდესი საფრთხე იწინასწარმეტყველა – კომუნისტური და ფაშისტური რეჟიმების სახით, რომლებიც პიროვნების გასანადგურებლად იყო მიმართული?

დავებრუნდეთ ოლივიე როლენსა და მის „მეტეოროლოგს“. ნიგნის კითხვამ იმთავითვე გამიტაცა. თავიდან, ცოტა არ იყოს, მიკვირდა, რატომ მეცნობოდა მისი სიუჟეტი, სანამ არ გავიხსენე, რომ ოლივიე როლენი რამდენიმე თვის წინ საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს – RFI-ის სტუმრობდა და ფრანგი ჟურნალისტის, კატრინ ფრიუშონ-ტუსენის ლიტერატურულ გადაცემაში სწორედ იმ ადამიანზე საუბრობდა, რომლის კვლევის სფეროს ცა, ღრუბლები და ჩრდილოეთის ნათება წარმოადგენდა. მახსოვს, რომ შემძრა მონათხრობმა მეცნიერის მიერ თავისი პატარა გოგონასთვის გაგზავნილი ნახატებისა და გამოცანების შესახებ. ამ სახით იღებდა ის მონაწილეობას შვილის აღზრდაში. მაშინ, აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ცოტა ხანში ეს ნიგნი ქართულად გამოიცემოდა, ხოლო მის ავტორს თბილისში ვიხილავდით?!

პორტრეტის უქ-ჩრდილები: გუბა კოტეტიფილი

დიდი ხანია, რაც ძველი თბილისი წარმოუდგენელია მხატვარ გუბა კოტეტიფილის გარეშე. მას უამრავ მნიშვნელოვან პროექტში მიუღია მონაწილეობა, რომელთა შორისაც, უპირველეს ყოვლისა, „მწერალთა სახლს“ დავასახელებ, მაჩაბლის ქუჩაზე. მისი ნახელავია რესტორნები და კაფეები: „პურპური“, „ლიტერა“, „ლეილა“, „კალა“, „პასტორალი“, KGB, ტავერნა „შავი ლომი“, ჩაის სახლები – Althause და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საუბარზე მეტად დუმილი უყვარს, ინტერვიუზე დამთანხმდა. ვინ ვინ და გუგამ ნამდვილად იცის დროის ფასი – ძალიან ბევრს მუშაობს, მაგრამ თითქმის არასოდეს აქვს ფული; მისი ჰობი ძველებური ნივთების შეძენა და მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება, თუმცა ეს საქმიანობაც, რა ხანია, გასცდა ჰობის საზღვრებს. ყველასთვის ცნობილია მისი დიზაინის სახასიათო შტრიხი – ძველებური ავეჯი, აბაჟურები, კედელზე ჩამოკიდებული თეფშები, ხელსაბანის ნიჟარები და მრავალი სხვა მსხვილი და წვრილი ნივთი თუ აქსესუარი. კიდევ ერთი პარადოქსი: ადამიანს, რომელსაც უამრავი მოკეთე ჰყავს და, როგორც თავად ამბობს, გამუდმებით იძენს ახალ მეგობრებს, თურმე ძალიან ჰყვარებია განმარტოება: „მე მარტო ყოფნა არ მეზარება, არ მიჭირს და მიყვარს. ქუჩაში როცა დავდივარ, მონყენილი არა ვარ, გაუთავებლად

ვფიქრობ, გარშემო ყველაფერი მაინტერესებს, სურათებს ვიღებ... არ მესმის, როგორ იტანჯებიან ადამიანები მარტოობის შეგრძნებით-მეთქი“.

სულების გადასახლების მოძღვრებას თუ დავუჯერებთ, რომელ ცხოველად ისურვებდით ხელახლა დაბადებას, – ვკითხე. ნეპალში ნანახ არწივადო – მომიგო გუგამ და მიაბო ფრინველთა მეფეზე, ღრუბლებს ზემოთ რომ დაფრინავდა ისე, რომ ფრთებსაც კი არ არხევდა. ნიავს აყოლილი, უხმაუროდ ეშვებოდა დაბლა. ხანდახან ქვაზე დაეშვებოდა, ფრთებს დაკეცავდა და ისვენებდა ასე.

მცენარეებს შორის ხაშხაშს შევარჩევდი (იმავე ინდური მოძღვრებიდან



გამომდინარე), რადგან ეს მცენარე ბედნიერების ჰორმონს გამოყოფს, ტკივილს აყუჩებს, დეპრესიას ხსნის. მეც ასეთი ვარო, – ღიმილით ამბობს. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება გალაკტიონის მეგობარი შარლ ბოდლერი და მისი „ალბატროსი“; თუ როგორ უჭირს პოეტს მიწიერ, ყოველდღიურ საზრუნავთან შეჯახება.

მემკვიდრეობა

ვახუშტი კოტეტიშვილი იხსენებდა, როგორ ჩამორბოდა დაღმართზე, დილით ადრე, მეორე ვაჟიშვილის, გუგას დაბადებით გაბედნიერებული, სახლიდან სამშობიაროში მიდიოდა. სრული, უპირობო სიხარულის მდგომარეობა, რომელიც შეგიძლია, ნაცნობსა თუ უცნობს გაუზიარო. ცოტა ხნის წინ კი 90-იანი წლების დასაწყისში გადა-

ღებულ ფირზე ვნახე ბატონი ვახუშტი – თითქოს გუგას ვუყურებდი! გულიც კი მომივიდა საკუთარ თავზე, აქამდე როგორ ვერ შევნიშნე ასეთი თვალში-საცემი მსგავსება-მეთქი. აღმოსავლური სახის ნაკვთები, ჩამოქნილი ღანვეები, ნუშისებრი თვალები... მამა-შვილი ერთმანეთს შინაგანადაც ძალიან ჰგავდა: თვითონ რომ თავისუფლად იზრდებოდა, ვახუშტი კოტეტიშვილს არც შვილისთვის მოუთხოვია მკაცრი წესების დაცვა.

ჩემ, თავაზიან და ცნობანადილით აღსავსე ბავშვად წარმომიდგენია პატარა გუგა. ხატვის ნიჭი, ალბათ, ბაბუისგან, ვახტანგ კოტეტიშვილისგან თუ გამოჰყვა.

– როდის იგრძენით პირველად, რომ მხატვრობა გსურდათ? – ვკითხე მამისეულ სახლში სტუმრად მისულმა.



გ. კ. – ასე გამიჭირდება თქმა. ბავშვობიდან ვხატავდი. მამაჩემთან ბევრი მხატვარი მეგობრობდა: ზურაბ ნიჟარაძე, ჯემალ ლოლუა, თენგიზ მირზაშვილი და სხვ. ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან. ალბათ, ამ გარემოში აღზრდამაც იმოქმედა, მათ სახელოსნოებში სიარულმა. ერთი დიდი კედელი მქონდა, სადაც ეკიდა მათ მიერ ჩემთვის სხვადასხვა დროს ნაჩუქარი ნახატები. თანაც დედაჩემი სულ ამბობდა, გუგა მხატვარი უნდა გამოვიდესო. სკოლაში სწავლის დროს ხუთები მარტო ხატვამი მქონდა, ზოგიერთ საგანს, არ ვსწავლობდი. ზრდილობიანი ვიყავი და ამიტომ მასწავლებლები

ორებს არ მიწერდნენ“, – ღიმილით ამბობს ჩემი მასპინძელი.

– სახელოვანი მამისა და ბაბუის ყოლა საამაყოა, მაგრამ ამას მოვალეობის გრძნობაც ახლავს. არასოდეს გსურდათ, რომ სხვებისთვის გუგა კოტეტიშვილი ყოფილიყო და არა მხოლოდ ვახუშტის შვილი?

გ. კ. – არა, მსგავსი პრობლემა არ მქონია. უბრალოდ, როგორც ვთქვით, თუ ხარ წესიერი და პატიოსანი, ამას მოვალეობის გამო არ აკეთებ. ალბათ, სწორედ აქ გამოვლინდა ის გენეტიკური ხაზი. აღზრდამაც ითამაშა როლი. მამიდაჩემი სულ ამბობდა, რომ ბავშვს გამუდმებით უნდა უჩიჩინო ქრისტიანული მცნებები, მორალის პრინციპები, თუნდაც ის, რომ არ უნდა მოიპარო. მამაჩემის მაგალითზე ვიცოდი ეს: ერთხელაც, ბავშვობაში ვახუშტიმ ქუჩაში კალამი იპოვა, მამიდამ კი აღება დაუშალა, იქვე დაატოვებინა. ეს ყველაფერი პატარაობისას იმდენჯერ მქონდა მოსმენილი, რომ როცა ბიბლია წავიკითხე, ბევრი რამ მეცნო ქრისტეს მოძღვრებაში. ახალგაზრდობაში, როცა რამეს დავაშავებდი, ვთქვით, საგზაო ინსპექცია გამაჩერებდა, ვერასოდეს ვამბობდი, ვისი შვილი ვიყავი. მეგობრები მეუბნებოდნენ, თქვიო, რადგან ინსპექტორებს შეეძლოთ, ეპატიებინათ, რადგან უყვარდათ მამაჩემი. ჯარიმას რომ გამიფორმებდნენ, მერე უკვირდათ: ვერ თქვი, რომ ვახუშტის შვილი ხარო?! ალბათ, იმიტომ არ ვამბობდი, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და მრცხვენოდა. შესაძლოა, ესეც იმ წესიერების გამოვლინებაა, რაც მამას ჰქონდა და კიდევ ის, რომ არასოდეს არავისი შემშურებია. ვახუშტისაც გააჩნდა ეს თვისება.

გ. კ. – პირიქით, მიხარია, როცა სხვა რაიმე კარგს გააკეთებს. გული მიწუხს,

უგემოვნო და მახინჯ არქიტექტურულ პროექტებს რომ ვხედავ დედაქალაქში. იგივე ითქმის დიზაინზე. მე ხელოვნებით ვცხოვრობ, ეს მასაზრდოვებს, ამიტომ, რაც მეტი სილამაზე იქნება ჩვენ გარშემო, მეტ სულიერ საზრდოსა და შთაგონებას მივიღებ. სურვილი მაქვს და ვცდილობ, დავეხმარო ასეთ ნიჭიერ ადამიანებს, ფულით, მასალით...

თხუთმეტ წელზე მეტი ხნის წინ რუსთაველის გამზირზე გალერეა TMS-ში გაიმართა გუგა კოტეტიშვილის ლიტონისგან დამზადებული ავეჯის გამოფენა. ახლაც მახსოვს იქ ნანახი ნივთები. დავდიოდი და არ ვიცოდი, ვისთვის გამეზიარებინა ჩემი გაოცება. მსურდა, მოვფერებოდი ელეგანტური სავარძლების საზურგეებს, საკიდს, უფრო ყვავილოვან მცენარეს რომ ჰგავდა... ოსტატის ხელში რკინა კეთილშობილ მასალად იქცა, – მას ამიერიდან ოცნებების ასრულება შეეძლო! მამისეული სახლის კედლები, ყოველი კუთხე-კუნჭული შთაგონებით სუნთქავს, ყველგან გუგას ნახელავს ნახავთ. სააბაზანო რაა, ისიც კი მხატვრობის ნიმუშია. ის ცხოვრობს ხელოვნებაში, ხელოვნებით და ხელოვნებისთვის... ამას პროფესია აღარ ეთქმის, ეს ცხოვრების წესია.

– არ დარჩენილა ხელოვნების არცერთი სფერო, სადაც თქვენ არ გიცდიათ ბედი, იქნება ეს გრაფიკა, ფერწერა, კინოს მხატვრობა, ფოტოგრაფია, ინტერიერის დიზაინი, ავეჯისა თუ სხვადასხვა ნივთის დიზაინი და დამზადება (მათ შორის, ჩანთებისაც). გარდა ამისა, ლექსებაც წერთ. ფილმშიც კი გადაგიღეს. მხოლოდ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ მუსიკისგან ძალიან შორს ხართ...

გ. კ. – დიახ, ასეა (იღიმის) ბოლო ხანებში არქიტექტურაშიც ვიღებ შეკვეთებს.

არც ეს მიკვირს, იმის გათვალისწინებით, რომ გუგა თავდაპირველად არქიტექტურის ფაკულტეტზე აპირებდა სწავლას. ასეთი მრავალმხრივი ინტერესების ქონა, ერთი მხრივ, სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ამ ყველაფერს შესწავლა სჭირდება, მაგრამ, მეორე მხრივ, მოღვაწეობის ერთი სფეროდან წამოსულმა იმპულსმა, შესაძლოა, მეორეში იჩინოს თავი და, ამგვარად, ფოტოს გადაღება დიზაინს წაადგეს, ხოლო პოეტურად „შეთხზულმა“ ინტერიერმა ლექსის წერის გუნებაზე დაგაყენოს – ესეც გუგა კოტეტიშვილის ნიჭიერების ერთ-ერთი შტრიხია.

გ. კ. – თავიდან მეგონა, რომ ინტერიერის დიზაინის შექმნას სპონტანურად ვუდგებოდი, რომ ინტუიციისა და გემოვნების გარდა, სხვა არაფრით ვხელმძღვანელობდი. უფრო სწორად, ამაზე საგანგებოდ არ მიფიქრია, მაგრამ, როდესაც სტუდენტებს ლექციებს ვუკითხავდი, საჭირო გახდა, მათთვის ამეხსნა, რას როგორ ვაკეთებ. ჰოდა, გაირკვა, რომ მაქვს ძალიან კონკრეტული პრინციპები, რომლებსაც

მუშაობის პროცესში ვიყენებ. ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი კი ისაა, რომ ინტერიერის დიზაინს ვასრულებ, როგორც ნახატს. ბევრი ფიქრობს, რომ მოდურ და ძვირფას ავეჯს ან ჭალს გამოიწერს უცხოეთიდან და ეს საკმარისია. წარმოიდგინეთ, რომ ნახატს ხატავთ, (ვთქვათ, ნატურმორტს), ხომ არ დაიტანთ მასზე ცალკე ვაშლს, ცალკე მსხალსა და ცალკე – „დრაპიროვკას“? ისე უნდა დახატო, რომ ყველაფერი ერთ მთლიანობას შეადგენდეს, ფერები ჰარმონიულად ეხამებოდეს ერთმანეთს. ასე ვხატავ და ინტერიერსაც ასე ვქმნი: იქნება ეს აბაჟური, სკამი თუ თევზში კედელზე; მათ ტონალობას ისევე ვუხამებ ერთმანეთს, როგორც პალიტრაზე ფერებს. ამას გაუცნობიერებლად ვაკეთებ, ესაა ექსტაზი – ვქმნი ჰარმონიულ სივრცეს, სადაც არაფერი არ ყვირის და არ აქტიურობს, თუმცა ინტერიერის დიზაინზე მუშაობისას არ არის საკმარისი, გქონდეს კარგი გემოვნება – ტექნიკური საკითხებიც უნდა გესმოდეს, მაგალითად: ამავე დროს უნდა იფიქრო კანალიზაციაზე, სხვენზე. ბინა ან კერძო სახლი ხომ მხოლოდ ლამაზი



არ უნდა იყოს, არამედ კომფორტულიც. ამიტომ საჭიროა მის დაგეგმარებაზე მუშაობა. თუ კერძო დამკვეთია, პიროვნული ფაქტორიც უნდა გაითვალისწინო. საბავშვო ბაღისა და ბანკის დიზაინი ერთნაირი ვერ იქნება, ვერც სახლისა და სასტუმროსი... ეს რომ იცოდე, შესაბამისი განათლება უნდა გქონდეს და ყურადღებიანი იყო, ყველაფერი შეამჩნიო და გაითვალისწინო. მე მხოლოდ სამხატვრო განათლება მაქვს მიღებული, დანარჩენი საკითხები თავად შევისწავლე...

„პურპური“

„პურპური“ ხელოვნურად შექმნილი სახელწოდება, რომელშიც ორჯერ მეორდება ფუძე ქართული სიტყვისა – „პური“ და ლათინური წარმოშობის ფრანგული სიტყვა Pur, რაც „სუფთას“, „წმინდას“ ნიშნავს. ქართული „პურიც“ ხომ ლათინური Purus-იდან იღებს სათავეს...

სექტემბრის ერთ თბილ საღამოს, უცხოელ სტუმრებთან ერთად, ჩაის დასალევად „პურპურში“ წავედი. ფეხით გავიარეთ შალვა დადიანისა და ლადო ასათიანის ქუჩები და, როგორც კი გუდიაშვილის ბაღთან შევეუხვით, სამშენებლო სამუშაოების გამო სიარული თითქმის შეუძლებელი გახდა. ამას სიბნელეც დაერთო თან. ყველაფრის მიუხედავად, ჩემს არჩევანში არ შევეცდარვარ: რესტორნის ზღურბლს გადავაბიჯეთ თუ არა, ჩემმა სტუმრებმა გადანყვიტეს, რომ აქ მოსვლა ნვალებად ღირდა და სრულიად გულწრფელად მითხრეს: მსგავსს არაფერს ველოდით, ასეთი რამ მხოლოდ პარიზში თუ გვინახავსო.

გუგა კოტეტიშვილის დიზაინით შექმნილ ორივე „ჩაის სახლში“ ანუ Althause-ში ისეთი გარემო გხვდება, თითქოს კაფეში კი არა, ძველ თბილისურ სახლში ან ეზოში მიხვედი, მაგრამ

„პურპურს“ მეტი სიმძაფრე გააჩნია – განსაკუთრებით, საღამოხანს. ასე მგონია, თითქოს რაღაც ამბავში მოვხვდი, სხვა დროსა და სივრცეში, მაგალითად, რომანში...

მხატვარმა ეს ბინა სტუმრებისთვის მოაწყო, დღესასწაულების, მხიარული შეხვედრებისა და გულახდილი საუბრებისათვის. ძველი სახლის პირველ სართულზე ფანჯრების ქვეშ კედლები გახსნა, იქ შუშები დააყენა და ბალი მთლიანად შიგნით „შემოუშვა“. ასეთ სახლს ახალი ავეჯი არ მოუხდებოდა, ძველი ნივთებით გააწყო. ამ ადგილს ისე ქმნიდა, როგორც ფერწერულ ტილოს: თითოეულ სკამს, მაგიდასა თუ ჭაღს საკუთარი წარსული ჰქონდა, მაღალჭერიანი ოთახების მძიმე კედლებს ისე ერწყმოდა, რომ შეგეძლო, საათობით იქ მჯდარიყავი და მათი ამბებისთვის ყური დაგეგდო. სხვაგან სად ნახავდი ასეთ სიმყუდროვეს, დახვეწილ გემოვნებასთან შერწყმულ „დაუდევრობას“?... გასაკვირი უფრო ის იყო, რომ ამ ადგილს რესტორანი ერქვა, მაგრამ ეს სახელწოდება არავის მოსწონდა და ამიტომ ყველა უბრალოდ „პურპურს“ ეძახდა. დრო გამოგონილ სამყაროსაც ცვლის ადრე თუ გვიან. ერთ დღესაც „პურპური“ თავის ნივთებიან-ამბებიანად მეორე სართულზე გადაიტანეს. ამის მერე ის მხატვარს აღარ უნახავს. იქ ისევ მშვიდი და მყუდრო გარემოა, საღამოობით მოდიან მუსიკოსები და ჩვენს საუბრებს სასიამოვნო ჰანგებით ავსებენ.

მხოლოდ მხატვარმა იცის, რა შეიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ იქ აღარ მისულა. „იგივე ნივთები კი აიტანეს მაღლა, მაგრამ ეს ხომ არ არის არითმეტიკა, სადაც შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. დიზაინში იცვლება დიდი მნიშვნელობა აქვს საგნების განლაგებას, კოლორიტს. სანათს რომ აიღებ და სხვა ფერის კედელზე დაამაგრებ, ამ დროს სწორედ ის სიმძაფრე

იკარგება, რაც ადრე იყო. მე იმ ახალ კედელზე შეიძლება სულ სხვა სანათი მიმემაგრებინა“, – ამბობს ამ შედეგის ავტორი. მისი მაქსიმალიზმი გასაგებია – ხელოვანს არც შეუძლია სხვაგვარად. მიუხედავად ამისა, მისი ნაწარმოები კვლავ ხიბლავს მნახველებს, რადგან, როგორც თავად ამბობს, მყუდროება შექმნა, ის კი არასოდეს გადადის მოდიდან, ყველგან ერთნაირად მიმზიდველია, თბილისში იქნება თუ ადისაბეზაში. „პურპურის“ კონცეფცია წარმატებით ისარგებლებდა პარიზში, ბერლინსა და ნიუ-იორკში, როგორც ეს არაერთხელ აღუნიშნავთ ამ ქალაქების მცხოვრებლებს.“

ძველებური აბაჟურები მკრთალ და იდუმალ სინათლეს გამოსცემენ; დიდსა და პატარა მაგიდებს სხვადასხვა ფერის სუფრები აფარია, საპირფარეოში კაბები ჰკიდია... „პურპურის“ ინტერიერის სახასიათო ელემენტები შემდგომში ბევრმა სათავისოდ გამოიყენა. გუგა კოტეტიშვილისთვის არაერთხელ უკითხავთ – ესა თუ ის კაფე ან რესტორანი „პურპურს“ ჰგავს და შენიაო? „ის, რომ იქ აბაჟური ან კაბა ჰკიდია, ბევრს არაფერს ნიშნავს. გაცილებით უფრო საინტერესოა, თუ რა აბაჟური ჰკიდია, რა ადგილას, როგორი კედლის ფონზე? როგორც ფერწერულ ნამუშევარში, ისევე აქაც, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპოზიციასა და კოლორიტს. არ შეიძლება დიზაინის ცალკეული ნაწილების საერთო კონტექსტიდან ამოღება და სხვაგან გამოყენება, რადგან ყოველი ინტერიერი მოცემული სივრციდან გამომდინარე შექმნილ გარემოს წარმოადგენს, რომელიც მუდამ უნიკალურია და განუმეორებელი. შესაბამისად, მიბაძვის მცდელობა წინასწარვე მარცხისთვისაა განწირული“ – განმარტავს გუგა.

„როდესაც ადამიანები შედიან „პურპურში“, თითქოს რაღაც უცნაური სპექტაკლის მონაწილეები ხდებიან და

ინყებენ თამაშს – რესტორანში ადგილის შერჩევას.“ მართლაც, დიდი მნიშვნელობა აქვს, ფანჯრის წინ მდგარ პატარა მაგიდას მიუჯდები, ცისფერი სუფრითა და ფურისულების თაიგულით თუ დარბაზის შუაგულში მდგარ დიდ ოვალურ მაგიდას აირჩევ. გარდა ამისა, განათების ცვლილება ფერთა შეხამებას საგრძნობლად ცვლის და ამის გამო საღამოთი სხვაა ეს ადგილი, დღისით – სხვა. მხატვარს დღისით უყვარდა მისვლა ძველ „პურპურში“. ერთხელაც იჯდა ასე მარტო და ყავას სვამდა. შემოვიდნენ უცხოელი ქალბატონები და თავიდან დიდხანს ფიქრობდნენ, სად დამსხდარიყვნენ (რესტორანი ცარიელი იყო). ემჩნეოდათ, რომ სერიოზულად ეკიდებოდნენ ამ საკითხს. ბოლოს აირჩიეს მაგიდა, ცოტა ხანს ისხდნენ, შემდეგ კი ადგილი შეიცვალეს, თითქოს მათთვის უფრო შესაფერისს გარემოს ეძებდნენ. მაშინ პირველად დავფიქრდი ამაზე, – ამბობს მხატვარი.

ბ.კ. – ასეც ხდება. ადამიანები პოულობენ საკუთარ ადგილს და შემდეგ როცა მოდიან, ისევ იქ სხდებიან. ერთნი ამჩნევენ დეტალებს, მეორენი ვერა. მთავარი ისაა, რომ აქ საინტერესოა, შენ გარშემო გამუდმებით რაღაც იცვლება. იმ რესტორნებს კი არ ჰგავს, სადაც ყველაფერი ბზინავს და ელვარებს, მაგრამ ერთნაირ მაგიდებს ერთნაირად თეთრი სუფრა აფარია და სადაც გეტყვიან, იქ დაჯდები. რა მნიშვნელობა აქვს? მთელი დარბაზი ერთნაირადაა მოწყობილი.

„ქუჩის ღლეები“

– როგორც მსახიობმა, კინოშიც მონიჭეთ თავი. სულ რამდენ ფილმში მიგლიათ მონაწილეობა?

ბ.კ. – „ქუჩის ღლეებში“ და ახლახან

გადაიღეს კიდევ ერთი ფილმი ჩემი მონაწილეობით, ახლა მონტაჟდება. ახალ ფილმში რეჟისორმა გადაწყვიტა, ჩემთვის და არჩილ ქიქოძისთვის, რომელიც აგრეთვე არაპროფესიონალი მსახიობია, თითქმის სრული თავისუფლება მოეცა და გვითხრა, ილაპარაკეთ, რაც გინდათო. ცხადია, არსებობს სიუჟეტი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას ვიტყვოდი. მთავარი იყო, მეტამაშა ერთი მოაფერისტო, ექსტრავაგანტული ტიპი. ძალიან მაინტერესებს, ვნახო, რა გამოვიდა...

– 2010 წელს გადაღებულ ლევან კოლუაშვილის ფილმში „ქუჩის დღეები“ მთავარ როლს ასრულებთ. როგორ მოახერხეთ თქვენ, არაპროფესიონალმა, ჰერონის მომხმარებელი „ჩეკის“ ასეთი თანმიმდევრული სახის, ხასიათის შექმნა?

ბ. კ. – პროფესიონალი მსახიობი დიდხანს ემზადება როლისთვის, კონკრეტულ ეპიზოდებს იზეპირებს, ირგებს გმირის ხასიათს. მე, როგორც არაპროფესიონალი, უშუალოდ გადაღების მომენტში ვიწყებ ფიქრს, თუ რა როგორ უნდა ვაკეთო. ვცდილობ, წარმოვიდგინო, ინტუიციით მივხვდე, როგორ მოიქცეოდა ჩემი გმირი მოცემულ შემთხვევაში. ალბათ, ამიტომაც, რომ, რასაც ვაკეთებ, უფრო ბუნებრივი, ექსპრომტული გამოდის.

ფილმში არის რამდენიმე სცენა, რომელთა შესასრულებლად საკუთარი

თავის დაძლევა მომიხდა, იმდენად არ შეესაბამება გმირის ასეთი ქცევა ჩემს ხასიათს. ამ დროს მთავარია, რომ შენი ინტონაციები ბუნებრივი იყოს. ინტუიცია იმაში გეხმარება, რომ არ გადააჭარბო: რასაც ამბობ, პირველ რიგში შენთვის არ უნდა ჟღერდეს ყალბად და ეკრანზეც არ გამოვა ყალბი. კინო იმით განსხვავდება თეატრისგან, რომ მსახიობს ემოციების გამოსახტავად არ სჭირდება ხმამაღალი საუბარი და მკვეთრი მიმიკა. საკმარისია, იფიქროს იმაზე, რაც ხდება და ეს ფიქრი მის სახეზე აღიბეჭდება.



ლევან კოლუაშვილის ფილმი

მსახიობები:
 ბაბა კობახიშვილი
 ირაკლი ჩაიშვილი
 გიორგი ყიფშიძე
 ზურა შარია
 ლიო ანთაძე

პროდიუსერი:
 არჩილ ბალოვანი
 ლევან კორინთელი
 გია ბაზალაძე

სცენარის ავტორები:
 ლევან კოლუაშვილი
 ნიკა შარი
 ბორის ფრუშინი

„ჩეკი“, „ქუჩის დღეების“ მთავარი მოქმედი პირი, როგორც იტყვიან, ხელიდან წასული, უბედური ადამიანია, რომელმაც თვით ცოლ-შვილის გამოც კი ვერ თქვა უარი დამღუპველ ჩვევაზე და ნადირალა პოლიციელების შანტაჟის მსხვერპლი გახდა. ოდესღაც ზრდილი,

ნესიერი და განათლებული ადამიანი ახლა საზოგადოებისთვის სრულიად უმაქნისი გამხდარა და თავის ცხოვრებას – ქუჩის დღეებს – მასავით უმაქნის ნარკომანებთან ერთად „ნამლის“ შოვნის მოლოდინში ატარებს.

ამ ფილმში გუგა კოტეტიშვილი განასახიერებს ადამიანს, რომელიც მომავლისგან აღარაფერს ელის, უბრალოდ აგრძელებს არსებობას. უყვარს ერთადერთი შვილი, პატარა ბიჭუნა, მაგრამ ვერაფერს აკეთებს მისთვის, ოღონდ „ჩეკის“, ყველაფრის მიუხედავად, ბოლომდე არ დაუკარგავს ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობა...

დაუვინყარია მისი თვალები – მზერა ბედთან შეგუებული, ნაცემი ძაღლისა.

ნეპალი და... არაფერი სხვა

ნეპალში ჩასულ გუგა კოტეტიშვილს უფიქრია: აქედან სხვაგან რატომ უნდა წავიდეს კაციო? მაინც დაბრუნდა... ერთ სატელევიზიო გადაცემაში საუბრობდა იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე, იმაზე, თუ როგორ იცვლება ადამიანის აზრები სიმალის ცვლილებასთან ერთად. სანამ ღრუბლებს ქვემოთ ხარ, თავს შესანიშნავად გრძნობ, მშვიდად ხარ – ჯერ კიდევ შეგიძლია იფიქრო შვილზე, სამშობლოზე, საქმეე-

ბზე, მაგრამ, როცა ღრუბლებს ზემოთ აღმოჩნდები, ყველა შენი საფიქრალი დაბლა რჩება.

– მაინც რა შეგრძნება დაგეუფლათ იმ დროს? რა ჰქვია ამ მდგომარეობას: ეიფორიის გრძნობა, სრული ბედნიერებისა თუ სამყაროში განფენილობის განცდა? ინდური ფილოსოფიის ატმანი და ბრაჰმანი? თუ უბრალოდ ხარ ასე, სივრცესთან შერწყმული?

გ. კ. – ჰო, ეგ არის. არაფერზე ფიქრობ, როგორც მაშინ, ცეცხლს რომ უყურებ. შეიძლება, დიდხანს იჯდე ასე ბუხართან. სწორედ ამ დროს ისვენებ. მსგავსი განცდაა, როცა მთების უსასრულო რიგებსა და ოკიანეს გადაჰყურებ – ზღვას მოგაგონებს... შაბათ-კვირას ქალაქგარეთ რომ გადიხარ ან საზღვარგარეთ მიემგზავრები, მაშინვე თბილისში ტოვებ შენს პრობლემებს, რადგან ფიზიკურად აქ აღარ ხარ, ხოლო, როცა ღრუბლებს ზემოთ აღმოჩნდები, უკვე ქალქიდან და ქვეყნიდან კი არა, სამყაროდანაც გადიხარ. სრული სიჩუმეა... ქრის იქაური ნიავი, დგახარ ასე გაშტერებული და ისიც იცი, რომ იქ დიდხანს ვერ გაჩერდები, რადგან, შეიძლება, გაგიჟდე.